

რედაქციის თვალსაზრისით



რელიგიის ისტორია  
და  
კულტურა

6

რედაქცია



# რელიგიის ისტორია და კულტურა

ნაწილი პირველი  
ქრისტიანული მოძღვრების შესავალი

მეექვსე კლასის სახელმძღვანელო

გამომცემლობა  
„საქართველოს მაცნე“

თბილისი  
2005

ჩიკა  
მაცნე

2-9 + 008(075-3)



1 ხადგობის ისტორია - საეტიმოლოგია

2 ხუდაბის - საეტიმოლოგია

საქართველოს

დაამტკიცა საქართველოს  
განათლების სამინისტრომ

სენტონი

ილუსტრაციები

ილუსტრაციები მინეროლოგიის ილუსტრაციები

რედაქტორი

გ ი ა მ უ რ ლ უ ლ ი ა

გადასმულია

საქართველოს

თბილისი

2005

## გამათავარნი

„ბიბლიის“ შესახებ საუბარს მეექვსე კლასშიც განვაგრძობთ, მაგრამ ვიდრე ამ საუბარს შევუდგებოდეთ, ცოტა რამ გავისხენოთ მეხუთე კლასში ნასწავლიდან.

„ბიბლია“, ანუ საღვთო წერილი, წმინდა წერილი ორი ნაწილისგან შედგება — „ძველი აღთქმისა“ და „ახალი აღთქმისგან“. „ძველი აღთქმა“ მოგვითხრობს უხსოვარი დროიდან — სამყაროს შექმნიდან, კაცის გაჩენიდან ქრისტეს მოსვლამდე მომხდარ ამბებს, „ახალი აღთქმა“ — იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „ძველი აღთქმაც“ და „ახალი „აღთქმაც“ სხვადასხვა წიგნების კრებულაა. „ძველი აღთქმის“ პირველ წიგნს „დაბადება“, ანუ „შესაქმე“ ჰქვია. ეს სახელწოდება იმიტომ მიეცა, რომ მასში გადმოცემულია სამყაროსა და ადამიანის შექმნა, გაჩენა, დაბადება. აქვეა მოთხრობილი პირველ ადამიანთა და მათ შთამომავალთა თავგადასავალი, ადამისა და ევას, აბელისა და კაენის, წარღვნის, ბაბილონის გოდოლის, სხვადასხვა ხალხის ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეს მიმოფანტვის ამბები.

გახსოვთ ალბათ, რომ სწორედ ამით დასრულდა მეხუთე კლასის სახელმძღვანელო.

ეხლა ვახსენოთ ღმერთი და შემდგომ მოვლენებს გამოვადევნოთ თვალი.

## თავი პირველი

აქ ჩვენ შევნიშნავთ, რომ „დაბადების“ ავტორს მთელი კაცობრიობის ისტორიიდან ყურადღება გადააქვს ერთ ერზე — ებრაელებზე, აქედან მოყოლებული „ძველი აღთქმა“ მხოლოდ ებრაელთა ცხოვრებას გვაცნობს. აგრე იმიტომ ხდება, რომ, „ძველი აღთქმის“ შემქმნელთა თვალსაზრისით, ებრაელი ერი ღვთის რჩეული ერია და მას განსაკუთრებული მისია აქვს დაკისრებული. რატომ არის გამოჩენილი ან რა მისია უნდა იტვირთოს ამ ხალხმა? ქრისტიანთა შეხედულებით, უწინარეს ყოვლისა ის, რომ მის წიაღში იშვება კაცთა მოდგმის გამომხსნელი და მაცხოვარი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

მაგრამ მანამდე მრავალი რამ გარდახდება თავს ებრაელ ერს.

ებრაელთა ისტორია იმით იწყება, რომ ერთ-ერთ მათგანს, აბრაამს, ღმერთი გამოეცხადა. მანამდე ისინი თითქოს არაფრით გამოირჩეოდნენ სხვა სემიტური



მოდემის ხალხებისგან. მაგრამ, აი, მოხდა საკვირველი რამ – აბრაამს ღმერთი გამოეცხადა.

სემიტური მოდემის ხალხები, როგორც მეზუთე კლასიდან გვახსოვს, ნოს ერთ-ერთი ძის – სემის შთამომავალი იყვნენ. სემს ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა. მათგან ერთს ერქვა არფაქშადი, ამის შვილს – შალახი, მისას – ებერი (ყებერი). აი, ეს ებერი, სემის შვილიშვილის შვილი, არის მიჩნეული ებრაელთა წინაპრად. სახელწოდება „ებრაელი“ ებერისგან მოდის.

ებერის შვილიშვილის შვილიშვილის შვილიშვილი იყო აბრაამი, რომლის ცხოვრებას „დაბადება“ დაწვრილებით მოგვითხრობს. აბრაამის თავგადასავალი ყოველმა ქრისტიანმა უნდა იცოდეს. ისედაც ყოველ განათლებულსა და კულტურულ კაცს მართებს მისი ცოდნა.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კაცობრიობის ისტორიამ არ იცის სხვა შემთხვევა, როდესაც დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ მცხოვრები ერთი კაცის თავგადასავალი ასე ზედმიწევნით ყოფილიყოს მოთხრობილი.

მეორე იმიტომ, რომ აბრაამი იყო ორი დიდი ხალხის – ებრაელებისა და არაბების წინაპარი, მამამთავარი, პატრიარქი.

დასასრულ, იმიტომ კიდევ, რომ აბრაამის მიერ, აბრაამის მეშვეობით ღმერთმა დედამიწის ზურგზე მოსახლე ყველა ერი აკურთხა. ამ ნათქვამით რა იგულისხმება, ამას სულ ცოტა ხანში შევიტყობთ ქვემოთ.

აბრაამის მამას თარა ერქვა. სამი ვაჟიშვილი ჰყავდა მას – აბრაამი, ნაქორი და ჰარანი. მესოპოტამიის ანუ შუამდინარეთის სამხრეთ მხარეში მკვიდრობდა მისი ოჯახი, ქალაქ ურში, ქალდეველთა ურში, როგორც „ბიბლია“ მოიხსენიებს.

აქ წამით შევწყვიტოთ თხრობა და ის ვთქვათ, „ქალდეველთა ური“ რას ნიშნავს.

ქალდეველები ან ქალდეელები შუამდინარეთის სამხრეთ ნაწილში ძველად მოსახლე ხალხს ერქვა. მათს ქვეყანას ქალდეა ეწოდებოდა. ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში და შემდგომაც დიდხანს, ჩვენს დრომდე, ქალდეა და ქალდეელები ერთგვარად საიდუმლოებით მოცული და, ამასთან, დიდ სიბრძნესთან დაკავშირებული სახელები იყო. ქალდეური სიბრძნე, ქალდეველი ბრძენი, ქალდეველი ქურუმები სხვა ხალხთა შორის გამორჩეული პატივისცემითა და მოწიწებითაც კი მოიხსენიებოდნენ, სხვათაგან დაფარული დიდი ცოდნის მფლობელებად მიიჩნევდნენ მათ.

ჩვენთვის ქალდეა იმითაც არის საინტერესო, რომ, ზოგიერთი სწავლულის

აზრით, ქართველი ერის წარმოშობის საიდუმლოს უკაცშირდება: ქალდე, ანუ ხალდე, ანუ კარდუ ის ქვეყანაა, საიდანაც არიან წამოსულნი ქართველთა წინაპრები, სიტყვა „ქართველი“, „ქართული“ იგივე „ქალდეული“, „ქალდეელი“ არისო. დღევანდელი ისტორიკოსები ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ, ოღონდ საგულისხმოა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს შეხედულება დიდად იყო ჩვენში გავრცელებული. ისიც საგულისხმოა, რომ ხალდი ურარტელთა ღვთაება იყო და თავად ურარტელებსაც ხალდებს უწოდებდნენ, აგრეთვე ისიც, რომ ერთ დასავლურ-ქართულ ტომს ძველად მაინცდამაინც ხალდები ერქვა, ხოლო სვანეთში იყო სოფელი ხალდე და სვანეთშივე არის მყინვარი, რომელსაც მაინცდამაინც ხალდე ჰქვია და იქვე მდინარე ხალდეჭალაც ჩამოდის.

ერთი სიტყვით, ური ქალდეელთა ქვეყნის ქალაქი იყო და თარას ოჯახი იქ მკვიდრობდა, იქ იყო მათი სამშობლო.

ამ ოჯახის შვილთაგან გამოარჩია უფალმა აბრაამი — კაცი მართალი, ღვთის-ნიერი, ღვთისმოსავი. გამოეცხადა ღმერთი აბრაამს და უთხრა:

„გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს“ (დაბ. 12,2). შემდეგ უთხრა: „ქეიშასავით ურიცხვს გავხდი შენს შთამომავლობას. თუ ვინმე შეძლებს ქეიშის დათვლას, შენი შთამომავლობაც დაითვლება“ (დაბ. 13.16); „აჰხედე ცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა... ამდენი იქნება შენი შთამომავლობა“ (დაბ. 15,5).

ამ სტრიქონების წამკითხველებს უეჭველად გაგვახსენდება აკაკი წერეთლის პოემის „თორნიკე ერისთავის“ დასაწყისი:

*ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა  
და ან ცაზე ვარსკვლავები,  
ვინ შეამკოს ღირსეულად  
ქართველ ვმირთა მხარ-მკლავები?*

ამის შემდეგ გვეცოდინება, რომ ეს შედარებები „ბიბლიიდან“ მოიხმო დიდმა პოეტმა.

ღმერთმა აბრაამს სხვა რამეც უთხრა:

„წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ“ (დაბ. 12,1). აქ არ ჩანს, რომელია ის ქვეყანა, მაგრამ



ქვემოთ ირკვევა, რომ ეს არის ქანაანი, მხარე, რომელსაც შემდგომში პალესტინა დაერქვა და რომელიც ებრაელი ერის სამუდამო სამკვიდრებლად, სამშობლოდ იქცა. სახელწოდება „ქანაანი“ უკავშირდება ქამის ძეს ქანაანს. მის შთამომავლებს, ქანაანში მოსახლე სხვადასხვა ტომებს, ქანაანელებს უწოდებდნენ. ასე იყო, ვიდრე ებრაელები დასახლდებოდნენ იქ.

მაგრამ ეს შემდგომ მოხდა. მანამდე თარას ოჯახის შვილებს გრძელი გზა უნდა გაეგლოთ, რათა პირვანდელი სამშობლოდან, ქალდეველთა ურიდან, ქანაანში ჩაეღწიათ და იქ დაბინავებულიყვნენ. ვისაც გეოგრაფია უყვარს და რუკის მომარჯვებაც ეხერხება, ალბათ გაიკვირვებს: ქალაქი ური მესოპოტამიის სამხრეთში, ტიგროსისა და ეფფრატის შესართავთან ახლოს იყო გაშენებული, იქიდან ქანაანამდე, ანუ დღევანდელ პალესტინამდე არც ისე გრძელი გზა ჩანსო. ამის მთქმელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არც ისე გრძელი გზა ჩანს პირდაპირი ხაზით, აღმოსავლეთიდან დასავლეთით, მაგრამ ამ პირდაპირ გზას თარას ოჯახი ვერ გაუყვებოდა, რადგან მესოპოტამიასა და ქანაანს შორის სირიის უდაბნოა გადაჭიმული. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ თარას ოჯახი მესაქონლეობას მისდევდა, აურაცხელი ცხვარ-ძროხა ჰყავდათ და მათი ჯოგები და ფარები, ცხადია, სწრაფად ვერ ივლიდნენ.

აქ ისიც ვთქვათ, რომ, მართალია, ებრაელებმა სამუდამოდ დატოვეს თავიანთი პირვანდელი სამშობლო, მაგრამ მათი წარმომავლობის ამბავი ენამ შემოგვინახა: ქართულად ებრაელების მეორე სახელი არის „ურია“, ესე იგი ის, ვინც ურიდან, ქალაქ ურიდან, ქალდეველთა ურიდან არის გამოსული. დღეს ბევრს ჰგონია, თითქოს „ურია“ დამაკნინებელი სიტყვა იყოს, ებრაელთა ღირსების შემლახველი. არ არის ეს სწორი. ქართველნი ამ ხალხს უძველესი დროიდან ურიად ვიხსენიებდით, ძველ ქართულ ნაწერებში, მეოცე საუკუნემდე, ყველგან ურია (პურია) ეწოდებოდათ მათ. სახელწოდება „ებრაელი“ გვიან დამკვიდრდა ქართულში.

ქალდეველთა ურიდან გამოსული მგზავრები ჩრდილოეთისკენ გაემართენ, მდინარე ეფფრატის ზემო წელში მდებარე ქალაქ ხარანს მიაღწიეს და იქ დასახლდნენ.

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, ცოტათი უფრო ახლოს გავეცნოთ თარას ოჯახს.

როგორც გვახსოვს, თარას სამი ვაჟიშვილი ჰყავდა – აბრაამი, ნაქორი და ჰარანი. აბრაამის შესახებ ჯერჯერობით ის ვთქვათ მხოლოდ, რომ მან ქალდეველთა ურშივე შეერთო ცოლი, პირმშენიერი სარა. უმთავრესად ამ ცოლ-ქმარის შთამომავალთა ამბებს მოგვითხრობს „ძველი აღთქმა“. ქვემოთ შევიტყობთ, რომ



აბრაამი ქანაანისკენ მგზავრობისას.  
მეჩვიდმეტე საუკუნის პოლანდიელი მხატვრის პიტერ ლასტმანის ნახატი.





მორე ძმის — ნაქორის შვილიშვილი რუბეკა ცოლად გაჰყვება აბრაამის ძეს ისააკს. ჰარანს რაც შეეხება, მამის სიცოცხლეშივე აღესრულა, ვიდრე თარას ოჯახი ქალდეველთა ურიდან გამოემგზავრებოდა. მას დარჩა ვაჟიშვილი ლოტი, რომლის თავგადასავალს აგრეთვე გავეცნობით ქვემოთ.

ქალდეველთა ურიდან გამოემგზავრენ თარა, აბრაამი და სარა, და თარას შვილიშვილი, ჰარანის ვაჟი, აბრაამის ძმისწული ლოტი. ქანაანისკენ გამგზავრებული ოჯახი თავდაპირველად ხარანში დასახლდაო, — ვთქვით წელან. იქ თარა გარდაიცვალა და ამის შემდეგ აბრაამი თავისი სახლეულითურთ ქანაანის ქვეყნისკენ დაიძრა. ამ დროს აბრაამი უკვე სამოცდათხუთმეტი წლის იყოო, — გვამცნობს „დაბადება“.

ქანაანის ქვეყანას რომ ჩააღწიეს, კვლავ გამოეცხადა უფალი აბრაამს და უთხრა: „მთელი ეს ქვეყანა, რასაც ხედავ, შენთვისა და შენი მოდგმისთვის მომიცია სამარადისოდ“ (დაბ. 13,15).

ამიტომ იქცა ქანაანი, ანუ პალესტინა ებრაელთა სამშობლოდ, ებრაელთათვის ალთქმულ ქვეყნად.

ეს ყოველივე მოხდა თითქმის ოთხი ათასი წლის წინათ, ძველი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე თუ მეთვრამეტე საუკუნეში. საიმდროოდ გამოარჩია უფალმა აბრაამი, აღუთქვა, რომ მრავალრიცხოვანი ხალხის წინაპრად იქცეოდა და ამ ხალხის სამკვიდრებელი, მათი სამშობლო იქნებოდა ქანაანის ქვეყანა, მერმინდელი პალესტინა.

მაგრამ მაშინ ერთი დიდი ამბავი მოხდა კიდევ: უფალმა აბრაამს ისიც აღუთქვა, რომ მისი მეშვეობით, მისი შთამომავლობის წყალობით დედამიწის ზურგზე მოსახლე ყველა ერი, ანუ მთელი კაცობრიობა იკურთხებოდა (დაბ. 18,18, 22,18). ამ დიადი წინასწარმეტყველებით ის იგულისხმება, რომ დედამიწის ზურგზე მოსახლე ყველა ერი, მთელი კაცთა მოდგმა იკურთხა ანუ დაილოცა აბრაამის შორეულ შთამომავლობაში განკაცებული იესო ქრისტეს მიერ.

აქვე ზემოთ ვთქვით: ქანაანისკენ გამგზავრებული აბრაამი უკვე სამოცდათხუთმეტი წლის იყოო. უფლის ალთქმის თანახმად, მას ურიცხვი შთამომავლობა ეყოლებოდა. მაგრამ ქანაანში დამკვიდრების შემდეგ გავიდა კიდევ ათი წელიწადი და აბრაამსა და სარას არა და არ გაუჩნდათ შვილი. ღრმადმორწმუნე აბრაამი უდრტვინველად ითმენდა უშვილობას, სწამდა, რომ უფლის ალთქმა უეჭველად აღსრულდებოდა. ოღონდ ხანდაზმულ სარას, რომელიც აბრაამზე ათი წლით უმცროსი იყო, იმედი გადაეწურა. ამიტომ ამგვარი რამ გადაწყვიტა: ეგვიპტელი

მხვეალი ჰყავდა სარას, სახელად აგარი, და ის მისცა ცოლად აბრაამს — ვინძლო მისგან შვილიერი შევიქნეო.

ნუ გაგვაკვირვებს სარას ასეთნაირი საქციელი, ნურც მისი ნათქვამი. იმდროინდელი ჩვეულების თანახმად, მამაკაცს, უმთავრესი მეუღლის გარდა, მხვეალიც შეიძლებოდა ჰყოლოდა ცოლად და მხველისგან შეძენილი შვილიც კანონიერ შვილად მიიჩნეოდა. ამიტომ თქვა სარამ — ვინძლო აგარისგან შვილიერი შევიქნეო.

მართლაც შეეძინა აგარს ვაჟი. მამინ აბრაამი ოთხმოცდაექვსი წლის იყო. ახალშობილს სახელად ისმაელი დაარქვეს. შემდგომში მისგან წარმოიშვა ის ხალხი, არაბებს რომ ვუწოდებთ.

კარგად დავიმახსოვროთ ეს. ვინაიდან ძველი ქართული მხატვრული თუ საისტორიო ნაწარმოებების კითხვისას ხშირად შეგვხვდება სიტყვები — „ისმაიტელნი“, „აგარიანნი“. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ სიტყვებით არაბები იგულისხმებიან: ისმაიტელნი, ესე იგი ისმაელის შთამომავალნი; აგარიანნი, ესე იგი ისმაელის დედის აგარის შთამომავალნი.

ისმაიტელებს, ანუ აგარიანებს, ანუ არაბებს „ძველ აღთქმაში“ კიდევ მრავალგზის შევხვდებით. მაგრამ, ითქვა უკვე, „ძველი აღთქმა“ უმთავრესად ებრაელი ერის თავგადასავალს მოგვითხრობს, ხოლო ამ ერის მამამთავარი სწორედ აბრაამი იყო. მაშასადამე, უფლის აღთქმისამებრ, აბრაამსა და სარას უნდა შესძენოდათ ძე, რომლის მეშვეობითაც შემდგომში ებრაელები გამრავლდებოდნენ. მართლაც შეეძინათ ვაჟიშვილი — ისაკი.

ეს ასე მოხდა.

ოთხმოცდაცხრამეტი წლის რომ იყო აბრაამი, კვლავ გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: ჩემი აღთქმისამებრ, დიდად გაგამრავლებ, შენ და შენს შთამომავლობას აღთქმას დაგიდებთ, რომ თქვენი ღმერთი ვიქნები, თქვენ კი უფლის გზით უნდა იაროთ, მხოლოდ სიმართლეს მისდიოთო. ამ აღთქმის ნიშნად, მის სამახსოვროდ, ყოველმა თქვენგანმა უნდა წინადაიკვიტოსო. მერე უთხრა: ვაკურთხებ შენს ცოლს და ვაჟიშვილსაც შეგძენ, ხალხების დედა გახდება სარა და მისგან ხალხთა მუყეუები წარმოიშობიანო.

იმავე დღეს აბრაამმა თავადაც წინადაიკვიტა, წინადაცვიტა თავისი ვაჟი ისმაელი და მის სახლში მყოფი ყველა მამაკაცი. ამის შემდეგ აბრაამის შთამომავალთა შორის წინადაცვიტა მოუშლელ წესად იქცა და ებრაელნი ამ წესს დღესაც აღასრულებენ.



გამოხდა მცირე ხანი. ერთ ზვატიან დღეს, როდესაც აბრაამი თავისი კარვის ჩრდილში იჯდა, სამი მგზავრი დაინახა შორიასხლოს. ესენი იყვნენ კაცის სახით ქვეყნად გამოცხადებული ანგელოზები, ღმერთის ნების მაუწყებელი. ოღონდ აბრაამს ეს არ იცოდა ჯერ, ისე მიუგება, როგორც ჩვეულებრივ მგზავრებს, მათკენ გაემართა, თავი მდაბლად დაუკრა და სთხოვა, სტუმრად სწევოდნენ. შემდეგ სტუმრებს ფეხები დააბანინა, დიდებული სუფრა გაუშალა. თვითონ სუფრას არც მისჯდომია, ისე ემსახურებოდა.

„ბიბლიის“ ამ ეპიზოდს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საკვირველი ამბავი მოხდა — აბრაამს ღვთაებრივი სტუმრები ეწვივნენ (ზოგიერთი სწავლული იმასაც კი ფიქრობს, იმ სამთავან ერთი თავად უფალი ღმერთი იყო ანგელოზთა თანხლებით. სხვანი იმ სამ ზეციურ არსებას სამების გამოხატულებად მიიჩნევენ).

შემდეგ იმიტომ, რომ ამ ეპიზოდით კარგად ჩანს აბრაამის შინაგანი ბუნება: სათნო, თავმდაბალი, მოყვარული კაცი იყო აბრაამი, ოჯახში სტუმრების მობრძანება ღვთის წყალობად მიიჩნია და ისე იქცეოდა მათ წინაშე, თითქოს თვითონ უბრალო მსახური ყოფილიყოს და არა აურაცხელი სიმდიდრის მფლობელი დიდკაცი.

შუა საუკუნეთა ქრისტიანულ მხატვრობას რომ გავეცნობით, არაერთ ტაძარში ვიხილავთ ფრესკებს, სადაც ზემოაღნიშნული ეპიზოდია გამოხატული, და ის ფრესკები მოიხსენიება ერთი სახელწოდებით — „აბრაამის სტუმართმოყვარეობა“.

ეს ეპიზოდი ჩვენთვის იმითაც არის საგულისხმო, რომ ქართველთა სტუმართმოყვარეობაც ოდითგანვე განთქმულია და ეს მშვენიერი თვისება დღემდე დიდად ფასობს საქართველოში.

ეხლა ამბავს მივუბრუნდეთ.

შენი ცოლი სარა სად არისო? — ჰკითხეს სტუმრებმა აბრაამს.

ერთმა მათგანმა თქვა:

„კიდევ მოვალ შენთან გაის ამ დროს, და, ნახავ, ვაფი ეყოლება სარას, შენს ცოლს“ (დაბ. 18,10).

ამის გამოწვევით სარას, რომელიც კარვის კარს უკან მდგარა ამ დროს, გულში გაეცინა — რაღა დროს ჩემი შვილიაო! ოთხმოცდაცხრა წლის იყო სარა.

„უთხრა უფალმა აბრაამს:

რა იყო, რომ გაეცინა სარას და თქვა: ნუთუ მართლა ვშობ სიბერეშიო?

რა არის უფლისთვის შეუძლებელი? დათქმულ დროს, გაის ამ დროს, ისევ

მოვალ შენთან და, ნახავ, ვაჟი ეყოლება სარას.

გადათქვა სარამ: არ გამიცინიო, — რადგან შეეშინდა.

უთხრა: არა, გაიცინე“ (დაბ. 18,13-15).

დავუკვირდეთ, რა მოხდა: სტუმრები სარას ვერც ხედავდნენ, რადგან, ითქვა უკვე, კარვის კარს უკან იდგა. მაინც მიხვდნენ, გულში რომ გაეცინა. სწორედ ამიტომ შეეშინდა სარას, იაზრა — უბრალო მოკვდავნი კი არა, გულთამხილველნი არიანო ჩვენი სტუმრები. ორივე ცოლ-ქმარი დარწმუნდა, რომ მათს სახლში სტუმრად ღვთაებრივი არსებანი იყვნენ.

უფლის აღთქმა, ცხადია, აღსრულდა: სარა დაორსულდა და შვა ძე, რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, ისააკი დაარქვეს. მაშინ აბრაამი ასი წლის იყო, სარა — ოთხმოცდაათისა.

ისააკის შობის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და აბრაამის ოჯახში ამგვარი ამბავი დატრიალდა: სარამ შენიშნა, რომ აგარის ვაჟი ისმაელი მის მხოლოდშობილ შვილს დასცინოდა. სარას უამისოდაც, შვილიერების შემდეგ, გულზე აღარ ეხატებოდა ისმაელი, არც ის სურდა, რომ მხეველის ძე მემკვიდრეობაში შესცილებოდა ისააკს. გააგდე სახლიდან ეს ყმაქალი და მისი შვილიო, — მოსთხოვა აბრაამს. აბრაამი დიდად შეწუხდა, რაღა თქმა უნდა, მისთვის ადვილი არ იქნებოდა პირმშოსთან განშორება. მაგრამ უფლის ხმა ჩაესმა: „ნუ სწუხარ ყმაწვილზე და შენს ყმა ქალზე, რადგან ისააკით დაგეწყება შთამომავლობა. ყმაქალის ძესაც ხალხად ვაქცევ, რადგან შენი თესლია იგი“ (დაბ. 21,12-13).

ასე რომ, აბრაამმა სახლიდან გაისტუმრა აგარი და ისმაელი. მრავალი გაჭირვება გადახდა დედა-შვილს, მაგრამ ღმერთი სწყალობდა ისმაელს, ვითარცა აბრაამის ძეს. გაიზარდა, დაეაყვაცდა, სახელოვანი მშვილდოსანი შეიქნა, დაოჯახდა და თორმეტი ვაჟი ეყოლა, რომლებსგანაც წარმოიშვა არაბთა თორმეტი ტომი.

\* \* \*

იმ დღეს, აბრაამს ღვთაებრივი სტუმრები რომ ეწვივნენ, ერთი დიდად სამახსოვრო ამბავი მოხდა კიდევ. მაგრამ ამ ამბის მოთხრობამდე უნდა ვიცოდეთ შემდეგი: აბრაამი და მისი ძმისწული ლოტი, გვახსოვს ალბათ, ერთად ჩავიდნენ ქანაანის ქვეყანაში. ორივენი დიდად გამდიდრდნენ, ორივეს აურაცხელი ცხვარძროხა ჰყავდა. გაუძნელდათ ერთად ცხოვრება, რადგან საძოვრები აღარ ჰყოფნიდათ და აბრაამისა და ლოტის მწყემსებს ერთმანეთში ცილობა ჰქონდათ. მაშინ



აბრაამმა ლოტს უთხრა: სახლიკაცები ვართ, ნუ ვიდავებთ, მოდი, გავიფაროთ. კეთილი კაცი იყო აბრაამი და არ სურდა მასა და მის ძმისწულს შორის თუნდაც მცირეოდენი უთანხმოება ჩამოვარდნილიყო.

ასე დაშორდნენ ისინი ერთიმეორეს. ლოტმა სამკვიდრებლად ის მხარე აირჩია, სადაც გაშენებული იყო შემდგომში ესოდენ ბედითად ცნობილი ქალაქები – სოდომი და გომორი. ეს ის ადგილია, მდინარე იორდანე მკვდარ ზღვას რომ ერთვის. სოდომთან დასცა თავისი კარვები ლოტმა.

სოდომსა და გომორში ქანაანელნი ცხოვრობდნენ. ღვთის გარეგანი, ბოროტნი, გარყვნილნი იყვნენ ისინი, დიდი ცოდვებით დამძიმებულნი, უკეთურსა და საძრახის საქმეებს მისდევდნენ, ღმერთს არისხებდნენ თავიანთი სიბილწით. ამიტომ გადაწყვიტა უფალმა მათი სამაგალითოდ დასჯა.

იმ დღეს აბრაამის სტუმართაგან ორნი სოდომისკენ გაემართენ და საღამოჟამს მიაღწენ იმ ქალაქის კარიბჭეს, სადაც იქვე მჯდარი ლოტი დაუხვდათ. მან ისეთივე სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, როგორც აბრაამმა: შინ მიიწვია სტუმრები, სანაქებოდ გაუმასპინძლდა. მაგრამ რა რომ დაღამდა, სოდომელი მამაკაცები ლოტის სახლს მოაწყდნენ – შენი სტუმრები გამოგვკვარეო. უპატიურად უნდა მოაპყრობდნენ ლოტის სტუმრებს.

ლოტი ვაჟკაცურად და ღირსეულად მოიქცა, სტუმარმასპინძლობის წმინდათა წმინდა წესი დაიცვა, გააკეთებულ სოდომელებს მისი სახლის ჭერქვეშ შეფარებული მგზავრების მიცემაზე უარი უთხრა: ორი უმანკო ქალიშვილი მყავს, ისინი წაიყვანეთ, ოღონდ სტუმრებს არაფერი ავნოთო. სოდომელნი ბობოქრობდნენ, თვითონ ლოტს მოუნდომეს შეურაცხყოფა, მაგრამ ანგელოზებმა ლოტი შინ შეიყვანეს, ხოლო მომხდურთ თვალები დაუბნელეს და მათ ვეღარ მიაგნეს ლოტის სახლის კარს.

სხვათა შორის შევნიშნოთ: ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ რომ წაიკითხავთ, ალბათ გაგიჩნდებათ აზრი, რომ ლოტისა და სოდომელების ეპიზოდი ჰგავს ვაჟას პოემის იმ ადგილს, გააკეთებული ქისტები ჯოყოლას რომ მიუვარდებიან მისი სტუმრის – ზვიადაურის წასაგვრელად და სტუმარმასპინძლობის წმინდათა წმინდა წესის დამცველი ჯოყოლა ასევე ვაჟკაცურად და ღირსეულად მოიქცევა.

ანგელოზებმა ლოტს უთხრეს: შენი ოჯახიანად აქაურობას გაეცალე, თორემ ამ ქალაქებს უფლის რისხვა უნდა დაატყდეს და თქვენც დაიღუპებითო. თუ გინდათ ცოცხლები გადარჩეთ, არც სადმე შეჩერდეთ და უკანაც არ მოიხედოთო.

გამთენიისას გაეშურენ სოდომიდან ლოტი, მისი ცოლი და ორი ასული. მაშინ

სოდომსა და გომორს ღვთის რისხვად დაატყდათ ცეცხლისა და გოგირდის წვიმამთავარი იგივე ქალაქი ისე ამოიბუგა, აღარც სულიერი გადარჩენილა ცოცხალი, აღარც მცენარე. ლოტის ცოლმა ვერ მოითმინა, უკან მიიხედა და მაშინვე მარილის სვეტად იქცა.

სიტყვები სოდომი და გომორი უწესობის, გარყვნილების, უზნეობის, არეულობის სინონიმებად იხმარება. მხატვრულ ნაწარმოებებში, სხვადასხვა ნაწერებში შეგვხვდება გამოთქმები — ნამდვილი სოდომ-გომორი დატრიალდაო, სოდომური ცოდვაო. ამის შემდეგ გვეცოდინება, რასაც უკავშირდება ეს გამოთქმები.

კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას ლოტთან დაკავშირებით. თუ გახსოვთ, მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში იმ სიტყვათაგან, რომლებიც „ბიბლიის“ გაკლენით გავრცელდა ქართულ ენაში, სიტყვა „ლოთიც“ ეწერა. ეს მართლაც ასეა და ამის მიზეზი ის არის, რომ სოდომ-გომორის ამბების შემდეგ ლოტი ორჯერ ისე უგონოდ დათვრა, ყოვლად უმსგავსი რამ მოიმოქმედა. ამიტომ უწოდეს ქართველებმა ღვინის უწესოდ მსმელს ლოთი („ბიბლიის“ ძველ თარგმანებში ეს სახელი ასე იკითხებოდა: „ლოთი“ და არა „ლოტი“).

## თავი მეორე

აბრაამისა და მისი შთამომავლობის ამბავს მივუბრუნდეთ.

როგორც ვიცით, აბრაამი მართალი, სათნო, ღვთისსიერი, ღრმად მორწმუნე და ღვთისმოსავი კაცი იყო. ეს ისეთი თვისებებია, ყოველ მორწმუნე ადამიანს უნდა ამშვენებდეს. მაგრამ ის არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს შესაძლო იყოს ყველა მორწმუნეს თანაბრად ჰქონდეს ეს თვისებები მიმადლებული. ყოველი კაცი მეტ-ნაკლებად არის რწმენით აღსავსე, მართალი, სათნო, ღვთისსიერი, ღვთისმოსავი და ღვთის მოყვარული, ვისაც რა ძალა შესწევს.

არიან სუსტი ნებისყოფის ადამიანები, რომელთა რწმენა, ღვთისმოსაობა, ღვთის სიყვარული გარემოებათა ცვალებადობის კვალობაზე მონაცვლეობს, გინდაც სანთლის ალი ყოფილიყოს, ნიავის ყოველ წამობერვაზე რომ გადაიხრება ხოლმე სხვადასხვა მხარეს. მაგრამ არიან აგრეთვე ძლიერი ნებისყოფის, სულით მტკიცე, უდრეკი პიროვნებანი, რომელთა შინაგანი წონასწორობა ძნელად რომ რაიმემ შეარყიოს.

ჩვენს ისტორიას თუ გავიხსენებთ, ამგვარები იყვნენ, ვთქვათ, ვახტანგ გორგასა-

ლი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, ქუთუცის წამებული, გაბრიელ ეპისკოპოსი, ილია ჭავჭავაძე... ყოველ ერს ჰყავს თავისი გამორჩეული, შეურყეველი, გულით უძრავი პიროვნებანი, სხვათათვის სიმხვევისა და სიმტკიცის მაგალითად რომ იქცევიან ხოლმე.

აბრაამი სწორედ ამნაირი პიროვნება იყო. მის ღვთისმოსაობას, ღვთისადმი გულმხურვალე სიყვარულს, მის რწმენას ვერაფერი შეარყევდა. და რაკი თქმულა — ვისაც უფრო დიდი სიყვარული უღვივის გულში, ღმერთი მას უფრო მეტად გამოცდისო, აბრაამსაც ელოდა გამოცდა, რომლის მსგავსი არ იცის კაცთა მოღვმის ისტორიამ.

საკვირველი, ზარდამცემი რამ მოხდა. ღმერთმა აბრაამს დაავალა:

„მოჰიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს, ისააკს, და წადი მორიას მხარეში, იქ შესწირე აღსაველენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც ვიჩვენებ“ (დაბ. 22,2).

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, ის ვთქვათ, რომ მორიას მთა იმ ადგილას იყო, სადაც შემდგომში ქალაქი იერუსალიმი გაშენდა და, როგორც ენახავთ, მეფე სოლომონმა თავისი იგავმიუწვდენელი ტაძარი ააგო. კარგი იქნება, თუ დავიმახსოვრებთ ამ ამბავს.

ეხლა უმთავრესი. გასაფიქრებლადაც კი შემზარავია — უფალი აბრაამს უბრძანებს საყვარელი ძე შესწიროს მსხვერპლად. ჩვენ არ ვიცით, რა განიცადა აბრაამმა ამის მოსმენისას, რა ცეცხლი დატრიალდა მის გულში, ამის თაობაზე „დაბადების“ ავტორი არას ამბობს. მხოლოდ ის არის ნათქვამი მოკლედ, რომ „ადგა დიდადრიანად აბრაამი, შეკაზმა სახედარი, თან წაიყოლა ორი მსახური ბიჭი და ისააკი, თავისი შვილი, დაჩეხა სამსხვერპლო შეშაც, ადგა და წავიდა იმ ადგილისკენ, ღმერთმა რომ მიუნიშნა“ (დაბ. 22,3).

რა გვეთქმის ამის წამკითხველებს? ერთადერთი რამ: ოდნავადაც არ შეყოყმანებულა აბრაამი, იოტისოდენადაც არ შერყეულა მისი რწმენა, მისი უსაზღვრო სიყვარული ღმერთისადმი. არც წუწუნს მოჰყოლია, არც ხვეწნა-მუდარას — უფალო, ასერიგად ნუ გამიმეტებო! ღვთის ბრძანება და აბრაამის მიერ მისი აღსრულება ერთი იყო.

არადა, გავითვალისწინოთ, რომ ისააკის მსხვერპლად შეწირვა, ისიც მაშინ მიერ საკუთარი ხელით განგმირვა, მარტოოდენ იმას კი არ ნიშნავდა, გაუგონარი ტკივილი რომ დასერავდა აბრაამის გულს. ამით ხომ უფლის ის აღთქმაც უნდა დარღვეულიყო, რომლის თანახმადაც ისააკის მეშვეობით მომავალში აურაცხელი



აბრაამის მსხვერპლი.  
მეთეჟესმეტე საუკუნის იტალიელი მხატვრის  
ანდრეა დელ სარტოს ნახატი.



შთამომავლობის მამამთავრად იქცეოდა აბრაამი. ვინ იცის, რა სიქადულს, რა ოცნებებს, რა იმედებს არ უკავშირებდა აბრაამი უფლის აღთქმას. და ესლა უმოწყალოდ უნდა შემუსრულიყო ის სიქადულიც, ის ოცნებებიც, ის დიდი იმედებიც. მაგრამ აბრაამს წამითაც არ უქცევია განსასჯელად უფლის ბრძანება, ამ ბრძანების აღსრულებას უდრტივინველად შეუდგა.

მორიას მთას რომ მიუახლოვდნენ, აბრაამმა მსახური ბიჭები იქ დატოვა, სამსხვერპლოს ასავზნები შეშა ისააკს აჰკიდა და მამა-შვილი ერთად გაემართა მთისაკენ. დათქმულ ადგილას რომ მივიდნენ, აბრაამმა სამსხვერპლო აღმართა, ზედ შეშა დააწყო, მერე ისააკი შეკრა, შეშის ზემოთ სამსხვერპლოზე დააწვინა და დანა მოიმარჯვა შვილის დასაკლავად.

აი, ამ საბედისწერო წამს დასრულდა აბრაამის ძნელი გამოცდა – უფლის ანგელოზი შეეხმიანა მას და ღმერთის ნება ამცნო: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ჭეშმარიტად ღვთისმომიშიმი ყოფილხარ, ჩემთვის შვილი რომ გამოიმეტეო.

მეტს აქაც არაფერს ამბობს „დაბადების“ ავტორი, არ მოგვითხრობს, რა განიცადა ამის მომსმენმა აბრაამმა. ერთადერთი ის არის ნათქვამი – უცებ რქებით ბუჩქებში გახლართული ვერძი დაინახა და ისააკის ნაცვლად უფალს მსხვერპლად ის შესწირაო. ის ვერძი მანამდისაც იქ იქნებოდა, მაგრამ აბრაამს არ დაუნახავს თუ ზედაც არ შეუხედავს, წამითაც არ შეპარვია ეჭვი, რომ საკუთარი შვილი უნდა შეეწირა მსხვერპლად. მან ცხადყო, რაოდენ ურყევი იყო მისი რწმენა, მისი სიყვარული და სასოება უფლის მიმართ. სწორედ ამის გამო უწოდეს შემდგომში აბრაამს „რწმენის მამა“.

ეს უეჭველად უნდა მომხდარიყო. უფალმა კი გამოარჩია აბრაამი სხვათაგან, ის დასახა ღვთის რჩეული ერის მამამთავრად, მაგრამ აბრაამს, ისევე როგორც ყოველ ადამიანს, ღვთისგან ბოძებული ჰქონდა თავისუფალი ნება და მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, საით წარმართავდა ამ ნებას და, ამისდაკვალობაზე, რას მოიმოქმედებდა – ბოლომდე ღმერთს მინდობილი კაცი იქნებოდა, თუ ღვთის ურჩი. და მან უძნელესი გამოცდით დაადასტურა, რომ ღირსეულად აღასრულებდა დიდ მისიას ღვთის რჩეული ერის მამამთავრობისა.

ამიტომ იყო, რომ ღმერთმა აკურთხა აბრაამი და გაუმეორა აღთქმა, რომ მის შთამომავლობას ცის ვარსკვლავებისა და ზღვის ქვიშასავით გაამრავლებდა, კანაანის ქვეყანას ამ შთამომავლობას დაუმკვიდრებდა და ამ შთამომავლობის წყალობით მთელი კაცობრიობა იკურთხებოდა.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ უფლის აღთქმის ეს უკანასკნელი მონაკვეთი აბრაამის შთამომავლობის წყალობით კაცთა მოდგმის კურთხევა — ჩვენი მაცხოვარის იესო ქრისტეს სახელს უკავშირდება. მაგრამ საგულისხმოა, რომ იესო ქრისტეს სახელს ისააკის მსხვერპლად შეწირვის მთელ ამბავსაც უკავშირებენ ხოლმე. აი, რას გვეუბნება ამის თაობაზე არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე):

„წმიდა მამები მსგავსებას ხედავენ ისააკისა და იესო ქრისტეს ცხოვრებაში. აი, ეს მსგავსება: როგორც აბრაამი ღმერთის სიყვარულით სწირავს თავის შვილს მსხვერპლად, ისე მამა ღმერთმა „არა პრიდა ძესა თვისსა, არამედ მისცა იგი ჩვენ ყოველთათვის“ (რომ. 8,32); ისააკი გამოვიდა თავის სახლიდან და წავიდა შესაწირავ მსხვერპლად მთაზე, იესოც ივნო იერუსალიმის გარეთ გოლგოთაზე; ისააკმა თვითონ აიტანა ზურგით შეშა თავის დასაწველად, იესომაც თვითონ იტვირთა ის ჯვარი, რომელზეც აცვეს; ისააკი დაემორჩილა მამის ნება-სურვილს და წინ არ აღუდგა მას, იესოც ვნების ჟამს მთლად დაემორჩილა მამას ჯვარზე სიკვდილამდე (ფილიპ. 2,8); ისააკი უნდა მისცემოდა სიკვდილს სრულიად უდანაშაულოდ, იესოც ივნო და მოკვდა სრულიად უდანაშაულოდ, სხვათა დანაშაულის გამო; ისააკის მსხვერპლად შეწირვამ კურთხევა გამოიწვია აბრაამის შთამომავლობაზე, იესოს ჯვარცმაც ბევრ მადლს და წყალობას ანიჭებს ყველას, ვისაც სწამს იგი“.

ისააკის მსხვერპლად შეწირვა იმგვარი ეპიზოდია „ბიბლიისა“, საყოველთაოდ რომ არის ცნობილი თავისი დიდი მნიშვნელობის გამო. მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებსა და ხელოვნების ქმნილებაში შეგვხვდება მისი გამოძახილი. ზოგიერთ თქვენგანს ალბათ აქამდისაც ექნება ნანახი სხვადასხვა წიგნში ამა თუ იმ მხატვრის სურათი, სადაც გამოსახულნი არიან სამსხვერპლოზე ხელებგაკოჭილი ისააკი და მის გვერდით დანაშემართული აბრაამი. დღეის შემდეგ ამგვარ ნახატს რომ იხილავთ, უკვე გეცოდინებათ, რასაც უკავშირდება იგი.



„ძველი აღთქმის“ კითხვისას ერთი ძნელად ასახსნელი გარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას — კაცის გაჩენის შემდეგ მცხოვრებ პირველ ადამიანთა სიცოცხლის უჩვეულო ხანგრძლივობა. ადამმა ცხრაას ოცდაათ წელიწადს იცოცხლაო, ნათქვამია „დაბადების“ წიგნში, მისმა მესამე ვაჟმა სეთმა (შეთმა) — ცხრაას თორმეტ წელიწადს, ამისმა ძემ ენოშმა — ცხრაას ხუთს, მისმა ძემ კაინანმა — ცხრაას ათს, ამის შვილიშვილის შვილიშვილმა მათუსალამ — ცხრაას სამოც-



დაცხრას, მათუსალას შვილიშვილმა, ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ნოემ, ეწარღვნას რომ გადაურჩა — ცხრას ორმოცდაათ წელიწადს.

სხვათა შორის, აქ ნახსენებ მათუსალას ჩვენ მეხუთე კლასის სახელმძღვანელოშიც შევხვდით. თუ გახსოვთ, ასე ეწერა: „მათუსალას ხნის არისო, — ძალიან დიდი ხნის ადამიანზე იტყვიან“. ამგვარი გამოთქმა თქვენც გსმენიათ ალბათ. ეს გამოთქმა იქიდან გაჩნდა, რომ „ძველი აღთქმის“ თანახმად, მათუსალა ის კაცი იყო, ყველაზე დიდხანს რომ უცხოვრია ამ ქვეყნად — ცხრას სამოცდაცხრა წელს. თუმცა არც ადამის სიცოცხლის წლებია ნაკლებ საკვირველი (930), არც ნოესი (950), არც სხვა მოხსენიებული თუ მოუხსენიებელი პირველი ადამიანებისა.

ეს რაკი ვიცით, აბრაამის სიცოცხლის ხანგრძლივობაც არ უნდა გავეიკვირდეს — ას სამოცდათხუთმეტ წელიწადს უცხოვრია აბრაამს. ოთხმოცდაექვსი წლისას ისმაველი შეეძინა, ასი წლისას — ისააკი. ას ოცდაჩვიდმეტი წლის რომ იყო, მისი ერთგული და განუშორებელი მეუღლე სარა გარდაიცვალა.

მცირე ხანი გავიდა ამის შემდეგ. ას ორმოც წელს იყო მიტანებული აბრაამი, ისააკისთვის ცოლის მოყვანა რომ განიზრახა. ამ საქმის თავის მომბმელად ერთგული კაცი შეარჩია, სახლთუხუცესი, მთელი მისი ქონების გამგებელი. მიიხმო ის კაცი და უთხრა: ცოლი უნდა შევრთოთ ისააკს, ოღონდ ქანაანელთაგან კი არ შევარჩიოთ სარძლო, ჩემს სამშობლოში გაემგზავრე და იქიდან, ჩემი სანათესაოდან ჩამოუყვანეო.

ქანაანელებს, რომელთა შორისაც აბრაამს ცხოვრება უხდებოდა, ებრაელები უღირს ხალხებად მიიჩნევდნენ და მათთან დამოყვრებას ერიდებოდნენ.

ის, რაც ამის შემდეგ არის მოთხრობილი, ერთი მშვენიერი, საამოდ საკითხავი ნოველია. აქვე ვთქვათ, რომ „ბიბლიაში“ მრავლის უმრავლესია ამგვარი მშვენიერი ნოველები, მაღალმხატვრული ადგილები, პოეტური ქმნილებები, ხატოვანი გამოთქმები. ამ მხრივაც გამორჩეული წიგნია „ბიბლია“, დიდოსტატ შემოქმედთა ნახელავი.

მაგრამ ჩვენ რომ ამ ნოველების თხრობას მოვყვეთ, არც დრო გვეყოფა, არც ადგილი. თუკი რომელიმე თქვენგანი ან ეხლა, ან მომავალში დაინტერესდება — ვნახოთ ერთი, რა ასეთი გადასარევი ნოველა არისო, გადაფურცლოს „დაბადება“ და წაიკითხოს 24-ე თავის 10-67-ე მუხლები.

ჩვენ ჩვენსას მივსდით.

გავიხსენოთ, რომ აბრაამს ორი ძმა ჰყავდა — ნაქორი და ჰარანი. ამათგან ჰარანი აღრევე გარდაიცვალა. სწორედ მისი ვაჟი იყო ლოტი, რომლის თავგადასავალსაც ზემოთ გავეცანით. ჰარანის ქალიშვილი მილქა კი ცოლად გაჰყვა ბიძას

თავისას – ნაქორს.

ამ ცნობამ არ უნდა შეგვაცბუნოს. საიმდროოდ უახლოეს ნათესავთა ერთიმეორეში თხოვა-გათხოვება ჩვეულებრივი ამბავი იყო.

მილქასა და ნაქორს თორმეტი შვილი შეეძინათ, რომელთაგან ერთს ერქვა ბეთუელი. შუამდინარეთის ჩრდილოეთ მხარეში, ხარანში მკვიდრობდა ბეთუელი, იმ ქალაქში, სადაც თავდაპირველად დასახლდნენ ქალდეველთა ურიდან ქანაანისკენ გამგზავრებული თარა, აბრაამი და მათი ოჯახი. სწორედ იქიდან ჩამოუყვანა ისააკს საცოლე აბრაამის სახლთუხუცესმა. ეს იყო ბეთუელის პირმშვენიერი ასული რებეკა, აბრაამის ძმის ნაქორის შვილიშვილი, ესე იგი – ისააკის ბიძაშვილის შვილი. ბეთუელს ვაჟიშვილიც ჰყავდა – რებეკას ძმა ლაბანი. ამას კიდევ შევხვდებით ქვემოთ.

ერთი სიტყვით, ისააკს ცოლად მოჰკვარეს თავისი ბიძაშვილის შვილი რებეკა. ამ დროს ისააკი ორმოცი წლის ვაჟკაცი იყო უკვე. მამამისმა კიდევ კარგახანს იცოცხლა, გარდაცვალებამდე მთელი თავისი ქონება ისააკს უანდერძა და, როგორც ვთქვით უკვე, ას სამოცდათხუთმეტი წლისა აღესრულა. „მოკვდა აბრაამი ტკბილ სიბერეში, მოხუცებული და ხანსრული, და შეერთო თავის ხალხს“ (დაბ. 25,8).

დავიმახსოვროთ ეს გამოთქმა – „შეერთო თავის ხალხს“, ესე იგი – გარდაიცვალა (ძველ თარგმანებში წერია: „შეძინა ერსა თვისსა“). ამ გამოთქმას „ბიბლიაში“ კიდევ მრავალჯერ შევხვდებით, ასე აღინიშნებოდა სიკვდილი კაცისა.

ამის შემდეგ ღმერთმა ისააკი აკურთხა და გაუმეორა ის აღთქმა, რაც მამამისისთვის ჰქონდა მიცემული: შენს შთამომავლობას ცის ვარსკვლავებით გაგამრავლებ, ქანაანის ქვეყანას მას დაუნარჩუნებ და შენი შთამომავლობით მთელი კაცთა მოდგმა იკურთხებაო. ეს აღთქმა ისააკს იმ მხრივაც შეუსრულდა, რომ ტყუბი ვაჟები შეეძინა, და იმ მხრივაც, რომ უფლის წყალობა არ მოჰკლებია და მეტიხმეტად მდიდარი კაცი შეიქნა.

## თავი მესამე

ტყუპების გაჩენისას უფროსად ის ითვლება, ვინც პირველი იბადება, მომდევნო ტყუპისცალი უმცროსად მიიჩნევა ხოლმე. ისააკსა და რებეკას ტყუბი ვაჟები შეეძინათ – ესავი და იაკობი. მათგან პირველად შობილი, პირმშო ანუ უფროსი ესავი იყო, უმცროსი – იაკობი. ეს იმას ნიშნავდა, რომ მამის მემკვიდრე ესავი იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად წარიმართა – მამის კურთხევა



და მისი მემკვიდრეობა იაკობმა დაინარჩუნა, ისააკის უმცროსმა ძემ. აქ მრავალ თქვენგანს ალბათ გაახსენდება, რომ ხალხურ ზღაპრებში, თქმულ ბებში, ჩვეულებრივ, სწორედ უმცროსი შვილი არის ხოლმე სხვებზე გონიერი, მარჯვეც და ქუდბედიანიც. შესაძლოა შემთხვევით არც ხდებოდეს აგრე. ასეა თუ ისე, ესავეისა და იაკობის თავგადასავალი გვამცნობს, რომ უმცროსმა ძმამ უფროსს აჯობა; ქვემოთ იმასაც ვნახავთ, რომ საკუთრივ იაკობის ვაჟიშვილთაგან სწორედ უმცროსი — იოსები შეიქნება გამორჩეული და უფროსი ძმები მას დაემორჩილებიან.

ესავი მონადირე იყო, მეტწილად გარე-გარე ეხეტებოდა მინდორ-ველად. ამასთან, ფიცხი კაცი იყო, დაუკვირვებელი და სულსწრაფი. იაკობი კარგი მეოჯახე დადგა, გონიერი, წინდახედული, სათნო და ღინჯი კაცი. სრული კაციო, — ასე იხსენებს მას „დაბადების“ ავტორი.

ერთხელ დაღლილ-დაქანცული და მოშიებული ესავი ნადირობიდან იმ დროს დაბრუნდა, როცა იაკობს ის-ის იყო შეჭამადი გაემზადებინა. უთხრა ესავმა იაკობს: „შემახერებინე წითელი, ეგ წითელი, რადგან დაღლილი ვარ“ (დაბ. 25,30).

არ გვეგონოთ, რაღაც სანუკეარ საჭმელზე იყო ლაპარაკი. ცერცვის შეჭამადი ჰქონდა გამზადებული იაკობს, ჩვენი უფლებით — დიდი ვერაფერი კერძი. მაგრამ მშვიერ ესავს სული მისდიოდა.

მაშინ იაკობმა — საჭმელი თუ გინდა, შენი პირმშოება მომყიდეო. უმაღ დაეთანხმა სულსწრაფი ესავი — სიკვდილის პირას ვარ, პირმშოება რაღად მინდაო! „ჭამა, სვა, ადგა და წავიდა. არად ჩააგდო ესავმა პირმშოება“ (დაბ. 25,34).

აი, ასე წინდაუხედავად დაკარგა პირმშოების უფლება ესავმა და შემდგომში სანანებლად გაიხადა საქმე.

„ბიბლიის“ ეს ეპიზოდი ჭკუის სასწავლად უნდა გამოგვადგეს. თავგზიან კაცს მართებს დროულად ალაგმოს ხოლმე თავისი წადილი, გულისთქმა, რათა წუთიერ კმაყოფილებას ასჯერ და ათასჯერ მნიშვნელოვანი საქმე არ გადააყოლოს. ვინც ასე არ იქცევა, რეგვენია უეჭველად, რეგვენი და უნებისყოფო კაცი. თავისი ცხოვრება მუცელს გადააყოლო, — გაგვეგონებათ ამგვარი ნათქვამი.

ესავის უღირსი საქციელი ცხადად გვიჩვენებს, რომ ის ვერ იქნებოდა იმნაირი პიროვნება, ვისგანაც ღვთის რჩეული ერი უნდა გამრავლებულიყო. ამიტომ ტყუპ ძმათაგან უფალმა სწორედ „სრული კაცი“ — იაკობი გამოარჩია და მას მოუმართა ხელი.

შემდგომ ისე მოხდა, რომ ისააკმა სიბერეში უფროსი ვაჟიშვილის, ესავის

ნაცვლად უმცროსი დალოცვა, იაკობი:

„მოგცეს ღმერთმა ცვარი ცისა, სინოყიერე მიწისა, უხვი ხორბალი და ღვინო!  
გემსახურონ ხალხები და თაყვანი გცენ ტომებმა! გახდი ბატონი შენი ძმებისა  
და თაყვანი გცენ ღვინის შვილებმა. წყეულიმც იყოს მათყვევარი შენი, კურ-  
თხეულ იყოს მათურთხებელი შენი!“ (დაბ. 27, 28-29).

უნდა ვიცოდეთ, რომ საიმდროოდ მამის მიერ შვილის დალოცვას ანუ კურთ-  
ხევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს კურთხევა მხოლოდ მამის კი არა,  
უფლის ნებასაც გამოხატავდა და შვილის გარდა მთელ მის შთამომავლობას  
გადაეცემოდა. ამასთან, მამას მხოლოდ ერთი შვილი შეეძლო ეკურთხებინა.

ამიტომაც იყო, ესავმა რომ შეიტყო – მამაჩემმა ჩემს ნაცვლად იაკობი  
აკურთხაო, გადაემტერა უმცროს ძმას და სასოწარკვეთილმა იმაზე უკეთესი ვე-  
რაფერი მოიფიქრა, რომ მისი მოკვლა განიზრახა.

მაშინ რებეკამ იაკობს ურჩია: ჩემს ძმასთან, ბიძაშენ ლაბანთან გაიქეცი ხარან-  
ში, დროებით იქ იცხოვრე, ვიდრე ესავს გულისწყრომა გადაუვლიდესო. ეს ის  
ლაბანია, ზემოთაც რომ ვახსენეთ – აბრაამის ძმის ნაქორის შვილიშვილი, ბეთუ-  
ელის ძე, რებეკას ძმა. ისიც ითქვა ზემოთ, რომ ბეთუელიც, ლაბანიც ხარანში  
ცხოვრობდნენ, იმ ქალაქში, სადაც ქალდეველთა ურიდან ქანაანისკენ გამგზავრებუ-  
ლი აბრაამის ოჯახი სახლობდა ერთხანს და საიდანაც ისააკს რებეკა მოჰყვარეს.

გაემგზავრა იაკობი ხარანისკენ. გზად დაულამდა, სასთუმლად ერთი ღოღი  
დაიდვა და დასაძინებლად მიწვა. მაშინ ისეთი რამ მოხდა, რასაც ქრისტიანები  
განსაკუთრებულ ამბად მიიჩნევენ.

სიზმარი ნახა იაკობმა: მიწიდან ზეცამდე კიბე იყო აღმართული და იმ კიბეზე  
ანგელოზები აღიჩამოდრიდნენ. კიბის თავს უფალი იდგა თავად და იაკობს  
ესიტყვებოდა: მე ვარ უფალი, აბრაამისა და ისააკის ღმერთი. ეს მიწა მომიცია  
შენთვის და შენი შთამომავლობისთვის, რომელიც ქვიშასავით გამრავლდებაო;  
შენით და შენი შთამომავლობით მთელი კაცთა მოდგმა იკურთხებაო; მე შენთან  
ვარ და შენი მფარველი ვიქნები, არ მიგატოვებო.

იაკობის ეს სიზმარი მართლაც განსაკუთრებულია.

ერთი რომ, უფალი იაკობსაც ეცხადება (ძილში ეცხადება), რაც იმის მაუწყე-  
ბელია, რომ იაკობიც ღვთისგან რჩეული კაცია, ვითარცა აბრაამი და ისააკი.  
აბრაამისა და ისააკის ღმერთი იაკობის ღმერთიც არის.

შემდეგ: უფალი იაკობსაც ისეთსავე აღთქმას აძლევს, როგორც მამამისის –  
ისააკისთვის და პაპამისის – აბრაამისთვის ჰქონდა მიცემული, მფარველობას



ალუთქვამს მასაც, მის შთამომავლობასაც და კვლავ ჰპირდება ამ შთამომავლობით კაცთა მოღვმის კურთხევას. ჩვენ უკვე ვიცით, რასაც ნიშნავს ეს.

ყურადღება უნდა მივაპყროთ აგრეთვე მიწის პირიდან ზეცამდე აღმართულ კიბეს. ეს კიბე არის სიმბოლო, ნიშანი მიწისა და ზეცის, ანუ სოფლისა და ზესთასოფლის, ანუ ხილული სამყაროსა და ღვთაებრივი სამყაროს მჭიდრო და ურღვევი კავშირისა: ადამიანი ზეცისკენ მიისწრაფვის, თავის სულს, თავის აზრებს, გრძნობებს მიმართავს მისკენ, ლოცვას, ვედრებას აღავლენს უფლისადმი, ხოლო ზეციდან ადამიანზე გარდამოდის ღვთის წყალობა, მადლი, შემწეობა. ამგვარი კავშირი რომ არა, კაცობრიობა უპატრონოდ დარჩებოდა და მისი არსებობაც ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. და ამ დიდებულ კავშირში მონაწილეობენ ის ზესთასოფლური არსებანი, ჩვენ რომ ანგელოზებს ვუწოდებთ. ამიტომ იხილა სიზმრად იაკობმა — კიბეზე ანგელოზები აღი-ჩამოდიოდნენო. თუ გახსოვთ, მეოთხე კლასში ჩვენ უკვე ვისწავლეთ, რომ დიდი ღმერთის მსახურნი და მაცნენი არიან ანგელოზები, მისი ნების აღმსრულებელნი და ჩვენ, ადამიანებს დამხმარედ და შემწედ გვევლინებიან, ჩვენი განწმენდისა და სულიერი ამაღლებისთვის ზრუნავენ დაუცხრომლად.

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, ერთი რამ ვთქვათ კიდევ. მიწისა და ზეცის, სოფლისა და ზესთასოფლის, ადამიანისა და ღმერთის ეს დიდებული კავშირი იმგვარი ბუნებისაა, ყველანი ვერ შევიცნობთ მას. ამ კავშირის წვდომა მხოლოდ სულიერად წმინდა, სულიერად ამაღლებულ, ღვთისმოსავსა და ღვთისმოშიშ ადამიანს შეუძლია...

რამდენჯერ გვსმენია ალბათ, რაიმე უსიამოვნო, მძიმე ამბავი რომ მოხდება და უგუნური კაცი იტყვის: სად არის ღმერთი, ღმერთი რომ ყოფილიყო და რომ ხედავდეს, ამას როგორ მოახდენდაო!

ამის მთქმელი ვერ უფიქრდება ერთ რასმე: უმეტესთაგან უმეტეს უსიამოვნებას ადამიანები თვითონ ვატეხავთ ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც. როგორც გვახსოვს, თავისუფალი ნება გვაქვს ბოძებულნი, ვითარცა ღვთის შვილებს, და ამ თავისუფალ ნებას უფალი არ გვიზღუდავს, ჩვენზეა დამოკიდებული, რას მოვიმოქმედებთ, როგორ მოვიქცევით ასეთსა თუ ისეთ ვითარებაში. ცუდად მოქცევისას, ცოდვებით დამძიმებისას ჩვენ სულ უფრო და უფრო ვშორდებით უფალს, კეთილად მოქცევისას — თანდათან ვუახლოვდებით. ოღონდ ღმერთთან იმ ზომამდე მიახლოება, უშუალოდ რომ შევიგრძნოთ მისი კავშირი ჩვენს ცხოვრებასთან, რჩეულებს ძალუძთ მხოლოდ, იმნაირ ადამიანებს, ვინც განკურნებულია ცოდვათა სნებისგან.

ეს იმას ჰკავს, უსინათლო ადამიანი მზის დანახვას ცდილობდეს და რაკი ვერაფერს იხილავს, იოლად რომ დაასკვნას: სად არის მზე, რომ ყოფილიყო, ხომ დაეინახავდით!

და როგორც უსინათლო ადამიანი მზეს ვერ იხილავს, ვიდრე სიბრმავის სენისგან არ განიკურნება, ისევე აუცილებელია სულიერი განკურნება, რათა სწორედ სულიერი მზერა გადაგვეხსნას და ვიხილოთ ზეცისა და მიწის, ზესთასოფლისა და სოფლის, ღმერთისა და კაცის დიდებული კავშირი.

„დაბადების“ თანახმად, სწორედ ამგვარი კაცი იყო იაკობი — გულით მართალი, ღვთისმოსავი, ღვთისმომშიში, სრული კაცი. ამიტომაც ხვდა წილად პატივი იმისა, რომ ის სასწაულებრივი სიზმარი ენახა, სოფლისა და ზესთასოფლის ღვთაებრივი კავშირის მაცნე.

რომ გაიღვიძა, იაკობმა იმ ადგილს, სადაც საკვირველი სიზმარი ნახა, ღვთის სახლი (ბეთელი) და ცათა კარიბჭე უწოდა.

ზემოთ, ისააკისთვის ხარანიდან ცოლის მოგვრის ამბავს რომ ვყვებოდით, ამგვარი რამ ითქვა: ის, რასაც ამის თაობაზე „დაბადება“ მოგვითხრობს, ერთი მშვენიერი, საამოდ საკითხავი ნოველა არისო. ამჯერადაც იგივე ვითარებაა: იაკობის ხარანს ჩასვლა, იქ ცხოვრება, შემდეგ ქანაანში დაბრუნება ისე ვრცლად, იმდენად მიმზიდველად არის გადმოცემული „დაბადებაში“ (29,1-33,20), უკეთესად აღწერა შეუძლებელია. ჩვენ მოკლედ ვთქვათ, თორემ მთელი ნოველის გადმოწერა მოგვიხდება.

ხარანში მოსახლე ბიძა — დედის ძმა, რებეკას ძმა ლაბანი იაკობს სიხარულით შეეგება. დარჩა მასთან იაკობი, მისი ოჯახის საქმიანობაში ჩაერთო და სხვებთან ერთად მუშაობდა — ლაბანის ცხვარ-ძროხას მწყემსავდა. ერთი თვე რომ გამოხდა, ლაბანმა უთხრა: ჩემი სახლიკაცი კი ხარ, მაგრამ უსასყიდლოდ ხომ არ უნდა გამსახურო, მითხარი — ქირად რა მოგცეო.

შენი უმცროსი ასული რაქელი მომათხოვე და შვიდ წელიწადს გამსახურებო, — მიუგო იაკობმა.

ლაბანს ორი ასული ჰყავდა — ლეა და რაქელი. ლეა შეუხედავი ქალიშვილი იყო, რაქელი — პირმშვენიერი და მოხდენილი ტან-ფეხის პატრონი. სწორედ უმცროსზე — რაქელზე შეუვარდა გული იაკობს.

ამ ამბავმა, როგორც ზემოთ ვთქვით უკვე, არ უნდა შეგვაცბუნოს: საიმდროოდ უახლოეს ნათესავთა შორის თხოვა-გათხოვება ჩვეულებრივი რამ იყო, ასე რომ, იაკობის მიერ თავისი ბიძაშვილის, დედის ძმისწულის, რაქელის ცოლად მოყვანა





არავის გააკვირვებდა.

კარგი, მაგრამ ის რატომ უთხრა იაკობმა ბიძამისს, ლაბანს – რაქელისთვის შვიდ წელიწადს გემსახურებო? ესეც იმდროინდელი ჩვეულების მაუწყებელია: კაცს ცოლი რომ ეთხოვა, ქალის პატრონისთვის საფასური უნდა გადაეხადა. ამ საფასურს ქართულად ურვადი ჰქვია. თავისი სახლიდან ესავის შიშით სიჩქარეში გამოქცეულ იაკობს ქონება არაფერი გამოჰყოლია, ასე რომ, მისგან ურვადის გადახდა ის იქნებოდა, სასიძამროს – ლაბანის ცხვარ-ძროხა ემწყემსა შვიდ წელიწადს.

ეს ვადა რომ გავიდა, მწყემსობაში გატარებული შვიდი გრძელი წელიწადი იაკობმა, პირობისამებრ, ლაბანს მოსთხოვა – ცოლად გამომაციოლეო რაქელი.

ლაბანს უარი არ უთქვამს, საქორწილო ღვინოც კი გამართა, მაგრამ ისე მოახერხა, რომ რაქელის ნაცვლად ლეა შეატყუა იაკობს. არადა, იაკობს რაქელი უყვარდა.

ეს რა მიყავიო?! – უსაყვედურა იაკობმა ლაბანს. – შვიდ წელიწადს რაქელისთვის არ გემსახურეო?

მაშინ ლაბანმა – უფროს ასულზე ადრე უმცროსის გათხოვება ჩვენში წესად არ არის, კიდევ გემსახურე და რაქელსაც გამოგაციოლებო.

ერთი სიტყვით, იაკობს ორი ცოლი დაურჩა – ლეაც და რაქელიც. ესეც ჩვეულებრივი რამ იყო საიმძროოდ. როგორც უკვე ვიცით, არც ის იყო უჩვეულო ამბავი, რომ მამაკაცს, გარდა მეუღლეებისა, მხევლებისგანაც შესძენოდა შვილები.

თორმეტი ვაჟიშვილი შეეძინა იაკობს – ლეასგან, რაქელისგან და მხევლებისგან. ურიგო არ იქნება, ყველა მათგანის სახელი ვიცოდეთ, რადგან მათგან, იაკობის თორმეტი ვაჟისგან გამრავლდა ებრაელთა თორმეტი ტომი.

ეს სახელებია: რუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, დანი, ნაფთალი, გადი, აშერი, ისაქარი, ზებულონი, იოსები და ბენიამინი.

ამათგან ორი უკანასკნელი – იოსები და ბენიამინი რაქელისგან ჰყავდა იაკობს.

ლეასა და რაქელის შერთვის შემდეგ იაკობმა კიდევ შვიდი წელიწადი დაყო ლაბანთან. უკან გამობრუნების ჟამმა რომ მოატანა, თავისი სამსახურის გასამრჯელოდ უამრავი ცხვარ-ძროხა ერგო, ძალზე მდიდარი კაცი შეიქნა. გამოემგზავრა მთელ თავის სახლეულთან ერთად, გამოირეკა ცხვრის ფარები და საქონლის ვოგები და ქანაანისკენ აიღო გეზი.

შიში ჰქონდა იაკობს, არ იცოდა, როგორ დაუხვდებოდა მრავალი წლის წინათ

მტრად მოკიდებული უფროსი ძმა — ესაუი. მაგრამ ღვთის ნებით მათი შეხვედრა ვშვილობიანად დამთავრდა და იაკობი მამა-პაპის ახალ სამშობლოში, ქანაანში დამკვიდრდა.

ამის შემდეგ გარდაიცვალა ესაეისა და იაკობის მამა, ას ოთხმოცი წლის ისააკი.

ოლონდ მანამდე, ძმასთან ხელახლა შეხვედრამდე, იაკობს ერთი სასწაულებრივი ამბავი კიდევ გარდახდა თავს. ზეციური, ღვთაებრივი არსება — უფლის ანგელოზი მოველინა ღამით და გათენებამდე ერკინებოდა. გულმაგრად ებრძოდა იაკობი იღუმალ არსებას.

„ღაბადების“ ეს ადგილი ძნელი გასაგებია. ანგელოზები, განსოვთ ალბათ, უსხეულო არსებანი არიან. როგორ უნდა შერკინებოდა არანივთიერი, უსხეულო არსება ხორციელ კაცს? სწავლულნი ფიქრობენ, რომ ეს იყო უფლის მიერ იაკობის გამოცდა, იაკობის სულიერი ბრძოლა რწმენის განმტკიცებისთვის. იაკობმა გაიმარჯვა ამ ბრძოლაში და ეს იმას ნიშნავდა, რომ კიდევ უფრო გამოიწრთო და განმტკიცდა მისი რწმენა. ამას ისიც ადასტურებს, რომ გამარჯვებულ იაკობს ღმერთი კი არ განურისხდა, პირუკუ, აკურთხა, დალოცა. ამასთან, ამგვარი რამ უთხრა: ამიერიდან შენი სახელი იაკობი კი აღარ იქნება, არამედ — ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიეო.

სიტყვა „ისრაელი“ ღმერთთან მებრძოლს ნიშნავს. ეს სახელი ეწოდა იაკობს და შემდეგ მისგან — მთელ მის შთამომავლობას ანუ ებრაელ ერს.

## თავი მეოთხე

ვთქვით უკვე, რომ იაკობს თორმეტი ვაჟი შეეძინა ღეასგან, რაქელისგან და მხველებისგან. ასულიც ჰყავდა იაკობს — დინა. მის ამბავს, ისევე, როგორც „ბიბლიის“ ათეულობით სხვა პერსონაჟისას, ვერ გამოვედგენებით. ასე რომ არა, ბიბლიისხელა სქელტანიანი წიგნის დაწერა მოგვიწევდა, თუმცა კი „ბიბლიის“ ყოველი პერსონაჟის თავგადასავალი თავისთავად ძალიან საინტერესოა. ჩვენ თვალს უნდა გავადვენოთ იაკობის თორმეტ ვაჟიშვილს, რადგან მათგან გამრავლდა ებრაელი ერი ანუ ისრაელი.

იმ თორმეტი ვაჟიშვილიდან იაკობს გამორჩევით უყვარდა უმცროსი, ბოლოსწინა — იოსები. სხვებიც უყვარდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ იოსები, ვითარცა



რაქელისგან შეძენილი და, გარდა ამისა, თავისი სიბერის შვილი, გამორჩევით ჰყვარებია. რაქელისგან კიდევ ერთი ვაჟი ჰყავდა იაკობს, სულ პატარა, იოსებზე თხუთმეტი წლით უმცროსი ბენიამინი. ოღონდ სხვათაგან ისიც რომ გამორჩეულია მამამისს, ამას ცოტათი მოგვიანებით მიგვანიშნებს „დაბადების“ ავტორი. ამჯერად ავტორი იოსების თავგადასავალის მოთხრობას იწყებს, მშვენიერი იოსებისას, როგორც იხსენიება ხოლმე სხვადასხვა ნაწარმოებებში.

იოსები ჩვიდმეტი წლის მოხდენილი ყმაწვილია, მამის ფარას მწყემსავს და გამორჩეულად უყვარს იაკობს. სწორედ ამ სიყვარულის გამოხატულება იყო, რომ იოსებს სამოსელიც გამორჩეული უბოძა — ჭრელი კვართი შეაკერინა მისთვის. ეტყობა, მართლა ერთობ კარგი სანახავი იყო ის კვართი, რომ მის ამბავს საგულდაგულოდ აღნიშნავს ჩვეულებრივ სიტყვაბუნწი ავტორი „დაბადებისა“. ამიტომ იოსების ათ უფროს ძმასაც შეუძმნეველი არ დარჩენია ჭრელი კვართი, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ — იოსები მამას ჩვენზე მეტად უყვარსო, და შეიძულეს იგი ამის გამო.

იმხანად იყო, რომ ამგვარი რამ ესიზმრა იოსებს: ვითომ შუაგულ ყანაში ძნებს კრავდნენ ისა და მისი ძმები. წამოდგა იოსების ძმა, ზელიმართა, იმას დანარჩენ ძმათა ძნები გარს შემოადგნენ და თავყანი სცეს. ჯერაც ყმაწვილი იყო იოსები, გულუბრყვილო. ადგა და ძმებს უამბო თავისი სიზმარი — ასე და ასეო. გადარიიენ ძმები — რაო, ვითომ ჩვენი მბრძანებელი უნდა გახდეს და ჩვენ თავყანი უნდა გცეთო?!

ამას მეორე სიზმარიც დაერთო: მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი თავყანს სცემდნენ იოსებს. ამ სიზმრის ახსნაც სხვაგვარად ვერ მოხერხდებოდა, თუ არა ისე, რომ იოსების დედ-მამასა და თერთმეტ ძმას უნდა ეცათ მისთვის თავყანი.

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, აქ ის ჩავურთოთ, რომ თქვენთვის კარგად ნაცნობი ზღაპარი „სიზმარა“ სწორედ ამ ამბიდან — იოსების ამ მეორე სიზმრიდან იღებს სათავეს.

მეორე სიზმარი მარტო ძმებს კი არა, იაკობსაც საწყენად დაურჩა: რა არის ვე სიზმარი, ნუთუ მე, დედაშენი და შენი ძმები უნდა გეახლოთ და თავყანი გცეთო? ძმებმა ხომ კიდევ უფრო მეტად შეიძულეს იოსები.

ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს სიზმრები ჭაბუკს ზედმიწევნით აუხდება. ერთ დღეს, როდესაც უფროსი ძმები სახლიდან შორს ამოვებდნენ ფარას, მამამ იოსები მათი ამბის შესატყობად გაგზავნა: წადი, გაიგე, როგორ არიან შენი

ძმები, ცხვარი როგორ ჰყავთო.

გაუდგა იოსები შორ გზას. ძმების სადგომს რომ მიეახლა, მათ თვალი ჰკიდეს და ავი რამ განიზრახეს: მოდი, მოვკლათ ეს მესიზმრე და სადმე ჭაში ჩავაგდოთ, ისე ვთქვათ, ვითომ ნადირმა შეჭამაო. მაშინ ვნახოთ, ის თავისი სიზმრები როგორ აუხდებაო. გარდა იოსების სიძულვილისა, ეტყობა, იმ სიზმართა ახდენის შიშიც ჰქონდათ ძმებს.

ერთადერთი ყველაზე უფროსმა ძმამ, რეუბენმა ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ იოსები, ძმებს ასე უთხრა: სისხლს ნუ დაღვრით, უდაბნოში რომ ჭა არის, იმაში ჩააგდეთო. რეუბენს იმედი ჰქონდა — ცოცხალი თუ გადარჩებოდა იოსები, მერე როგორმე მშვიდობიანად დააბრუნებდა მამამისის სახლში. თანაგრძნობის გარდა, იაკობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობაც ამოქმედებდა რეუბენს, ვითარცა უფროსს ძმათა შორის.

როგორც კი ახლოს მივიდა იოსები, ძმები მისცვიდნენ, ის სანაქებო ჭრელი კვართი შემოაძარცვეს და დამშრალ ჭაში ჩააგდეს.

ადვილი სათქმელია — ჭაში ჩააგდესო. „დაბადების“ ავტორი, ჩვეულებიანამებრ, ერთობ ლაკონურად მოგვითხრობს ამბავს, აქაც ჭაში ჩაგდებას გვამცნობს მხოლოდ, მეტს აღარაფერს გვეუბნება. მაგრამ „ბიბლიის“ განმმარტებელი სამართლიანად ფიქრობენ, რომ იმ ჭაში იოლი გასაძლები არ იქნებოდა, შესაძლოა, გველები, მორიელები თუ სხვა ქვეწარმავალნიც დაძვრებოდნენ უდაბნოს დამშრალი ჭის ფსკერზე.

ერთი სიტყვით, მოკვლით აღარ მოკლეს, მაგრამ მაინც მხეცურად გაწირეს ძმებმა იოსები. ჩააგდეს ჭაში და თავად პურის საჭმელად დასხდნენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

ამასობაში ეგვიპტისკენ მიმავალმა ქარავანმა ჩამოიარა იქ, ისმაელიანნი ანუ არაბები იყვნენ მექარაუნენი. მათ დანახვაზე ერთ-ერთ ძმას, იუდას, რეუბენის არ იყოს, შეეწყალა იოსები და ამგვარი აზრი გაუჩნდა: რას გვარგებს, რომ მოვკლათ, მაინც ჩვენი ძმაა, ჩვენი სისხლი და ხორცი, მოდი, ისმაელიანებს მივყიდოთო.

დაუჯერეს ძმებმა იუდას, ამოიყვანეს ჭიდან იოსები და ოც ვერცხლად მიჰყიდეს ვაჭრებს. მერე თხა დაკლეს, მისი სისხლით ჭრელი კვართი მოსვარეს და მამას წაუღეს.

იაკობმა ჭრელი კვართი რომ დანახა, იცნო და დაასკვნა — იოსები ნადირს დაუგლეჯიაო. დიდხანს დასტიროდა, დიდხანს გლოვობდა შვილს სვევამწარებული ბერიკაცი.



აქ „დაბადების“ ავტორი მგლოვიარე იაკობისა და გულმხეცი ძმებისას ჯერ-ჯერობით მეტს აღარაფერს მოგვითხრობს, მექარავნებთან ერთად ეგვიპტისკენ გამგზავრებულ იოსებს მიჰყვება თან. ვიდრე ჩვენც ეგვიპტეში აღმოვჩნდებოდეთ, ერთ რასმე მივაპყროთ ყურადღება.

ძმებმა ოც ვერცხლად გაყიდეს იოსები. მექარავნებსაც, ეტყობა, ბევრი არ უვაჭრიათ, ისე მიუთვალეს ეს თანხა. ოცი ვერცხლი იმდენი არაფერი ფული იყო. სამაგიეროდ ვაჭარნი კარგ მოგებას ნახავდნენ, მონად გაჰყიდდნენ იოსებს, მონები კი ღიდად ფასობდნენ ეგვიპტეში, ყოველგვარ მძიმე სამუშაოს ისინი ასრულებდნენ. მით უფრო სარფიანი იქნებოდა ისმაელიანთა ნავაჭრი, რომ პირმშვენიერი და ჯანით სავსე ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი მიჰყავდათ მონად გასაყიდად — ეგვიპტეში მისი მუშტარი საქებნი არ შეიქნებოდა.



„დაბადების“ ავტორი აქაც და ქვემოთაც არაერთხელ გვეტყვის, რომ „უფალი იყო იოსებთან“. ეს იმას ნიშნავს — იოსებს უფალი მფარველობდა და შეეწეოდაო. ასე რომ არა, მის დღეში ჩავარდნილ კაცს ველარაფერი უშველიდა, ეგვიპტელი მონის ძაღლური ცხოვრებით უნდა ეცხოვრა და მონობაში ამოხდომოდა სული მაგრამ ღმერთიც სწყალობდა და თავად იოსებიც გულმხურვალე მორწმუნე იყო. განგებას მინდობილი და მისი მესველი. უფალი უყვარდა, უფალი ჰყავდა უმაღლეს მსაჯულად, წმინდად ინახავდა ჭეშმარიტი ღმერთის სახელს. ამიტომ მოემართა ხელი ყველაფერში, ამიტომ შემოუბრუნდა სასიკეთოდ ძმათა მიერ ბოროტებით დაწყებული საქმე.

ეგვიპტეში ჩაყვანილი იოსები ვაჭართაგან იყიდა ეგვიპტის მეფის ანუ ფარაონის კარისკაცმა, ქონდაქართუხუცესმა. ფოტიფარი ერქვა მას. ეგვიპტელი ბატონის სახლში ცხოვრობდა იოსები, ყველა მსახურისგან გამოირჩეოდა. შენიშნა ფოტიფარმა თვალად და ტანად მშვენიერი ჭაბუკის ღირსებები — გონიერება, პატიოსნება, პირდაპირობა, მხნეობა — და თავისი სახლის მოურავად დაადგინა, მთელი თავისი საბადებელი იოსებს ჩააბარა, გააუფროსა. ეღირსა მონად ყოფილი შედარებით თავისუფალსა და უზრუნველ ცხოვრებას.

მაგრამ დაღვინებულ ყოფას არ გაუყოფოჩებია ჭაბუკი, ამპარტავენების სენი არ შეჰყრია, ღმერთი არ დაუვიწყნია. მისი წესი ის იყო — სიმართლისა და სიკეთის გზიდან არასოდეს გადაუხვევდა, ღმერთს არ შესცოდავდა. ამას ფოტიფარის

სახლში მის თავს გადახდენილი ერთი ამბავიც ადასტურებს.

ფოტიფარის ცოლმა თვალი დაადგა იოსებს, მოიწადინა თავის მიჯნურად ექცია. მაგრამ იოსებმა შორს დაიჭირა მაცდური დიაცის ტრფიალი, ცივი უარი მოახსენა. არა და არ მოეშვა ქალი და, როცა ვერაფერი გააწყო, ვერ გადააცდინა მართალი იოსები, აქეთ დასდო ბრალი, ცილი დასწამა – ჩემი შეცდენა უნდოდაო. ამაზე ფოტიფარი განრისხდა და იოსები იმ საპყრობილეში ჩააგდო, სადაც ეგვიპტის მეფის პატიმრები იყვნენ გამოძველებულნი.

მაგრამ ხომ ვთქვით უკვე: იოსებს თავად მაღალი ღმერთი სწყალობდა და ხელს უმართავდა ყოველ საქმეში, ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო. საპყრობილის უფროსმაც გამოარჩია სხვათაგან გონიერი და გულმართალი პატიმარი, ყველა ტუსალი იოსებს ჩააბარა, მათ ზედამხედველად აქცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ იოსებს ცოტათი მაინც შეუმსუბუქდებოდა საპყრობილის ბინადარის გაუძლისი ყოფა. უამისოდ იმ სატუსალოდან იქნებ ცოცხალი ვედარც გამოსულიყო, რადგან დიდხანს მოუწია საზარელ დილეგში ჯდომამ.

ისე მოხდა, რომ მეფის კარზე მომსახურე ორი კაციც აღმოჩნდა საპყრობილეში – ფარაონის მწდეთუხუცესი და მეპურეთუხუცესი, რაღაცის გამო განრისხებულა მათ ეგვიპტის ხელმწიფე.

ერთ ღამეს ორივეს უცნაური სიზმარი ესიზმრა.

მწდეთუხუცესს ესიზმრა, ვითომ მის წინაშე ვაზი იყო ამოზრდილი, სამი ლერწი ჰქონდა იმ ვაზს, ზედ მტევნები ესხა. რა რომ დამწიფდა ყურძენი, ფარაონის თასში ჩასწურა მწდეთუხუცესმა და თასი თავის მბრძანებელს მიართვა.

მეპურეთუხუცესს ესიზმრა, ვითომ თავზე სამი წნული კალათა ედგა, შიგნაირ-ნაირი საჭმელი ეწყო და მის თავს ზემოთ იმ კალათებს ჩიტი კენკავდა.

იოსებმა ორივე სიზმარი ახსნა. მწდეთუხუცესს უთხრა: სამი დღის შემდეგ ფარაონი შეგიწყალებს და შენს საქმეზე დაგაბრუნებსო. მეპურეს უთხრა: სამი დღის შემდეგ ფარაონი მოგაკვდინებსო.

მისი ნათქვამი ზედმიწევნით შესრულდა.

სხვათა შორის, იოსებმა მწდეთუხუცესს ისიც უთხრა: როცა კვლავ ფარაონის კარზე იქნები, ჩემი ამბავი მოახსენე – ტყუილუბრალოდ ვარ საპყრობილეში, არაფერი დამიშავებიაო. მაგრამ განსაცდელს თავი რომ დააღწია, მწდეთუხუცესს იოსების გასაჭირი აღარ გახსენებია.

გავიდა ორი წელიწადი და ეხლა უკვე ფარაონს ესიზმრა საკვირველი სიზმრები.



ვითომ ნილოსის პირას იდგა ფარაონი. ამოვიდა ნილოსიდან შვიდი ხორცის სასვე და მოხდენილი ძროხა, მერე შვიდი მჭლე და უგვანი ძროხა ამოჰყვა იმას. მიდგნენ ეს ჩამომხმარი ძროხები და შეჭამეს მსუქნები, მაგრამ თვითონ მჭლენი დარჩნენ ისევ.

ვითომ შვიდი სასვე და სალი თავთავი აღმოცენდა ერთ ღეროზე, მერე – შვიდი ფშუტე და დახრუკული თავთავი. მიდგა ეს შვიდი ფშუტე თავთავი და შვიდივე სასვე თავთავი შთანთქა.

უგუნებოდ გაიღვიძა ფარაონმა, ორივე სიზმარი ავის მომასწავებელი ეჩვენა. ეგვიპტის ყველა მისანი და ბრძენკაცი იხმო თავის კარზე, მაგრამ მათგან ვერაფერი ახსნა ფარაონის სიზმრები. მაშინ იყო, ფარაონის მწვეთუხუცესს, დილეგში ნამყოფს, იოსების ამბავი რომ გაახსენდა. მოუთხრო ფარაონს ყოველივე – როგორ აუნდათ მასაც და მეპურეთუხუცესსაც იოსების მიერ ახსნილი სიზმრები. ფარაონმა მაშინვე კაცი აფრინა და თავისთან ახმობინა იოსები.

ამოიყვანეს დილეგიდან პატიმარი, დაბანეს, გაპარსეს, ტანისამოსი გამოუცვალეს და წარუდგინეს ფარაონს.

იოსებმა ღვთის შეწევნით ახსნა ფარაონის სიზმრები: შვიდი მსუქანი ძროხა და შვიდი სასვე თავთავი შვიდ უხვმოსავლიან წელიწადს ნიშნავსო, შვიდი მჭლე ძროხა და შვიდი ფშუტე თავთავი ამის შემდეგ დამდგარ შვიდ მოუსავლიან, შიმშილობის წლებს ნიშნავსო. ეხლა ფარაონმა ვინმე თავგზიანი კაცი მოძებნოს და იმას ჩააბაროს ქვეყანა – ამ შვიდ მოსავლიან წელიწადს მთელ მოსახლეობას მოსავლის მეხუთედი გადაახდევინოს, ხორბალი მოიმარაგოს და, მოუსავლიანი წლები რომ დადგება, იმ მარაგით გამოკვებოს ხალხი, შიმშილით რომ არ ამოწყდნენო.

ირწმუნა ფარაონმა იოსების ნათქვამი, მისი გონივრული რჩევაც მოეწონა. ამასთან, ისიც იაზრა – ამ კაცს უეჭველად ღმერთი სწყალობს, მასში ღვთის სული არისო. ამიტომ მთელი ეგვიპტის განმგებლად დაადგინა იოსები, მეფური ძალაუფლება მიანიჭა, იმ ქვეყანაში მხოლოდ ფარაონი იქნებოდა მასზე აღმატებული, იოსების სამეფო ეტლი რომ ჩაივლიდა, ხალხს მუხლი უნდა მოეყარა მის წინაშე. ცოლიც შერთო ფარაონმა იოსებს, იქაური ქურუმის ასული, სახელად ასენათი. საიმდროოდ იოსები ოცდაათი წლის იყო უკვე. რამდენიმე წელიწადში ორი ვაჟი შეეძინა – მენაშე და ეფრემი.

ასე აღიტყორცნა დიდების მწვერვალზე მონად ყოფილი კაცი, ასე შემოაბრუნა უფალმა სასიკეთოდ ძმათა მიერ ბოროტებით წამოწყებული საქმე.

მთელ ეგვიპტეს თავს დასტრიალებდა იოსები იმ შვიდ მოსავლიან წელიწადს, ზღვის ქვიშასავით დააგროვა ხორბლის აურაცხელი მარაგი ბედლებში. და, მოუსავლიანი წლები რომ დაიწყო, ყველა სხვა ქვეყანა დაიმშა ეგვიპტის გარდა. აქ იმდენი ხორბალი ჰქონდათ, უცხოელებიც ჩამოდიოდნენ პურის საყიდლად.



შიშნული ქანანის ქვეყანაშიც მძვინვარებდა. შეიტყო იაკობმა — ეგვიპტეში ხორბალი იშოვებაო, და თავისი შვილები გააგზავნა იქ. ოღონდ სულ უმცროსი, ბენიამინი არ გააყოლა ძმებს — ამხელა გზაზე არაფერი მოიწიოსო.

აქ „დაბადების“ ავტორი მისთვის ჩვეული მომჭირნე სიტყვით აგვიწერს მომხდარ ამბავს, სულ ორიოდე წინადადებით ვვამცნობს, როგორ ჩავიდნენ ძმები ეგვიპტეში და წარუდგნენ იმ ქვეყნის განმგებელს (ხორბლის გაცემის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა). მაგრამ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაც ამბავი იქ ხდებოდა. იოსები ვინმე ვაჭარი ხომ არ იყო, ყველა მუშტარი მისდგომოდა — ხორბალი მომყიდუო. ვიდრე ამ მეფისტოლა კაცს წარუდგებოდნენ, ქანანის ქვეყნიდან ჩამოსულ ათ ლიტონ მწყემსს ათასი დავიდარაბა გადახდებოდა თავს — მოხელეების წინაშე ხვეწნა-მუდარა, ქედმაღალ ეგვიპტელთა მხრივ დამცირების მოთმენა, გაუთავებელი ლოდინი და მისთანანი. ვინ ჰყავდათ პატრონი უცხო ქვეყანაში!

და, აი, ბოლოს წარუდგენდნენ მათს თავს ეგვიპტის ფაქტიურ მბრძანებელს. აქ კიდევ სამეფო კარის ეტიკეტი უნდა დაეცვათ, ანუ, როგორც „დაბადების“ ავტორი მოგვითხრობს: „იოსების ძმებიც მივიდნენ მასთან და მდაბლად თაყვანი სცეს“ (ასე აუხდათ იოსების სიზმარი!).

ამის შემდეგ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მათ ვერ იცნეს მეფური შარავანდელით მოსილი, დიდების მწვერვალზე მყოფი თავიანთი ძმა, ცამეტი წლის უნახავი, ცამეტი წლის წინ მონად გაყიდული ბიჭი.

თავად იოსებმა დანახვისთანავე იცნო ძმები, მაგრამ არაფერი დაიმჩნია, არ გაუშხილა თავი, მკაცრად შეესიტყვა: საიდან მოსულხართო? — ქანანის ქვეყნიდან გეახელით პურის საყიდლადო, შეჰკადრეს ძმებმა. — არაო, იოსებმა უთხრა, მსტოვრები ხართ თქვენ, ჩვენი ქვეყნის დასახვერავად მოსულნიო.

უნდა წარმოვიდგინოთ, როგორი ელდა ეცემოდათ საცოდავ ძმებს. ეგვიპტის სამეფო კარზე უმკაცრესი წესები იყო დამკვიდრებული, ხუმრობა არ უყვარდათ იქ,



კაცის სიცოცხლე არაფრად ფასობდა, ერთი თუნდაც მცირე ბრალდება და სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. არადა, ეგვიპტის განმგებელი ბრძანებდა — ვაშუშები ხართო. გათავებული იყო ძმების საქმე.

ამიტომაც აძრახდნენ ძმები ერთი ხმით, განწირულებმა შეჰლაღადეს იოსებს: არა, ბატონო, მსტოვრები არ ვართ, პურის საყიდლად ჩამოვედით, თორმეტი ძმანი ვართ ჩვენ, შენი მორჩილნი, ერთი მამის შვილები, ქანანის ქვეყნის მკვიდრნი, უმცროსი ეხლა მამასთან არის, ერთი ძმა აღარ გყავსო!

ეგვიპტის განმგებელს, წესით, არაფერი ესაქმებოდა იმასთან, ჰყავდათ თუ არა ამ ქანაანულ მწყემსებს მამასთან დატოვებული ძმა, ანდა კიდევ ერთი დაკარგული ძმა. მაგრამ მამასთან დატოვებული ძმის ამბავი რომ შეიტყო, ამგვარი რამ უთხრა ძმებს: ვიდრე იმ თქვენს უმცროს ძმას არ მომიყვანთ, აქედან ვერ გახვალთ, გაგზავნეთ ერთი თქვენთაგანი იმის ჩამოსაყვანად, დანარჩენები დატყვევებულნი იქნებთ, ამით გაირკვევა, მართალს ამბობთ თუ მსტოვრები ხართო.

სამ დღეს საპყრობილეში ჰყავდა დამწყვდეული ისინი იოსებს. მერე გული მოიღობო: საპყრობილეში ერთი ძმა დარჩეს, სხვანი წადით, ხორბალი წაუღეთ თქვენიანებს და მერე უმცროსი ძმა ჩამომიყვანეთ, თორემ სიკვდილი არ აგცდებათო.

რავა ეთქმოდათ ძმებს, დათანხმდნენ.

აქ ერთი საგულისხმო ამბავი მოხდა კიდევ. ზემოთ ჩვენ არ გვითქვამს, რომ იოსები და მისნი ძმანი ერთიმეორეს თარჯიმანის მეშვეობით ესიტყვებოდნენ. ასეც უნდა ყოფილიყო, ცხადია: ძმებმა ეგვიპტური ენა არ იცოდნენ, ხოლო ეგვიპტის განმგებელს, იგულისხმებოდა, ებრაული არ უნდა სცოდნოდა. ეხლა, საქმე რომ გადაწყდა, ძმებმა თავი ვერ შეიკავეს და იქვე დაუწყეს ერთმანეთს ყვედრება: დამნაშავენი ვართ იოსების წინაშე, მის ტანჯვას ვუმზერდით და, რომ გვევედრებოდა, არ შევიბრალებთ, ეს გასაჭირი ჩვენი მაშინდელი ცოდვის გამო დაგვატყდაო. უფროსმა, რეუბენმა — ხომ გეუბნებოდით, ბიჭის ცოდვაში ნუ ჩავდებთ, არ დამიჯერეთ და, აჰა, მისი სისხლი ეხლა მოგვეკითხაო.

ძმები, რასაკვირველია, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იოსები ვერ იგებდა მათს ნათქვამს. არადა, ამასობაში იოსებს გული აუჩუყდა, ძმებს გამოერიდა და ატირდა. მერე თავი დაიოკა, ძმებთან მიბრუნდა, მათგან სიმონი გამოარჩია და ყველას თვალწინ დაადო ბორკილი, ის დაიტოვა მძევლად.

ბოლოს იოსებმა ბრძანა ხორბლით ავესოთ ძმების ვაშკარანები და რაც იმათ ვერცხლი ჰქონდათ გადახდილი ხორბლის საფასურად, მათსავე ვაშკარანებში

ჩაეღოთ.

დაბრუნდნენ ძმები იაკობთან, უამბეს ყველაფერი, რაც თავს გარდახდათ. ამასობაში ისიც გაირკვა, რომ ხორბლის საფასური ვერცხლის ფული უკანვე ჩამოკყოლოდათ ეგვიპტიდან, ყოველი მათგანის ტომარაში ხორბლის თავს ეწყო ვერცხლით სავსე ტომსიკები. შეშინდნენ ყველანი, ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავდა ეს.

ვიდრე იაკობის შვილები ხელმეორედ ჩავიდოდნენ ეგვიპტეს, ჩვენ ერთ საკითხს მივაპყროთ ყურადღება. ვიცით უკვე, რომ იოსები ღვთისნიერი, ღვთისმომში-ში, სიმართლის მღევარი და კეთილი გულის მქონე კაცი იყო. რატომ მოექცა ძმებს ესოდენ მკაცრად, თითქოს უგულოდ, და, გარდა ამისა, რატომ არ გაუმხილა თავი, არ გამოეცნაურა?

ჯერ ის გავიხსენოთ, ძმები როგორ მოექცნენ თავად. თავდაპირველად მოკვლა დაუპირეს იოსებს, მერე ამ განზრახვაზე კი აიღეს ხელი, მაგრამ მონად გაყიდეს, ფაქტიურად სასიკვდილოდ გაწირეს. ამგვარი წარმოუდგენელი გულმხეცობა, ერთი რომ, იოლი დასავიწყებელი არ იყო თუნდაც ცამეტი წლის გასვლის შემდეგ. მთავარი მანც სხვა რამ არის. იოსებს უეჭველად უნდა დაედგინა, ვისთან ჰქონდა საქმე — კვლავ იმ გულმხეც, უკეთურ ადამიანებთან, თუ უმჯობეს ხალხთან, სიკეთის გზისკენ შემობრუნებულ ძმებთან. ბოლოს, იოსებს ძალიან ენატრებოდა თავისი ღვიძლი ძმა — ბენიამინი, ერთი სული ჰქონდა, როდის იხილავდა ხელახლა.

ამიტომ მოუწყო ძმებს ის მძიმე გამოცდა და ამიტომვე ატირდა საწყალობ-ლად, რა რომ მათი სინანულის სიტყვები მოისმინა.

ეხლა ჩვენს მოსათხრობს მივუბრუნდეთ.

იაკობმა რომ შეიტყო — ეგვიპტის განმგებელი ბენიამინის იქ ჩაყვანას ითხოვსო, რომ იტყვიან, ქვა აავლო და თავი შეუშვირა: იოსები აღარ მყავს, სიმონი აღარ მყავს, ეხლა ბენიამინის წართმევასაც მიპირებთ, ვერ გაგატანთ და ვერ გაგატანთო!

მაგრამ ხანი გამოხდა, ჩამოტანილი ხორბალი შემოეღიათ და იაკობის დიდ ოჯახში იძულებულნი შეიქნენ კვლავ ეგვიპტისკენ გამგზავრებაზე ეფიქრათ. იაკობი ისევ უარს იყო ბენიამინის გაშვებაზე. მაშინ იუდამ იკისრა თავდებობა: იმ კაცმა ასე გვითხრა — უბენიამინოდ არ ჩამოხვიდეთო. გაგვატანე ბენიამინი, მე ჩავიბარებ და მკვე მომკითხე მისი თავი, გეფიცები, უვნებლად ჩამოგიყვანო.

რალას იზამდა, დათანხმდა დამწუხრებული იაკობი და კვლავ გაემგზავრენ ძმები ეგვიპტისკენ, ბენიამინიც თან წაიყოლეს.

იოსებს რომ ეახლენ, მუხლი მოიყარეს მის წინაშე და მიწამდე თავყვანი სცეს.



ბენიამინის დანახვაზე იოსებს გულ-ღვიძლი დაეწვა, მეორე ოთახში გავიდა და იქ იტირა. მერე პირი დაიბანა და ისე გამოვიდა ძმებთან, არაფერი დაიმჩნია. იმავე დღეს წვეულება გაუმართა ძმებს, დიდებული სუფრა გაშალა და, მათდა გასაოცრად, უფროს-უმცროსობის მიხედვით დასხა სუფრასთან. რას წარმოიდგენდნენ ძმები, რომ ეგვიპტის გოროზ განმგებელს ის ეცოდინებოდა, რომელი უფროსი იყო მათგან და რომელი — უმცროსი.

მერე იოსებმა ერთი გამოცდა კიდევ მოუწყო მათ.

თუმცა ჯერ ის ვთქვათ, რომ მანამდე იოსების მოურავმა არ დაიბრუნა ვერცხლის ფული, ძმებმა უკანვე რომ ჩამოუტანეს — ის ვერცხლი ვაშკარანებში მამათქვენის ღმერთმა ჩაგიდოთ, მე ჩემი საფასური მიღებული მაქვსო. ისიც დავსძინოთ, რომ მძევლად დატოვებული სიმონი ძმების ჩამოსვლისთანავე გამოიყვანეს საპყრობილედან.

ეხლა — გამოცდის ამბავი. შინისკენ მიმავალ გზას რომ უნდა დასდგომოდნენ თერთმეტივენი, იოსების ბრძანებით ტომრები ხორბლით აუვსეს, ხორბლის საფასური ვერცხლი კვლავაც შიგ ჩაატანეს და, გარდა ამისა, ბენიამინის ვაშკარანში იოსების ვერცხლის თასიც ჩადეს მალულად.

ქალაქიდან არც იყვნენ გასულნი, იოსებმა თავისი მოურავი დააწია ძმებს: რომელიღაც თქვენგანს ბატონის ვერცხლის თასი მოუპარავსო. დიდად იუარეს ძმებმა: არაფერი მოგვიპარავს, გაგვჩხრიკეთ, ბატონო, და, თუ რომელიმე ჩვენგანს აღმოაჩნდა ის ვერცხლის თასი, სიკვდილით დასაჯეთ, დანარჩენები კი მონებად დაგვიყენეთო.

გაჩხრიკეს და ბენიამინის ვაშკარანში აღმოჩნდა ვერცხლის თასი.

უკან გაბრუნდნენ ზარდაცემული ძმები, პირქვე დაემხენ იოსების წინაშე — ყველანი შენი მონები ვართო. არაო, იოსებმა მიუგო, ვის ვაშკარანშიც თასი აღმოჩნდა, ის გამიხდეს მონად, დანარჩენები შინ დაბრუნდითო.

მაშინ იუდამ ის მოიმოქმედა, რაც პატიოსანსა და ღირსეულ კაცს შეეფერებოდა: მოუთხრო იოსებს — ასე და ასე იყო, მამაჩენი არ გვატანდა უმცროს ძმას, მე დავდექი თავდებად, მე დავიყოლიე, ასე რომ, ეხლა მონად მე გამიხადე, ყმაწვილი თავის ძმებს გაპყვესო.

აქ კი ველარ გაუძლო გულმა იოსებს, საჩქაროდ ყველა გარეშე გარეთ გააყვანინა და ხმამაღლა ატირებულმა ძმებს უთხრა — იოსები ვარო. შეშინდნენ ძმები, გონს ვერ მოეგნ, ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა მათს თავს. მაშინდა გამოერკვნენ, ეგვიპტის განმგებელმა რომ გაუმეორა — იოსები ვარ, თქვენი ძმა, თქვენ მიერ

გაყიდულიო, მერე ბენიამინს რომ გადაეხვია ატირებული, მერე სათითაოდ რომ გადაკოცნა ყველანი.

ასე დასრულდა ის მძიმე გამოცდა, იოსებმა ძმებს რომ მოუწყო. დარწმუნდა იოსები, რომ ბოროტების ნაცვლად სიკეთე გალვივებულიყო ძმების გულში, რომ მათ გულწრფელად შეინანეს თავიანთი უღირსი საქციელი. იუდას თავდადებაც ხომ ჩინებულად ადასტურებდა ამას. წარმოვიდგინოთ, რა ბედს იმზადებდა სათავისოდ იუდა, იმის არმცოდნე, რომ ეგვიპტის განმგებელი ძმა იყო მისი: შუახნის კაცი, ხუთი შვილის მამა, მონად რჩებოდა ეგვიპტეში, ცოცხლად იმარხავდა თავს უმცროსი ძმის, ბენიამინის გულისთვის.

\* \* \*

იოსების წინასწარმეტყველების თანახმად, შიმშილობა კიდევ ხუთ წელიწადს გასტანდა — შვიდი მოუსაველიანი წლიდან ორი წელიწადი იყო გასული მხოლოდ. ამიტომ იოსებმა გადაწყვიტა მამამისი მთელი თავისი სახლეულითურთ ეგვიპტეში გადმოეყვანა საცხოვრებლად. ფარაონმა დასტური მისცა ამაზე. გადაწყდა ისრაელიანებისთვის სამკვიდრებლად მიეჩინათ ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი — გოშენის მხარე. გაამზავრეს ხორაგით უხვად დატვირთული ძმები, ეგვიპტური ეტლებიც გაატანეს იაკობის, ქალებისა და ბავშვების ჩამოსაყვანად.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა უნდა განეცადა უკვე ას ოცდაათი წლის იაკობს, როცა მისი შვილები ქანაანს ჩაბრუნდნენ და ახარეს — იოსები ცოცხალიაო. მამის მიერ დიდი, დიდი ხნის წინათ გამოტირებული, მისი უსაყვარლესი ვაჟი იოსები. მართლაც უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან „დაბადების“ ავტორი იმ ამბავს, მისთვის ჩვეული მომჭირნე სიტყვით, ორიოდ წინადადებას უძღვნის მხოლოდ. ოღონდ უნდა ჩაუუკვირდეთ, რა დიდი გრძნობაა ჩაქსოვილი ამ წინადადებებში: „მაშინღა გაცოცხლდა იაკობის სული. თქვა ისრაელმა: კმარა! ცოცხალია ჩემი შვილი იოსები! წავალ და ვნახავ, სანამ არ მოვმკვდარვარ“ (დაბ. 45,27-28).

„ისრაელი“, გახსოვთ, ალბათ, იაკობს დაარქვა სახელად უფალმა.

აიყარენ ქანაანის ქვეყნიდან იაკობი, მისი თერთმეტი ვაჟი, მათი ცოლ-შვილი, შვილიშვილები, მსახურნი, სულ სამოცდაათი სული, წამოასხეს ცხვარ-ძროხა, წამოიღეს რაც რამ ებადათ.

ასე დასახლდნენ ისრაელიანები ანუ ებრაელები ეგვიპტეში.

ას ორმოცდაშვიდი წლისა იყო იაკობი, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო.



სთხოვა იოსებს: ეგვიპტეში ნუ დამმარხავ, წინაპართა გვერდით დამასაფლავებო, მერე შეილები მიაყვანინა თავისთან, რათა ეკურთხებინა.

ახლა თავისი ვაჟები იოსებმა, მამის წინაშე წარდგა. შეილები ხელში ისე ეჭირა, რომ მენაშე, უფროსი, იაკობისთვის მარჯვენა მხარეს მოხვედრილიყო, მისი მარჯვენა ხელისკენ, ეფრემი, უმცროსი — მარცხნივ. მაგრამ იაკობმა ხელები გადაავჯარედინა და ისე დაასხა თავს შვილიშვილებს — მარჯვენა ხელი ეფრემს დაადო თავზე, უმცროსს, ხოლო მარცხენა — მენაშეს, უფროსს. ეს იმას ნიშნავდა, უპირატესი კურთხევა ეფრემს ეძლეოდა. იოსებს ეგონა — მამაჩემს თვალს დააკლდა და ამიტომ აერიათ უფროს-უმცროსი. ასე არა, მამაჩემო, — შეჰკადრა, — პირმშო ეს არისო, — მენაშესი უთხრა, — მის თავს დაადეო მარჯვენა.

„იუარა მამამისმა და უთხრა: ვიცი, შვილო, ვიცი, ესეც წარმოშობს ხალხს, ესეც განდიდება, მაგრამ მისი უმცროსი ძმა მასზე მეტად განდიდება, მისი თესლისგან ურიცხვი ხალხი წარმოიშობა“ (დაბ. 48,19).

როგორც ვხედავთ, ამჯერადაც უმცროს ვაჟს ხვდა წილად მეტი პატივი. ამის შემდეგ იაკობმა ყველა თავისი ვაჟიშვილი აკურთხა და მიიცვალა. მისი ანდერძისამებრ, იაკობის ნეშტი ქანაანის ქვეყანაში წაასვენეს და წინაპართა საძვალეში დაკრძალეს.

მამის გარდაცვალების შემდეგ ძმებს მანაც შეეშინდათ — ვაითუ გვიმტროს იოსებმა და სამაგიერო გადაგვიხადოს იმ ბოროტებისთვის, რაც მას ვუყავითო. შეუთვალეს: მამაშენმა სიკვდილის წინ ასე დაიბარა — იოსებმა ძმებს დანაშაული შეუნდოსო. მერე თვითონაც ეახლენ იოსებს და დაემხენ მის წინაშე პატიების მოსოვნელნი.

მაგრამ იოსებმა სხვაგვარად განსაჯა. თქვენ ჩემთვის ბოროტი განიზრახეთო, — ძმებს უთხრა, — ხოლო ღმერთმა სიკეთედ გარდაქმნა ბოროტება, ნურაფრის გეშინიათ, თქვენც შევინახავთ და თქვენს შვილებსაცო.

დიდხანს იცოცხლა იოსებმა მამამისის მოდგმასთან ერთად, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს მოესწრო, ას ათი წლისა აღესრულა. გარდაცვალების წინ იწინასწარმეტყველა: ღმერთი მოხედავს ისრაელაიანებს და იმ ქვეყანაში დააბრუნებს, რომელიც აბრაამს, ისააკსა და იაკობს აღუთქვაო. ანდერძი დაუგდო შთამომავლებს — როდესაც ღმერთი მოგხედავთ და სამშობლოში დაბრუნდებით, ჩემი ძვლები წაიღეთო აქედან.

ეს ანდერძი დიდმა მოსემ აღასრულა.



ჩვენი სახელმძღვანელოს ამ ნაკვეთის სათაურია „მამამთავარი“. ეს იგივეა, რაც უცხოური სიტყვა „პატრიარქები“. ასე მოიხსენიებიან ებრაელთა წინაპრნი – აბრაამი, ისაკი, იაკობი და მისი ძენი, რომელთაგანაც მთელი ერი წარმოდგა. ეს დავიმახსოვროთ, ოღონდ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მამამთავრები ანუ პატრიარქები უფრო ფართო მნიშვნელობით ეწოდებათ აგრეთვე კაცობრიობის საერთო წინაპრებს – წარღვნამდელ პატრიარქებს, ადამს და მის შთამომავლებს ნოეს ჩათვლით.

ერთი რამ გავითვალისწინოთ კიდევ. „ძველი აღთქმა“, გვასსოვს ალბათ, ებრაულად არის დაწერილი. ამ ენის მცოდნე ადამიანები გვაძნობენ, რომ „ძველი აღთქმის“ ტექსტი არცთუ იოლი გასაგებია, ადამიანის სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები შესაძლოა სხვადასხვაგვარად წაიკითხოს კაცმა. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საღვთო წერილის ძველ ქართულ თარგმანებში ზოგიერთი სახელი და სახელწოდება ცოტათი სხვაგვარად წერია, ვიდრე ახალ, 1989 წელს გამოცემულ თარგმანში.

მაგალითად, ადამისა და ევას მესამე ვაჟის სახელი ძველ თარგმანებში არის სეთი, ახალ თარგმანში – შეთი, ყველაზე ღიბხანს მცხოვრები კაცის სახელი ძველ თარგმანებში არის მათუსალა, ახალ თარგმანში – მეთუშალახი, აბრაამის წინაპრის სახელი ძველ თარგმანებში არის ებერი, ახალ თარგმანში – ყებერი, აბრაამის მამის სახელი ძველ თარგმანებში არის თარა, ახალ თარგმანში – თერახი, თარას ვაჟის, აბრაამის ძმის სახელი ძველ თარგმანებში – ნაქორი, ახალ თარგმანში – ნახორი, აბრაამის ძმისწულის სახელი ძველ თარგმანებში – ლოთი, ახალში – ლოტი, აბრაამის პირველი ვაჟის სახელი ძველ თარგმანებში ისმაილი, ახალში – ისმაელი, ლაბანის უფროსი ქალიშვილის სახელი ძველ თარგმანებში – ლია, ახალში – ლეა, უმცროსი ქალიშვილისა ძველში – რაქილი, რაქელი, ახალში – რახელი.

ამგვარი მაგალითი ძალიან ბევრია.

ჩვენი სახელმძღვანელო, რაღა თქმა უნდა, ახალ თარგმანს მისდევს, ადამიანთა სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები ახალი თარგმანის მიხედვით არის წარმოდგენილი, მაგრამ ზოგჯერ ესა თუ ის სახელი ან სახელწოდება ძველი თარგმანებიდანაც არის აღებული. ეს იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც სახელი თუ სახელწოდება უკვე ფართოდ არის გავრცელებული, დამკვიდრებული, ხანგრძლივი ტრადიციის მქონეა.

## სიტყვათა სალარო

ვიდრე „სიტყვათა სალაროს“ ჩავხედავდეთ, გავიხსენოთ შარშანდელი ნასწავლი. შარშანდელ სახელმძღვანელოშიც და წლებგანდელშიც უცნობი სიტყვები და გამოთქმები უკვე იმისდა მიხედვით კი აღარ არის დალაგებული, რა თანმიმდევრობითაც ტექსტში გვხვდება (როგორც მესამე და მეოთხე კლასების სახელმძღვანელოებში იყო), არამედ ანბანის რიგის მიხედვით არის ჩამომწკრივებული: ჯერ ა-ზე დაწყებული სიტყვებია, მერე – ბ-ზე, გ-ზე და ასე მიყოლებით, ანბანის რიგის მიხედვით, ბოლომდე.

ისიც მოვიგონოთ, რომ ასე ლაგდება სიტყვები ლექსიკონებში, ენციკლოპედიებსა და სხვადასხვა საცნობარო წიგნებში.

თუ რომელიმე თქვენგანს ქართული ანბანის რიგი კარგად აღარ ახსოვს, ესეც შევახსენოთ:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ც, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ

ავის მოვასწავებელი – ცუდი ამბის მანიშნებელი.

ალაბამოს – მოთოკოს, შეაკავოს, დაიკოს.

ამისდაკვალობაზე – ამისდა მიხედვით.

ამოიზუზა – ამოიწვა.

ანდერძი დაუბლო – ანდერძი დაუტოვა.

არანივთიერი – ისეთი, ნივთიერ, მატერიალურ, ხილულ სამყაროს რომ არ ეკუთვნის.

არა ჰრიდა – არ მოერიდა.

არქიმანდრიტი – დიდი მონასტრის წინამძღვარი.

ასაგზნები – დასანთები.

ასერიზად – ასე, ამნაირად.

აურაცხელი – ძალიან ბევრი, უამრავი.

აზრინა, კაცი აზრინა – საჩქაროდ კაცი გაგზავნა.

აღასრულევი – ასრულებენ.



აღსრულა — გარდაიცვალა.

აღთქმისამებრ — აღთქმის თანახმად, აღთქმის მიხედვით.

აღსაველენი მსხვერპლი — ღმერთისთვის შესაწირავი მსხვერპლი.

აგლითი — (აქ) უკეთური, ცუდი.

აგაფურა, იმედი აგაფურა — იმედი დაეკარგა.

აგათქვა — პირველად ნათქვამი შეცვალა.

აგის ამ დროს — გაისად ამ დროს.

აგათენისას — გათენების ხანს.

აგამოგვპარე — ჩვენთვის გარეთ გამოიყვანე.

აგამოერიდა — გამოშორდა.

აგამოვადევნოთ, თვალი აგამოვადევნოთ — თვალი გამოვაცოლოთ.

აგანგება — ღმერთის ნება და მოქმედება.

აგანგირვა — მოკვლა.

აგანსაჯულად — (აქ) სამსჯელოდ, საკამათოდ.

აგაუქმისი — ისეთი, გაძლება რომ არ შეიძლება.

აგამცნობს — გვატყობინებს.

აგოღოთა — მთა იერუსალიმში, იქ აცვეს ჯვარს იესო ქრისტე.

აგოროზი — თან მელიდური და თან კუშტი.

აგულთამხილავი — კაცის ფიქრებისა და გრძნობების მხედველი, გამომცნობელი.

აგულით უპრაპი — გულმტკიცე, შეუდრეკელი.

აგული შოილბო — უფრო ღმობიერი გახდა.

აგულმხეცი — სასტიკი, დაუზოგველი.

აგათქმული აგბილი — წინასწარი შეთანხმებისას დანიშნული აგბილი.

აგინარჩუნა — დაისაკუთრა, თავისად აქცია.

აგამაგინებელი — დამამცირებელი.

აგამოჰრება — დანათესავება.

აგანსა კარვები — კარვები დადგა.

აგაუგვიდრება — სამკვიდრებლად, საცხოვრებლად უქცევდა.

აგიღოსტატი — დიდი ოსტატი, საუკეთესოზე საუკეთესო ოსტატი.



**დიღეზი** – დიღევი, ჩვეულებრივ, ისეთ საპყრობილეზე ითქმის ხოლმე, შტაბის სულ ქვედა ნაწილში, სარდაფის სართულზე რომ არის მოთავსებული.

**ვაიჭოდი** – მხატვრული ნაწარმოების ნაწილი, რომელიც რაღაც ერთ ცალკე ამბავს მოგვითხრობს. მაგალითად, ისააკის მხვერპლად შეწირვა აბრაამისა და ისააკის საერთო ამბის ერთი ეპიზოდია, ისააკის მიერ რებეკას ცოლად მოყვანა მათი ცხოვრების ერთი ეპიზოდია.

**ერკინებოდა** – ებრძოდა.

**ეტიკეტი** – საზოგადოებაში მოქცევის, თავის დაჭერის მკაცრად განსაზღვრული წესი.

**ვაშკარანი** – ტომარა.

**ვერძი** – მამალი ცხვარი.

**ვითარცა** – როგორც.

**ვინალო** – ეგებ, იქნებ.

**ზარღამცემი** – დიდი შიშის მომგვრელი.

**ზარღამცემული** – ძალიან შეშინებული.

**თავზიანი** – გონიერი, საქმის კარგად გამძლოლი.

**თავდებობა** – სხვისი საქმის გამო პასუხისმგებლობის აღება.

**თავი დაიოკა** – თავი დაიმორჩილა.

**თავის მოგამელი** – შემსრულებელი, საქმის მომგვარებელი.

**თარჯივანი** – ზეპირად მთარგმნელი.

**თვალი დააღბა** – მოეწონა და სათავისოდ მოინდომა.

**თვალი კვიდეს** – დაინახეს.

**იაზრა** – მიხვდა, აზრად მოუვიდა.

**ივაშიუფვანელი** – ისეთი კარგი, იგავიც რომ ვერ გამოხატავს, იგავიც ვერ მისწვდება, არაჩვეულებრივი, დიდებული. ეს სიტყვა მეხუთე კლასის სახელმძღვანელოშიც შეგვხვდა.

**ივლო** – იწამა, იტანჯა.

**იორღანე** – პალესტინის მდინარე. „ბიბლიის“ სწავლისას ამ მდინარის



შესახებ ხშირად გვექნება საუბარი.  
**იოტისოდენა** – ერთი ბეწო.

**კვალბაჟი, გარემოებათა კვალბაჟი** – გარემოებათა მიხედვით.  
**კვართი** – სამოსელი, გრძელ პერანგს ჩამოჰგავს.

**ლიტონი** – (აქ) მარტივი, უბრალო, უსწავლელი, როგორც ითქმის ხოლმე – გამოუსვლელი კაცი.

**მადლი** – (აქ) ღვთის წყალობა.

**მაკურთხეველი** – ის, ვინც აკურთხებს, დალოცავს.

**მარტოოდენ** – მხოლოდ.

**მაუწყებელი** – შემტყობინებელი.

**მაწყვარი** – ის, ვინც სხვას დაწყევლის.

**მეაურეთუხუცესი** – სამეფო კარის მსახური, ვისაც სუფრაზე პური უნდა მიერთმია ხელმწიფისთვის.

**მერმინდელი** – შემდგომი, შემდეგდროინდელი.

**მესველი** – მოიმედე.

**მესიზმრე** – სიზმართა მხილველი, აგრეთვე – სიზმართა ამხსნელი.

**მეშვეობით** – საშუალებით, შუამავლობით.

**მიეახლა** – მიუახლოვდა.

**მიმოზანტვა** – დაფანტვა.

**მისანი** – ბედის გამომცნობი, მკითხავი.

**მიტანებული, ას ორმოც ფელს იყო მიტანებული** – ას ორმოც წელს იყო მიღწეული.

**მიწის პირი** – მიწის ზედაპირი.

**მკვლარი ზღვა** – პატარა ზღვა პალესტინის სამხრეთ მხარეში.

**მოგაკვინებს** – მოგკლავს.

**მოვართა, ხელი მოვართა** – საქმე კარგად წაუვიდა.

**მომოთმედალა** – გააკეთებდა.

**მოიწადინა** – მოისურვა, მოინდომა.

**მონაცვლეობს** – იცვლება.

**მორუხელი** – (აქ) უცვლელი.

**მოუზარტა, ხელი მოუზარტა** – დაეხმარა.

**მრავლის უმრავლესი** – ძალიან ბევრი.

**მსტოვარი** – ჯაშუში, მზვერავი.

**მყინვარი** – ძალიან მაღალი მთის კალთებზე ჩაწოლილი სქელი ყინული.

**მკვპალი** – მძევალი იმ პირს ჰქვია, ვისაც დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთი მხარე თავისთან იტოვებს იმის ნიშნად, რომ მეორე მხარე არ უღალატებს, რაიმე დათქმულ პირობას უეჭველად შეასრულებს, ან კიდევ იმ დატოვებული პირის გამოსასყიდს გადაუხდის. პირობა თუ დაირღვა, მძევალს, ჩვეულებრივ, კლავენ ხოლმე ვინც გიორგი სააკაძის ცხოვრებას გასცნობია, გაახსენდება, რომ მისი ვაჟი პაატა მძევლად ჰყავდა დატოვებული შაჰ-აბასს. გიორგი სააკაძემ სამშობლოს გამოსახსნელად პირი უშალა ირანის შაჰს და ამან პაატას თავი მოჰკვეთა.

**მფღე** – ღღეს „მერიქიფეს“ რომ ვუწოდებთ, იმას ძველად „მწდე“ ერქვა.

**მფღეთუხუცესი** – სამეფო კარის მსახური, ვისაც სუფრაზე ღვინო ან სხვა რამ სასმელი უნდა მიერთმია ხელმწიფისთვის.

**მხეპალი** – დიდკაცების მოახლე, მოსამსახურე ქალი.

**მსოლოდშობილი შვილი** – ერთადერთი შვილი.

**ნახელავი** – გაკეთებული, შექმნილი.

**ნეშტი** – ცხედარი.

**ნოველა** – პატარა მოთხრობა, რომელშიც რაიმე ერთი ამბავია გადმოცემული.

**ოღითგანე** – ძველი დროიდანვე.

**პირვანდელი** – პირველი, თავდაპირველი.

**პირმშენიერი** – ძალიან ლამაზი.

**რეპეანი** – უჭკუო, ბრიყვი.

**სათნო** – კეთილი, მოსაწონი ადამიანი.

**საიმღროოდ** – იმ დროს, იმ დროისთვის.

**სამახსოვრო** – დასამახსოვრებელი.

**სამკვიდრებაელი** – საცხოვრებელი ადგილი.

**სარწინი** – მომგებინი.

**სასტუმარი** – მწოლიარეს თავმისადები.

**სასომეხი** – იმედი.

**საქვალე** – სამარხი.

**სახლეული** – ოჯახის წევრები.

**სახლთუხუცესი** – სახლის განმგებელი.

**სახლიკაცი** – ერთი ოჯახის ან ერთი გვარის წევრები ერთმანეთისთვის

სახლიკაცები არიან.

**სამეგობრობა** – გაუბედურებული.

**სიბილწე** – სისაზიზღრე, სისაძაგლე.

**სინონიმი** – ერთი და იგივე მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვები (მაგალი-  
თად, „ლამაზი“ და „მშვენიერი“). ამ სიტყვას მეხუთე კლასშიც გავეცანით.

**სიტყვათუხუცესი** – ცოტას მოლაპარაკე.

**სიძალადე** – საამაყო, თავმოსაწონებელი.

**სნეხი** – ავადმყოფობა.

**სული მისდომი** – ველარ ითმენდა.

**სწავლადე** – დიდად ნასწავლი კაცი, მეცნიერი.

**ტომისი** – პატარა ტომარა.

**ტყუპისცალი** – ტყუპთაგან ერთი.

**უღრტვიწველად** – ჩივილის, წუწუნის გარეშე.

**უმაწყო** – უცოდველი, უმწიკლო.

**უპატიურად** – უდიერად, უკადრისად, უღირსად.

**ურარტუ** – ძლიერი და სახელგანთქმული სახელმწიფო იყო ძვ. წ. IX-VI საუკუნეებში. მისი ძირითადი ნაწილი მოიცავდა ურმიის, ვანისა და სევანის ტბებს შორის გადაჭიმულ ტერიტორიას, აგრეთვე ჩრდილოეთ მესოპოტამიას და სამხრეთ კავკასიას. ფიქრობენ, რომ ურარტული ენა ქართულს ენათესავებოდა და ამ სახელმწიფოში ძირითადად ქართული ტომები ცხოვრობდნენ.

**უსინათლო** – (აქ) ბრმა.

**უღვივის, სიყვარული უღვივის** – სიყვარული ცეცხლივით უნთია გულში.

**უფუტე, უფუტი** – შიგნიდან ცარიელი, გული რომ არ გაუკეთებია, ისეთი ნაყოფი მცენარისა.

ქედმაღალი – ამაყი, ამპარტავანი.

ქვა ააგლო და თავი შეუშვირა – დიდ უარზე დადგა.

ქონდაქართუხუცესი – (აქ) მეფის მცველთა უფროსი.

ქუღაპდინი – იბლიანი.

ქურუმი – წარმართული რელიგიის ღვთისმსახური.

ღვთის ბარბანი – უღმერთო, ურჯულო.

ღვთისნიერი – მოწყალე და კეთილი ადამიანი.

ზარაპანდელი – (აქ) ბრწყინვალეა.

ზეატყუა – მოტყუებით შეაპარა.

ზეგვატაუნოს – შეგვაკართოს, თან გაგვაკვიროს.

ზევიცნობთ – გავიგებთ, მივხვდებით.

ზემოაპარცემს – შემოახიეს და გახადეს.

ზემუსრულიყო – განადგურებულიყო, მომსპარიყო.

ზეუვარდა, გული შეუვარდა – მოეწონა.

ზეუხედავი – უღამაზო.

ზეილიერი – შეილიანი.

ზეთანთა – გადაყლაპა.

ზერს ღაიჭირა – უარი თქვა, არ დათანხმდა.

ცილობა – ღავა, ჩხუბი.

ძალუკთ – შეუძლიათ.

ძმისწული – ძმის შვილი.

წარმომავლობა – წარმოშობა.

წასაგვრელად – წასართმევად.

წვდომა – (აქ) გაგება, მიხვედრა.

წინადაცემითა – სარცხვინელზე კანის აჭრა.

წინასწარმეტყველი – მომავალში მოსახდენი ამბის მაუწყებელი.

წმიდა მამები – ასე უწოდებენ წმინდა ცხოვრებით და სიბრძნით განთქმულ

ძველი დროის საეკლესიო მოღვაწეებს.

ხანდაზმული – ხნიერი.

ხანსრული – დიდად მოხუცებული.

ხვატიანი – ძალიან ცხელი.

## მოსა

იოსების თავგადასავალით მთავრდება „ძველი აღთქმის“ პირველი წიგნი - „დაბადება“. ვნახეთ უკვე, რომ მრავალი რამ იყო მოთხრობილი ამ დიდებულ წიგნში, სამყაროს გაჩენით დაწყებული და მამამთავართა ცხოვრებით დამთავრებული. ჟამთა ვითარებამ უკანასკნელი პატრიარქები - იაკობი და მისი თორმეტი ვაჟი - ეგვიპტეში გადაისროლა. მაგრამ ხომ გვახსოვს, რომ უფალმა აბრაამს, ისააკსა და იაკობს სამკვიდრებლად ქანაანის ქვეყანა უბოძა და აღუთქვა - ცის ვარსკვლავებით და ზღვის ქვიშასავით გამრავლდებით, დიდ ხალხად იქცევით. მნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ებრაელები ანუ ისრაელიანები სამუდამოდ ვერ დარჩებოდნენ ეგვიპტეში. ადრე იქნებოდა თუ გვიან, თავიანთ ნამდვილ სამშობლოს - აღთქმულ ქვეყანას უნდა დაბრუნებოდნენ.

დაუბრუნდნენ კიდევ, მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა. თუ ეგვიპტეში დამკვიდრებისას ისრაელიანთა წინაპარნი სულ სამოცდაათ სულს შეადგენდნენ დაახლოებით ოთხასი წლის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში სამშობლოში გაბრუნების ხანს მათი რიცხვი უკვე ორ მილიონს აღწევდა. ამდენ ხალხის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლება იოლი საქმე არ იყო. მრავალ რამ გარდახდათ თავს ებრაელებს, ვიდრე ქანაანის ქვეყანაში ანუ მერმინდულ პალესტინაში დასახლდებოდნენ. აქედან უმთავრესი ის იყო, რომ ამ მოგზაურობისას, ეგვიპტიდან ქანაანამდე მიმავალ გზაზე, ისინი - იაკობის თორმეტი ვაჟისგან წარმომდგარი თორმეტი ტომის შთამომავალნი - ერთი ღმერთის თავყვანისმცემელ ერთიან ერად იქცნენ.

ეს ყოველივე მოთხრობილია „ძველი აღთქმის“ იმ ოთხ წიგნში, „დაბადებას“ რომ მოსდევს. ამ წიგნთა სახელწოდებებია: „გამოსვლა“, „ლევიანი“, „რიცხვნი“, „მეორე რჯული“.

მოკლედ გავეცნოთ ამ წიგნებს.

## თავი პირველი

იოსების გარდაცვალების შემდეგ გამოხდა დიდი ხანი და ეგვიპტის სამეფო ტახტზე ავიდა ფარაონი, რომელსაც იოსების სახელი არც სმენოდა. აღარავის ახსოვდა ის დიდი სამსახური, იოსებმა რომ გაუწია ეგვიპტეს, როცა შიმშილი

ამოწყვეტას გადაარჩინა მთელი იმ ქვეყნის ხალხი. ამასობაში ებრაელები დიდად გამრავლდნენ, წელი მოიდგეს, გაძლიერდნენ.

ესენი რომ კიდევ უფრო გამრავლდნენ და მომძლავრდნენო, — ფარაონმა იფიქრა, — ჩვენს მტრებს მიემზრობიან და მათი დამორჩილება გაგვიძნელებდნენ.

ამიტომ ეგვიპტელებმა ერთობ მძიმე სამუშაო მიუჩინეს ისრაელიანებს — თიხის ზელა, აგურების კეთება, მიწის დამუშავება. ის უნდოდათ, უწყალო შრომით ილაჯი გაეწყვიტათ მათთვის, რათა კვლავინდებურად ველარ გამრავლებულიყვნენ.

მაგრამ ვერ გაჭრა ამ ხერხმა. მაშინ ფარაონმა სასტიკი ბრძანება გასცა: ყოველი ახალშობილი ებრაელი ვაჟი ნილოსში ჩააგდეთ, მხოლოდ ქალები და-ტოვეთო ცოცხალი.

ასეთ შავ დღეში ჩაცვივდნენ ისრაელიანები. და სწორედ იმხანად დაიბადა ერთი უდიდესი პიროვნება ებრაელი ერის ისტორიაში — მოსე.

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, გავიხსენოთ: იაკობს თორმეტი ვაჟი რომ ჰყავდა, მათგან გამრავლდა მთელი ერი — ისრაელის თორმეტი ტომი. „ბიბლიაში“ ხშირად არის საუბარი იმის შესახებ, ვინ იყვნენ ამა თუ იმ ტომის მამამთავართა შთამომავალნი. ამა თუ იმ პიროვნების მოხსენიებისას იქვე დაზუსტებულია ხოლმე, რომელი ტომის რომელი შტოდან იყო გამოსული ის პიროვნება, ვისი შთამომავალი იყო — რეუბენისა, სიმონისა, ლევისა, იუდასი, დანისა, ნაფთალისა, გადისა, აშერისა, ისაქარისა, ზებულონისა, იოსებისა თუ ბენიამინისა.

წიგნი „გამოსვლა“ გვამცნობს, რომ მოსეს დედ-მამა ლევის ტომის შთამომავალი იყო. ერთი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდათ. ეხლა, ფარაონის ამ ბრძანების შემდეგ, კიდევ ვაჟი რომ შეეძინათ, სამ თვეს მალავდნენ — ფარაონის კაცებმა ნილოსში არ ჩააგდონო. მაგრამ ბავშვის მეტ ხანს დამალვა სახიფათო იყო. მაშინ მოსეს დედამ, „როცა დამალვა ველარ შეძლო, აიღო ლერწმის კიღობანი, შეგოზა ფისითა და კუპრით, ჩასვა შივ ბავშვი და დადო ლელაინში ნილოსის ნაპირას“ (გამ. 2,3). იქ წააწყდა ჩვილ მოსეს მდინარეზე საბანაოდ ჩასული ფარაონის ქალიშვილი, მოიხიბლა უჩვეულოდ, ლეთაებრივად ლამაზი ბავშვის ხილვით, თავისთან წაიყვანა და საკუთარი შვილივით აღზარდა. „განისწავლა მოსე ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით და იყო ძლიერი სიტყვით და საქმით“ (საქმე, 7,22).

რომ დაეაუკაცდა, ფარაონის კარზე აღზრდილმა მოსემ შეიტყო, რა შავ დღეში იყვნენ მისი თვისტომნი — ებრაელები, როგორ ავიწროებდნენ და ჩაგრავენენ ეგვიპტელნი მათ. გული აუდუღდა თავისი ხალხის გაუძლისი ყოფის შემხედვარეს. ერთ დღეს იმასაც შეესწრო, ვიდაც ეგვიპტელი ებრაელს როგორ სცემდა.



ამან ისე შეძრა, მოკლა ის ეგვიპტელი. ამის შემდეგ ეგვიპტეში აღარ დაედგა ბოდა — მკვლელობის ამბავი ფარაონის ყურამდეც მისულიყო და მოსეს შესაყარობად დაეძებდნენ.

მაშინ მადიამის ქვეყანაში გადაიხვეწა მოსე. ეს ქვეყანა მეწამული ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობდა, მისი მკვიდრნი მესაქონლეობას მისდევდნენ, მობათბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. იქ დარჩა ეგვიპტეს გამორიდებული მოსე, ერთი მადიამელი მღვდლის ოჯახში დაიღობინა.

იმ მღვდელს „გამოსვლის“ წიგნი ორი სახელით მოიხსენიებს. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სახელები „ბიბლიის“ ძველ ქართულ თარგმანებში სხვაგვარად იკითხება, ახალ, 1989 წელს გამოცემულ თარგმანში — სხვაგვარად. ძველი თარგმანების მიხედვით, იმ მადიამელი მღვდლის ერთი სახელია რაგოელი, მეორე — იოთორი. ახალი თარგმანის მიხედვით კი ერთი სახელია რელუელი, მეორე — ითრო. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „მადიამის ქვეყანა“ ძველ თარგმანებში წერია, ახალ თარგმანში „მიდიანის ქვეყანა“ გვხვდება. ასევე, იქაური მღვდლის იოთორის თუ ითროს ასულის სახელი ძველი თარგმანების მიხედვით არის სეფორა, ახალი თარგმანის მიხედვით — ციფორა.

ჩვენ ამჯერად ასე ვთქვათ: მოსე მადიამის ქვეყანაში დასახლდა, მადიამელი მღვდლის იოთორის (ანუ რაგოელის) ოჯახში, და ცოლად შეირთო იოთორის ასული სეფორა.

მაშინ ორმოცი წლის იყო მოსე. მომდევნო ორმოცი წელიწადი კიდევ დაჰყო იოთორის ოჯახში. ეს იყო მისი განწმენდისა და განბრძნობის, სულიერი სრულყოფის, ღმერთისკენ მიქცევის წლები.

ერთ დღეს, მოსე თავისი სიმამრის ცხვარს რომ მწყემსავდა ხორების მთაზე, საკვირველი სასწაული იხილა. ოღონდ, ვიდრე იმ სასწაულის ამბავს ვიტყვოდით, ის ვთქვათ, რომ ხორების მთას კიდევ შევხვდებით ქვემოთ, ასე რომ, დავიმასხოვროთ ეს სახელი.

დაინახა მოსემ, რომ მაყვლოვანს ცეცხლის ალი მოსდებოდა, მაგრამ მაყვლის ბუჩქი მაინც არ იწვოდა. მივალ და ვნახავ, რატომ არ იწვისო, — გაიფიქრა მოსემ. მაყვლოვანს რომ მიეახლა, უფლის ხმა ჩაესმა: „ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმიდა მიწაა“ (გამ. 3,5). შემდეგ უფალმა უთხრა: „მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი, იაკობის ღმერთი. სახე დაიფარა მოსემ, რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა“ (გამ. 3,6).



*მოსეს პოვნა ფარაონის ასულის მიერ.  
მერვიდშეტე საუკუნის ფრანგი მხატვრის ნიკოლა პუსენის ნახატი.*

დაუწველი მაყვლოვანის სასწაული საყოველთაოდ არის ცნობილი. ცეცხლის სახით გამოეცხადა აქ უფალი მოსეს და ამცნო, რომ ის იყო მისთა მამა-პაპათა ღმერთი, ის ერთი ღმერთი, რომლის რჩეულ ერადაც უნდა ქვეუღიყვნენ ისრაელიანები. მათგან გამოარჩია უფალმა წმინდა და საღვთო კაცი მოსე, რათა მისი მეშვეობით ებრაელები ეგვიპტელთა ტყვეობისგან ეხსნა და აღთქმულ ქვეყანაში ჩაეყვანა. ამ საქმეში მოსეს უნდა დახმარებოდა მისივე ძმა აარონი.

უფლის დავალებამ შეაკრთო მოსე, როგორც ღვთისნიერსა და თავმდაბალ კაცს, მას თავისთავი არ მიაჩნდა იმის ღირსად, რომ ესოდენ დიდი მისია შეესრულებინა. მაგრამ უფალმა გაამხნევა და აღუთქვა, რომ თანადგომასა და შეწეობას არ მოაკლებდა არც მას, არც მთლიანად ისრაელიანებს. გადაწყდა, მოსე მადიამის ქვეყნიდან ეგვიპტეში დაბრუნდა.

ასე შეუდგნენ ოთხმოცი წლის მოსე და მისი ოთხმოცდასამი წლის ძმა აარონი უძნელეს საქმეს.

ეგვიპტის მბრძანებელს ებრაელთა გაშვება, რაღა თქმა უნდა, არ სურდა - ამდენი მუქთი მუშახელი უნდა მოჰკლებოდა მის სამეფოს. ამიტომ ფარაონმა გული გაიქვავა და დიდხანს ეწინააღმდეგებოდა უფლის განზრახვას, თუმცა კი უფლის მიერ მოვლინებული სასწაულები ცხადად მიანიშნებდნენ მას, რომ ისრაელიანებს თავად მაღალი ღმერთი მფარველობდა და შეეწეოდა: ერთ დღეს, მოსე და აარონი ფარაონს რომ ეახლენ და ფარაონმა კვლავ გადაჭრით იუარა ისრაელიანთა გაშვება, მოსეს ბრძანებით აარონმა თავისი კვერთხი ფარაონს წინ დაუგლო და კვერთხი გველად იქცა; შემდეგ მოსემ თავისი კვერთხი ფარაონისა და მისი მსახურების თვალწინ ნილოსის წყალს დაჰკრა და წყალი სისხლად იქცა, რის გამოც ნილოსში თევზი ამოწყდა, მისი წყალი სასმელად უვარგისი შეიქნა; მერე იმავე კვერთხის მოღერებით ეგვიპტის ყველა წყლიდან გომბეშოები ამოხტნენ და ქვეყანას მოედევნ; მთელ ეგვიპტეს მუშლი მოეფინა, ბუზანკალი შეესია, ეგვიპტელთა საქონელი ამოწყდა, არნახულმა სეტყვამ წამოუშინა და ყველაფერი გაანადგურა, კალიები შეესიერ ეგვიპტეს, მიწა გადააშავეს, ბალახი და ხის ნაყოფი გადაჭამეს; ბოლოს „ცისკენ შემართა ხელი მოსემ და ჩამოწვა უკუნი წყვდიადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, და იდგა სამ დღეს. ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, სამ დღეს არავინ დაძრულა ადგილიდან, ხოლო ისრაელიანებს სინათლე ჰქონდათ თავიანთ სამყოფელში“ (გამ. 10,22-23).

ყოველივე ამანაც რომ ვერ მოიყვანა გონს ფარაონი, „შუალამისას მოაკვდინა უფალმა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, ტახტზე მჯდომარე ფარაონის

პირმშოდან დილეგში მჯდარი პატიმარის პირმშომდე... ფეხზე დადგენ იმ ღამით ფარაონი, მისი მორჩილები და მთელი ეგვიპტე; შეიქნა დიდი გლოვა ეგვიპტეში, რადგან არ იყო სახლი, სადაც მკვდარი არ ჰყოლოდათ. იხმო ფარაონმა მოსე და აარონი ღამითვე და უთხრა: ადექით და გაეცალეთ ჩემს ხალხს შენც და ისრაელიანებიც“ (გამ. 12,29-31).

ეს იყო ებრაელი ხალხის ცხოვრების ისტორიული დღე, ეგვიპტიდან გამოსვლის, მონობისგან თავდახსნის დაუვიწყარი დღე. გაზაფხული იდგა მაშინ, აბიბის თვე, რომელსაც შემდგომში ნისანის თვე ეწოდა და რომელიც ჩვენი კალენდრის მარტ-აპრილს უდრის. გამოსვლა მოხდა აბიბის ანუ ნისანის თვის თოთხმეტში. მის აღსანიშნავად დაწესდა პასექის დღესასწაული, რომლის დროსაც სამსხვერპლო კრავს კლავენ და უსაფუაროდ გამომცხვარ პურს ანუ უფუარ პურს (ხმადს) ჭამენ. ასე აღინიშნება ხსოვნა ეგვიპტიდან გამოსვლისა და ისრაელის ახალ ერაღ, ღმერთის ერაღ დაბადებისა.

## თავი მეორე

ეგვიპტის აღმოსავლეთი მხრიდან ქანაანის ქვეყნამდე სულ რამდენიმე ასეული კილომეტრია. ამ გზის გავლას დიდი დრო არ სჭირდებოდა. მაგრამ მოსეს პირდაპირი გზით, მოკლე გზით, ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ არ წაუყვანია თავის ხალხი, შორიდან შემოსავლელ გზას გაუყენა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ფილისტიმელთა მეთმარი ტომი სახლობდა, ისინი უბრძოლველად არ გაატარებდნენ ისრაელიანებს, ხოლო ებრაელები საბრძოლველად არ იყვნენ მზად. მონობაში ნაცხოვრები, მორჩილებას ჩვეული, სამხედრო ხელოვნებაში გაუწვრთნელი ხალხი ფილისტიმელებთან შეტაკებას შესაძლოა ეგვიპტეში გაბრუნებასაც კი არჩევდა.

ამიტომ სამხრეთისკენ გაუხვია მოსემ, უდაბნო გადაატარა და მეწამული ზღვის პირას დააბანაკა ხალხი. აქ იყვნენ მამაკაცები, ქალები, ბავშვები, „უამრავი ჭრელი ხალხი, ცხვარ-ძროხა, ურიცხვი საქონელი“ (გამ. 12,38). აქ ისიც ვთქვათ, რომ მოსეს თან მოჰქონდა იოსების ძელები. გახსოვთ ალბათ, იოსებმა ანდერძად დააგდო — როდესაც უფალი აღთქმულ ქვეყანაში დაგაბრუნებთ, ჩემს ნეშტს ეგვიპტეში ნუ დატოვებთ, მამა-პაპათა მიწას მიაბარეთო.

ვიდრე ისრაელიანები მეწამულ ზღვას მიადგებოდნენ, ეგვიპტეში ამგვარი



ამბავი დატრიალდა: ფარაონმა დიდად ინანა, ეს ამდენი მუქთი მუშახელი რომ დაკარგა; ეგვიპტელებსაც შეეცვალათ გუნება — ეს რა მოგვივიდა, ისრაელიანებს ჩვენი მორჩილებისგან რომ გავათავისუფლებთო! ამიტომ შეეკაზმა ფარაონი, რჩეული მხედრობა დარაზმა, ექვსასი საომარი ეტლი, და ისრაელიანებს დაედევნა.

ზღვის პირას დაბანაკებულებმა მათკენ გამალებით მიმავალი ეგვიპტელთა მხედრობა რომ დაინახეს, „ძლიერ შეეშინდათ და შეჰბღაველეს უფალს“, მერე მოსეს მიუბრუნდნენ:

„განა ეგვიპტეში ვერ დავიმარხებოდით, უდაბნოში რომ მოგვიყვანე სასიკვდილოდ? ეს რა გვიყავი, რატომ გამოგვიყვანე ეგვიპტიდან? განა ამას არ გეუბნებოდით ეგვიპტეში: დაგვანებე თავი და დავემორჩილებით ეგვიპტელებს, რადგან უდაბნოში სიკვდილს ეგვიპტის მორჩილებაში ყოფნა გვირჩევნია?!“ (გამ. 14, 11-12).

ეს იყო ხალხის მიერ სულმოკლეობისა და უმადურობის პირველი გამოვლინება ეგვიპტიდან გამოსვლისთანავე. ნაცვლად იმისა, რომ უფლის ნებას მიჰყოლოდნენ და უფლის მიერვე მათ წინამძღოლად დადგენილი საღვთო კაცის — მოსეს დარიგებისამებრ მოქცეულიყვნენ, პანიკით მოცული ისრაელიანები აქეთ სდებდნენ ბრალს ერისთვის თავგადადებულ წინამძღვარს და თავისუფალი ცხოვრების ნაცვლად კვლავაც მონობას ნატრულობდნენ.

ეს ამბავი დიდად ჰგავს იმ სულმოკლეობასა და უმადურობას, დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე მეფობის ხანს რომ ამჟღავნებდა ზოგიერთი ქართველი. როგორც ვიცით, დავითმა მტერთაგან შევიწროებული საქართველო ჩაიბარა და ზეკაცის უტეხი ნებისყოფით, სიბრძნითა და სიმხნევით შეუდგა ქვეყნის გადარჩენისა და აღზევებისათვის მთელი ერის დარაზმვას. და აი, მაშინაც ამბობდნენ სულმოკლე და უმადური ადამიანები: რა გახდა ასეთი, წუთითაც რომ არ მოგვასვენა ჩვენმა ხელმწიფემ, ადენ გაუთავებელ ბრძოლას და დამაბულობას ვინ გაუძღვებო! ბრძოლას, შემართებას, მამულისთვის თავდადებას მათ მოსვენებული ცხოვრება, განცხრომა და დროსტარება ერჩიათ. იმას ვერ ხვდებოდნენ, დავითის თავდადება და მხნეობა რომ არა, დასაღუპად იყვნენ განწირულნი თვითონ ისინიც და სრულიად საქართველოც.

აქ ისიც ვთქვათ, რომ მათი ეს საქციელი მოგვაგონებს აგრეთვე დღევანდელ საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს, რომელთაც დიდი თუ მცირე გასაჭირის ღირსეულად მოთმენის უნარი არ აღმოაჩნდათ და ლამის ის ინატრონ — არ გვინდა თავისუფლება, სხვის მონობაში უზრუნველად ცხოვრება გვირჩევნიაო.

ისრაელიანები ამ ყოფაში რომ იყვნენ, ისევ მოსემ გაამხნევა ისინი და უფლის ბრძანებით აშალა ბანაკი. წინ ზღვა ედვით ისრაელიანებს, უკან ფარაონის მხედრობა მოიგრაგნებოდა. მაგრამ მოსემ ზღვას კვერთხი დაადირა, წყალი გაიპო და ხალხმა ორ მხარეს კედლად მდგარი ზღვის შუა დაიწყო გავლა. დაედევნენ ეგვიპტიელები, შეჰყვენ შუაგულ ზღვაში. ყველა ებრაელი გაღმა რომ გავიდა, მოსემ კვლავ დაადირა კვერთხი ზღვას, წყალი თავის ადგილას მიიქცა და ეგვიპტელთა მთელი მხედრობა შთანთქა ცხენებიან-ეტლებიანად.

ასეთი დიდი სასწაული მოუვლინა უფალმა თავის რჩეულ ერს.

უფლის ამ დიდებულ სასწაულს – ეგვიპტელთა მხედრობისგან თავის დასხნას და მეწყამული ზღვის მშვიდობიანად გადალახვას გალობა უძღვნეს მოსემ და ისრაელიანებმა.

უნდა ვიცოდეთ, რომ „ბიბლიის“ ზოგიერთი ადგილი ლექსად არის დაწერილი. ღმერთის სადიდებლად თუ სავედრებლად შექმნილ ლექსს ქართულად გალობა ან საგალობელი ეწოდება, რადგან გალობით, სიმღერით ითქმის ხოლმე. ქვემოთ, როცა ებრაელთა უდიდესი მეფის – დავით წინასწარმეტყველის შესახებ ვისაუბრებთ, ვნახავთ, რომ მისი საკვირველი ქმნილება „ფსალმუნნი“ სწორედ გალობათა ანუ საგალობელთა კრებულია. ვინც ეკლესიაში ნამყოფია, შესაძლოა ახსოვდეს კიდევ, რომ იქ ხშირად იგალობება დავითის ესა თუ ის ფსალმუნი. მშვენიერი მოსასმენია ეს გალობა, მსმენელს თანაბარად ხიბლავს მისი სიტყვებიც და ჰანგიც, რაღაც ამალღებულს, ზესთასოფლოურს, ღვთაებრივს აზიარებს მას.

ასევე ამალღებული და შთამბეჭდავია უფლის ზემოხსენებული სასწაული-სადმი მიძღვნილი გალობა მოსესი. მას მოსეს პირველ გალობას უწოდებენ, რადგან ქვემოთ, „მეორე რჯულის“ ოცდამეთორმეტე თავის პირველ-ორმოცდამესამე მუხლებში მოსეს მეორე გალობაც არის წარმოდგენილი.

მოსეს ამ პირველ გალობას „გამოსვლის“ წიგნის მეთხუთმეტე თავის პირველი-მეთხუთმეტე მუხლები გვაცნობს.

აქ იმის თქმაც გვმართებს, რომ „ბიბლიის“ ძველ თარგმანებში საგალობლები შესრულებულია ლექსის იმ სახეობით, რომელსაც იმხანად „წყობილი სიტყვა“ ეწოდებოდა. ლექსის ეს სახეობა შემდგომში დავიწყებას მიეცა, მისი გაცნობისას მკითხველნი ველარ ხვდებოდნენ, ლექსი რომ იყო მათ წინაშე, ასე ეგონათ – ჩვეულებრივს პროზაულ ტექსტს ვკითხულობთო. „წყობილი სიტყვა“ აღადგინა დიდმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ. აი, როგორ წარმოგვიდგენს იგი მოსეს გალობას „ბიბლიის“ ძველი თარგმანის მიხედვით (აქ ნიმუშად მოტანილია პირველი ორი მუხლი):

1. უგალობდეთ უფალსა,  
რამეთუ დიდებით დიდებულ არს,  
ცხენები და მხედრები  
შთასთხნია ზღუასა.
2. შემწე და მფარველ მექმნა  
მე მაცხოვარებად  
ესე ღმერთი ჩემი,  
და ვადილო ესე  
ღმერთი მამისა ჩემისაჲ  
და აღვამაღლო ესე.

სხვაგვარად იკითხება მოსეს გალობის ეს ორი მუხლი, როდესაც ტექსტი ლექსად არ არის გაწყობილი:

1. უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს, ცხენები და მხედრები შთასთხნია ზღუასა.

2. შემწე და მფარველ მექმნა მე მაცხოვარებად ესე ღმერთი ჩემი, ვადილო ესე ღმერთი მამისა ჩემისა და აღვამაღლო ესე.

\* \* \*

მეწამული ზღვის სასწაულებრივად გადალახვიდან ცოტა ხნის შემდეგ ამ ზღვის მარცხენა ტოტის აღმოსავლეთით მდებარე სინაის უდაბნოს მიაღწენ ისრაელიანები. მოგეხსენებათ, უდაბნო იმის უდაბნოა, რომ სასმელ-საკვამელი არაფერი მოიძევება იქ. კვლავ დრტვინვას მოჰყვა ხალხი, კვლავაც წამოაყვედრეს მოსეს: „ნეტავი უფლის ხელით გავმწყდარიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ხორცილთ სავსე ქვაბებს ვუსხედით და გაძლომამდე ვჭამდით პურს! მოგვიყვანე ამ უდაბნოში, რომ შიმშილით ამოგვწყვიტო მთელი კრებული!“ (გამ. 16,3).

ესეც სულმოკლეობა იყო, რაღა თქმა უნდა. ამდენი ხნის მონობის შემდეგ თავისუფლება ეღირსათ, აღთქმული ქვეყნისკენ მიემართებოდნენ და მცირედენი გასაჭირის მოთმენაც ვერ შეძლეს, იმ დროს მისტიროდნენ, როცა ხორცილთ სავსე ქვაბებს უსხდნენ და პურიც საძლომად ჰქონდათ.

უფალმა მაინც წყალობა მოიღო, ზეციური მანანა მოუვლინა ისრაელიანებს. ეს იყო წვრილ-წვრილი, ქინძის თესლისოდენა თეთრი მარცვლები, თაფლიანი

პურის გემო ჰქონდა. ამ მარცვლებით გადაიფარებოდა ხოლმე დილდილობით მიწა ებრაელთა ბანაკის ირგვლივ. აგროვებდა ხალხი და სამყოფ პურს შოულობდა ყოველდღე. ასე გრძელდებოდა ორმოც წელიწადს, ვიდრე ებრაელნი ქანანის ქვეყანას მიაღწევდნენ.

ციურ მანანასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ. ბავშვობაში ყველას გვიჭამია გემრიელი ფაფა, რომელსაც ხშირად დამახინჯებული სახელით ვიხსენიებთ ქართველნი — „მანიკაშა“. არ ვარგა უცხოური სიტყვების ასე დაუკვირებლად გადმოღება. ეს უგვანი „მანიკაშა“ მიღებულია რუსული სიტყვებისგან „მანნაია კაშა“. ასევე, იმ მარცვლებს, რომლებისგანაც ფაფა მზადდება, რუსულად „მანნაია კრუპა“ ჰქვია, ჩვენ კიდევ ხშირად „მანიკრუპას“ ვეძახით. დავიმახსოვროთ, რომ ქართულად ითქმის მანანის ბურღული და მანანის ფაფა. „მანანა“ ამ ფაფას შესაძლოა თავისი გემოს გამო უწოდეს, ვითომ — ისეთი გემრიელია, როგორც ზეციური მანანაო, ის მანანა, უფალმა რომ გაუჩინა საზრდოდ ისრაელისა. ანდა შესაძლოა მარცვლების მცირე ზომაც იყო ამის მიზეზი.

და ერთი კიდევ. იმ ზეციური მანანის მიხედვით არის წარმოქმნილი მშვენიერი სახელი ქართველი ქალისა — მანანა. ვინც ეს სახელი პირველად დაარქვა თავის ასულს, ალბათ იმასაც გულისხმობდა, რომ ციურ მანანასავით ღვთისგან იყო ბოძებული მისი ქალიშვილი, და აგრეთვე იმასაც, რომ ამ სახელის მატარებელს ციური თვისებები უნდა ჰქონოდა — მშვენიერება, სიწმინდე, სინათლე, სხივოსნობა. გავიხსენოთ, რომ ქართველებს ძალიან გვიყვარს ქალთა სახელების დაკავშირება ზეცასთან, ციურ მნათობებთან, ციურ შუქთან: ციალა, ცისანა, ცისია, ციური, თინათინი (თინა), ნათია, ნათელა, შუქია, შუქურა, მზია, მზიანა, მზევინარი, მზისო, იამზე, იათამზე, მზეონა, მზექალა, ქალთამზე, პირიმზისა, მზიულა, გულთამზე, მთვარისა, პირმთვარისა, მარეხი და მისთანანი.

ჩვენს სათხრობს მივუბრუნდეთ. კვლავ მოინაცვლეს ადგილი ისრაელიანებმა, სინაის მთას მიუახლოვდნენ. ეს მთა სინაის ნახევარკუნძულის სამხრეთში არის წამომართული (სინაის ნახევარკუნძული მეწამული ზღვის ჩრდილოეთით მდებარეობს, ამ ზღვის ორ ტოტს შორის). იქვეა ხორების მთა, სწორედ ის, რომელზეც დაუწველი მაყვლოვანის სასწაული იხილა მოსემ. სინაი და ხორები ერთი მთაგრეხილის ორი მწვერვალია.

იმ ადგილას, სადაც დაიბანაკეს, წყალი არ იპოვებოდა. შეწუხდნენ უწყლობით ისრაელიანები, კვლავ შეუდგათ დრტვინვა, სასმელი წყალი მოგვეციო! — შეჰღალადეს მოსეს. მაშინ მოსემ უფლის ბრძანებით თავისი კვერთხი კლდეს





დაჰკრა და კლდიდან წყალი გადმოდინდა. ესეც ერთი იმ სასწაულთაგანი იყო, უფლის ბრძანებით და მისივე შეძწეობით რომ აღასრულა მოსემ.

ეგვიპტიდან გამოსვლის მესამე თვის დამდეგს მოსემ თავისი ხალხი სინაის მთასთან მიიყვანა და მის ძირას დააბანაკა.

სინაის მთასთან ყოფნა უდიდესი მოვლენა იყო ებრაელი ერის ცხოვრებაში. აქ გამოეცხადა უფალი თავის ხალხს, კვლავ დაუდო მას აღთქმა, რაც კავშირს, შეთანხმებას და აგრეთვე პირობასაც ნიშნავს, და აქვე მისცა ცხოვრებაში გასაგნები რჯული ანუ კანონები.

## თავი მესამე

უფლის ბრძანებით მოსემ თავისი ხალხი დაბლა დატოვა და თავად სინაის მთაზე ავიდა უფლისგან საღვთო რჯულის, საღვთო კანონების მისაღებად. შემდეგში ეს კანონები მან ჩაიწერა. ისინი ძირითადად გამოცემულია „ძველი აღთქმის“ წიგნებში: „გამოსვლა“, „ლევიანი“, „რიცხვნი“ და „მეორე რჯული“. მაგრამ, გარდა ამისა, მთლიანად „ბიბლიას“ ანუ „საღვთო წერილს“, „წმინდა წერილს“ კიდევ „საღვთო (საღმრთო) რჯულსაც“ უწოდებენ.

ამ რჯულის, ამ კანონების ერთი ნაწილი ზნეობის საკითხებს შეიცავს და წარმოდგენილია ყველასთვის კარგად ცნობილი „ათი მცნებით“. მეორე ნაწილში განწესებულია, თუ როგორ უნდა აღსრულდებოდეს ღვთისმსახურება, მღვდელმსახურება, მსხვერპლის შეწირვა, საღვთო დღესასწაულები. მესამე ნაწილში განსაზღვრულია სამართლის საკითხები.

უფლის მიერ ბოძებული ზნეობრივი დარიგება იმგვარია, მისი მტკიცედ დამკველი, გულმოდგინედ შემსრულებელი კაცი ცოდვას აღარ ჩაიდენს, სულიერად განიწმინდება და ამაღლდება. როგორც ამ წუთას ვთქვით ზემოთ, ეს დარიგება ჩამოყალიბებულია ათი მცნების სახით. ესლა თქვენ შეგიძლიათ ახლოს გაეცნოთ ამ მცნებებს (გამ. 20,2-17; რჯლ. 5,6-18).

**პირველი მცნება:** „მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანო ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან. არ გაიჩინო ჩემს გარდა სხვა ღმერთები“.

**მეორე მცნება:** „არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა“.

ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ. არ სცე თავიანი მათ, არცა  
ემსახურო“.

**მესამე მცნება:** „არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი“.

**მეოთხე მცნება:** „გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდაპყო იგი. ექვს დღეს იმუშავე  
და აკეთე შენი საქმეები, მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბა-  
თია“.

**მეხუთე მცნება:** „პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას, რათა დღევრბელი იყო  
და კარგად იცხოვრო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი  
გაძლევს“.

**მეექვსე მცნება:** „არა კლა“.

**მეშვიდე მცნება:** „არ იმრუშო“.

**მერვე მცნება:** „არ იქურდო“.

**მეცხრე მცნება:** „არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ“.

**მათე მცნება:** „არ ინდომო შენი თვისტომის (მოყვასის) სახლი, არ ინდომო შენი  
თვისტომის (მოყვასის) ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხვეალი, არც  
მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან“.

ეს მცნებები ორ ფიქალზე (ქვის ორ დაფაზე) იყო ჩაწერილი. ვისაც უნახავს  
სურათი, რომელზეც გამოსახულია მოსე ათი მცნების ფიქალებით ხელში, ალბათ  
შეაშწნედა, რომ პირველ, მარცხენა დაფაზე ჩამოწერილია პირველი ოთხი მცნება,  
მეორე, მარჯვენა დაფაზე – დანარჩენი ექვსი მცნება. ამის შემხედვარეთ შესაძლოა  
გაგიჩნდეთ კითხვა: უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა, ათი მცნება ორ დაფაზე  
თანაბრად განაწილებულიყო, თითო დაფაზე ხუთ-ხუთი მცნება ჩამოწერილიყო?  
თურმე არ იქნებოდა უფრო ბუნებრივი. საქმე ის არის, რომ პირველი ოთხი მცნება  
უფალს შეეხება და ღმერთისადმი ადამიანის დამოკიდებულებას განსაზღვრავს,  
დანარჩენი ექვსი მცნება კი ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას, მის ყოფას ეძღვნება  
და იმ კანონებს აწესებს, რომლებითაც ყოველმა კაცმა უნდა იხელმძღვანელოს.

ეხლა მივხედოთ საკუთრივ ამ მცნებებს, ყოველ მათგანს სათითაოდ ჩაუღრ-  
მავდეთ:

**პირველი მცნება:** „მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ  
ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან. არ გაიჩინო ჩემს გარდა

სხვა ღმერთები“.

რას გვეუბნება ეს მცნება ანუ ღარიგება? იმას, რომ ყველაზე მთავარი, რასაც ამ ცხოვრებაში ადამიანმა უნდა მიაპყროს ყურადღება, არის უფალი ღმერთი. ყოველივეს შემოქმედი და განმგებელი; შემდეგ იმას, რომ უფალი არის კაცთა შემწე და მფარველი, მან თავისი რჩეული ერი მონობისგან იხსნა და თავისუფალ ცხოვრებას აზიარა; დასასრულ, იმას, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ერთია მხოლოდ და გონიერი კაცი სხვადასხვა ღმერთებს არასგზით არ აღიარებს და თავიანთს არ სცემს.

**მეორე მცნება:** „არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მადლობაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ. არ სცე თავიანთი მათ, არც ემსახურო“.

ამ მცნების უკეთ გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველივე ხილულის, ამ ჩვენი ნივთიერი სამყაროს შემოქმედი ღმერთი თავად უხილავია - არანივთიერი, არამატერიალური, უსხეულო სულია, არანივთიერი, არამატერიალური უსხეულო ძალაა. რაიმე ხილულის, სხეულებრივის ღმერთად დასახვა და მის თავიანთისცემა უგუნურებაა, რადგან ყოველივე ხილული, სხეულებრივი ღმერთის შექმნილია, ღმერთის გაჩენილია და თვითონ როგორღა იქნება შემქმნელი ანუ ღმერთი? აი, რატომ კრძალავს უფალი კერპების ღმერთად მიჩნევას, კერპთაყვანისმცემლობას, რაც მთელ მაშინდელ ქვეყნიერებაზე იყო გავრცელებული. ისრაელიანებიც ეგვიპტეში შეჩვეულნი იყვნენ კერპებს და აუცილებელი იყო ერთხელ და სამუდამოდ შეეგნოთ, რომ ნივთიერი, სხეულებრივი საგანი ღმერთი ვერ იქნება, რომ ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ ერთია და ის არის უხილავი. ხილულის თავიანთისცემა არ ეგების.

ზოგიერთმა თქვენგანმა შესაძლოა იკითხოვს: თუკი ასეა, რატომ ვცემთ თავიანთს ხატებს, რატომ ვლოცულობთ ხატის წინაშე, ხატიც ხომ ხილული, ნივთიერი სხეულებრივი რამ არისო? საქმე ის არის, რომ ხატის წინაშე მლოცველი ქრისტიანი თვით ხატს კი არ მიიჩნევს ღმერთად, არამედ წარმოიდგენს იმას, ვინც გამოსახულია მასზე, და იმას სცემს თავიანთს, მის წინაშე ლოცულობს.

აქ ერთი რამ უნდა ვთქვათ კიდევ. როდესაც წმინდა ნინო საქართველოს მოევლინა, მას სწორედ კერპები დახვდა მცხეთასთან, არმაზის მთაზე. ქართველებს კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ და წმინდა ნინოს მოციქულებრივი ღვაწლი რომ არა, შესაძლოა კიდევ კარგახანს დარჩენილიყვნენ ამ ცდომილების წყვედიანში.

**მესამე მცნება:** „არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი“.

მეუღლე თარგმანებში ეს მცნება ამგვარად იკითხებოდა: „არა მოილო სახელი უფლისა ღმერთისა შენისა ამოსა ზედა“.

უფალი ღმერთი იმდენად დიდია, მაღალი და წმინდა, და მისი სახელიც იმდენად დიდი და წმინდაა, რომ მისი წამდაწუმ ტყუილუბრალოდ ხსენებაც არ შეიძლება და ტყუილუბრალოდ, ფუჭად მისი სახელის დაფიცებაც არ შეიძლება.

**გეოტხე მცნება:** „გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდაჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე შენი საქმეები, მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია“.

თქვენ ალბათ არ დაგვიწყებიათ, რომ ღმერთმა ექვს დღეში შექმნა ყველაფერი – მთელი სამყარო, ზეცა და მიწა, ცის მნათობები, ზღვა და ხმელეთი, მცენარეები, ცხოველები, ადამიანი. ამ ამბების მოთხრობის შემდეგ „დაბადების“ წიგნში კვითხულობთ: „გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან, რაც გააკეთა“ (დაბ. 2,2).

ეს წინადადება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს უფალი დაიღალა თავის საქმეთაგან და დასვენება დასჭირდა. ასე ჩვენ გვემართება, ადამიანებს და ჩვენი თვისებები ღმერთს არ უნდა მივაწეროთ. როგორც ღვთისმეტყველნი განმარტავენ, „დაისვენა მეშვიდე დღეს“ იმას ნიშნავს, რომ მან გაასრულა სამყაროსა და ადამიანის შექმნა და ამის შემდეგ შეწყვიტა არარაობისგან, არყოფნისგან ახალ-ახალ ქმნილებათა დაბადება, გაჩენა.

„გამოსვლის“ წიგნში, სადაც ათი მცნება წერია, ამ მეოთხე მცნებას ასეთნაირი განმარტება მოსდევს: „რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა, ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი“ (გამ. 20,11).

ესე იგი მეშვიდე დღე უფლის მიერ კურთხეული, წმინდა დღეა. ამიტომ ადამიანებსაც წმინდა დღედ, საუფლო დღედ, უქმე დღედ დაუწესდათ მსგევესის ანუ კვირიაკის მეშვიდე დღე – შაბათი. ექვს დღეს რომ იმუშავებდნენ და მეშვიდე დღეს რომ განისვენებდნენ, ამით შეინარჩუნებდნენ უფლის მიერ ექვს დღეში სამყაროს შექმნისა და მეშვიდე დღეს განსვენების დიდი სურათის ხსოვნას.

ოღონდ აქ შესაძლოა ასეთი კითხვა გაგვიჩნდეს: რატომ ითქვა აქვე ზემოთ – კვირიაკის მეშვიდე დღე, შაბათიო? ჩვენი კვირიაკე ხომ ორშაბათიდან იწყება და მისი მეშვიდე დღე ხომ კვირადღეა და არა შაბათი? (1. ორშაბათი, 2. სამშაბათი, 3. ოთხშაბათი, 4. ხუთშაბათი, 5. პარასკევი, 6. შაბათი, 7. კვირა).

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ჯერ სხვა რამ უნდა გავარკვიოთ: რატომ ჰქვია



ჩვენი კვირიაკის პირველ დღეს ორ-შაბათი, კვირიაკის მეორე დღეს — შაბათი და ასე?

იმიტომ, რომ ძველად კვირადღეს „ერთშაბათიც“ (ერთ-შაბათი) ერქვა ებრაელი კალენდრის მიხედვით. ებრაელთა კვირიაკე ორშაბათს კი არ იწყებოდა კვირადღეს იწყებოდა და კვირიაკის ბოლო დღე, მეშვიდე დღე, უქმე დღე, ჩვენთვის განსხვავებით, მათთვის შაბათი იყო და არა კვირადღე.

ესხლა წინასწარ ვთქვით ის, რაც, წესით, მეშვიდე კლასში უნდა გვესწავლა ქრისტიანთა წმინდა დღე, საუფლო დღე, უქმე დღე შაბათი კი არ არის, არამედ კვირადღეა. ძველი აღთქმის საუფლო დღე — შაბათი ქრისტიანებმა კვირადღედ შეცვალეს. ალბათ ხვდებით, რატომ მოხდა ასე: იმიტომ, რომ კვირადღეს მკვდართან ადღა იესო ქრისტე. ჩვენი კვირიაკე ორშაბათს იწყება და მისი მეშვიდე დღე კვირადღე, ქრისტეს აღდგომასთან დაკავშირებით, წმინდა დღედ, საუფლო დღედ უქმე დღედ არის დაწესებული.

ამ დღეს, კვირადღეს, მუშაობა ქრისტიანთათვის საძრახის საქმედ ითვლება. ქრისტიანი კაცი ექვს დღეს შრომობს, ყოველგვარ ამქვეყნიურ საქმეზე ზრუნავს, ხოლო მეშვიდე დღეს უფალს უბღვინის, კვირიაკის სხვა დღეებში რომ ფიქრობდა უფალზე და ღოცულობდა, კვირადღეს იმაზე მეტს ფიქრობს და ღოცულობს. საქველმოქმედო საქმეს აკეთებს, ტაძარში დადის და ასე ატარებს ამ საუფლო დღეს. ვისაც ოქტომბრის რევოლუციამდე დაწერილი მოთხრობები წაუკითხავს, ალბათ გაახსენდება, რომ კვირადღეს ეკლესიაში წირვაზე წასვლა მოუშლელ ჩვეულება იყო და მას ქალაქადაც და სოფლადაც ყველა მისდევდა.

რელიგია და კულტურის მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში დაბეჭდილ ხალხური ლექსიც მოგვაგონდეს იქნებ, „ხარი“ ერქვა იმ ლექსს და ასე მთავრდება:

წადი, ხარო, იმუშავე,  
ერთგულად მთა და ბარზედა,  
ექვსი დღე უღელში ები,  
მეშვიდეს დაწექ მხარზედა,  
ვინც კვირა-უქმით შეგაბას,  
ხელი შეაჩმეს მკლავზედა.

ასეთ დასავგობს საქმედ მიაჩნდა ქართველ ხალხს კვირადღეს მუშაობა. ურიცხვ

არ იქნება, თუ არ დავივიწყებთ ყოველსავე ამას.

ოღონდ ამის არდამვიწყებლებს ის არ უნდა გვეგონოს, თითქოს კვირადღე უქნარობისთვის და მხართებოზე წამოწოლისთვის იყოს განკუთვნილი. მეშვიდეს დაწვე მხარზედო, — ამას ხარს ეუბნებიან, თორემ კაცს, თუკი კეთილი საქმის ქმნა შეუძლია, სწორედ კვირადღეს მართებს მეტი სასიკეთო და საღვთო საქმის კეთება.

**მეხუთე მცნება:** „პატივი ეცი შენს მამას და შენს ღედას, რათა დღევრძელი იყო და კარგად იცხოვრო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს“.

ზემოთაც ითქვა: მეხუთეტი იწყება ის მცნებები, რომლებიც ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას, მის ყოფას შეეხება და იმ კანონებს აწესებს, რომელთა მიხედვითაც ყოველ კაცს მართებს იხელმძღვანელოს. და, როგორც ხედავთ, აქ პირველად დასახელებულია ღედ-მამის პატივისცემა.

აგრე იმიტომ ხდება, რომ მშობელთა პატივისცემა, მათი სიყვარული, მათდამი მორჩილება და მათზე ზრუნვა ოჯახის სიმტკიცესა და სიძლიერეს ნიშნავს. აბა დაუგვიკვირდეთ: აშლილ, არეულ-დარეულ ოჯახში ამ ოჯახის წევრები ერთიმეორეს აღარც პატივს სცემენ, აღარც უყვართ ერთმანეთი, აღარც ზრუნავენ ერთმანეთზე და ეს დიდი, დიდზე დიდი უბედურებაა. რამეთუ ოჯახის სიმტკიცე და სიძლიერე მთელი საზოგადოების, მთელი ერის სიმტკიცისა და სიძლიერის საფუძველია, ოჯახის მოშლა და დანგრევა — მთელი საზოგადოების, მთელი ერის დაცემისა და გადაგვარების დასაწყისი.

ეს კარგად, ძალიან კარგად უნდა დაიმახსოვროთ. არ უნდა გაბრიყვდეთ, როდესაც წაიკითხავთ რომელიმე ნაწარმოებს, სადაც აწეწილი და დანგრეული ოჯახი ისეა დახატული, თითქოს ჩვეულებრივს, ბუნებრივ ანდა მოსაწონ, სამაგალითო რამეს აღწერდეს იმ ნაწარმოების ავტორი; ან ფილმს რომ ნახავთ ისეთს, სადაც ოჯახის წევრები ერთიმეორეს პატივს არ სცემენ, არ უყვართ ერთმანეთი, ყველა განზე გარბის და გულმოდგინედ ანგრევს ოჯახს.

არც ერთ სიტყვას არ დაუჯეროთ, არ ენდოთ ასეთ მწერლებს, ასეთ კინოფილმებს, ამგვარ სპექტაკლებს! არავის არ ენდოთ, ვისაც ოჯახი წმინდათა წმინდად არ მიაჩნია! უნდა იცოდეთ, რომ ოჯახის სიმტკიცის მომშლელნი და დამანგრეველნი სატანის საქმეს ემსახურებიან და არა ღვთისას. რა რომ წამოიზრდებით და ცხოვრებაში უკეთ გავრკვევით, თქვენ თვითონაც მიხვდებით ამას. ზოგიერთ რამეზე ერთადაც ვისაუბრებთ უფროს კლასებში. მანამდე კი გახსოვდეთ: ოჯახს

ისევე უნდა ვუვლიდეთ და ვუფრთხილდებოდეთ, როგორც საკუთარ თავს. საკუთარ თავზე მეტადაც უნდა ვუვლიდეთ და ვუფრთხილდებოდეთ ოჯახს!

**მეექვსე მცნება:** „არა კლა“. ძველ თარგმანებში წერია: „არა კაც კლა“, — კაცი ადამიანი არ მოკლაო.

მკვლელობა საზარელი და თავზარდამცემი რომ არის, თითქოს თავისთავად ვიცით ყველამ. მაგრამ უფალი საგანგებოდაც გვაფრთხილებს და გვარიგებს. — კაცი არ მოკლაო! დავუფიქრდეთ ამას.

სიცოცხლე ყოველ ადამიანს უფალმა უბოძა, ღმერთის მიერ ვართ ყველანი შექმნილნი. სწორედ ამიტომ ძეხორციელს არ აქვს სხვისთვის, სხვა ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევის უფლება. საგულისხმოა, რომ არამცთუ სხვათა სიცოცხლის ხელყოფა გვეკრძალება, საკუთარი სიცოცხლის მოსპობაც დიდ დანაშაულად გვეთვლება. თქვენ ალბათ აქამდეც გსმენიათ, რომ ეკლესია თავის მოკლელას, თვითმკვლელობას დიდ ცოდვად მიიჩნევს. ამის შემდეგ გვეცოდინება მიზეზი თვითმკვლელობაც იგივე კაცისკვლაა, რამეთუ თავისთავი არავის შეუქმნია.

საგულისხმო ის არის კიდევ, რომ ღვთისმეტყველთა განმარტებით, მეექვსე მცნება მხოლოდ იმ ამბავს კი არ გულისხმობს, კაცი სხვას რომ კლავს ან თავი იკლავს, იმასაც გულისხმობს, როდესაც მავანი კაცი დასტურს მისცემს თუ ხელს შეუწყობს მკვლელობას, სხვა კაცს ურჩევს ან უბრძანებს — კაცი მოკალიო.

ღვთისმეტყველნი იმასაც გვასწავლიან, რომ, ვისაც ამ მცნების დაცვა სურს, მას მართებს გულისწყრომა დაიცხროს, სიძულვილი განიშოროს, მტრობა დაიფარყოს. ამის მიზეზი ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს: თუკი დავუკვირდებით მკვლელობათა მეტი ნაწილი სწორედ გულისწყრომის, სიძულვილისა და მტრობის შედეგად ხდება.

**მეშვიდე მცნება:** „არ იმრუშო“.

პირდაპირი მნიშვნელობით მრუშობა ცოლ-ქმრის მიერ ერთმანეთის ღალატით და თავისთავადაც დიდი ცოდვაა, რადგან ქორწინება, ცოლ-ქმრობა, ოჯახის შექმნის უფლის მიერ არის ნაკურთხი. მაგრამ ეს მცნება სხვა რამესაც გვასწავლის: მღაბაღ, საძრახის სურვილთა, ვნებათა, აზრთა დაოკებას. უამისოდ ფიქრიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ კაცი ცოდვების მორევში არ დაინთქას და წმინდა ცხოვრებით იცხოვროს.

**მერვე მცნება:** „არ იქურდო“. ძველ თარგმანებში წერია: „არა იპარო“.

დიდი დანაშაულია ქურდობა, საზიზღარი რამ არის. ამის თაობაზე შეიძლება და ვრცლად გვესაუბრა, მაგრამ უამისოდაც ყოველი თქვენგანი, თუკი კარგად

დაუფიქრდება, თვითონვე უნდა მიხედეს, რატომ არის ყოვლად საზიზღარი რამე ქურდობა ანუ მპარავობა.

თუმცა ერთი რამ მაინც საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ: ქურდობა ის კი არ არის მხოლოდ, სხვის ნივთს, სხვის ფულს, სხვის ქონებას ჩუმად რომ დაეპატრონება ვინმე. ისიც ქურდობაა, რაიმე საქმეს წესიერად, პატიოსნად რომ არ ვასრულებთ ხოლმე.

სულ მარტივი მაგალითი მოვიშველიოთ: ვთქვათ, წყლის ონკანი გაგვიფუჭდა, მოვიხმეთ ოსტატი, გავურიგდით, შეუდგა საქმეს და ის ჩვენი ონკანი სახელდახელოდ შეაკეთა, უგულოდ, ისე რომ მეორე თუ მესამე დღეს ისევ შესაკეთებელი შეგვექნა. არადა, თავისი გასამრჯელო სრულად მიიღო, თითქოს რიგიანად ემუშაოს. ესეც ქურდობაა.

კიდევ ერთი მაგალითი: ვთქვათ, რელიგია და კულტურის გაკვეთილს ვსწავლობ, ამ მცნებას. დამეზარა ამ მცნებებისა და მათი განმარტებების გულისყურით წაკითხვა, ამ საკითხებში ჩაღრმავება, ავდექი და ზერელედ გადავთვალიერე, რაც აქ წერია, და ამით მოვათავე საქმე.

ესეც ქურდობაა. ამ შემთხვევაში საკუთარი თავი გავმარცხე, ის ცოდნა დავაკელი საკუთარ თავს, ურომლისოდაც ცხოვრებაში წესიერად გზას ვერ გავიგნებ.

ამგვარი მაგალითი უამრავია. კარგად დავფიქრდეთ და ჩვენ თვითონვე მივაგნებთ მსგავს მაგალითებს.

**მეცხრამე მცნება:** „არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ“.

ღვთისმეტყველთა განმარტების თანახმად, ამ მცნებით იკრძალება როგორც საკუთრივ ცრუ მოწმედ დადგომა, ისე, საერთოდ, სიცრუე, ცილისწამება, უპირობა, სხვათა ძრახვა და კიცხვა, მათზე ცუდის თქმა, ცილისმწამებელთა მიერ თქმულის დაჯერება.

თუ გახსოვთ, სიცრუის თაობაზე მეოთხე კლასის სახელმძღვანელოშიც ვისაუბრეთ ვერცლად.

**მეათე მცნება:** „არ ინდომო შენი თვისტომის (მოყვასის) სახლი, არ ინდომო შენი თვისტომის (მოყვასის) ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან“.

ამ მცნებაში, როგორც ვხედავთ, იგულისხმება სამრახისი თვისებები – სიხარბე და შური. მათ შესახებაც გვქონდა საუბარი მეოთხე და მეხუთე კლასების სახელმძღვანელოებში. ღირსეული კაცი იმას უნდა დასჯერდეს, რაც თვითონ აქვს,



სხვისი ქონებისკენ, სხვისი საკუთრებისკენ არც თვალი უნდა გაექცეს, არც ვაუკუნავდეს.

## თავი მეოთხე

ზემოთ ვთქვით – უფლისგან საღვთო რჯულის, საღვთო კანონების მისაღებად მოსე სინაის მთაზე ავიდა. როგორ გადასცა, როგორ უკარნახა უფალმა მოსეს რჯული ანუ კანონები? ჩვენ ზომ ვიცით უკვე, რომ ღმერთი უხილავი, არანათიერო სულიერი არსებაა, ის ადამიანივით არ მეტყველებს, სიტყვებს არ წარმოთქვამს ჩვენსავით.

როგორ არაო, – შესაძლოა შეგვედაოს ვინმე, ვისაც „ბიბლია“ თვითონ აქვს წაკითხული, – „დაბადების“ წიგნში მრავალჯერ წერია: უთხრა უფალმა აბრაამს უთხრა უფალმა ისააკს, უთხრა იაკობსო. „გამოსვლის“ წიგნშიც, „ლევანთა“ წიგნშიც, „რიცხვთა“ წიგნშიც, „მეორე რჯულის“ წიგნშიც მრავალჯერ არის ნათქვამი: „უთხრა უფალმა მოსეს“, „უბრძანა უფალმა მოსეს“, „ელაპარაკა უფალმა მოსეს“.

საქმე ის არის, რომ ეს სიტყვები – უფალმა უთხრა, უფალმა უბრძანა, უფალმა ელაპარაკა – იმიტომ არის ნახმარი, რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, სხვაგვარად ვერ გავიგებთ, თუ როგორ გადასცა ღმერთმა ადამიანს თავისი დიადი აზრი. როცა ვინმესთვის რაიმე გვაქვს სათქმელი, გადასაცემი, ჩვენ, ჩვეულებრივ, სიტყვებით ვეუბნებით, სიტყვებით გადაეცემთ იმ ვინმეს ჩვენს აზრს, ჩვენს სათქმელს. შეჩვეულ ვართ ამას და ამიტომ „ბიბლიის“ ავტორებიც მარტივად წერენ – უფალმა უთხრა უფალმა უბრძანა, უფალი ელაპარაკაო. ჩვენთვის, „ბიბლიის“ მკითხველთათვის უფრო გასაგები რომ იყოს, იმიტომ წერენ ასე. სინამდვილეში როდესაც ღმერთმა ამა თუ იმ რჩეულ ადამიანს რაიმეს „ეუბნება“, „ელაპარაკება“, ის ჩვენთანავე სიტყვებს კი არ წარმოთქვამს, უშუალოდ აზრს გადასცემს იმ ადამიანს, სულიერად ესიტყვება მას. მაგრამ ჩვენს ენაზე ეს ღვთაებრივი ურთიერთობა უფლისა და რჩეული, სულით ამაღლებული ადამიანისა ისე გამოითქმის, თითქოს უფალმა უთხრა, უფალმა უბრძანა, უფალი ელაპარაკა კაცს.

აქ კარგად დაუუკვირდეთ იმას, რომ ყოველ ადამიანს როდი ძალუძს უფალთან ასე პირისპირ ურთიერთობა, პირისპირ „ელაპარაკა“. ეს, კვლავ ვთქვათ, მხოლოდ გამორჩეულ, სულით ამაღლებულ პიროვნებათა ხვედრია და ამგვარი პიროვნებების ერთობ მცირედნი არიან. კაცი სულიერად იმ ზომამდე რომ ამაღლდეს, ღმერთთან



მოსე.

მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ხელოვანის  
მიქელანჯელო ბუონაროტის ქანდაკება.

უშუალო კავშირი ჰქონდეს, უწინარეს ყოვლისა ზნეობრივად იმდენად წმინდა უნდა იყოს, არც ერთი ცუდი აზრი ან ცუდი გრძნობა ახლოს არ გაიკაროს, არც ერთი ცუდი საქციელი არ ჩაიდინოს, სულიერად და ხორციელად სრულიად უცოდველი დარჩეს, მისი რწმენა, მისი ღვთისმოსაობა ვერაფერმა შეარყიოს და სიყვარულისა და სიკეთის მეტი არაფერი ამოქმედებდეს.

დამეთანხმებით ალბათ, რომ ამნაირი ადამიანები ერთობ, ერთობ იშვიათად გვხვდებიან ან სულაც არ გვხვდებიან ცხოვრებაში.

მაგრამ მოსე სწორედ ამნაირი კაცი იყო — სულიერად ამაღლებული, ღივი გონების მქონე, წმინდა კაცი. მისი საფიქრალი და საზრუნავი მხოლოდ და მხოლოდ სხვათა სიკეთე, მთელი ერის სიკეთე იყო, იმისთვის იღვწოდა თავკადა დებულები, რომ ერს წმინდად ეცხოვრა, ცოდვები და ბოროტება განეშორებინა, უფლის მიერ მონიშნულ გზას არ გადასცდენოდა. ამიტომაც გამოარჩია უფალმა იგი სხვათაგან, შუამავლად აქცია თავისსა და მთელ ერს შორის, მისი მეშვეობით მიიღეს ებრაელებმა საღვთო რჯული ანუ საღვთო კანონები.

ვიდრე ეგვიპტის მონობაში იტანჯებოდნენ ისრაელიანები, საკუთარი კანონები არ ჰქონიათ. მაგრამ ეხლა უკვე თავისუფალნი იყვნენ, აღთქმული ქვეყნისკენ მიემართებოდნენ, დიდ ერად უნდა ქცეულიყვნენ, თავისი სახელმწიფო უნდა შეექმნათ. ხოლო კანონების გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებდა და ამიტომ დაუწესა მათ უფალმა ის საღვთო კანონები, რომელთა მისაღებადაც, ვიცით უკვე, მოსე სინაის მთაზე ავიდა, ხალხი დაბლა დატოვა.

ორმოც დღეს იყო მთაზე მოსე. ამასობაში ისრაელიანები გაბეზრდნენ ლოდინით. გარდა ამისა, ისინი ეგვიპტეში კერპების თაყვანისცემას იყვნენ შერვეულნი, უხილავი, ზეციური ღმერთის რწმენა უმნელდებოდათ. ამიტომ ხალხი აარონს მიადგა და მოსთხოვა — ღმერთები გაგვიკეთეთ. კერპებს გულისხმობდნენ მცირე-მორწმუნენი.

მაშინ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: აარონი უგუნურთა ნებას დაჰყვა, ხალხს ოქროს სამკაულები მოატანინა, გადაადნო და ოქროს ხბო, ოქროს ბოჩოლა გამოაქანდაკა. და იმ ოქროს კერპის შემხედვარე ისრაელიანები სიხარულით ცას ეწვივნენ — ეს არის ღმერთი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგვიყვანაო.

ამ ამბავსაც კარვად უნდა დაუუკვირდეთ.

ზემოთაც ვთქვით, რომ მოსეს ხანაში თითქმის მთელ ქვეყნიერებაზე კერპთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული. კაცის გონება ჯერ არ ამაღლებულიყო იმ აზრამდე, რომ ვერანაირი ნივთიერი, ხილული საგანი ღმერთი ვერ იქნებოდა.

ებრაელები მთელ დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი პირველნი იყვნენ იმათგან, ვინც არანივთიერი, უხილავი, ზეციური, მხოლოდ სულით, გონებით, გულით და რწმენით მისაწვდომი ღმერთის დიდ საიდუმლოს მიაკვლია. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოხდა თავად მაღალი ღმერთის წყალობით, რომელიც უფლისგან გარდამოუფინათ რჩეულ პიროვნებებს და მათ შორის – მოსეს.

უბრალო ხალხი გრძობდა მოსეს გამორჩეულობას, მის იდუმალ კავშირს უფალთან, უსმენდა და უჯერებდა თავის მოძღვარს, ცდილობდა კიდევ მისი რჩევა-დარიგებისამებრ მოქცეულიყო, რათა ჯერ კიდევ მაინც უცნობი უხილავი ღმერთი არ განერისხებინა. მაგრამ უფლისადმი ხალხის რწმენა საკმაოდ მტკიცე არ იყო. როდესაც უფალი სასწაულებს ახდენდა, ხალხი უმაღლვე ირწმუნებდა მის არსებობასაც და ძლიერებასაც. გამოხდებოდა მცირე ხანი და იმ სასწაულებსაც იეიწყებდნენ და უხილავი უფლის არსებობასაც, კვლავ ურჩობას იწყებდნენ, კვლავ კერპებისკენ მიუწევდათ გული.

ასე მოხდა ეგვიპტიდან გამოსვლისთანავე, მეწამული ზღვის პირას, ფარაონის მხედრობის დანახვისას სულმოკლეობამ რომ დარია ხელი მთელ ერს და მოსე საყვედურებით აიკლეს. სულ დაავიწყდათ, რომ უფლის ნებით და მისივე შემწეობით იყვნენ გამოსულნი ეგვიპტიდან. მეწამული ზღვის სასწაულებრივად გადალახვამ კი მოუბრუნათ გული უფლის მიმართ და მოსეს მიმართაც, მაგრამ სულ მალე, უდაბნოში რომ მოშვიდათ, კვლავ დრტყინვას მოჰყვნენ და არ დამცხრალან, ვიდრე ციური მანანა არ მოველინათ. იგივე განმეორდა უწყლო ადგილას კლდიდან წყალი რომ გადმოადინა მოსემ კვერთხის დარტყმით.

და, აი, ეხლაც მსგავსი ამბავი მოხდა: ორმოცი დღით განემორათ თუ არა მოსე, ისრაელიანებმა უფალიც დაივიწყეს, მოსეს ღვაწლიც, მისი რჩევა-დარიგებაც და კვლავ კერპებს მიექცენ, ურჯულო ცხოვრების წესი არჩიეს.

ამგვარი სულმოკლეობა, უმადურება და უგუნურება კიდევ არაერთხელ გამოავლინეს ისრაელიანებმა და ამის გამო უფლის რისხვაც არაერთხელ დაატყდათ თავს.

ერთი შემთხვევა განსაკუთრებით სავალალო გამოდგა მათთვის. მაშინ უკვე სულ ახლოს იყვნენ აღთქმულ ქვეყანასთან, იქ შესვლას აღარაფერი უკლდათ. თორმეტი კაცი შეარჩია მოსემ, ისრაელის თორმეტი ტომის თავკაცები, და გაავზავნა ქანაანის ქვეყნის დასაზვერავად, ამბის მოსატანად, ასე დააბარა:

„მიმოიხილავთ ქვეყანას – როგორია და რა ხალხი ცხოვრობს იქ, ძლიერი თუ სუსტი, ცოტანი თუ ბევრნი; როგორი ქვეყანაა, სადაც ისინი ცხოვრობენ, კარგი



თუ ცუდი; როგორი ქალაქებია, სადაც ისინი სახლობენ, ბანაკებია თუ ციხე-სიმაგრეები; როგორი მიწაა — ნოყიერი თუ მწირი, იზრდება თუ არა იქ ხე-იმარჯვეთ და წამოიღეთ მიწის ნაყოფები“ (რიცხ. 13,18-20).

მოსეს საქციელი ადვილი გასაგებია: ოთხასი წელიწადი იყო გასული მის შემდეგ, რაც იაკობი თავისი სახლუღიითურთ ქანაანიდან ეგვიპტეში გადასახლდა. ცხადია, ისრაელიანებს აღარაფერი ახსოვდათ, აღარ იცოდნენ, როგორი იყო ის ქვეყანა, უფალმა მათ საშუალო სამკვიდრებლად რომ მიუჩინა, არც ის იცოდნენ, ვინ სახლობდა იქ.

მზვერავებმა მოიარეს ქანაანის ქვეყანა და ნახეს, რომ ეს იყო მშვენიერი, აყვავებული, ნაყოფიერი მხარე, ვაზი ხარობდა იქ და ასწლეულების მანძილზე ეგვიპტეში ნაცხოვრებ ებრაელთათვის უცნობი ხეხილი. მწიფე მტევნებით დაბუნძლული ვაზი მოჭრეს და წამოიღეს მზვერავებმა, ბროწეულისა და ლელვის ნაყოფი, და ორმოცი დღის შემდეგ უკან დაბრუნდნენ.

ყოველივე წვრილად მოუთხრეს თვისტომთ: ასე და ასე, დიდებული ქვეყანაა, მართლაც რომ რძე და თაფლი დის, აჰა, იქაური ნაყოფები მოვიტანეთო. მაგრამო, — ასე თქვეს, — ძალიან ძლიერი ხალხები ცხოვრობენ იქ, ნამდვილი ბუმბერაზები, დეკაკები, მათთან შედარებით ჩვენ კალიებად ვჩანდით, თანაც კაციაშიები არიან, მათი დამარცხება შეუძლებელიაო.

იმ თორმეტი მზვერავიდან მხოლოდ ორი იყო სხვა აზრისა — იესო ნავეს ძე და ქალბი იეფუნის ძე: არაო, — იმ ორმა თქვა, — შეგვიძლია ჩვენ მათი ძლევა, ნუ შეშინდებით, უფალი ჩვენთანაა, ისინი კი უმწეოდ არიან დარჩენილნი, უეჭველად გავიმარჯვებთო!

მაგრამ დანარჩენების მონათხრობით თავზარდაცემულ ხალხს აღარაფრის გაკონება აღარ სურდა. დრტყინვა შეუდგა მთელ ერს — ეს რა ვქენით, სად მოვედით თავის დასახოცად, აქ რა გვინდოდა, ეხლავე მეთაურები დავიყენოთ და ეგვიპტეში დავბრუნდეთო!

თან იესო ნავეს ძეს და ქალბი იეფუნის ძეს ჩაქოლვა მოუნდომეს.

მაშინ იყო, უფალმა რომ უთხრა მოსეს:

„როდემდის უნდა მგმობდეს ეს ხალხი, როდემდის არ უნდა სჯეროდეს ჩემი და იმ სასწაულებისა, რომლებიც მათ შორის მოვახდინე?! ვერც ერთი იმათგანი, ვინც იხილა ჩემი დიდება და სასწაულები, ეგვიპტეში და უდაბნოში რომ მოვიმოქმედე, ათასგზის რომ გამომცადა და მაინც არ დაიჯერა ჩემი სიტყვა, ვერ იხილავს იმ ქვეყანას, რომლის მოცემასაც შევპირდი მათ მამა-პაპას, ვერც ერთი ჩემი



აღთქმული ქვეყნის მზვერავნი.  
მერვიდმეტე საუკუნის ფრანგი მხატვრის ნიკოლა პუსენის ნახატი.



მემობელი ვერ იხილავს მას... ორმოცი წელი იქნებით დასჯილი თქვენი დანაშაულის გამო“ (რიცხ. 14,11, 14,22-23, 14,34).

ორმოცი დღის სავალიც აღარ იყო დარჩენილი აღთქმულ ქვეყანამდე და კიდევ ორმოც წელიწადს ვერ ეღირსებოდათ ისრაელიანებს იქ შესვლა, ეგვიპტიდან გამოსულ არც ერთ ებრაელს არ ეღირსებოდა ნანატრი ქვეყნის ხილვა, რადგან მრავალგზის დაადასტურეს, რომ მონობაში გაზრდილებს მონური სული გამოხელოდათ და ყოველ შეფერხებაზე უკანვე, ეგვიპტეში გაქცევა ეწადათ სულმოკლედ. ამიტომ აღთქმულ ქვეყანას ის თაობები იხილავდნენ, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ რომ გაჩნდებოდნენ და ჭეშმარიტი ღმერთის მოუშლელი რწმენა ექნებოდათ.

ძველი თაობიდან მხოლოდ ორ ღვთისმოსავ კაცს უბოძა ღმერთმა აღთქმულ ქვეყანაში შესვლის უფლება – ზემოხსენებულ იესო ნავეს ძეს და ქალებ იფუნი ძეს.

ასე გაიწირეს თავი სულმოკლე ადამიანებმა აღთქმული ქვეყნის სიახლოვეს ორმოც წელიწადს უდაბნოში სახეტილოდ. ამის თაობაზე „ბიბლიაში“ ნათქვამია: „აღინთო უფლის რისხვა ისრაელის მიმართ და ახეტიალებდა მათ უდაბნოში ორმოც წელს, ვიდრე არ გარდავიდა მთელი თაობა, რომელიც ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში“ (რიცხ. 32,13).



რაც უნდა უგუნურად მოქცეულიყვნენ ისრაელიანები, რაგინდ დიდი ცოდვები ჩაედინათ, საღვთო კაცს – მოსეს მაინც თავდავიწყებით უყვარდა თავისი ერი და გამუდმებით ავედრებდა უფალს ამ ერს, გულმხურვალედ შესთხოვდა, მიეტევებინა მისთვის ცოდვები. ამასთან ერთად, მოსე დაუცხრომლად ზრუნავდა ისრაელიანთა საზოგადოების გონივრულად მოსაწყობად, ისეთი წესწყობილების შემოსაღლებად, რომლის დროსაც ხალხის ყოველდღიური ცხოვრება თვითდინებას კი არ იქნებოდა მინდობილი, გარკვეულ წესებს დაემორჩილებოდა, მწყობრი კალაპოტით წარმართებოდა და, ამასთანავე, სულიერი ცხოვრებაც ისე მოწესრიგდებოდა, რომ ღმერთი არ დაევიწყებინათ ისრაელიანებს და მისთვის შესატყვისი პატივი მიეგოთ, უფლის მიერ ბოძებულ მცნებათა თანახმად გაეტარებინათ წუთისოფლის დღეები.

ამ მიზნის შესასრულებლად ერთ-ერთი საშუალება ის იყო, რომ „გამოართვა“ მოსემ მაგარი ხალხი მთელი ისრაელიდან და დანიშნა ისინი ერის თავკაცებად –

ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად. განსჯიდნენ ისინი ერს ყოველ დროს, მძიმე საქმეს მოსეს მოახსენებდნენ, ხოლო წვრილმან საქმეებს თავად წყვეტდნენ“ (გამ. 18,25-26).

ერის სულიერ ცხოვრებას ლევის ტომის წარმომადგენელი უნდა გასძლიოდა. ამ საქმეს მოსემ სათავეში ჩაუყენა თავისი ძმა აარონი, ის იყო ებრაელთა პირველი მღვდელმთავარი და მისი შთამომავლობიდან ყოველი პირმშო შვილი ამ წოდების მფლობელი იქნებოდა. მღვდელმთავარს ემორჩილებოდნენ მღვდლები, რომლებიც აგრეთვე აარონის შთამომავალთაგან შეირჩეოდნენ. ღვთისმსახურებს ეხმარებოდნენ სხვა ლევიანები — ლევის ტომის შთამომავალი.

ლევიანებისთვის დაკისრებული მოვალეობა იმგვარი იყო, მათ ნაკლებად ექნებოდათ დრო საიმისოდ, რომ მიწა ეხნათ და ეთესათ ან ცხვარ-ძროხა ეძოვებინათ. ამიტომ როდესაც მოსემ ისრაელიანთა ყველა ტომს წინასწარ განუსაზღვრა ქანანის ქვეყანაში დასამკვიდრებელი ესა თუ იმ მხარე, ლევიანებს ცალკე მიწები არ მიუჩინა, მათ მთელ ქვეყანაში უნდა ეცხოვრათ და ღვთისმსახურება და მღვდელმსახურება აღესრულებინათ.



ერთხელ უკვე ვთქვით, რომ ყოველივე, რაც აქამდე იყო მოთხრობილი, გადმოცემულია „ძველი აღთქმის“ პირველ ხუთ წიგნში. ამ წიგნთა სახელწოდებებია: „დაბადება“, „გამოსვლა“, „ლევიანი“, „რიცხვნი“, „მეორე რჯული“. მათ ერთად უწოდებენ ხუთწიგნულს, მოსეს ხუთწიგნულს, რადგან ეს ხუთივე წიგნი საღვთო კაცის — მოსეს მიერ არის დაწერილი ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში. მოსეს ხუთწიგნულს ებრაულად „თორა“ („კანონი“) ჰქვია.

## თავი მესამე

„ას ოცის წლისა იყო მოსე, როცა მოკვდა, და არც თვალს აკლდა და არც სახე ჰქონია დანაოჭებული“, — მოგვითხრობს „ბიბლია“ (რჯლ. 34,7). მაღალ მთაზე აღესრულა მოსე, საიდანაც თითქმის მთელი ქანანი ანუ აღთქმული ქვეყანა იყო მის წინაშე გადაშლილი. იქვე, ხელის გასაწვდენზე ჩანდა ის ქვეყანა, მდინარე იორდანეს გადაღახვა იყო მხოლოდ საჭირო იქ შესასვლელად. მაგრამ უფლის



ნებით ეს საქმე სხვას უნდა აღესრულებინა, აღთქმულ ქვეყანაში ისრაელიანებს უნდა შეეყვანა იესო ნავეს ძეს.

ეს სახელი ზემოთ უკვე ვახსენეთ – მოსემ ქანაანის ქვეყნის დასახვერავად თორმეტი კაცი რომ გააგზავნა, მათგან ერთი იესო ნავეს ძე იყო სწორედ. თუ ვახსოვთ, ის არწმუნებდა ისრაელიანებს – ნუ შედრკებით, უფალი ჩვენი შემწეა. ქანაანელთა დამარცხებას უეჭველად შევძლებთო. მაშინ ისიც ვთქვით, რომ აღთქმული ქვეყნის ხილვის უფლება ძველი თაობიდან მხოლოდ იესო ნავეს ძეს და ქალბ. იეფუნის ძეს ებოძათ.

და, აი, დადგა ის დიდებული, ნანატრი ჟამი – აღთქმულ ქვეყანაში შესვლის ჟამი. მოსე აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ ისრაელიანებს მისი მემკვიდრე უნდა გასძლოლოდათ – იესო ნავეს ძე.

„იესო ნავეს ძე აღვსილი იყო სიბრძნის სულით, რადგან ხელი დაასხა მას მოსემ, და ემორჩილებოდნენ ისრაელიანები, როგორც უბრძანა მოსემ“ (რგლ 34,9).

მაინც ვინ იყო იესო ნავეს ძე, რით დაიმსახურა ესოდენ დიდი პატივი – მოსეს მემკვიდრის, მთელი ერის წინამძღოლის უფლება?

იესო ნავეს ძე პირველად „გამოსვლის“ წიგნში იხსენიება (17,9), როდესაც ისრაელიანებს სარდლობს ამაღლეთან ბრძოლისას. ამაღლეკი ეგვიპტესა და ქანაან შორის მოსახლე ძლიერი მეომარი ტომი იყო. ისინი დაესხენ თავს სინაის ნახევარკუნძულზე დაბანაკებულ ისრაელიანებს და იესო ნავეს ძემ სძლია მათ.

შემდეგ მას სინაის მთასთან ვხვდავთ. მოსე მთაზე რომ უნდა ავიდეს უფლის წინაშე პირისპირ წარსადგომად, იესო ნავეს ძე უკანასკნელი მიაცილებს დიდ მოძღვარს (გამ. 24,13). შემდგომშიც მოსეს დამხმარე და ხელშემწყობია ღვთის-მსახურების აღსრულებისას, მოსეს წინაშე უფლის გამოცხადებისას (გამ. 33,11).

ბოლოს მოსეს შემდეგ ყველაზე გამორჩეულ პიროვნებად ვხვდავთ იესო ნავეს ძეს:

„უთხრა უფალმა მოსეს: წაიყვანე იესო ნავეს ძე, რომელშიც არის სული, და დაასხი მას ხელი. დააყენე იგი ელეაზარ მღვდლის წინაშე და მთელი საზოგადოებ.ის წინაშე და დამოძღვრე ყველას თვალწინ. უწილადე შენი დიდება, რომ ემორჩილებოდეს მას ისრაელიანთა მთელი საზოგადოება... ყველაფერი შეასრულა მოსემ როგორც უბრძანა უფალმა“ (რიცხვ. 27,18-20, 27,22).

ვიდრე თხრობას განვავრძობდეთ, დაუუკვირდეთ „რიცხვთა“ წიგნის ამ ციტატას.

წაიყვანე იესო ნავეს ძე, რომელშიც არისო სული, — ბრძანებს უფალი. რას ნიშნავს ეს გამოთქმა, სული ხომ ყოველ კაცს უდგას? როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ამადლებული, ღვთაებრივი მადლით შუქვენილი სული ღრმადმორწმუნე ღმრთისკაცისა.

წაიყვანე და ხელი დაასხიო, — უბრძანებს შემდეგ უფალი მოსეს. ხელის დასხმა, ხელდასხმა საგანგებო გამოთქმაა და ნიშნავს ისეთ მოქმედებას, როდესაც ზემდგომი სასულიერო პირი ქვემდგომს თავზე ხელს დაადებს და აკურთხებს, რის შემდეგაც ნაკურთხი, ხელდასხმული, ახალ, უფრო მაღალ ხარისხზე ასულად ითვლება. ამჯერად მოსემ იესო ნავეს ძე ისრაელიანთა წინამძღვრად აღაზევა.

ელეაზარ მღვდლის წინაშე დააყენეო. ელეაზარი იყო აარონის ძე და მამამისის გარდაცვალების შემდეგ მან მიიღო ისრაელიანთა მღვდელმთავრობა.

იესო ნავეს ძეს უწილაღე შენი დიდება, რათა მას ისრაელიანთა მთელი საზოგადოება ემორჩილებოდესო, — მიმართავს უფალი მოსეს. „ბიბლიის“ განმარტებულთა აზრით, ამ სიტყვებით იგულისხმება, რომ მოსეს თავისი ძალაუფლების ნაწილი სიცოცხლეშივე უნდა გადაეცა იესო ნავეს ძისთვის, სიცოცხლეშივე ექცია თავის მემკვიდრედ.

და ბოლოს — უმთავრესი: იესო ნავეს ძე რომ მართლაც გამორჩეული, სხვა ისრაელიანებზე აღმატებული კაცი იყო, იქიდან ჩანს, რომ მას უფალი ისევე შეესიტყვა, როგორც მოსეს ესიტყვებოდა:

„უბრძანა იესო ნავეს ძეს და უთხრა: გამაგრდი და განმტკიცდი, რადგან შენ შეიყვან ისრაელიანებს ქვეყანაში, რომელიც აღუუთქვი მათ. მე ვიქნები შენთან“ (რჯლ. 31,23).

ეხლა ჩვენ მოკლედ უნდა გავეცნოთ „ბველი აღთქმის“ იმ წიგნს, რომელსაც სწორედ „იესო ნავეს ძე“ ჰქვია. ეს წიგნი მოსეს ხუთწიგნეულს მოსდევს და იმას მოგვითხრობს, თუ როგორ დასახლდნენ ისრაელიანები აღთქმულ ქვეყანაში მოსეს მემკვიდრის — იესო ნავეს ძის თავკაცობით.

ეს წიგნი იმით იწყება, რომ უფალი კვლავ მიმართავს იესო ნავეს ძეს:

„მოკვდა ჩემი მორჩილი მოსე. ეხლა ადექი და გადალახე ეს იორდანე მთელი ერთიუროთ და შედი იმ ქვეყანაში, რომელიც მოგეცით თქვენ, ისრაელიანებს“ (იესო, 1,2).

ეს იყო ის დიდებული, ის ნანატრი ჟამი — აღთქმულ ქვეყანაში შესვლის ჟამი, ზემოთ რომ ვახსენეთ.

მდინარე იორდანე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ

მიედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, თითქმის მთელ პალესტინას გადასერიდა და მკედარ ზღვას ერთვის. საღვთო ისტორიის უამრავი ამბავი უკავშირდება წმინდა მდინარედ წოდებულ იორდანეს. მათგან ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ მდინარეში ნათლავდა ხალხს იოანე ნათლისმცემელი და აქვე ნათელილო ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ. ამის თაობაზე დაწვრილებით მეშვიდე კლასში ვისაუბრებთ.

ისრაელიანები აღმოსავლეთის მხრიდან მიადგნენ იორდანეს მის შესართავთან ახლოს. მდინარის გაღმა უკვე აღთქმული ქვეყანა ელოდებოდათ.

მაგრამ გაღმა გასვლა ადვილი საქმე არ იყო. იორდანე კარგა დიდი და ჩქარი მდინარეა, მისი გადალახვა ერთ მხედარსაც გაუჭირდებოდა, არამცთუ დედაწულა ანად, საქონლიან-ბარგიანად ამგზავრებულ ორმილიონიან ერს. იცოდა ეს იესო ნავეს ძემ და ამიტომ თვითონაც გულმოდგინედ ემზადებოდა და ერსაც ამზადებდა ამ ისტორიული მომენტისთვის. მისი სიმხნევის უმთავრესი წყარო მაინც უფლის ბრძანება იყო — ეხლა ადექი და იორდანე გადალახეო.

ისიც უთხრა უფალმა:

„გამაგრდი და მტკიცედ დეგ, რადგან შენ უნდა დაუმკვიდრო ამ ხალხს ის ქვეყანა, რომლის მიცემასაც შევპირდი მათს მამა-პაპას. ოღონდ გამაგრდი და მტკიცედ დეგ მთელი რჯულის აღსრულებაში, რაც გიანდერძა მოსემ, ჩემმა მორჩილმა. არ გადაუხვიო მისგან არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, რომ ყველგან წარმატებით იარო“ (იესო, 1,6-7).

გამაგრდი და მტკიცედ დეგ! — არდასაიწყი სიტყვებია. ყოველი კაცი უფლის ამ სიტყვებს უნდა უმეორებდეს თავისთავსაც, სხვებსაც განსაცდელის ჟამს, მნიშვნელოვანი საქმის აღსრულების ჟამს: გამაგრდი და მტკიცედ დეგ!

უფლის შეწევნით გადალახეს ისრაელიანებმა იორდანე. ეხლა მათ უნდა დაეპყროთ ქანაანის ქვეყანა. არც ეს იყო იოლი საქმე, კარგად გამაგრებულ ქალაქები ჰქონდათ იმ ქვეყანაში, ძლიერი ჯარები ჰყავდათ. მაგრამ უფალი ღმერთი შეეწეოდათ ისრაელიანებს და წინ უძღოდათ საღვთო კაცი — უკვე ოთხმოც წელს გადაცილებული იესო ნავეს ძე, მოსეს მემკვიდრე, სამხედრო ხელოვნებაში გაწაფული მხედართმთავარი და ერის წინამძღოლი.

პირველი ქალაქი, რომელსაც ისრაელიანთა მხედრობა მიადგა, იერიქონი იყო. თითქოსდა მიუვალი ციხე-სიმაგრე ჩანდა. იესო ნავეს ძემ ამგვარი ხერხი იხმარა შვიდი დღის განმავლობაში გარს უკლიდნენ ისრაელიანები ციხის კედლებს, შედამღვდელი ბუკს აყვირებდა ძლიერად. მეშვიდე დღეს შვიდგზის შემოუარეს ქალაქს.

საყვირების ხმა იქაურობას აყრუებდა. ბოლოს იესო ნავეს ძის ბრძანებით, იზრიალა ხალხმა, დიდი ყიჟინა დასცა და ჩამოიქცა მაღალი გალაენის კედლები. ასე აიღეს ქალაქი იერიქონი.

აქ გავიხსენოთ, მეხუთე კლასში რაც ვისწავლეთ: ჩვენში დღემდე გავრცელებული გამოთქმა — იერიქონის საყვირით ხშიანებსო. ესლა უკეთ გვეცოდინება, რას უკავშირდება ეს გამოთქმა.

ექვს წელიწადში დააპყრობინა იესო ნავეს ძემ ისრაელიანებს ქანაანის მთელი ქვეყანა, ბრძოლით აიღეს უამრავი ქალაქი, ყველგან გაუმარჯვდათ. იმ ბრძოლებიდან ჩვენ ერთის ამბავი ვთქვათ მხოლოდ.

ქანაანის ქვეყნის სუთი ქალაქის მეფენი შეკავშირდნენ ისრაელიანთა წინააღმდეგ, დიდი ლაშქარი შეყარეს. ბრძოლა სახელგანთქმულ ქალაქ გაბაონთან მოხდა. იესო ნავეს ძემ ღვთის შეწევნით სასტიკად დაამარცხა მტერი. მაგრამ მოკავშირეთა მრავალრიცხოვანი მხედრობის ბოლომდე განადგურება დღისით აღარ ესწრებოდა. არადა, ღამით თავს უშველიდნენ ისინი და მერე ხელახლა გაუმართავდნენ ბრძოლას.

და მაშინ იესო ნავეს ძემ საკვირველი რამ მოიმოქმედა, მზეს უბრძანა: „მზეო, დადექ გაბაონის თავზე!“ და ამის შემდეგ „დადგა მზე... იდგა მზე შუაგულ ცაში და თითქმის მთელ დღეს აყოვნებდა ჩასვლას“ (იესო, 10,12-13). ასე რომ, იმ დღის ხანგრძლივობამ დიდად მოიმატა და იესო ნავეს ძემ მოამთავრა დაწყებული საქმე.

„მზის დადგომის“ სასწაული ფრიად დამაფიქრებელია. ჩვენ ზომ ვიცით უკვე, რომ ჩასვლა-ამოსვლა თუ ცაზე მოძრაობა მზისა დედამიწის ირგვლივ მის ბრუნვას კი არ ნიშნავს, არამედ სწორედ იმას, რომ დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის ირგვლივ და ამის გამო გვეჩვენება, თითქოს მზე მოძრაობდეს. ასე რომ, მზე რომ „დადგეს“ ანუ შეჩერდეს ცაზე, საამისოდ დედამიწამ უნდა შეწყვიტოს ან შეაყოვნოს თავისი ღერძის ირგვლივ ტრიალი.

გაბაონის სასწაული ჩვენთვის კიდევ ერთი მხრივ არის საინტერესო. მეათე საუკუნის ერთ ქართულ ნაწარმოებში — ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ამგვარი ამბავია მოთხრობილი: ბერი სერაპიონი და მისი თანმხლებნი ერთ მნიშვნელოვან საქმეს აღასრულებენ, მაგრამ უგვიანდებათ, დრო არ ჰყოფნით, მზე უღმობლად მიიწვეს დასალიერისკენ და საღამო ახლოვდება. არადა, მათ სწორედ მზის ჩასვლამდე უნდა მოასწორონ თავისი საქმე. მაშინ სერაპიონ ზარზმელს გაახსენდება, როგორ შეაჩერა გაბაონთან ცაზე მზე იესო ნავეს ძემ, და თვითონაც მოიწადინებს მზის დაყენებას, დროის მსვლელობის

შეჩერებას.

\* \* \*

ქანაანის ქვეყანაში ისრაელის რომელ ტომს რომელი მხარე უნდა დარჩენოდა, ეს ჯერ კიდევ იაკობმა დაიბარა ანდერძად. შემდეგ მოსემაც დაადასტურა ეს განაწესი. ამიტომ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ იესო ნავეს ძემ სწორედ დღევანდელი წინაპრების განჩინების მიხედვით დაუნაწილა მიწები ისრაელის თორმეტ ტომს.

ამის წამკითხველებს შესაძლოა გაგვახსენდეს აქვე ზემოთ ნათქვამი: ლევის ტომის ხალხს ცალკე მიწა არ მიუჩინეს, რადგან ისინი მღვდელმსახურებს აღასრულებდნენ და ქვეყნის ყოველ კუთხეში მართებდათო ყოფნა. თუ ასეა, მაშინ ქვეყანა თორმეტ მხარედ კი არ უნდა დანაწილებულიყო, თერთმეტად უნდა დაყოფილიყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ იაკობის შვილთაგან იოსების შთამომავალი ერთ ტომად კი არ ჩათვლილან, ორ ტომად ჩაითვაღენ იოსების ორი ვაჟის — მენაშესა და ეფრემის საგვარეულოთა მიხედვით. ასე რომ, ქვეყანა მაინც თორმეტ მხარედ დანაწილდა.

რეუბენისა და გადის შთამომავალი, აგრეთვე მენაშეს ტომის ერთი ნახევარი მკვდარი ზღვისა და იორდანეს აღმოსავლეთით დასახლდნენ, იუდასა და სიმონის შთამომავალი — ქანაანის ანუ პალესტინის უკიდურეს სამხრეთში, მკვდარ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვას შორის, მათ ჩრდილოეთით — დანის, ბენიამინისა და ეფრემის შთამომავალი დაემკვიდრენ, აგრეთვე — მენაშეს ტომის მეორე ნახევარი, კიდევ უფრო ჩრდილოეთით — ისაქარის, ნაფთალის, ზებულონისა და აშერის ტომები.

ასე დასრულდა ახალი სამკვიდრებელი ქვეყნის დაყოფა.

აქ ერთ რასმე მივაპყროთ ყურადღება. როდესაც ესა თუ ის ქვეყანა, ესა თუ ის ერი ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ტომებისგან შედგება, ეს ერთი მხრივ, ნამდვილი მშენებაა ამ ქვეყნის, ამ ერისა: თითოეულ ტომს ერის ცხოვრებაში, მის ისტორიაში თავისი განსაკუთრებული წვლილი, გამოჩენილი ხასიათი და კოლორიტი შეაქვს და ამით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს საერთო პალიტრას. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ქვეყნისთვის, ერისთვის უბედურებაა და ცუდი იქცევა ზოგჯერ, შესაძლოა — ხშირადაც. ეს მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც სხვადასხვა ტომები ერის საერთო ინტერესებს არად ჩააგდებენ, თავ-თავის ეწინააღმდეგებიან და სხვათაგან გაკიდევანდებიან. ასეთ შემთხვევებში ეს ტომები

ქვეყნის საერთო მტერს კი აღარ ებრძვიან, ერთმანეთს ებრძვიან, და ამით, ცხადია, მთლიანად ქვეყანა უძღურდება და საბოლოოდ ყველა ტომი უბედურდება.

ზოგიერთი თქვენგანი ალბათ მიხვდა კიდევ, რატომ წამოვიწყეთ ეს საუბარი. თორმეტ ტომად დანაწილებამ ისრაელიანებს შემდგომში სიკეთეც ბევრი მოუტანა, მაგრამ უბედურებაც არაერთი დაატეხა. და ამ მხრივ ებრაელი ერის თავგადასავალი ძალიან ჰგავს ჩვენს ისტორიას, ქართველი ერის ისტორიას.

თქვენ უკვე იმ ასაკში ხართ, როდესაც უნდა იცოდეთ, რა იყო დიდი საქართველოს დამხობის და, იქიდან მოყოლებული, ჩვენს თავს დამტყდარი აურაცხელი უბედურების უმთავრესი მიზეზი: სწორედ ერის ერთიანობის გრძნობის დაკარგვა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებად დანაწილება, სხვადასხვა ტომების დაუსრულებელი თავკერძობა, ურთიერთშორის გაუთავებელი კინკლაობა და ქიშპობა ანუ შინა-აშლილობა იყო უმთავრესი მიზეზი. ასე რომ არა, ერთიანი საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად რომ არ დანაწევრებულიყო, მაშინდელ და მერმინდელ თავის მტრებს უჭირველად გაუმკლავდებოდა და ბოლოს, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, დამოუკიდებლობასაც არ დაკარგავდა.

სავალალო ის არის, ეს ტომობრიობა, კუთხურობა, ქვეყნისა და ერის ერთიანობის გრძნობის მოჩლუნგება ზოგჯერ დღესაც კი იჩენს თავს ჩვენს ცხოვრებაში: ის ქართლელია, ის — კახელი, ის — იმერელი, მეგრელი, გურული, აჭარელი, მესხი, ლეჩხუმელი, რაჭველი, ფშაველი, ხევსური, თუში და ასე უსასრულოდ.

გვახსოვდეს: ეს დამღუპველი უგუნურება თუ არ მოვიშაღეთ ქართველებმა, ჩვენს ქვეყანას კიდევ არაერთ უბედურებას დაატეხს თავს.

## თავი მეექვსე

„იესო ნავეს ძის“ წიგნს „ბიბლიაში“ მოსდევს წიგნი „მსაჯულნი“.

მოსესა და იესო ნავეს ძის შემდეგ ხალხს წინამძღვარი აღარ ჰყავდა, უწინამძღვროდ ცხოვრება კი ძნელი იყო ისრაელიანებისთვის. მათი ახალი სამშობლო მტრებით იყო გარემოცული, თვით ქვეყნის შიგნითაც მრავლად სახლობდნენ უცხო ტომები, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს ებრაელებს. გარდა ამისა, ხალხის ნაწილი მეზობლების გაელენით ივიწყებდა ჭეშმარიტ ღმერთს და თავყანს სცემდა წარმართულ ღვთაებებს. სარწმუნოებას საფრთხე ექმნებოდა.

ამ საქმეს იმით ეშველა, რომ მსაჯულები გაიჩინეს ისრაელიანებმა. მსაჯული

ომიანობის დროს ჯარს სარდლობდა, მშვიდობიანობის დროს ქვეყნის საქმეებს განაგებდა, ხალხს სამართალს უჩენდა, სასულიერო ცხოვრებასაც აწესრიგებდა. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ძველი წელთაღრიცხვის მეთერთმეტე საუკუნის მანუარულს მეფე არ დაისვენს ისრაელიანებმა. ამიტომ იესო ნავეს ძედან მეფობის შემოდებამდე განვლილ დროს ებრაელი ერის ისტორიაში მსაჯულთა ხანას უწოდებენ და ამიტომვე ჰქვია „მსაჯულნი“ „ძველი აღთქმის“ იმ წიგნს, რომელშიც ძველი დროინდელი ამბებია მოთხრობილი.

სულ თოთხმეტი მსაჯული ჰყავდათ ისრაელიანებს. ცოტა რამ ვთქვათ ზოგიერთი მათგანის შესახებ.

რიგით მეოთხე მსაჯული დებორა იყო, ქალი, საქვეყნო საქმეთა სიბრძნით გამრიგე. მსაჯულად მის დადგომამდე ქანაანელნი კვლავ მომძლავრდნენ. „უკუ მართად იქცეოდნენ ისრაელიანები უფლის თვალში და უფალმა ხელში ჩაუკვლი ისინი იაბინს, ქანაანის მეფეს... შეჰღალადეს ისრაელიანებმა უფალს, რადგან იაბინი ცხრაასი დარკინული ეტლი ჰქონდა და სასტიკად ჩაგრავედა ისრაელიანებს უწელიწადს“ (მსაჯ. 4,1-3).

მტერთან საბრძოლველად დარაზმა თვისტომნი დებორამ, ათიათასიან ლაშქარს გულოვანი მეომარი ბარაკი უსარდლა და მოსრეს ქანაანელთა მხედრობა, და გამარჯვება მოიპოვეს. ამ გამარჯვების აღსანიშნავად საგალობელი შეთხზა დებორამ.

ზემოთ უკვე ვახსენეთ მოსეს პირველი და მეორე გალობა, მაშინ ისიც ვთქვათ რომ „ბიბლიის“ ზოგიერთი ადგილი ლექსად არის დაწერილი. დებორას გალობა („მსაჯულთა“ წიგნის მეხუთე თავი) ბიბლიური პოეზიის ნიმუშია. რამდენიმე სტრიქონი ვნახოთ ჭაშნიკად:

ისმინეთ, მეფენო, ყური მომაპყართ, მთავარნო,  
 ეს მე ვარ, მე ვუგალობ უფალს, მე ვუმღერი უფალს,  
 ისრაელის დმერთს...  
 სიცოცხლე ჩამკვდარიყო ისრაელის დაბა-სოფლებში,  
 ჩამკვდარი იყო, ვიდრე არ აღვდექი მე, დებორა,  
 ვიდრე არ აღვდექი მე, დედა ისრაელში...  
 თეთრ სახედრებზე ამხედრებულნო, ხალიჩებზე ფეხმორთხმულნო,  
 გზებზე ქვეითად დამავალნო, თქვით საგალობელი!..  
 გაიღვიძე, გაიღვიძე, დებორა!

გაიღვიძე, გაიღვიძე, იმღერე საგალობელი!  
 აღიძარ, ბარაკ, დაატყვევე შენი დამატყვევარი!  
 ყველა მტერი ასე დაგელიოს, უფალო!  
 მისი მოყვარულნი ამომავალ მზესავით გაძლიერდნენ!

ღებორას წყალობით კარგა ხანს მოსვენებული იყო ქვეყანა, მაგრამ შემდგომში კვლავ იძალეს მტრებმა. „დამძიმდა მიდიანის ხელი ისრაელზე, იზიზნებოდნენ ისრაელიანები მიდიანისგან მთებში, გამოქცაბულებში და მიუვალ ადგილებში. როგორც კი მოამთავრებდა ისრაელი ზენა-თესვას, მოვიდოდნენ მიდიანი, ყაძალეკი, კედემიანები და მოედებოდნენ ისრაელს. ჩამოსახლდებოდნენ მათ მიწაზე, გააჩანაგებდნენ მთელ მოსავალს ღაზამდე, აღარაფერს უტოვებდნენ ისრაელს თავის სარჩენად, არც ცხვარს, არც ძროხას, არც სახედარს. მოდიოდნენ ჯოგებიან-კარებიანად, მოდიოდნენ კალასავით ურიცხვნი, თვლა აღარ ჰქონდათ არც მათ და არც მათს აქლემებს. შეესოდნენ და აჩანაგებდნენ ისრაელის ქვეყანას. მთლად გალატაკდა ისრაელი მიდიანის გამო“ (მსაჯ. 6,2-6).

„ქართლის ცხოვრებას“ რომ წაიკითხავთ, ალბათ ხშირად გაგახსენდებათ ეს სურათი, რადგან ძალიან ჰგავს ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი ურიცხვი მტრის თარეშის აღწერას.

უპატრონოდ დარჩენილ და ხელაღუპვრობელ ისრაელიანებს უფალმა ახალი მსაჯული მოუვლინა — გედეონი.

წამით შეეფოვნდეთ და ის გავიხსენოთ, რაც მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში წაგიკითხეთ: ებრაული სახელი გედეონი „ბიბლიის“ მეშვეობით ჩვენშიც გავრცელდა — გედეონი ან გედევანი, გვარი გედევანიშვილი ამ სახელისგან წარმოდგება.

მამის სახლში ყველაზე უმცროსი იყო გედეონი (დაუუკვირდეთ: კვლავ უმცროს შვილს ეძღევა უპირატესობა), მოკრძალებული, მშრომელი კაცი. მაგრამ სწორედ მას გამოეცხადა უფლის ანგელოზი და უთხრა:

„უფალი შენთანაა, მაგარო ვაჟკაცი!.. წადი მაგ შენი ძალით და იხსენი ისრაელი მიდიანის ხელთაგან. ხომ მე გაგზავნი!

უთხრა გედეონმა: ვაგლახ, ბატონო, მე როგორ უნდა ვიხსნა ისრაელი! ჩემი საგვარეულო ყველაზე მცირეა მენაშეში, მე კი მამაჩემის სახლში ყველაზე უმცროსი ვარ.

უთხრა უფალმა: მე ვიქნები შენთან და ისე სძლევ მიდიანს, როგორც ერთ





კაცს“ (მსაჯ. 6,12-16).

ერთი შენიშვნა: ჩემი საგვარეულო მენაშეში ყველაზე მცირე არისო, — ამბობს გედეონი. ვინც თავად ვერ მიხვდა, რა იგულისხმება ამ სიტყვებით, მათთვის ვთქვათ გედეონი მენაშეს ტომის შთამომავალი იყო. მენაშე, გახსოვთ ალბათ, იოსების უფროსი ვაჟი გახლდათ.

ეხლა სათხრობს მიეუბრუნდეთ.

გამხნეებულმა გედეონმა მენაშეს, აშერის, ზებულონისა და ნაფთალის ტომთაგან იხმო მებრძოლები. მის დაბახილზე დიდძალი ლაშქარი შეგროვდა. გედეონმა ის ხალხი ადგილზე დატოვა, სულ სამასი რჩეული მეომარი იახლა და მიდიანელთა ანუ მადიაშელთა მხედრობისკენ გაეშურა. „მიდიანი, ყამალეკი და კედემიანის ვაკეზე იყვნენ დაბანაკებულნი, კალიასავით ურიცხვნი“.

ღამით მიადგა მათ გედეონი, თავისი სამასი კაცი სამ რაზმად დაჰყო, სხუდასხვა მხრიდან მიაყენა მტრის ურდოს ას-ასი კაცი. ამით ცალ ხელში ბუკებს ეპყრათ, მეორეში — ღოქები, რომლებშიც ანთებული კვარები ეწყო. გედეონის ნიშანზე სამივე რაზმმა ბუკსა ჰკრა, ააყვირა, ღოქები დაამსხვრია და ჩირაღდნებს ააბრიალა.

გამოიღვიძეს მობანაკებმა. ყურისწამლები ხმაური იდგა, ირგველივ ცეცხლბრიალებდა. იფიქრეს — ურიცხვი ლაშქარი დაგვესხაო, დაიბნენ, აირ-დაირიენ და ერთმანეთს დაუწყეს ხოცვა.

ასე სასწაულებრივად გაიმარჯვა გედეონმა „კალიასავით ურიცხვ“ მტერზე თავისი სამასი კაცით.

რამეს ხომ არ მოგვაგონებს „ბიბლიის“ ეს ეპიზოდი? ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული აქვს, ალბათ თვალწინ დაუდგება ის სურათი, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ქაჯეთის დასალაშქრად წასულნი, სამას მეომარს რომ წაიტანებენ, მანც დამანც სამასს, და მათი დახმარებით გაიმარჯვებენ. აქ საგულისხმო ის არის, რომ როგორც გედეონს, ისე რუსთაველის გმირებს დიდძალი ლაშქრის წაყვანა შეეძლოთ, მაგრამ სამასი მეომრის წაყვანა არჩიეს.

გედეონის სიბრძნითა და ვაჟკაცობით მოხიბლულმა ისრაელიანებმა მას ასე მიმართეს: „იბატონე ჩვენზე შენც, შენმა შვილმაც და შენმა შვილიშვილმაც“ (მსაჯ. 8,22). ეს იმას ნიშნავდა, რომ გედეონს სამეფო ძალაუფლებას სთავაზობდნენ. მაგრამ გედეონმა მეფობა არ ისურვა, ასე უპასუხა: „მე ვერ ვიბატონებ თქვენზე და ვერც ჩემი შვილი იბატონებს თქვენზე, უფალმა იბატონოს თქვენზე“.

იფოთაეც მაგარი ვაჟკაცი იყო, უფრო გვიან ხანაში მცხოვრები მსაჯული. მან

ადრე მიატოვა მამისეული სახლი, გერ ძმებს გაერიდა, თავზეხელაღებული ხალხი შემოიკრება და ისრაელიანთა მტრებს არბევდა. დიდი სახელი დაიგდო. ისრაელიანებს მტერთან ბრძოლა რომ გაუძნელდათ, იეფთაე მიიწვიეს სარდლად და წინამძღოლად.

ისრაელის მტრები ამჯერად ყამონიანები იყვნენ, იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრები ხალხი. ძნელი ბრძოლა მოელოდა იეფთაეს. „ასე აღუთქვა უფალს: თუ ხელში ჩამაგდებინებ ყამონიანებს, როცა შინ მშვიდობით დაებრუნდები, ვინც პირველი გამოძევება ჩემი სახლის ჭიშკართან, უფლისა იყოს და შევწირავ აღსავლენ მსხვერპლად“ (მსაჯ. 11,30-31).

გაუმარჯვდა იეფთაეს, სასტიკ ბრძოლაში სძლია ყამონიანებს და დაიმორჩილა ისინი.

ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ შინ დაბრუნდა იეფთაე. „და, აჰა, როკვით გამოგება თავისი ასული დაირით ხელში. ეს ერთი ჰყავდა, მის გარდა არც ვაჟი ჰყავდა და არც ქალი“ (მსაჯ. 11,34).

დაუუკვირდეთ, რა ოსტატურად მოგვითხრობს ამბავს მსაჯულთა წიგნის ავტორი. მკითხველმა უკვე იცის – იეფთაემ უფალს აღუთქვა, ვინც პირველი გამოძევება, უფალს მსხვერპლად შევწირავო. და, აი, თავისივე ასული გამოგება, მამის გამარჯვებას ხარობდა, ხელთ დაირა ეპყრა და როკავდა. ოღონდ ავტორი აქვე იმასაც გვეუბნება – ეს ერთი ქალი ჰყავდაო იეფთაეს, მის გარდა არც ვაჟი ჰყავდა და არც ქალიო. ამით ათქვეცდება ის ტრაგიზმი, რაც თავისი აღთქმით თავს დაიტეხა იეფთაემ: მხოლოდშობილი ასული უნდა შესწიროს მსხვერპლად, რადგან უფლისთვის მიცემული პირობის დარღვევა არასგზით არ შეიძლება, და მანუგეშებელიც აღარავინ რჩება უბედურ მამას.

ვაიმე, შვილო, როგორ დამღუპე, ეს რა უბედურება დამატენო! – შეჰღრიალა საცოდავმა.

საგულისხმო ის არის, ქალიშვილმა რომ შეიტყო მამამისის მიერ დადებული აღთქმის ამბავი, წარბი არ შეუხრია: რაკი უფალს პირობა მიეცი, უნდა შეასრულო კიდევ, ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს, ორი თვით გამიშვი, მთაში წავალ და ჩემს ღობილებთან ერთად ჩემს ყმაწვილქალობას გამოვიგლოვებო.

ორი თვის თავზე ჩამობრუნდა იეფთაეს ასული და „აღასრულებინა დადებული აღთქმა“. აქ ავტორი მეტს აღარაფერს გვეუბნება, ოღონდ ამგვარი სევდიანი სტრიქონებით ამთავრებს ამ ტრაგიკულ ამბავს:

„წესად დაიდო ისრაელში, რომ წელიწადში ერთხელ, ყოველ წლისთავზე,



წავიდოდნენ ისრაელიანი ქალიშვილები და ოთხ დღეს დასტიროდნენ იეფთასასულს“ (მსაჯ. 11,40).

იეფთასა და მისი ასულის ამბავი ერთ-ერთი ყველაზე გულისშემძვრელი ეპიზოდია „ბიბლიისა“.

სხვა მსაჯულის – სამსონის თავგადასავალი უფრო ცნობილია, შესაძლოა თქვენც გასმენიათ უკვე მისი სახელი. სხვათა შორის, კაცის სახელი სამსონიც ქართულში „ბიბლიის“ გავლენით გავრცელდა და გვარებიც წარმოდგა მისგან – სამსონაძე, სამსონიძე, სამსონია.

სამსონის მშობლები დიდხანს იყვნენ უშვილონი. ბოლოს ანგელოზი გამოეცხადათ და აუწყა, რომ ვაჟი შეეძინებოდათ და მოწმიდარი იქნებოდა. მოწმიდარს საღვთო საქმისთვის, წმინდა ცხოვრებისთვის თავგადადებულ კაცს უწოდებდნენ. მას ღვინო და სხვა მაგარი სასმელები არ უნდა ესვა, თმა არ უნდა შეეჭრა. სწორედ ასე აღზარდეს სამსონი, რომელიც შემდეგ ოც წელიწადს იყო ისრაელის მსაჯული.

სამადროოდ ფილისტიმელებს ჰყავდათ შევიწროებული ისრაელიანები. ეს ხალხი, თუ გახსოვთ, პირველად მაშინ ვახსენეთ, მოსეს ეგვიპტიდან რომ მოჰყავდა თავისი ერი. მაშინ ითქვა: ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ფილისტიმელთა მეომარი ტომი ცხოვრობდა და მოსემ მათ გვერდი აუქციათ. ძლიერი ხალხი იყო ფილისტიმელები, ისრაელიანებთან მუდამ ბრძოლა ჰქონდათ. ხან ისინი სძლევენ, ხან – ესენი. აქ ისიც ვთქვათ, რომ ქანაანის ქვეყანას შემდგომში პალესტინა სწორედ ფილისტიმელთა სახელის მიხედვით დაერქვა.

ისე მოხდა, რომ მაინცდამაინც ფილისტიმელი ქალი მოეწონა სამსონს და მისი ცოლად მოყვანა განიზრახა. მშობლები დიდ უარზე იყვნენ, მაგრამ სამსონს თავისი არ დაიშალა. ბოლოს დაიყოლია დედ-მამა და ქალის სანახავად წაიყვანა ქალაქ თიმნათში, სადაც მისი ნანდაური ცხოვრობდა. გზად ლომი შემოეფარა სამსონს, ხელში არაფერი მოჰყვა, მაგრამ თიკანივით შუაზე გახლიჩა ლომს უჩვეულოდ ღონიერი კაცი იყო სამსონი.

ხანი რომ გამოხდა, სამსონი და მისი დედ-მამა კვლავ გაუყვეს თიმნათის გზას – ცოლად უნდა შეერთო ის ქალი. იმ ადგილას, სადაც წინა მგზავრობისას ლომს შეერჩხა, გზიდან გადაუხვია თავისი მაშინდელი ნანადირევის სანახავად. ლომს უკვე ჩონჩხად იყო ქცეული და იმ ჩონჩხში ფუტკარი დაბუდებულიყო, თაფლით სავსე ფიჭაც გაეკეთებინათ. წამოიღო თაფლიანი ფიჭა სამსონმა, თვითონაც ჰკამდა და მშობლებსაც მიართვა თაფლი.

ოცდაათი მაყარი მოუსვეს სამსონს ქორწილში. ლხინი, იქაური ჩვეულები-სამებრ, შვიდ დღეს უნდა გაგარძელებულიყო. სამსონმა მაყრებს უთხრა: ერთ გამოცანას გეტყვით, თუ ამ შვიდ დღეში გამოიცნობთ, ოცდაათ ხელ ტანსაცმელს გიბოძებთ, თუ ვერ გამოიცნობთ, თქვენ მომეცითო. მაყრები დაფაბულდნენ ნაძლევის პირობას და სამსონმა უთხრა:

მჭამელიდან საჭმელი გამოვიდა, ძლიერიდან ტკბილი გამოვიდა, — რა არისო? მიხვდით ალბათ, რომ სამსონი თავის მიერ მოკლულ ლომს და მისი ჩონჩხიდან გამოღებულ თაფლს გულისხმობდა: ლომი თვითონ არის სხვათა მჭამელი და ამ დროს მისი სხეულიდან გამოვიდა საჭმელი — თაფლი. ლომი ძლიერია და მისგან „ტკბილი გამოვიდა“ — თაფლი.

თავი იმტვრიეს მაყრებმა, მაგრამ ვერაფერს მიხვდნენ. მაშინ პატარძალს მიმართეს: ათქმევინე შენს ქმარს გამოცანის ახსნა, თორემ შენც დაგწვათ და მამაშენის სახლსაცო.

შეხვეწა ცოლი სამსონს — მითხარო. სამსონი უარს იყო, მაგრამ შეუწინა და შეუწინა ქალი, შვიდ დღეს შესტიროდა, სული შეუწუხა. ბოლოს ვეღარ გაუძლო სამსონმა და უთხრა გამოცანის ახსნა.

იმავე საღამოს მაყრებმა სამსონს პასუხი მოახსენეს: რა არის თაფლზე ტკბილი და ლომზე ძლიერი?

გამოცანა ამოხსნილი იყო, წაავო სამსონმა ნაძლევი. მაყრებს წანაგები გადაუხადა და მამის სახლში დაბრუნდა გაცეცხლებული.

მაგრამ ხანი გამოხდა და მაინც მოენატრა თავისი მუხანათი საცოლე, კვლავ გაუყვა თიმნათის გზას. იქ მისულს ასეთი ამბავი დაახვედრა ქალის მამამ: მე ძეგონა, ჩემს ასულზე გული აიყარე, ავდექი და მაყარს მივათხოვეო.

„უთხრა მათ სამსონმა: ხომ მართალი ვიქნები ფილისტიმელებთან, ავი საქმე რომ დავმართო?

წავიდა სამსონი, დაიჭირა სამასი მელა, აიღო ჩირაღდნები, ორ-ორ მელას კუდები ერთმანეთზე გადაუსკვნა და ზედ თითო ჩირაღდანი მიაბა.

აანთო ჩირაღდნები და შეუშვა ფილისტიმელების ყანებში. გადაუწვა ძნებიცა და სამკალიც, ვენახებიცა და ზეთისხილის ბაღებიც“ (მსაჯ. 15,3-5).

ფილისტიმელებმა რომ შეიტყეს, რა მოხდა და როგორ მოხდა, სამსონის საცოლე და მამამისი ცეცხლში ამობუგეს — ეს უბედურება მაგათ დავგატეხესო.

სამსონმა ის ხალხი მაგრად გვემა, მერე წავიდა და ერთ კლდოვან ადგილს შეაფარა თავი. ამის პასუხად ფილისტიმელებმა იუდას ტომის სამკვიდრებელში

მხედრობა შეიყვანეს სამსონის შესაპყრობად. იუდას ტომის საცხოვრებელი მხარე სამხრეთ ქანანი, ფილისტიმელებს ემეზობლებოდა. მაშინ ისრაელიანებმა გადაწყვიტეს, ქვეყანა აოხრებისგან რომ ეხსნათ, თვითონვე შეეპყროთ სამსონი. სამსონ ისრაელიანი მიაღვა სამსონს სამალავში, ორი ახალთახალი თოკით გაკოჭეს და ფილისტიმელებს მიჰკვარეს. მაგრამ სამსონმა ის თოკები ძაფეებით დაწვეტიდა. ხელში რომ არაფერი მოჰყვა, იქვე დაგდებულ ვირის ყბას დასწვდა და იმით დახოცა ათასი ფილისტიმელი.

გავიდა დრო და ფილისტიმელთა ქალაქ ღაზაში ერთ ქალს ეწვია სამსონი. ღაზელებმა მისი მისვლა რომ შეიტყეს, იმ სახლს დაუდარაჯდნენ — ამაღამ უნდა მოვკლათო. „შუალამემდე ეძინა სამსონს, შუალამით აღვა, მოხვია ხელი ქალაქის კარსა და ორივე ბჭეს, ურდულიანად მოგლიჯა, მხარზე გაიღო და მთის წვერზე აიტანა“ (მსჯ. 16,3).

ამ დევგმირულ საქმეთა მოქმედი სამსონი ბოლოს მანც ქალმა დაღუპა. ერთ ქალს ყვარობდა სამსონი, სახელად დალილას. ფილისტიმელთა მთავრებმა იმ ქალს მიაკითხეს — როგორმე ათქმევინე, საიდან აქვს ასეთი დიდი ძალ-ღონე და რა უნდა ვიღონოთ მის გასაკოჭად და დასამორჩილებლად, სამაგიეროდ ათას ვერცხლს მოგცემთო.

შეუწნდა დალილა — მითხარი და მითხარიო! სამსონმა ხან რა მოიგონა, ხან რა, სამჯერ მოატყუა დალილა, სამჯერ გაუცრუვდათ ფილისტიმელებს მისი შებორობის იმედი. ბოლოს დალილამ უთხრა: როგორღა მეუბნები — მიყვარხარო, უნდა სამჯერ მომატყუე და საიდუმლო არ გამიმხილეო! იმდენი უჩინინა, სიცოცხლე მოსძულდა სამსონს, გამოუტყდა და სიმართლე უთხრა: ღვთის მოწმიდარი ვარ ჩემს თმას სამართებული არ გაჰკარებია, თავი რომ გადამაპარსონ, ძალა გამომეცლება, დავძაბუნდებიო.

ვისაც ქართული ზღაპრები უკითხავს, ეს ეპიზოდი კარგად ეცნობა.

ქალთაში ჩააძინა დალილამ სამსონი, ძილში თავი გადააპარსეს. შეიპყრო ფილისტიმელებმა, თვალები დასთხარეს, ქალაქ ღაზაში ჩაიყვანეს, სპილენძის ხუნდები დაადეს და სატუსალოში მეხელსაფქვავედ დააყენეს.

გავიდა ხანი. სამსონს გადააპარსული თმა წამოეზარდა. ერთ დღეს ფილისტიმელნი თავიანთი ღვთაებისთვის მსხვერპლის შესაწირავად და მოსალხვნად შეიკრიბნენ, ერთ დიდ სახლში მოიყარეს თავი, სატუსალოდან სამსონი გამოიყვანეს და აბუჩად აგდება დაუწყეს. ფილისტიმელთა ყველა მთავარი იქ იყო შეყრილი. სამი ათასამდე კაცი და ქალი ბანზე გასულიყო და იქედან დასცქეროდა სამსონს.

გამასხარავენას.

მერე რაც მოხდა, მსაჯულთა წიგნში ისეა მოთხრობილი, უფრო მოკლედ და უფრო მარჯვედ თქმა შეუძლებელია, ამიტომ თვით ტექსტი წავიკითხოთ:

„უთხრა სამსონმა ყმაწვილს, რომელიც ხელჩაკიდებული დაატარებდა: მიმიყვანე, რომ ხელი შევავლო სვეტებს, რომლებზეც სახლი დგას, და მივეყულო.“

შეჰღალადა სამსონმა უფალს და უთხრა: უფალო ღმერთო, გამიხსენე! ამ ერთხელაც გამაძლიერე, ღმერთო!..

მოსინჯა სამსონმა ორივე შუათანა სვეტი, რომლებზეც სახლი იდგა, ერთს მარჯვენა ხელი მიაყრდნო, მეორეს — მარცხენა.

თქვა სამსონმა: მოკვდი, სულო ჩემო, ფილისტიმელებთან ერთად! — და მთელი ძალით მიაწვა.

თავზე ჩამოემხოთ სახლი მთავრებს და მთელ შიგმყოფ ხალხს“ (მსაჯ. 16,26-30).

\* \* \*

სამსონის შემდეგ კიდევ ორი მსაჯული ჰყავდათ ისრაელიანებს — ელი და საძუელი. მაგრამ მათი ამბები მსაჯულთა წიგნში კი არ წერია, მეფეთა პირველ წიგნში არის მოთხრობილი და ჩვენც იმ წიგნის მიმოხილვისას ვისაუბროთ მათ შესახებ.

მსაჯულთა წიგნსა და მეფეთა პირველ წიგნს შორის „ბიბლიაში“ ერთი სხვა წიგნია მოთავსებული — „რუთი“. მასში ამოვიკითხავთ მოაბელი ქალის — რუთის თავგადასავალს. ეს ქალი ებრაელთა რძალი გახდა, შეიყვარა ახალი სამშობლო, ახალი სარწმუნოება და ყოველმხრივ უერთგულა ისრაელის ქვეყანასაც და ისრაელიანებსაც. რუთის დამსახურება ისიც იყო, რომ მის ვაჟს ყობედს შეეძინა ძე — იესე, ხოლო იესემ შვა ებრაელთა უდიდესი მეფე — დავითი.

## სიტყვათა სალარო

ამგზავრეპული – მგზავრი, სამგზავროდ წასული.  
 ამოზუბეს – გადაწვეს.  
 არ ვეპანის – არ შეიძლება, შეუწყნარებელია, მიუღებელია.  
 აღაზეპა – სხვებზე მაღლა დააყენა.  
 აღესრულა – გარდაიცვალა.  
 აყონეზება – აგვიანებდა.  
 აზალა, ბანაკი აზალა – ბანაკი აყარა, ადგილიდან დაძრა.

ბუკი – დიდი საყვირი.

ბაასრულა – დაამთავრა.  
 ბაანანაგეპდენე – გაანადგურებდნენ.  
 ბაპეზრდენე – ლოცვით მობეზრდათ, მოთმინება დაეკარგათ.  
 ბაკიდეპანება – განზე წასვლა, საერთო ცხოვრებიდან განზე გადგომა.  
 ბამორიდეპული – საფრთხის გამო იქიდან წამოსული, იქაურობას მოშორ-

ბული.

ბამრიბე – მომწესრიგებელი.  
 ბანბრძნობა – სიბრძნის შექმნა.  
 ბანეშორათი – მოშორდათ.  
 ბანისპენეპდენე – (აქ) დაისვენებდნენ.  
 ბანისწავლა – ცოდნა შეიძინა.  
 ბანიშოროს – მოიშოროს.  
 ბანეგებელი – მმართველი.  
 ბანსპენება – (აქ) დასვენება.  
 ბანსჰიდენე – (აქ) სამართალს უწესებდნენ, ასამართლებდნენ.  
 ბანინება – გადაწყვეტილება.  
 ბანცხრომა – კმაყოფილებასა და ნეტარებაში უზრუნველად ყოფნა.  
 ბანფესეპული – დაწესებული, დადგენილი.  
 ბარდაპიდა – (აქ) აღესრულა, დაიხოცა.  
 ბარდაპოფინათი – ზემოდან მოეფინათ.



**გასამრჯელო** – გაწეული შრომის საფასური.

**გასწვრივ** – გაყოლებით.

**გაუყენა, გზას გაუყენა** – გზას გააყოლა, გზაზე ატარა.

**გაუჩინა საზრდოდ** – საზრდოდ გამოუყო, დაუნიშნა.

**გაყაფული** – გავარჯიშებული, გამოცდილი.

**გვემა** – ცემა.

**გვერდი აუშცია** – გვერდი აუარა.

**გული აუღუღდა** – გული აუჩუყდა, გრძნობები მიეძალა.

**გული ბაიქვაპა** – გული გაიქცა, გულთან არაფერი მიიკარა.

**გულიწყური** – ყურადღება.

**გულის შემპრალი** – დიდი მწუხარების, დიდი განცდის მომგვრელი.

**გულისწყრომა** – რისხვა, გაგულისება.

**დააღირა** – მიაშვირა.

**დაინთხას** – ჩაიძიროს.

**დაირა** – დოლის მაგვარი საკრავი.

**დამღვბი** – დასაწყისი.

**დამოძვრა** – დარიგება, ჭკუის სწავლება.

**დამცხრალან** – (აქ) დაწყნარებულან, დაშოშმინებულან.

**დანაწმრება** – დანაწილება, დაყოფა.

**დაოკება** – შეკავება, მოთოკვა.

**დარია, ხელი დარია** – მოედვა.

**დასალიერი** – (აქ) ის ადგილი, სადაც მზე ჩადის.

**დასახვა** – (აქ) მიჩნევა.

**დასჯერდეს** – დაეკმაყოფილდეს.

**დაუშვიდრო** – (აქ) საცხოვრებლად უქციო.

**დაუხსრომლად** – განუწყვეტლივ, შეუსვენებლად.

**დაყაბულენა** – დათანხმდნენ.

**დახუნძლული** – დახუნძლული ითქმის, როდესაც ხეხილს ან ვაზს ძალიან

ბევრი ასხია.

**დაჰყვა, ნებას დაჰყვა** – დათანხმდა, სხვის ნებას დამორჩილდა.

**დმდაფულიანად** – ქალებიან-ბავშვებიანად.

**დრტვინვა** – უკმაყოფილების გამოხატვა.





ერთობ - ძალიან.

ერთუბრის - ერთმანეთის.

ენიტყვება - ელაპარაკება.

ესოდან - ასე, ამდენად.

ეზადათ - სურდათ, უნდოდათ.

ზეპაცი - ისეთი ვინმე, ვინც თავისი გონებით, ნებისყოფით, შეძლებით, უნარითვისებებით დიდად აღმატება ჩვეულებრივ ადამიანს.

ზერელედ - უგულისყუროდ, ნაჩქარევად.

ზნობა - სულიერი წესებისა და კანონების დაცვა და შესრულება.

თავკაცობა - წინამძღოლობა.

თავკერძობა - ეგოისტობა, მარტოოდენ საკუთარ თავზე ფიქრი და ზრუნვა სხვათა ინტერესების არაფრად ჩაგდება.

თანადგობა - მხარის დაჭერა, დახმარება.

თვითღიწობა - როცა საქმეს პატრონი არ ჰყავს და თავის ნებაზე არის მიშვებული.

თვისტომი - თავისიანი, თავისი ტომის, თავისი გვარის კაცი.

იხლბ - თან წაიყვანა.

იღუმალი - ფარული, საიდუმლო.

იზრიალბ - ძალიან ხმამაღლა ახმიანდა.

ილაჯი ბაფჟვითბ - დაექანცათ, ძალიან დაელაღათ.

იბარჯვით - მარჯველ მოიქეცით.

იხსანად - იმ დროს.

იპრვბობა - მოიძებნებოდა.

იხიზნობდნენ - თავის საცხოვრებელი ადგილიდან გარბოდნენ და თავს სხვაგან აფარებდნენ.

კვარი - წიწვიანი ხის ნაპობი, რომელსაც ცეცხლი კარგად ეკიდება.

კვერთხი - დიდი ძალაუფლების მქონე პიროვნების (ხელმწიფის, პატრიარქის) ხელთ საპყრობი, საგანგებოდ დამზადებული და მორთული ჯოხი.

კვირიბკ - ერთი კვირა, იგივე მსგეფსი.

**კვლავინდებურად** – ძველებურად, ადრინდულად.

**კოლორიტი** – თავისებური ელფერი.

**ლეღიანი** – ის ადგილი, სადაც ლეღი ხარობს. ლეღი წყლისპირა წერილ-  
ღერიანი მცენარეა.

**მაჰანი** – ვინმე.

**მაყვლოვანი** – ის ადგილი, სადაც მაყვალი ხარობს.

**მაცხოვარებად** – (აქ) სიცოცხლის შემნარჩუნებლად, მხსნელად.

**მეამინდელი** – შემდეგდროინდელი.

**მეფაგული ზღვა** – ეს ზღვა ერთმანეთისგან ყოფს აფრიკას და არაბეთის  
ნახევარკუნძულს.

**მეხელსაფშავავე** – ვინც ხელსაფქვავს ამუშავებს.

**მთაბრახილი** – ერთმანეთს გადაბმული მთები.

**მივგოთ, აატივი მივგოთ** – პატივი ეცათ.

**მიმძინ** – მიუბრუნდნენ.

**მიძცა** – მიბრუნდა, დაბრუნდა.

**მისია** – განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალება, როლი.

**მიძცვა** – მიბრუნება.

**მოაბელი** – მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით მოსახლე ტომის კაცი.

**მოგანაკე** – ბანაკში მყოფი.

**მოიგრაგნეაოლა** – დაგრავნილი, დაკლაკნილი მოდიოდა.

**მოინაცვლეს, ადგილი მოინაცვლეს** – ადგილი შეიცვალეს.

**მოილო, არა მოილო** – (აქ) არ გამოიყენო, არ იხმარო.

**მონიშნული** – (აქ) მითითებული, ნაჩვენები.

**მოსრეს** – მოსპეს.

**მოუბრუნდა, გული მოუბრუნდა** – კვლავ მისკენ გაუწია გულმა, კვლავ  
სანდოდ მიიჩნია.

**მოშლა** – დაშლა, დარღვევა.

**მოციქულბერივი** – მოციქულისნაირი, მოციქულის მიერ აღსრულებული  
საქმის სადარი.

**მრავალგზის** – მრავალჯერ, ბევრჯერ.

**მსგავსი** – ერთი კვირა, იგივე კვირიაკე.



მუმილი - ქინქლასტური მწერი.

მუშტი - უფასო.

მღვდელმთავარი - უმაღლესი ხარისხის მქონე სასულიერო პირი.

მღვდელმსახურება - რელიგიური წესების შესრულება.

მცნება - ჭკუის სასწავლო გამონათქვამი, დარიცხვა. ზოგჯერ „მცნებას“ და „ცნებას“

ერთმანეთში ურევნ ხოლმე. დიდი შეცდომაა ეს.

მსოფლოვსობილი - ერთადერთი შვილი.

ნათელილო - მონათლა.

ნანდაური - სასურველი, საყვარელი.

ნაპლავი - სანაძლეო, ერთმანეთში ნათქვამი პირობა ცილობის დროს.

პალიტრა - ფერთა შეხამება.

პანიკა, პანიკით მოცული - თავზარდაცემული და თან აფორიაქებული.

პირმყო - პირველი შვილი.

ჟამთა ვითარება - დროის ცვალებადობით შექმნილი მდგომარეობა, ვითარება.

რაბინელ - რაც უნდა.

რამეთუ - რადგანაც.

როკვა - ცეკვა.

საამდროოდ - ამ დროისთვის.

საბპარაულო - გვარი, გვარის წევრები.

სამპკვიდრებალად - საცხოვრებლად.

საუფლო - (აქ) უფლისთვის განკუთვნილი.

საძველმოძმელო საძმე - სასიკეთო, სამოწყალო, კარგი საქმე.

საღვთო კაცი - ღმერთისთვის თავგადადებული და ღმერთისგან გამოჩენილი კაცი.

სახელარი - ვირი.

სულმოკლეობა - მოუთმენლობა, ჭირში ვერგაძლება.

სხეულბერივი - სხეულის მქონე.

**ტოტი, ზღვის ტოტი** – განშტოება.

**ტრაპიზმი** – (აქ) უბედურება.

**უზვანი** – უმსგავსი, ცუდი.

**უფფო** – ვისაც მწე, მომხმარე, მშველელი არ ჰყავს.

**უპირობა** – გაუტანლობა, პირის გატეხა.

**ურდო** – შემოსეული მტრის ლაშქარი.

**უფუარი** – გაუფუებული ცომი.

**ფეხმორთხეული** – ფეხმოკეცით მჯდომარე.

**ღვთისმეტყველი** – რელიგიის საკითხების ღრმად მცოდნე.

**ღვთისმოსავი** – ღმერთის მოიმედე.

**ღვთისმსახურება** – რელიგიური წესების შესრულება.

**ყაბალაჰი, აბალაჰი** – ეგვიპტესა და ქანაანს შორის მცხოვრები ხალხი.

**ყამონიანები, ყამონელი** – მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრები

ხალხი.

**ყვარობა** – უყვარდა.

**ყვავილქალობა** – ქალის ახალგაზრდობა.

**ყურისწყამღები** – გამაყრუებული.

**შაყონოს** – შეანელოს, შეაფერხოს.

**შეკაზმა** – საბრძოლველად გამოეწყო.

**შეხართება** – მამაცურად ბრძოლის უნარი.

**შეფოება** – დახმარება.

**შეუღბა, ღრტვინვა შეუღბა** – ღრტვინვა დაეწყო.

**შეძრა** – ააღელვა, ალაშფოთა.

**შვიღვინ** – შეიღვერ.

**შთანთქა** – ჩაყლაპა.

**შთამბეჭდავი** – დიდი შთაბეჭდილების მომხდენი.

**შთასთხია** – წყალში ჩაყარა.

**შინააშლილობა** – ქვეყნის შიგნით ერთმანეთის მტრობა და ერთმანეთთან

ბრძოლა.

ჩაპუდრაგადეთი – გულმოდგინედ გამოვიკვლიოთ, ღრმად ჩავწვედეთ.

ცდომილება – (აქ) მცდარი აზრები, მცდარი რწმენა.

ძალუძს – შეუძლია.

ძრახვა – სხვებზე ცუდის თქმა.

ფარბი არ შეუხრია – არ შემდრკალა, უკან არ დაუხევია.

ფელი მოიღვას – მოღონიერდნენ, ქონება იშოვეს.

ფესად ღაიღო – დაწესდა.

წინამდგომი – წინამძღოლი, მეთაური.

ჭაშნიკი – გემოს გასინჯვა.

ხელაღუაყრობელი (89) – ვისაც შემწე, დამხმარე არ ჰყავს.

ხელის გასაფვდენზე (80) – ძალიან ახლოს.

ხელში არაფერი მოკვება (94) – ისეთი ვერაფერი ნახა, რასაც მოიმარჯვეს.

ხუნდი (95) – ბორკილი.

## მეფენი

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ „ძველი ალექსის“ იმ წიგნების თანმიმდევრობა, რომლებსაც უკვე გავეცანით: მოსეს ხუთწიგნეული – „დაბადება“, „გამოსვლა“, „ლევიანი“, „რიცხვნი“, „მეორე რჯული“, შემდეგ – „იესო ნავეს ძე“, „მსაჯულნი“ და „არუთი“.

ესლა მომდევნო წიგნებს გავეცნოთ: „პირველი მეფეთა“, „მეორე მეფეთა“, „მესამე მეფეთა“, „მეოთხე მეფეთა“. ამათგან პირველ, მეორე და მესამე მეფეთა წიგნებში მოთხრობილი ამბები იმ ხანას უკავშირდება, როდესაც შეიქმნა ისრაელიანთა გაერთიანებული სამეფო, ძლიერი, აყვავებული, დიდი კულტურის სახელმწიფო, რომელმაც ერთ საუკუნეს იარსება – ძველი წელთაღრიცხვის მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან მეათე საუკუნის უკანასკნელ მესამედამდე, დაახლოებით 1030 წლიდან 931 წლამდე.

დაუფიქრდეთ, როდის იყო ეს ყოველივე – სამი ათასი წლის წინათ, ოცდაათი საუკუნის წინათ. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დღევანდელი ევროპის არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი ერი არ არსებობდა ჯერაც. მაღალი კულტურის ხალხთაგან იმდროინდელი ქვეყნიერების ასპარეზზე იხილვებოდნენ მხოლოდ ეგვიპტელები, შუამდინარელები, ირანელები, ინდოელები და ჩინელები, აგრეთვე ქართველ ტომთა წინაპარნი, რომელთაც საკუთრივ ქართული სამეფო ჯერ არ შეექმნათ, მანამდე ექვსი საუკუნე იყო კიდევ დარჩენილი.

ასეთი ძველი ისტორია აქვს ებრაელ ერს. ამ ისტორიას ჩვენ თვალს მოვადევნებთ დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც აბრაამის ოჯახი ქალდეველთა ურიდან ქანაანის ქვეყანაში გადასახლდა. ამას, გახსოვთ ალბათ, მოჰყვა აბრაამის, ისააკის, იაკობის, მისი თორმეტი ვაჟიშვილის ქანაანის ყოფნა, მერე ოთხას წელიწადს ეგვიპტეში მკვიდრობა, მერე, ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში, ეგვიპტიდან გამოსვლა, ორმოც წელიწადს უდაბნოში ხეტიალი, ბოლოს – ქანაანის ქვეყანაში დასახლება და მსაჯულთა განმგებლობით ცხოვრება.

## თავი პირველი

ბოლოსწინა მსაჯული იყო ელი, რომელსაც მსაჯულობასთან ერთად ისრაელიანთა მღვდელმთავრობაც ჰქონდა ნატვირთი. მას ისეთ დროს მოუხდა ცხოვრება, როდესაც „უფლის სიტყვა იშვიათი იყო... ხილვები არ იყო ხშირი“ (1 მეფ. 3,1). ესე იგი, როდესაც უფალი თავის ხალხს იშვიათად ეცხადებოდა, რადგან ხალხს დიდ ნაწილს თითქმის დაეწყებულნი ჰყავდა თავისი ღმერთი, სულიერ ცხოვრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და უცხო ღვთაებათა თაყვანისცემასაც არ თაყობდა. ზნეობა იმ ზომამდე იყო დაცემული, თვით ელის – მღვდელმთავრები, თავად მღვდელნი, სიხარბის, ანგარებისა და მომხვეჭელობის მაგალითებს თვითონვე იძლეოდნენ.

ნუგეშად სამუელი ჰყავდა ელის. ეს მშობლებისგან უფლის მსახურად შეწირული ბავშვი, რომელიც ელისთან იზრდებოდა, სიყრმიდანვე სიწმინდითა და გონიერებით გამოირჩეოდა და სწორედ ამიტომ „უფალი იყო მასთან“ (თუ გახსოვთ იოსების შესახებ ითქვა ასე – უფალი იყო მასთანო). მალე მთელმა ისრაელმა შეიტყო, რომ „სამუელი უფლის წინასწარმეტყველად იქნა დამტკიცებული“ (1 მეფ. 3,20). ის იყო აგრეთვე ისრაელიანთა უკანასკნელი მსაჯული, ერის წინამძღოლ ელის გარდაცვალების შემდეგ.

იმხანად ფილისტიმელებს ჰყავდათ დაჩაგრული ისრაელიანები, ნიადაგ თესვის ხმოდნენ, ამარცხებდნენ, მიწა-წყალს და ქალაქებს ართმევდნენ.

„ასე უთხრა სამუელმა მთელს ისრაელის ხალხს: თუ მთელი გულით მიწისწრაფვით უფლისკენ, მოიშორეთ უცხო ღმერთები და აშთორეთები, მიმართო გულები უფლისკენ და მხოლოდ მას ემსახურეთ. მაშინ გიხსნით იგი ფილისტიმელთაგან“ (1 მეფ. 7,3).

ეს იმას ნიშნავდა, რომ ერის გაერთიანება, მტრის წინააღმდეგ დარაზმე სარწმუნოების განმტკიცებით დაიწყო სამუელმა. ეს იყო შეუმცდარი გადწყვეტილება, უამისოდ ერი მუდამ დაქსაქსული და დამარცხებული იქნებოდა. მანამდეც და შემდგომშიც ისრაელიანები მხოლოდ მაშინ იმარჯვებდნენ, მაშინ ძლიერდებოდნენ, როდესაც უფლის რწმენით იყვნენ ერთიანად გამსჭვალულნი.

ასე დაიბრუნეს სამუელის მოთავეობით ისრაელიანებმა ფილისტიმელთაგან წაღებული ქალაქები, მთელი მიწა-წყალი, სხვა მტრებიც მოიგერიეს და მოისვენეს ქვეყანამ.

თითქოს ყოველივე ძველებურად უნდა დარჩენილიყო, მაგრამ არ მოხდა ასე, რომ ვაჟი ჰყავდა სამუელს. რომ მოხუცდა, ისრაელის მსაჯულებად მათი დადგენა გადაწყვიტა.

„არ გაჰყვენენ შვილები მამის გზას, ანგარებას მისდევდნენ, ქრთამს იღებდნენ და სამართალს ამრუდებდნენ.“

შეიკრიბა ისრაელის უხუცესობა და მივიდა სამუელთან.

უთხრეს: „შენ მოხუციდი, შენი შვილები კი არ მიჰყვებიან შენს გზას. დაგვიდგინე ეხლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვესჯიდეს“ (1 მეფ. 8,3-5).

უხუცესთა პირით მთელი ერი დალაღებდა. როგორც ჩანს, ისრაელიანთა შორის ფეხი მოიკიდა იმ აზრმა, რომ უეჭველად მეფე ჰყოლოდათ. ამიტომ კვლავ და კვლავ მოსთხოვეს სამუელს – მეფე უნდა გვესვასო. და რადგანაც იმ დროს ერთადერთს სამუელს შეეძლო ერისთვის მეფე დაედგინა, ისიც შეუდგა ზრუნვას ამ საქმის მოსაგვარებლად.

ოღონდ „ბიბლია“ გვამცნობს, რომ თავისი ნების მიხედვით კი არ მოქმედებდა სამუელი, უფლის ნებით მოქმედებდა. ესე იგი: სამუელს კი არ უნდა შეერჩია ისეთი პირი, ვისაც მეფედ აკურთხებდა, სამეფოდ ვარგის პიროვნებას უფალი შეარჩევდა თავად და სამუელს აუწყებდა თავის არჩევანს. ამიტომ ის, ვინც მეფე გახდებოდა, თვით მაღალი ღმერთის მიერ ცხებულად, მის მიერ კურთხეულად იქნებოდა მიჩნეული.

სწორედ აქედან იღებს სათავეს ის შეხედულება, რომ ხელმწიფე უეჭველად უფლისგან არის დადგენილი, უფლის ნების აღმსრულებელია და ამიტომ მის წინააღმდეგ ამხედრება, მით უმეტეს – მასზე ხელის აღმართვა უდიდესი მკრეხელობაა, მიუტყვებელი ცოდვა.

უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოშიც მტკიცედ სწამდათ ეს, საუკუნეთა განმავლობაში მეფე ღვთივკურთხეულად იყო მიჩნეული და ესეც იყო ერის მთლიანობის, ხელმწიფისა და ხალხის ერთიანობის საფუძველი, ქვეყნის ძლიერების აუცილებელი პირობა.

ისრაელიანთა პირველი მეფის ამბავი ახალი თავით იწყება მეფეთა პირველ წიგნში.

„იყო ერთი კაცი ბენიამიანის შტოდან, სახელად კიში, მაგარი ვაჟკაცი.“

ჰყავდა ვაჟი გამორჩეული და მშვენიერი, სახელად საული. ისრაელიანთა შორის მასზე უკეთესი არავინ იყო, ერთი თავით მაღალი იყო მთელ ხალხზე“ (1 მეფ. 9,1-2).





აქ მხოლოდ სხეულის სიმაღლე არ უნდა იგულისხმებოდეს, სულიერი თვისებებითაც სხვების უმჯობესია ის კაცი, ვინც მეფედ გამოარჩია უფალმა.

ოღონდ საგულისხმო ის არის, როგორ ვეცნობით ამ კაცს, საულს, რას აკეთებს იგი, ვიდრე სამუელს შეხვდებოდეს, რათა ამან მეფედ აკურთხოს.

რას აკეთებს და ვირების საქმენელად არის გადავარდნილი მსახურ ბიჭთან ერთად. სწორედ ასე: საულის მამას ვირები დაეკარგა თურმე და ვაჟიშვილს უბრძანა – მსახური წაიყვანე და მოქებნეო. წავიდა საული ბიჭის თანხლებით მთა-ბარი შეაჯერეს, მაგრამ ვერსად იპოვნეს დაკარგული პირუტყვი. იმდენი იხეტიალეს, ვიდრე არ მიადგნენ ქალაქ რამათს, სადაც წინასწარმეტყველი ერის მსაჯული სამუელი ცხოვრობდა.

სამი დღის წამოსულნი უკვე ერთობ შორს იყვნენ სახლიდან და საულს მსახურს უთხრა: მოდი, გავბრუნდეთ, მაშაქმს ვირები ალბათ აღარც ანსოვს, ჩვენი დარდი ექნებაო. ბიჭმა: ამ ქალაქში ღვთისკაცი ცხოვრობს, რასაც იტყვის, ვინაა ლაფერი სრულდება ხოლმე. მივაკითხოთ იმ კაცს, იქნებ გვასწავლოს, რა გზაა დაგადგეთო.

აქ ორ რამეს მივაპყროთ ყურადღება:

ერთი რომ, საულის ცხოვრება, მისი საქმიანობა არაფრით არ იყო გამორჩეული, არაფრით განსხვავდებოდა რიგითი ებრაელის ცხოვრებისა და საქმიანობისგან. ღვთის განგება რომ არა, საულიც ალბათ ისევე გაღვივდა წუთისოფლის დღეებს როგორც ათასობით და ათასობით ისრაელიანს გაუღვივია მანამდისაც და შემდგომშიც მიწის დაჟმავება, საქონლის მოვლა-პატრონობა, ომში წასვლა თუ ახლობლებთან ერთად მოღვინა. მაგრამ ღვთის თვალმა გამოარჩია საული და სულ სხვა ბედს განუმზადა – მეფობის შარავანდედით შემოსა.

მეორე ის, რომ ღვთის განგებამ ვირების საქმენელად წასული კაცი თავისი ფეხით მიიყვანა წინასწარმეტყველთან და იმავე განგებამ მსახურ ბიჭს აზრს გაუჩინა – ღვთისკაცს მივაკითხოთო. ასე რომ არა, შესაძლოა საული და სამუელი არასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ამ ორი გარემოების გარდა მესამე იყო კიდევ, ასევე უმნიშვნელოვანესი: საულის მოსვლამდე ერთი დღით ადრე უფალმა სამუელს გამოუცხადა:

„ხვალ ამ დროს კაცს გამოგიგზავნი ბენიამინის მხარიდან და სცხებ მას ჩემს ერის, ისრაელის მეფედ“ (1 მეფ. 9,16).

აი, ასე შეიკრა წრე უფლის განგებით.

სამუელის სახლის ჭიშკართან შეხვდნენ და გამოეცნაურენ ისინი ერთმანეთს.

ვირების ამბავი ნუ გადარდებს, უკვე ნაპოვნი არიანო, — სამუელმა უთხრა იმ კაცს. ვისაც თავის მოსწრებაში პირველად ხედავდა და წესით არაფერი უნდა სცოდნოდა, ვირები ჰყავდა დაკარგული თუ ცხვრები. — ვირები კი არა, ისრაელის მთელი საუნჯე შენ და მამაშენის სახლს გეკუთვნიო.

ეს იყო პირველი მინიშნება, სიტყვის გადაკვრა იმის თაობაზე, თუ რა ბედი ელოდა საულს. წინასწარმეტყველის ნათქვამმა საული შეაცბუნა: მე ხომ ბენიამინელი ვარ, ისრაელის უმცირესი ტომის კაცი, ჩემი საგვარეულოც მცირეა ბენიამინის ტომის საგვარეულოთა შორის, ამას რატომ მეუბნები? ესე იგი, რატომ მეუბნები — ისრაელის მთელი საუნჯე თქვენს სახლს ეკუთვნისო.

ამაზე სამუელმა არაფერი მიუგო, იმ ბორცვზე აიყვანა, სადაც ხალხს უფლისთვის მსხვერპლი უნდა შეეწირა, და ამ ამბისადმი მიძღვნილი ოცდაათკაციანი სადღესასწაულო სუფრის თავს დასვა, რაც აგრეთვე საულის გამორჩეულობას მიანიშნებდა.

რომ ჩამობრუნდნენ, ღამე თავისთან გაათევინა საულს, ხოლო დილაადრიანად ღვთის სიტყვა გამოუცხადა მას, ანუ ამცნო — უფლის ნებით მეფედ უნდა გაკურთხოო, და თავზე ზეთი დაასხა.

წამით შევწყვიტოთ თხრობა და ის ვთქვათ, რომ თავზე ზეთის დასხმამ ანუ ზეთის ცხებამ არ უნდა გაგვაკვიროს, რადგან სიტყვა „ზეთი“ აქ იმ ცხიმს კი არ გულისხმობს, დიასახლისებზე კერძის მომზადებისას რომ ხმარობენ, არც იმ სითხეს, მძღოლები მანქანაში რომ ასხამენ. „ბიბლიის“ თარგმანშიც, ძველ ქართულ ტექსტებშიც „ზეთი“ ძვირფას სურნელოვან საცხებელს აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა დღევანდელ საეკლესიო ცხოვრებაში. იქნებ გსმენიათ გამოთქმა „ზეთის კურთხევა“.

ამის შემდეგ ქალაქ მიცფაში შეყარა ისრაელიანობა სამუელმა და გამოუცხადა ღვთის არჩევანი — ესა და ეს კაცი უნდა გამეფდესო. მოიკითხეს საული და ვერსად იპოვნეს, თურმე ურმებს შორის ჩამალულიყო. წარუდგინა სამუელმა ისრაელიანებს:

„ხომ ხედავთ, ვინ აირჩია უფალმა? რადგან მთელს ხალხში არავინაა მისი მსგავსი.

იხუვლა ხალხმა და თქვა: დღევანდელი იყოს მეფე“ (1 მეფ. 10,24).

მაგრამ იმ კრებულში ისეთი უკეთურნიც ერივნენ, რომელთაც დაიწუნეს უფლის არჩევანი — ვინ არის საული, რომ ჩვენზე იმეფოს, მაგან როგორ უნდა გადაგვარჩინოსო! არ ცნეს მეფედ საული, შეიძულეს, ძღვენი არ მიათვეს. საულმა

არაფერი შეიმჩნია და არც არაფერი უთქვამს.

ერთი თვეც არ იყო გასული ამ ამბებიდან, რომ ისრაელიანებს თავს ყამონიანები დაესხენ, იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრები ხალხი. საულმა ფიცხლად დარაზმა მთელი ისრაელი, დიდი ლაშქარი შეყარა და მუსრი გაავლო ყამონელებს ეს იყო მისი — ქვეყნის მეფის — პირველი ომი და პირველი გამარჯვება. გაიხარეს ისრაელიანებმა.

მაშინ ხალხმა მსაჯულ სამუელს უთხრა: მოგვეცი ის უკეთურნი, რომ ამბობდნენ — საულმა ჩვენზე როგორ უნდა იმეფოსო. მოგვეცი, დავხოცავთო.

მაგრამ ამ საქმეში თავად მეფე ჩაერია. უთხრა საულმა ხალხს: „ერთი კაციც არ მოკვდება დღეს, რადგან ხსნა მოავლინა დღეს უფალმა ისრაელში“.

ამის შემდეგ სამუელმა ქალაქ გილგალში წაიყვანა მთელი ხალხი და საზეიმოდ გამოაცხადა საულის გამეფება.

ვიდრე სათქმელს განვარძობდეთ, მცირე განმარტება ჩაეურთოთ, რადგან აქამდე ჩვენთვის უცნობი ქალაქები ვახსენეთ აქვე ზემოთ — მიცფა და გილგალი. მანამდე ქალაქი რამათიც შეგვხვდა.

ქალაქი მიცფა იერუსალიმიდან ახლოს, მის ჩრდილოეთით იყო გაშენებული, მსაჯულთა ხანაში იქ ხალხის თავყრილობები იმართებოდა ხოლმე. მიცფას აკრავდა სამუელის ქალაქი რამათი. ოდნავ მოშორებით, აღმოსავლეთ მხარეს, იერიქონსა და მდინარე იორდანეს შორის ქალაქი გილგალი იყო. უმთავრესად ამ ქალაქებში მიმოდინოდა სამუელი და აქედან განსჯიდა მთელ ისრაელს.

ერთი რამ ვთქვათ კიდევ. ვინც გულისყურით წაიკითხა, რაც აქამდე წერია, უჭკველად შენიშნავდა საულის რამდენსამე შესაშურ თვისებას.

ჯერ იყო და თავისი გამორჩეულობა გაიკვირვა საულმა, როცა სამუელმა მიანიშნა — ისრაელის მთელი საუნჯე შენ და მამაშენის სახლს გეკუთვნითო. მაშინ, გვახსოვს ალბათ, საულმა ასე უპასუხა: მე ხომ ბენიამინელი ვარ, ისრაელის უმცირესი ტომის კაცი, ჩემი საგვარეულოც მცირეა ბენიამინის ტომის საგვარეულოთა შორის, ამას რატომ მეუბნებიო.

მერე იყო და, სამუელმა მისი გახელმწიფება რომ გამოუცხადა ხალხს, საულმა ისე დაიმორცხვა, ამსიმაღლე კაცი ურმებს შორის ჩაიმაღლა პატარა ბიჭვითო.

ორივე შემთხვევა იმას მეტყველებს, რომ ბუნებით მოკრძალებული და თავდაბალი ადამიანი იყო საული, ხოლო ეს ისეთი თვისებებია, დიდად რომ ამშვენებს და გამორჩევს ადამიანს.

გარდა ამისა, უბოროტო, კეთილი კაცი იყო საული. ზოგიერთმა უკეთურმა

მეფედ რომ არ ცნო და შეიძულა, ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და როცა ხალხმა იმათი დახოცვა დააპირა, არ დაანება ამის გაკეთება, თავისი მტრები არ გაიმეტა.

დასასრულ, ყამონელებზე ძლევა მოსილი გამარჯვება საულმა თავისთვის კი არ მიიწერა, ღვთის წყალობად დასახა — უფალმა დღეს ისრაელში ხსნა მოავლინაო. ეს მის ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობას ადასტურებს.

სამწუხაროდ, ხანი რომ გამოხდა და მეფობა შეიფერა საულმა, მისი ეს ძვირფასი თვისებები უკულმართად შეიცვალა.



გილგალში შეკრებილ ისრაელიანებს უკანასკნელად მიმართა მსაჯულმა სამუელმა:

აჰა, შეგისრულათ უფალმა თხოვნა, მეფე დაღისვათ, ამიერიდან მეფე წავიძღვე-  
ბათ ყველა საქმეში. „თუ გექნებათ უფლის შიში, თუ ემსახურებით მას, თუ შეისმენთ მის სიტყვას და წინ არ აღუდგებით მის ნაბრძანებს, მაშინ დაგიფარავთ უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენცა და მეფესაც, თქვენზე რომ მეფობს. თუ არ შეისმენთ უფლის სიტყვას და წინ აღუდგებით უფლის ნაბრძანებს, უფლის ხელი იქნება თქვენს წინააღმდეგ, როგორც თქვენი მამა-პაპის წინააღმდეგ იყო. თუ ბოროტად მოიქცევით, თქვენც დაიღუპებით და თქვენი მეფეც“ (1 მეფ. 12,14-15, 12,25).

სამუელ წინასწარმეტყველის ამ შეგონებას ერთხანს გულმოდგინედ ასრულებდ-  
ნენ ისრაელიანებიც და მათი მეფეც. ღმერთმა ხელი მოუშართა საულს და ზედიზედ მოიპოვა გამარჯვებები ისრაელის მტრებზე, დიდი სახელი დაიგდო და თავისი ერის სიყვარულიც მოიხვეჭა.

ეხლა ჩვენ ერთ საკითხს უნდა დაუფიქრდეთ კარგად. ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე: როდესაც ესა თუ ის პიროვნება აღზევდება, დიდების მწვერვალზე აღიჭყორცნება, ერთი დამღუპველი სენი შეუჩნდება ხოლმე მას — ამპარტაუნება, ქედმაღლობა, დიდებისმოყვარეობა. ძნელად რომ კაცი ამ სენს გადაურჩეს და გადიდებების შემდეგაც ისეთივე თავმდაბალ, სათნო ადამიანად დარჩეს, როგორიც აღზევებამდე იყო. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი შემოგვინახა ისტორიამ. სხვათა შორის, ამიტომაც არის, რომ ხალხის ხსოვნაში განსაკუთრებული სიყვარულით სწორედ ის პიროვნებანი არიან გარემოსილნი, ვინც საკუთარ თავს

აჯობა და ხსენებულ მომაკვდინებელ სენს, მომაკვდინებელ ცოდვას სძლია. შემთხვევით არ გამოთქმულა ერთი ბრძნული აზრი: ყველაზე დიდი და ძნელი ბრძოლა, რომელიც ადამიანმა თავის სიცოცხლეში უნდა გადაიხადოს, საკუთარ თავთან ბრძოლა არისო.

საული არ გამოდგა ის კაცი, ვინც ამგვარ ბრძოლას გაუმართავდა საკუთარ თავს. მტერთან შერკინებისას შეუპოვარი და გულოვანი საკუთარ სისუსტეს ვერ მოერია, თანდათანობით ამპარტავანი, გულზვიადი კაცი შეიქნა, თანდათანობით გაუნდვლად უფლის წინაშე მორჩილება, უფლის წინასწარმეტყველის – სამუელის მტერნათქვამი სიტყვების დაჯერება. და ამას ის საბედისწერო შედეგი მოჰყვა, რომ ღვთის სულმა დატოვა საული.

## თავი მეორე

„განეშორა საულს უფლის სული და დაუწყო მას წვალება ბოროტმა სულმა“ (1 მეფ. 16,14).

როდესაც კაცი ღვთის სათნო ცხოვრებას ეწევა, სიკეთის გზას მიუყვება, როდესაც მისი ნება უფლის ნებას ეთანადება, მაშინ ის მშვიდია, შინაგანად გაწინასწორებული, ჰარმონიული, ხალისიანი და სიცოცხლის მოყვარული. მაგრამ როდესაც ღვთიური გზიდან გადაუხვევს, მისი ნება უფლის ნებას დაშორდება, მაშინ სიმშვიდესა და წონასწორობას კარგავს, ჰარმონია ერღვევა, ფსიქიკა აეწეწება და აუფორიაქდება, შავი ნაღველი ეძალდება.

ასე დაემართა საულს, რა რომ უფლის სული განეშორა და ბოროტი სული შეუჩნდა. აწვალვდა ის ბოროტი სული, სიცოცხლეს უწამლავდა. მაშინ ახლობლებმა უჩიეს: ვიპოვოთ ქნარზე კარგად დამკვრელი კაცი, მჭმუნვარებს როცა მოგეძალდება, დაუკრავს და შვება მოგეცემაო.

გაიკითხეს და ქნარზე დამკვრელი აღმოჩნდა ბეთლემელი იესეს შვილი დავითი, სწორედ ის დავითი, შემდგომში ებრაელთა ყველაზე დიდი მეფე რომ შეიქნა.

აქ ისიც ვთქვათ, რომ დავითის მშობლიური ქალაქი ბეთლემი კარგად უნდა დავიმახსოვროთ. იერუსალიმთან სულ ახლოს, მისგან სამხრეთით იყო გაშენებული ეს ქალაქი. აქ დაკრძალული იყო რაქელი, იაკობის უსაყვარლესი მეუღლე; აქ იყო გათხოვილი მოაბელი ასული რუთი, დავითის მამის – იესეს ბებია, რომელიც უამრავხსენეთ ამ წიგნის წინა ნაკვეთში; რაც უმთავრესია, ბეთლემში, როგორც მას

უწოდებდნენ, „დავითის ქალაქში“, იშვა იესო ქრისტე. ამის შესახებ მემშვიდვე კლასის სახელმძღვანელოში ვისაუბრებთ წვრილად.

მეფეთა პირველი წიგნის მეთექვსმეტე თავს რომ წავეკითხავთ, სადაც პირველად გამოჩნდება დავითი, ერთ რასმე მივაქციოთ ყურადღება: „ბიბლიაში“ საერთოდ იშვიათია პერსონაჟთა გარეგნული აღწერილობა, ეპითეტებით მათი შემკობა, მათი სიტყვიერი დახასიათება (პერსონაჟები მათივე მოქმედებით ხასიათდებიან და არა აღწერილობით). მაგრამ დავითის გამოჩენისას ეს ტრადიცია ერთგვარად ირღვევა და მეფეთა პირველი წიგნის ავტორი დავითის კოლორიტულ პორტრეტს გვიხატავს: „წითური იყო, თვალადი და ლამაზი შესახედავი“ (16,12), „ქველი და მამაცი კაცია, სიტყვაგონიერი და ლამაზი. უფალია მასთან“ (16,18).

ყურადღება იმასაც მივაპყროთ, რომ თვალადი და ლამაზი შესახედავი, ქველი და მამაცი, ჯერაც ჭაბუკი დავითი სულ უმცროსი იყო იესეს რვა ვაჟიშვილიდან (კვლავ უმცროსი ვაჟია გამორჩეული!).

„როცა კი შემოაწვებოდა ბოროტი სული საულს, აიღებდა დავითი ქნარს და უკრავდა. ამოისუნთქავდა საული, უკეთ ხდებოდა, გაეცლებოდა ბოროტი სული“ (1 მეფ. 16,23). ამიტომ დიდად შეიყვარა საულმა დავითი და თავის საჭურველმტვირთველად დანიშნა.

ორიოდე სიტყვა აქაც უნდა ჩაუერთოთ.

ერთი ის ვთქვათ, რომ მუსიკის კეთილისმყოფელი გავლენა ადამიანის გუნება-განწყობილებასა და თვით ჯანმრთელობაზეც კარგად არის ცნობილი. სხვათა შორის, მხოლოდ ადამიანზე კი არა, ცხოველებზეც დიდად მოქმედებს მუსიკა. თქვენ ალბათ გსმენიათ ინდოელი ფაკირების ამბავი, მუსიკის მეოხებით გველსაც რომ ათვინიერებენ. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ — მცენარეებსა და მათს ზრდა-განვითარებაზეც ზემოქმედებსო მუსიკა. ალბათ იმიტომ ხდება ეს ყოველივე, რომ მუსიკა თავისი ბუნებით ღვთაებრივია და ზესთასოფლურ ყოფას გვაზიარებს ჩვენ, უბრალო მოკვდავებს. და, როგორც ჩანს, სწორედ ასევე ღვთაებრივად ჟღერდა ის მუსიკა, თავის ქნარს რომ გამოაცემინებდა დავითი, უამისოდ საულს ბოროტ სულს ვერ განაშორებდა.

მეორე ის კიდევ, რომ გამოთქმა „დავითის ქნარი“ საყოველთაოდ გავრცელდა ღვთაებრივი მუსიკის აღმნიშვნელად. როცა წაიკითხავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „ვაპოვე ტაძარი“, ასეთი სტრიქონი შეგხვდებათ: „ანგელოზთაგან იკვროდა მუნ დავითის ქნარი“.

ჩვენს მოსათხრობს თუ მივუბრუნდებით, ჯერ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ რაკი

საულს ღვთის სული განემორა, რაკი უფლის თვალში ის მეფობის ღირსი აღარ იყო, სამუელმა, უფლისავე დავალებით, ისრაელიანთა მომავალ მეფედ სწორედ დავითი გამოარჩია და მას სცხო ზეთი. მაგრამ ეს ამბავი თავის დრომდე საიდუმლოდ ინახებოდა და სხვამ არავინ იცოდა. განგების ნებით საული აღსასრულამდე ხელმწიფედ უნდა დარჩენილიყო.

ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ფილისტიმელნი კვლავ დაიძრნენ ებრაელებთან საომრად. საულმაც შეყარა თავისი ლაშქარი და მტრის დასახვედრად გაემართა. ფილისტიმელთა ბანაკი ერთი მთის ფერდობზე იყო განლაგებული, ისრაელიანთა ბანაკი — მეორე მთის ფერდობზე, შუაში ხევი ჩაუდმოდათ.

ერთ დღეს ფილისტიმელთა ბანაკს ბუმბერაზი კაცი გამოეყო. მისი სიმაღლე ექვსი წყრთა და ერთი მტკაველი იყო, — მოგვითხრობს მეფეთა პირველი წიგნის ავტორი. ეს, ჩვენი საზომით თუ ვიანგარიშებთ, ორ მეტრზე ბევრად მაღალი გამოდის. აი, ამსიმაღლე იყო ის კაცი, გოლიათი ერქვა სახელად. ეს სწორედ ის სახელია, ტანად უზომოდ დიდი და უჩვეულოდ ღონიერი კაცის აღმნიშვნელ სიტყვად რომ ვაქციეთ ქართველებმა „ბიბლიის“ გაცნობის შემდეგ. ნამდვილი გოლიათია, გოლიათური ძალის მქონე, — დღესაც ვამბობთ ხოლმე. თუ გახსოვთ, ამის თაობაზე მეხუთე კლასის სახელმძღვანელოშიც ითქვა ცოტა რამ.

გამოვიდა საომრად აღჭურვილი, სახილველად შესაზარი გოლიათი და ასე შეუძახებრა ებრაელებს: გამოარჩიეთ თქვენში მებრძოლი, გამოვიდეს ჩემს წინააღმდეგ და შევერკინებით ერთიმეორეს. თუ დამამარცხებს, თქვენი მორჩილნი გავხდებით ფილისტიმელნი, თუ დავამარცხე, თქვენ დაგვემორჩილეთ და გვემსახურეთო.

ეს წესი ძველად გავრცელებული იყო: ორი ლაშქარი რომ დადგებოდა ერთმანეთის პირისპირ, ვიდრე ბრძოლას დაიწყებდნენ, თითო კაცი გამოდიოდა აქეთ-იქიდან და ჯერ ისინი შეერკინებოდნენ ხოლმე. „ქართლის ცხოვრებას“ რომ წაიკითხავთ, ნახავთ, რომ სწორედ ამნაირი შერკინებისას განგებრა ჭაბუკმა, თქვეს მეტი წლის ვახტანგ გორგასალმა ჯერ ხაზართა ფალავანი თარხანი და შემდეგ ოსთა ფალავანი, ბუმბერაზი ბაყათარ.

გოლიათის დანახვაზე თავზარი დაეცათ ისრაელიანებს, მასთან შებმა ვერაფერ გაბედა.

ასე გრძელდებოდა ორმოც დღეს. ყოველდღე გამოდიოდა გოლიათი და თავის პირობას იმეორებდა, მაგრამ სირცხვილნაჭამ ისრაელიანთაგან გულმა არავის გაუწია მასთან შესარკინებლად.

ამ დროს იყო, ბეთლემელმა იესემ თავისი უმცროსი ვაჟი დავითი რომ

გააგზავნა ბრძოლის ველზე — შენს ძმებს საგზალი წაუღე და იქაური ამბავიც მომიტანეო. იესეს რვა შვილიდან სამი უფროსი ვაჟი ფილისტიმელებთან საბრძოლველად იყო წასული.

ჩავიდა დავითი და მაშინვე შეიტყო, რაც ამბავი იქ ხდებოდა. აღშფოთდა ჭაბუკი — ვინ არის ეგ წინდაუცვეთელი ფილისტიმელი, ღვთის რაზმებს ასეთ სირცხვილში რომ აგდებსო?! მისი ნათქვამი საულს შეატყობინეს და მანაც თავისთან იხმო დავითი. გამოეცხადა მეფეს ჭაბუკი და მოახსენა: გოლიათს მე შევებრძოლებიო. საულმა შორს დაიჭირა: შენ ჯერ ბავშვი ხარ, გოლიათი კი გამოზრდილი მებრძოლი არისო. ამაზე დავითმა მიუგო: მამაჩემის ფარას რომ ვმწყემსავდი და ლომი ან დათვი დაეცემოდა ფარას, ცხვარს მომტაცებდა, დავეწეოდი ხოლმე და ვკლავდი. ლომისგან და დათვისგან ვინც მიხსნიდა, ის უფალი ამ ფილისტიმელისგანაც დამიხსნისო. „უთხრა საულმა დავითს: წადი, უფალი იყოს შენთან!“

თავისი საჭურველი უბოძა საულმა დავითს, თავზე სპილენძის მუზარადი დაახურა, ჯავშანი ჩააცვა. მაგრამ დავითი მწყემსად იყო გაზრდილი, საბრძოლო აღკაზმულობა ვერ იგუა, გაიხადა, ხელთ თავისი კომბალი აიღო, ხუთი ბრტყელი რიყის ქვა გამოარჩია, გუდაში ჩაიყარა, შურდული წაიტანა და გავიდა ბრძოლის ველზე.

უიარაღო, აღუჭურველი პირმშვენიერი წითური ჭაბუკის დანახვაზე გოლიათი სიცილით მოკვდა. ახლოს მოღეჭიო, — უთხრა, — რომ შენი გვამი ცის ფრინველებს და ველის მხეცებს გადაუფლოო. მოკვლით ემუქრებოდა, რაღა თქმა უნდა.

„უთხრა დავითმა ფილისტიმელს: შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდინარ ჩემთან, მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით გამოვდინარ. დღეს ჩამაგდებინებს ხელში შენს თავს უფალი... გაიგოს მთელმა კრებულმა, რომ არა მახვილითა და შუბით იხსნის უფალი, რომ უფლის ნებაზეა ომი და ხელში ჩაგვადებინებს თქვენს თავს“ (1 მეფ. 17,45-47).

აღიმართა ფილისტიმელი და წამოვიდა, დავითიც მკვირცხლად გაიქცა მისკენ, გუდიდან ქვა ამოიღო, შურდული მოიმარჯვა, სტყორცნა და შიგ შუბლში მორატყა ქვა. თავქვე დაეცა გოლიათი. მაშინ დავითმა მიიბრინა, მისივე მახვილი ამოიღო ქარქაშიდან და იმით მოჰკვეთა თავი.

თავიანთი ფალავანი განგმირული რომ ნახეს, შედრკენ ფილისტიმელნი, პირი იბრუნეს, გაიქცენ ზარგანხდილნი. გამოენთენ გულმოცემული ისრაელიანები და მუსრი გაავლეს.





შეამჩნევდით უკვე, რომ საკმაოდ ხშირად გვიწევს თხრობის შეწყვეტა, რათა სხვადასხვაგვარი განმარტებები ან ჩვენს მოსათხრობთან დაკავშირებული ამბები ჩაუვრთოთ ხოლმე. ბუნებრივია ეს „ბიბლია“ იმდენად რთული და მრავალმხრივი ქმნილებაა, მისი გაცნობისას უამრავი საკითხი აღგვეძვრის და მათი უწყურადღებოდ დატოვება არ იქნებოდა მართებული.

ამჯერადაც ასეა.

აქვე ზემოთ ითქვა, რომ გოლიათის სიქადულს, უხეშ ფიზიკურ ძალასა და იარაღზე დამყარებულს, დავითმა ღმერთის მხრივ თანადგომა დაუპირისპირა: შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდიხარ ჩემთან საბრძოლველადო, – გოლიათს შეუძახა, – მე კი ისრაელიანთა ღმერთის სახელით შეგებრძოლები, რადგან ომში გამარჯვება უფლის ნებაზე არისო დამოკიდებული.

მაშასადამე, ცალკეულ მებრძოლს ან მთელ ლაშქარს ღმერთმა თუ არ მოუმართა ხელი, გამარჯვება შეუძლებელია. ხომ ენახეთ, როგორი ძლიერი, დახელოვნებული და რარივად კარგად აღჭურვილი მეომარი დაამარცხა დავითმა უბრალო შურდულით. ღმერთი ჰყავდა შემწველ და იმიტომ.

გოლიათისადმი მიმართული დავითის სიტყვები საუკუნეთა განმავლობაში შთააგონებდა ქრისტიანებს ბრძოლის დაწყების წინ. „ქართლის ცხოვრების“ კითხვისას თქვენს ყურადღებას უეჭველად მიიპყრობს შემდეგი გარემოება: ბრძოლის დაწყების წინ ქართველნი გოლიათისადმი მიმართულ დავითის სიტყვებს ისე ნებენ ხოლმე. რაღა თქმა უნდა, სიტყვასიტყვით არ იმეორებენ დავითის ნათქვამს, მაგრამ აზრი იგივეა.

ჭაბუკმა ვახტანგ გორგასალმა ხაზართა ფალავან თარხანთან შერკინების წინ ამგვარი რამ თქვა: „არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისად და სიმხნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმერთისა დაუსაბამოსათა, სამებისა ერთარსებისა ყოვლისა დამბადებელისათა განვალ თვითბრძოლად თარხანისა“.

ხოლო ამის შემდეგ ოსთა უძლეველ ფალავანს ბაყათარს ბრძოლის წინ უთხრა: „არა ძალითა ჩემითა ვსძლე თარხანს, არამედ ძალითა დამბადებელისა ჩემისათა. და არა მეშინის მე შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისგან, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩემ თანა და ჯვარი მისი პატიოსანი – საჭურველ ჩემდა“.

იგივე შეუთვალა თამარ მეფემ საქართველოს მოსასპობად ამხედრებულ რუმს



დავითი.

მეთხოუმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის  
ანდრეა დელ კასტანიოს ნახატი.

ნადინს: „შენ ოქროსა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე – არცა სიმდიდრისა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მკაცრობისასა“.

მსგავსი მაგალითი ბევრია.

ბარემ აქვე ვთქვათ ერთი ამბავი, რომელიც შეიძლება ცოტათი მოგვიანებით თქმულიყო.

ყველამ ვიცით, რომ მეცხრე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე ცხრაას წელიწადზე მეტხანს, საქართველოში ბაგრატიონები მეფობდნენ. ასე დღე-ხანს არც ერთი დინასტია არ ყოფილა სამეფო ტახტზე. ეს კი ვიცით, მაგრამ შესაძლოა ყოველმა ჩვენგანმა არ იცოდეს, რომ ბაგრატიონებს თავისი გერბი ჰქონდათ და იმ გერბზე გამოსახული იყო ქრისტეს კვართი, ქნარი და შურდული. სხვა რამეც იყო გამოსახული, მაგრამ ამჟერად ამ სამ რამეს მივაპყროთ ყურადღება.

ქრისტეს კვართი იმიტომ იყო გამოსახული, რომ, გადმოცემის თანახმად, მაცხოვარის ჯვარცმის შემდეგ მისი კვართი სწორედ საქართველოში ჩამოიტანეს და მცხეთაში დაფლეს. ამასთან, ბაგრატიონები თავისთავს ქრისტიანული სარწმუნოების უპირველეს მოსარჩლედ მიიჩნევდნენ.

ეს გასაგებია, მაგრამ ქნარი და შურდული რატომ იყო ბაგრატიონთა გერბზე?

ვინც სახელმძღვანელოს ამ თავში მოთხრობილი ამბები გულისყურით წაიკითხა, უმაღლვე გაახსენდება, რომ ქნარიცა და შურდულიც ებრაელთა უდიდესი მეფის – დავითის სახელს უკავშირდება: ქნარის საუკეთესო დამკვრელი იყო დავითი, ხოლო შურდულით გოლიათი დაამარცხა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ბაგრატიონები თავისთავს სწორედ ამ დავით მეფის შთამომავლებად მიიჩნევდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: დავით მეფის შთამომავალნი საქართველოში მოვიდნენ და ბაგრატიონთა გვართ გამეფდნენ. ისიც არის ნათქვამი: დავით აღმაშენებელი ებრაელთა მეფის, დავით წინასწარ მეტყველის სამოცდამეთვრამეტე შთამომავალი იყო. მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულს ერთ-ერთი ბაგრატიონი, საქართველოს მეფე, ამბობდა: „ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩვენ – ბაგრატიონთა, და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა“.

ამიტომ უწოდებდნენ ბაგრატიონები თავისთავს „იესიან-დავითიანებს“, ანუ დავითის მამის იესესა და თვით დავითის შთამომავლებს.

აქ საგულისხმო ისიც არის, რომ ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე ხორციელად დავით მეფის შთამომავალი იყო. ასე რომ, ბაგრატიონები თვით მაცხოვართან ხორციელ ნათესაობასაც იჩემებდნენ.



ფილისტიმელთა დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველიდან რომ ბრუნდებოდნენ ისრაელიანები, ყველა ქალაქში სიმღერითა და ცეკვით, დაფუფუნებით, მზიარული შემახილებით ეგებებოდა გამარჯვებულებს ხალხი. ქალები გაჰყვიროდნენ: საულმა ათასს სძლია, დავითმა ათი ათასს სძლია! დავითის გმირობას მეტ ფასს ადებდნენ, ვიდრე საულისას.

ამის გამგონე საული განაწყენდა, შური აღეძრა და ეჭვის თვალთ დაუწყო ყურება დავითს. თავიდან რომ მოეშორებინა, ათასისთავად დაადგინა, ხალხის საქმეთა გამრიგედ. დავითმა ხალხში ტრიალი დაიწყო. „მუდამ ჭკვიანურად იქცეოდა და უფალი იყო მასთან“.

მიხვდა საული, მეტისმეტად გონიერი რომ იყო დავითი და შიში გაუჩნდა მისი.

ამასობაში გაცხადდა, რომ მელქოლას, საულის ასულს, მაინცდამაინც დავითი შეყვარებოდა. საულმა იფიქრა — მოდი, მივათხოვებ, ოღონდ ისე, რომ ეს საქმე ხაფანგად ვუქციოო. შეუთვალა: სხვა ურვადი არ მინდა, ას მოკლულ ფილისტიმელს დავჯერდებიო. გულში ფიქრობდა — ეგებ ფილისტიმელებთან ბრძოლაში დაღუპულიყო ესოდენ არასასურველი სასიძო.

მაშასადამე, მეფის სიძობა თუ სურდა დავითს, ასი ფილისტიმელი უნდა დაეხოცა. გაეშურა საბრძოლველად დავითი და ორასი ფილისტიმელი განგმირა. მიხვდა საული, რომ უფალი იყო დავითთან, კიდევ უფრო შეეშინდა მისი და სამუდამო მტრად გადაეკიდა.

ასე გართულდა და დაიხლართა სიმე-სიმაჰრის ურთიერთობა.

ამას ზედ ერთვოდა შემდეგი ამბავი: რაც დრო გადიოდა, რაც უფრო მეტ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას დავითი, სულ უფრო აშკარავდებოდა, რომ საულის ქვეშევრდომთა შორის ის ყველაზე გონიერი იყო, და დიდი სახელიც დაუვარდა.

მაგრამ ამ საქმეს სხვა სირთულეც ახლდა, შესაძლოა მეტი მნიშვნელობის მქონე: დავითი და საულის უფროსი ვაჟი იონათანი განუყრელი მეგობრები იყვნენ.



პირველსავე დღეს, როცა დავითი ხალხის თვალწინ ჭეშმარიტ გმირად, ერის მხსნელად გამობრწყინდა გოლიათთან შერკინებისა და მისი დამარცხების წყალობით, „შეიყვარა იგი იონათანმა, როგორც საკუთარი თავი“.

ერთ დღეს საულმა იონათანს და თავის ქვეშევრდომებს გაანდო ბოროტი განზრახვა — დავითი უნდა მოიკლასო. იონათანმა დავითი გააფრთხილა, რომ იმ დღეს მეფის კარზე არ გამოჩენილიყო, თვითონ კი მამამისთან გამოესარჩლა დავითს: ნუ დაიდებ შენი მორჩილი დავითის ცოდვას, შენს წინაშე ხომ არაფერი დანაშაული მიუძღვისო, — უთხრა, — ხომ გაიხარე, როცა დავითმა თავისი სიცოცხლეს არად ჩააგდო და ფილისტიმელს შეერკინა, ეხლაც მრავალ სასიკეთო საქმეს გაგიკეთებს, უბრალო სისხლს ნუ დაღვრიო.

დააჯერა მამამისი იონათანმა. „დაიფიცა საულმა: უფალს ვფიცავ, არ მოკლავ ბა“.

ამგვარი ფიცი — უფლის დამოწმება — სახუმარო საქმე არ იყო, მის გატეხას ვაგლახად ვერავინ იკადრებდა. ამით დაიმედებულმა იონათანმა მეფის კარზე დააბრუნა დავითი და თითქოს კვლავ აღდგა სიძე-სიმამრს შორის ძველებური ტკიბილი ურთიერთობა.

მაგრამ მალე ერთი დიდი ბრძოლა კიდევ გაიმართა ფილისტიმელებთან ისრაელიანთა მხედრობას დავითი სარდლობდა და სასტიკად დაამარცხა, გააქცია ფილისტიმელები.

ეტყობა, დავითის ამ ახალმა გამარჯვებამ საულს სულ დააკარგვინა წონასწორობა:

„შეიპყრო ბოროტმა საულმა საული, როცა შინ იჯდა და შუბი ეჭირა ხელში. დავითი კი ქნარს უკრავდა. უნდოდა კედელს მიეგმირა შუბით, მაგრამ გაუსხლტა დავითი და კედელს მოხვდა შუბი. დავითი კი გაიქცა და ასე გადარჩა სიკვდილი იმ დამით“ (1 მეფ. 19,9-10).

მაშინ საულმა გადაწყვიტა საკუთარ სახლში მოეკლა დავითი, მის სახლს ალყა შემოარტყეს მეფის მხედრებმა. მაგრამ მელქოლამ, მისმა ცოლმა და საულის ასულმა, სარკმლიდან გადააპარა დავითი და ასე იხსნა უეჭველი სიკვდილისგან.

ამის შემდეგ დავითი იძულებული შეიქნა გადაკარგულიყო, დამალვოდა საულს რომელსაც სხვა რამ საზრუნავი თითქოს აღარ ჰქონდა, სულმუდამ იმის ცდმა იყო, როგორმე მოეხელთებინა და მოეკლა დავითი. არაერთხელ სასწაულებრივად გადაურჩა დავითი მტრად მოკიდებულ სიმამრს. რამდენიმე ასეული ერთგული კაცი ახლდა დავითს, ადგილს ხშირ-ხშირად ინაცვლებდა, ძნელი იყო მისი მიყვ

ლექსი. მხოლოდ იონათანი ახერხებდა მოენახულებინა თავისი ძმადნაფიცო, აფრთხილებდა, როცა საული თავდასხმას დაუპირებდა ხოლმე. ერთი ასეთი შეხვედრის დროს იონათანმა დავითს უთხრა:

„ნუ გეშინია, ვერ მოგწვდება მამაჩემის, საულის ხელი. შენ იმეფებ ისრაელზე, ხოლო მე შენს შემდეგ მეორე კაცი ვიქნები“ (1 მეფ. 23,17).

მართლაც ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ უფალი იყო დავითთან და მფარველობდა მას. ვერც ერთხელ ვერ მოიხელთა საულმა დავითი. პირიქით კი მოხდა ორჯერ — დავითს ჩაუვარდა ხელში საული.

ერთხელ უდაბნოში იყო დავითი თავისი მხლებლებითურთ. მიასწავლეს საულს — აქა და აქ იძალებათ შენი მოსისხლე მტერი. საულმა გამორჩეული სამი ათასი კაცი იახლა და ძებნას შეუდგა. ისე მოხდა, რომ საული მარტოდმარტო შევიდა ერთ მიუვალ გამოქვაბულში, სადაც დავითი იყო შემალული თავის ერთგულებთან ერთად.

უთხრეს დავითს მისმა კაცებმა: აჰა, ის დღე დაგიდგა, რომელიც აღვითქვა უფალმა — შენს მტრებს ხელში ჩაგივდებ და რაც გენებოს, ის უყავიო.

ღმერთმა დაძიფაროს, რომ ასეთი საქმე ვუყო ჩემს ბატონს, უფლის ცხებულს, მასზე ხელს როგორ აღვმართავო! — მიუგო დავითმა და გაკიცხა თავისი კაცები, ნება არ მისცა საულს თავს დასხმოდნენ. ის კი იყო, რომ თავად უჩუმრად მიეპარა საულს და მის მოსასხამს კიდე ჩამოაჭრა.

საული გამოქვაბულიდან რომ გამოვიდა და თავის გზას დაადგა, დავითიც გამოჰყვა და შეეხმიანა: მეფეე ბატონო!

ამ დამახილზე საულმა მოიხელდა. დავითი დაიხარა და თაყვანი სცა მას. მერე უთხრა:

რატომ უგდებ ყურს შემასმენლებს, რომლებიც გარწმუნებენ — დავითი ბოროტ საქმეს გიმზადებსო? შენთვის ბოროტი რომ მდომოდა, აი, ამ წუთას ჩემს ხელთ იყავი გამოქვაბულში. დააკვირდი, შენი მოსასხამის კიდე მიჭირავს, ხომ შემეძლო მომეკალი. ამით მაინც მიხვდი, რომ უცოდველი ვარ შენს წინაშე, უფლის ცხებულზე ხელს არ აღვმართავ, მე და შენ ღმერთმა განგვსაჯოსო!

„როცა დაასრულა დავითმა ამ სიტყვების ლაპარაკი საულთან, თქვა საულმა: ეს შენი ხმაა, დავით, ჩემო შვილო? და ატირდა საული“ (1 მეფ. 24,17).

მერე უთხრა: მართალი ხარ ჩემს წინაშე, მე ბოროტს გიმზადებდი, შენ კი სიკეთით მიხდიდი. უფალმა მოგაგოს იმ სიკეთის საზღაური, რაც დღეს მიყავი,

შენს ხელთ ჩავარდნილი რომ არ მომკალი. ეხლა მევერა — მეფე გახდები და შენ ხელში ისრაელის სამეფო განმტკიცდება. შემომფიცე, რომ ჩემს შემდეგ ჩემ შთამომავლობას არ გასწყვეტო!

შეჰფიცა დავითმა და გაბრუნდა საული.

ეხლა მაინც თითქოს მშვიდობა უნდა ჩამოვარდნილიყო სიძე-სიმამრს შორის, მაგრამ მას შემდეგ, რაც უფლის სული განეშორა, საული მერყევ, გაუწონასწორებელ, არმისანდობელ კაცად იქცა, მის სიტყვას აღარ ახლდა ის სიმტკიცე ხელმწიფის მიერ ნათქვამს რომ შეჰფერის. გადათქვა თავისივე პირობა და კვლავ შეუდგა დავითის ძებნას მის მოსაკლავად.

ამჯერადაც უდაბნოში იყო დავითი, სხვა მხარეს. მიასწავლეს საულს მისი ადგილსამყოფელი. ამანაც კვლავ იახლა სამი ათასი რჩეული მებრძოლი და იქითკენ გაეშურა. ჩამალული დავითი მეფისა და მისი რაზმის მსვლელობას თვალს ადევნებდა. ამით რომ დაიბანაკეს, დავითი და მისი ერთგული კაცი დამით უჩუმრად იქ შეიპარენ. მეფეს შუაგულ ბანაკში ეძინა, იქვე სასთუმალთან მისი შუბი იყო ჩარჭობილი. გვერდით მისი მხედართმთავარი აბნერი და სხვა უერთგულესნი უწვნ. ღრმა ძილი დაუფლებოდა ყველას.

დავითს რომ კაცი ახლდა, იმან უჩურჩულა: აჰა, ღმერთმა ხელში ჩაგაგდებინა შენი მტერი, ეხლავე ერთი დაკვრით მიწას დავაკლავო.

არაო, — დავითმა უთხრა, — უფლის ცხებულზე ხელის აღმმართველი დაუსჯელო ვერ გადარჩება, ამ საქმისგან ღმერთმა დამიფაროსო!

საულის შუბი და მათარა აიღო დავითმა და კვლავ უჩუმრად დატოვა ბანაკი მერე მოშორებით გორაკზე ავიდა და იქიდან გადმოსძახა საულის მხედართმთავარს აბნერს:

ვიღაც მოსულა მეფის, შენი ბატონის მოსაკლავად, რატომ არ დაცაივი მეფე! სიკვდილის ღირსნი ხართ, რომ უფლის ცხებულს არ იფარავთ, მიიხედ-მოიხედ! მეფის შუბი და მათარა სად არისო?

„იცნო საულმა დავითის ხმა და თქვა: ეს შენი ხმა არის, დავით, შეილო! მიუგო დავითმა: ჩემი ხმაა, მეფეე ბატონო!“ (1 მეფ. 26,17).

მერე უთხრა: თუ უფალმა წაგაქეზა ჩემს წინააღმდეგ, ვიყო მე შესაწირაუ მსხვერპლი, მაგრამ თუ კაცებმა წაგაქეზეს, წყუღიმც იყვნენ ისინი, რადგან მათ გამო ვარ ღვენილი და გადახვეწილი.

„თქვა საულმა: შევცოდე, დაბრუნდი, შეილო, დავით, მეტს აღარ გიბოროტებ რადგან არ გაიმეტე დღეს ჩემი სიცოცხლე. მე კი უგუნურად ვიქცეოდი და დღეს

ვცდებოდი... კურთხეული იყავი, შვილო, დავით!" (1 მეფ. 26,21).

მაგრამ დავითმა მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ საულის დატკობა და მისი მამაშვილური სიტყვა მისანდობელი აღარ იყო, თავისას მაინც არ მოიშლიდა, ვერ მოისვენებდა, სანამ დავითი ისრაელიანთა შორის ეგულებოდა. ამიტომ დავითი თავისი მხლებელი ექვსასი კაცითურთ ფილისტიმელთა ქვეყანაში გადავიდა და საულმა ეს რომ შეიტყო, მეტი აღარ უძებნია იგი.



წელიწადზე მეტი გავიდა ამის შემდეგ და ფილისტიმელები კვლავ შემოეწყვენ ისრაელის ქვეყანას. საულმაც კვლავ შეჰყარა ჯარი, საომრად გაემზადა. მაგრამ ეს აღარ იყო ოდინდელი საული — შემმართებელი მებრძოლი და მხედართუფროსი. ფილისტიმელთა ბანაკის დანახვისას თავის გამარჯვებაში დაეჭვდა, გული შეუკრთა, მთელი სიცხადით შეიგნო, რომ უფლის სული განშორებოდა და ზეცის შემწეობის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ასეთი განწყობილებით გაემართა მტერთან საომრად.

როგორც მოსალოდნელი იყო, ისრაელიანები დამარცხდნენ და გაიქცენ. ფილისტიმელები გამოედევნენ, უმოწყალოდ ხოცავდნენ გაქცეულებს. საულსა და მის ვაჟებსაც წამოეწივნენ, სამი ვაჟი მოუკლეს საულს, მათ შორის — იონათანიც.

თავად საული ისრით დაიჭრა მძიმედ. მიხვდა — აღსასრული მოახლოებული იყო და თავის საჭურველმტვირთველს უბრძანა: მახვილი ამოიღე და გამიყარე, მტრების ხელით რომ არ მოგკედო. მაგრამ საჭურველმტვირთველმა ვერ გაბედა მეფეზე მახვილის აღმართვა. „მამინ აიღო საულმა მახვილი და ზედ დაეგო“. საჭურველმტვირთველმა ეს რომ დაინახა, თვითონაც მახვილს დაეგო და მასთან ერთად დალია სული.

ამასობაში, ვიდრე ფილისტიმელნი და ისრაელიანები ერთმანეთს ებრძოდნენ, ფილისტიმელთა ქვეყანასაც და იუდას შთამომავალთა სამკვიდრებელსაც ამაღეკელთა მოთარეშე ურდო დაესხა თავს, ისრაელიანთა ქალაქი ციგლაკი დაარბია და გადაწვა, ტყვეები წაასხა, დიდი ნადავლი წაიღო და უკანვე გაბრუნდა.

ამ ამბიდან მესამე დღეს დავითი თავისი ექვსასიკაციანი რაზმითურთ სწორედ ციგლაკს მიადგა. საზარელი სურათი დაუხვდათ — მიწასთან გასწორებული ქალაქი და დაწიოკებული, ხელაღუპრობელი მოქალაქენი, ვინც კი ურდოს თარემს გადარჩნოდა.



მაშინვე სამხრეთისკენ დაძრა თავისი რაზმი დავითმა. ისრაელის ქვეყნის საზღვრებს მიღმა დაეწიენ ურდოს, მეხად დაატყდნენ თავს, ამოწყვეტეს მომხდრნი, გატაცებული ტყვეები და მთელი ნადავლი დაიბრუნეს, გამარჯვებულნი დაბრუნდნენ ციგლაკს.

ამ ქალაქში ეახლა დავითს ერთი ამაღეკელი კაცი, ისრაელში შემოიხიზნული ოჯახის შვილი. მან ამცნო ფილისტიმელებთან ომში ისრაელიანთა სასტიკი დამარცხების ამბავი, აგრეთვე — საულისა და იონათანის სიკვდილი. ოღონდ საულის ამბავი სხვაგვარად თქვა: მე დავინახე შუბს დაყრდნობილი დაჭრილი საული, მტრები უახლოვდებოდნენ, დამიძახა და მითხრა — მომკალი, რადგან საშინლად ვიტანჯები, სული კი არ ამომდისო. მოკალი და გვირგვინი, თავს რომ ეხურა, და სამაჯური, ხელზე რომ ეკეთა, თქვენ — ჩემს ბატონს მოგართვითო.

ეტყობა, დავითისგან მადლობას და წყალობასაც ელოდა ის კაცი.

ამ ამბავთა მომხმენმა დავითმა სამოსელი შემოიხია და მოთქმით ტირილი დაიწყო. ცოტათი გონს რომ მოეგო, ამბის მომტანს უთხრა: როგორ გაბედე და უფლის ცხებულზე ხელი აღმართო?! — და მოაკვლევინა ის კაცი.

დიდად იგლოვეს დავითმა და მისმა ქვეშევრდომებმა საულიც, იონათანიც, ბრძოლის ველზე დაცემული სხვა ისრაელიანებიც.

დავითის გოდება — ამ ზარდამცემ ამბავთა გამო შეთხზული ლექსი (2 მუს. 1,19-27), ბიბლიური პოეზიის ერთი ჩინებული ნიმუშია:

„შეიბღალა შენი მშვენება, ისრაელო, შენს მადლობებზე! როგორ დაეცნენ ვაჟკაცები!..

განგმირულთა სისხლისგან, ვაჟკაცთა გულ-ღვიძლისგან არ ბრუნდებოდა უკან იონათანის მშვილდი, საულის ხმალი ფუჭად არ ბრუნდებოდა! საულ და იონათან, საყვარელნი და სანატრელნი სიცოცხლეში, სიკვდილშიც განუყრელნი არიან! არ წივზე უსწრაფესნი და ლომზე ძლიერნი იყვნენ.

ისრაელის ასულნი, იტირეთ საული, თქვენი შემოსველი ძოწეულით და ძვირფასეულით, ოქროს სამკაულებით რომ გიმშვენებდათ შესამოსელს.

როგორ დაეცნენ ვაჟკაცები ბრძოლაში! განგმირულია იონათანი შენს მადლობებზე.

ვწუხვარ შენზე, ძმაო იონათან! დიდად ძვირფასი იყავი ჩემთვის, საკვირველი იყო შენი სიყვარული ჩემდამი, ქალის სიყვარულზე ძლიერი.

როგორ დაეცნენ ვაჟკაცები, როგორ განადგურდა საომარი საჭურველი!“



დავითი.

მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ხელოვანის  
მიქელანჯელო ბუონაროტის ქანდაკება.

## თავი მესამე

დავითის თავგადასავალი რომ განვაგრძოთ, მცირე ხნით წარსულს უნდა დაუბრუნდეთ და ზოგი რამ გავიხსენოთ მისი წინაპრების ცხოვრებიდან.

როდესაც ხარანიდან ჩამოსულ აბრაამს უფალმა უთხრა – მთელი ეს მხარე ქანაანის ქვეყანა, შენთვის და შენთა შთამომავალთათვის მომიციაო, აბრაამი მამრეს მუხნარში დასახლდა და იქ აუგო უფალს სამსხვერპლო (დაბ. 13,18).

სახელწოდება მამრეს მუხნარი, მამრეს მუხა რამდენჯერმე გვხვდება „დაბალებს“ წიგნში. ეს ადგილი მდებარეობს იერუსალიმიდან სამხრეთით, მკედარი ზღვის შუაწელიდან დასავლეთით, იუდას ტომის მერმინდელი სამკვიდრებლის ცენტრალურ ნაწილში.

აქ ცხოვრობდნენ აბრაამიც, ისაკიც, ერთხანს – იაკობიც. აქ მოველინა აბრაამს სამი ანგელოზი, ამ მიდამოებში იყიდა ხეთელთაგან მახფელას მღვიმე, როცა მისი მეუღლე სარა აღესრულა. მახფელას მღვიმე აბრაამის ოჯახის საგვარეულო საძვალედ იქცა, ამ მღვიმეში დაკრძალეს სარაც, მერე – აბრაამიც, ისაკიც, აქ ჩამოასვენეს იაკობის ცხედარი ეგვიპტიდან, აქვე იყო რებეკასა და ლეას საფლავები.

ჩვენთვის ამჟამად უფრო საგულისხმო ის არის, რომ მამრეს მუხნართან გაშენდა შემდგომში ქალაქი ხებრონი, რომლის ფარგლებშიც მოექცა მახფელას გამოქვაბული.

ისიც დიდად საგულისხმოა, იმ მხარეში თავდაპირველად სტუმარივით ჩასულმა აბრაამმა მაინცდამაინც ხეთელებისგან რომ შეიძინა მიწა, რაც ამ იდუმალებით მოცული ხალხის – ხეთელების თუ ხეთების – ქანაანის სამხრეთში ცხოვრებას მოწმობს. მაგრამ ამჯერად ამ საკითხს ნუ გამოვედევნებით, ერთადერთი ის დავიმახსოვროთ, რომ ხეთების სახელმწიფოში, რომლის ცენტრი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე იყო, ქართველ ტომთა წინაპრები სახლობდნენ.

მამსადაძმე, ჩვენთვის საგულისხმო ამჟამად ქალაქ ხებრონის ამბავია. ისრაელიანები ქანაანის ქვეყანაში რომ შევიდნენ, ხებრონი ქალებ იეფუნის ძეს მისცეს სამკვიდროდ. ეს ის ქალებ იეფუნის ძეა, სხვებთან ერთად ქანაანის დასახვერად რომ გააგზავნა მოსემ და იქედან მობრუნებულნი ისა და იესო ნავეს ძე რომ არწმუნებდნენ თვისტომთ – შეგვიძლია ქანაანელთა ძლევა, უფალი ჩვენთან არისო. თუ გახსოვთ, მაშინ უფლის ნებით ძველი თაობიდან მხოლოდ ამ ორ ღვთის-

მოსავ კაცს — იესო ნავეს ძესა და ქალებ იეფუნის ძეს მიეცათ უფლება ქანაანის ქვეყანაში შესულიყვნენ.

ყოველივე ამის გახსენება იმისთვის იყო საჭირო, რათა წარმოდგენა გვექონოდა ქალაქ ხებრონის შესახებ. რადგან საულის დაღუპვის შემდეგ დავითს უფალმა უბრძანა — ხებრონში დასახლდით. შეასრულა დავითმა უფლის ბრძანება, თავისი ოჯახიც და მისანდობელი ხალხიც ხებრონს ჩაიყვანა და მალე აქვე სცხეს ზეთი და იუდას ტომის მეფედ გამოაცხადეს დავითი. იუდას ტომი, გახსოვთ ალბათ, ქანაანის სამხრეთში იყო დამკვიდრებული და ვრცელი მიწა-წყალი ეჭირა ჩრდილოეთით იერუსალიმამდე, აღმოსავლეთით მკვდარ ზღვამდე და დასავლეთით ფილისტიმელთა საზღვრებამდე.

ასე იქცა ქალაქი ხებრონი დავით მეფის რეზიდენციად.

ამასობაში საულ მეფის მხედართმთავარმა აბნერმა საულის ვაჟი იშბოშეთი იორდანეს გაღმა გადაიყვანა და იქედან გაამეფა როგორც იორდანეს აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით მცხოვრებ ისრაელიანებზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფაქტიურად შეიქმნა ისრაელიანთა ორი სამეფო: ერთი — ქანაანის სამხრეთში, იუდას ტომის მიწა-წყალზე, სადაც იუდას და სიმონის შთამომავალნი მკვიდრობდნენ და სადაც დავითი მეფობდა; მეორე — ქანაანის ჩრდილოეთში, იორდანეს გაღმა-გამოღმა, სადაც საულის ძე იშბოშეთი ეღგა სათავეში ქვეყანას.

გავიდა ხანი და ამ ორი სამეფოს ჯარები ერთიმეორეს შეებნენ ქალაქ გაბონთან. დავითის სარდალი იოაბი იყო, მეფის უერთგულესი ქვეშევრდომი, ჩრდილოელთა სარდალი — აბერი, წელან რომ ვახსენეთ. სძლია დავითის მხედრობამ მოწინააღმდეგეს, გააქცია. მხედართმთავარ აბნერს მისი მოპირისპირის — იოაბის ძმა გამოედევნა, სახელად ყასაელი. აბნერმა რომ მოიხედა და თავისი მღევარი დაინახა — გამეცალეო, ორჯერ უთხრა, შენ რომ შემომაკვდე, შენს ძმას იოაბს როგორღა შევხედო! ყასაელმა თავისი არ დაიშალა და მაშინ აბნერმა შუბი უკუსცა, მოკლა.

ყასაელის დაღუპვამ დიდად გაამწარა მისი ძმა იოაბი, დრო შეურჩია და ძმის სისხლი აიღო — განგმირა აბერი.

საულის ძემ იშბოშეთმა, ისრაელის მეფემ, ეს ამბავი რომ შეიტყო, დიდად შეშფოთდა, თავი უმწეოდ იგრძნო. დანარჩენი ისრაელიანებიც აფორიაქდნენ, ეტყობა, იაზრეს, რომ მათი მღვთმარეობა მყარი ვერ იყო, ბედის სასწორი აშკარად დავითისკენ გადაიხარა.

მაშინ ორი ისრაელიანი იშბოშეთის სახლში შეიპარა, მოკლეს მძინარე მეფე,

თავი მოაჭრეს და დავითს მიართვეს ხებრონში, ვითომ – შენი ასეთი ერთგულე ვართო. ალბათ არ იცოდნენ ან არ გაახსენდათ, რა დამართა დავითმა მეფე საულის მკვლელს თუ მკვლელობის დამბრალებელს, რომელსაც კეთილი ამბის მთხრობელი ევონა თავისთავი.

ამჯერადაც იგივე განმეორდა: რას იმსახურებენ ის ბოროტი კაცები, რომელთაც უდანაშაულო ადამიანი თავისსავე სახლში, თავის საწოლში მოკლეს? – შეჰყვირა დავითმა და სიკვდილით დასაჯა ის ორი გარეწარი.

შემდგომ ამისა მეფეთა მეორე წიგნის მეხუთე თავში ვკითხულობთ:

„მოვიდა ისრაელის ყველა შტო დავითთან ხებრონს და ასე უთხრეს: აჰა, შენი ძეალი და ხორცი ვართ ყველანი.

წინათაც, როცა საული მეფობდა ჩვენზე, შენ მიგყავდა და მოგყავდა ისრაელი, შენ გითხრა უფალმა: შენ უნდა მწყემსო ჩემი ერი ისრაელი, შენ უნდა იყო ისრაელის წინამძღოლი.

მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა მეფესთან ხებრონს და შეკრა დავითმა მათთან კავშირი ხებრონში უფლის წინაშე და სცხეს ისრაელის მეფედ დავითი.

ოცდაათი წლისა იყო დავითი, როცა გამეფდა, და იმეფა ორმოც წელიწადს.

ხებრონში შეიდ წელიწადს და ექვს თვეს მეფობდა იგი იუდაზე; იერუსალიმში მეფობდა ოცდაცამეტ წელიწადს მთელს ისრაელსა და იუდაზე“ (5,1-5).

რაც აქ ბოლო ორ მუხლში წერია, წინასწარ არის ნათქვამი. მანამდე, ვიდრე მისი მეფობის ორმოცი წელიწადი გაივლიდა, მრავალი რამ გარდახდა თავს დავითს.

ჯერ ის ვთქვათ, ისრაელის უხუცესთა გარდა ვინ ეახლა მას ხებრონში. ესენი იყვნენ საომრად შეჭურვილი მებრძოლები, რომელთაც, უფლის სიტყვისამებრ, საულის სამეფო უნდა გადაეცათ დავითისთვის: იუდიანები ანუ იუდას შთამომავალი ექვსი ათას რვაასნი იყვნენ, სიმონის ტომის ხალხი – შეიდი ათასზე მეტი, ლევი ტომისა – ოთხი ათასზე მეტი, აარონის მემკვიდრენი – სამი ათასზე მეტი, ბენიამინისა – სამი ათასი, ეფრაიმისა – ოცი ათასზე მეტი, მენაშესი – თვრამეტი ათასი, ისაქარისა – ორასი, ზებულონისა – ორმოცდაათი ათასი, ნაფთალისა – ოცდათვრამეტი ათასი, დანისა – ოცდარვა ათასზე მეტი, ასერისა – ორმოცი ათასი, რუბენის და გადისა – ას ოცი ათასი.

ერთად თითქმის სამას ორმოცდაათი ათასი გამოდის. საიმდროოდ ეს უზარმაზარი ძალა იყო და ბრძენი მეფისა და თავგზიანი მხედართმთავრის წინამძღოლობით ნებისმიერ მტერს დაამარცხებდა.

„ყველა ეს მებრძოლი ვაჟკაცი მწყობრად დარაზმული, წრფელი გულით მოვიდა ზებრონში დავითის გასამეფებლად მთელს ისრაელზე...“

სამ დღეს დარჩენ ისინი იქ. ჭამდნენ და სვამდნენ, რადგან მათს ძმებს ყველაფერი მოეშადებინათ მათთვის.

ასევე მათს მეზობლებს, ისაქარის, ზებულონისა და ნაფთალის ტომებიდანაც კი მოჰქონდათ ვირებით, აქლემებით, ჯორებითა და ხარებით სურსათ-სანოვაგე, ფქვილუული, ლევვი, ჩირი, ღვინო, ზეთი, უამრავი ხარ-ძროხა და ცხვარი.

ეს იმიტომ, რომ სიხარული იყო ისრაელში“ (1 ნეშტ. 12,38-40).



ისრაელიანებმა ქანაანის ქვეყანა რომ დაიპყრეს, ამის შემდეგაც კარგახანს ქანაანური ტომები მრავლად სახლობდნენ იმ მხარეში. ერთ-ერთი ასეთი ტომი იებუსეველთა მოდგმა იყო, ძლიერი და მეომარი ხალხი. იმდენად ძლიერი, რომ დავითის გამეფების დროისთვის მათ კიდევ ეპყრათ ტერიტორია ქანაანის ცენტრალურ ნაწილში, იქ, სადაც ქალაქი იერუსალიმი. ყურადღება მივაპყროთ იმ ამბავს, რომ იერუსალიმს ადრე იებუსი ერქვა, ესე იგი – იებუსეველთა ქალაქი.

ისიც გავიხსენოთ, რომ აქვე იყო მორიას მთა თუ ბორცვი. განსოვთ ალბათ, ეს ის მთაა, სადაც აბრაამმა ისააკი აიყვანა უფლისთვის შესაწირავად. ქვემოთ ვნახავთ, რომ აქვე ააგო დავითის ძემ სოლომონმა თავისი იგავიშუწვენიელი ტაძარი და იმ ადგილს სიონიც შეერქვა.

ოღონდ ეს შემდეგ მოხდა. მანამდე, დავითის გამეფებამდე იებუსი ანუ იერუსალიმი სიონითურთ იებუსეველებს ეპყრათ და იქ ისეთი ციხე-სიმაგრე ჰქონდათ, მტრის მიერ მისი გატეხა რომ ეთქვა ვისმე, სიცილით დაიხოცებოდნენ. სწორედ ასე შემოუთვალეს იებუსეველებმა დავით მეფეს: ჩვენს ქალაქში ვერ შემოხვალ, კოჭლები და ბრმები რომ შეგებრძოლონ, ისინიც კი გაგაქცევინო. ერთობ გულდაჯერებულნი იყვნენ მიუვალი ციხე-სიმაგრის მფლობელი იებუსეველები.

არადა, მას შემდეგ, რაც სრულიად ისრაელის მეფე შეიქნა დავითი, გულში ამოიჭრა, რომ ქვეყნის სატახტო ქალაქად უეჭველად იერუსალიმი ექცია. გაილაშქრა კიდევ ამ ქალაქის ასაღებად და, როგორც ამ წუთას ვთქვით, იებუსეველებს სიცილად არ ეყოთ მისი განზრახვა.

მაგრამ დავითი თავადაც სწორუპოვარი მეომარი იყო და ჯარიც ძლიერი ჰყავდა. მიაყენა თავისი სპა იერუსალიმის ციხის კედლებს და გამოაცხადა: ვინც

პირველი შემუსრავს იებუსეველებს, ის გახდებაო მხედართმთავარი. ეს საუკუნე აღასრულა დავითის ძმისწულმა და მისმავე სარდალმა იოაბმა, რომელიც სისერემდე მისი უერთგულესი და მისანდობელი კაცი იყო.

ისიც ვთქვათ, რომ იერუსალიმს „დავითის ქალაქი“ ეწოდა.

გახსოვთ ალბათ, საულის მეფობის უკანასკნელ წლებში მტრები კვლავ გაუთამამდნენ ისრაელიანებს. ისიც გემახსოვრებათ, რომ იმხანად მათ ყველაზე ხშირად ფილისტიმელები ებრძოდნენ. ესლა, რა რომ დავითი მთელ ისრაელზე გამეფდა, ფილისტიმელები შეფიქრიანდნენ. კარგად იცნობდნენ ისინი დავითს (საულის მიერ დევნილი დავითი ერთხანს სწორედ მათთან იყო შეხიზნული), იცოდნენ მისი გონიერების, გამჭრიახობის, გულმაგრობისა და ხერხიანობის ამბავი. ალბათ ამიტომ გადაწყვიტეს დაესწროთ მისთვის, ვიდრე კიდევ უფრო მომაგრდებოდა, მისი სახელმწიფო მანამდე გაენადგურებინათ.

დიდძალი ლაშქრით შემოეწყენ ფილისტიმელნი იერუსალიმის სანახებს. მათი ჯარის ერთი ნაწილი ბეთლემში იდგა, დავითის მშობლიურ ქალაქში, რომელიც, ალბათ ესეც გემახსოვრებათ, სულ ახლოს არის იერუსალიმთან, მისგან სამხრეთით.

უტყობა, გული შეეძრა დავითს, მტრის მიერ პყრობილი რომ იხილა თავისი ბავშვობისა და სიჭაბუკის ქალაქი ბეთლემი, უტყობა, მოგონებანი მოედალენ, გრძობებს ხელი დარიეს და ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც მოულოდნელი იყო ხელმწიფისგან და სამეფოს მთელი ლაშქრის უმაღლესი მთავარსარდლისგან: ბეთლემის ჭის წყალი ინატრა, მაინცდამაინც ბეთლემის ჭის წყალი! „ინება დავითმა და თქვა: ვინ დამალევინებს ბეთლემის ჭის წყალს, კარიბჭესთან რომ არის?“ (1 ნეშტ. 11,17).

ამის თქმა იყო და დავითის სამი უმამაცესი მეომარი, ბრძოლებში მისა განუშორებელი სამი ვაჟკაცი, ბეთლემისკენ გაიჭრა. ფილისტიმელთა წყობა გაარღვიეს, იმ ჭიდან წყალი ამოიღეს და ხელმწიფეს მორათვეს.

მაგრამ, ჩანს, ამასობაში დავითი გონს მოეგო, არ ისურვა ასეთი უდიდესი ხიფათის ფასად მორთმეული წყლის შესმა — ის სამი გულოვანი მებრძოლი ხომ სასწაულით გადაურჩა უეჭველ სიკვდილს! „ადარ ინდომა დავითმა წყლის დაღვევა და უფალს შესწირა. თქვა: შორს იყოს ჩემგან, უფალო, ასეთი საქმე! ნუჭი დამელიოს ამ ვაჟკაცთა სისხლი, თავის გასაწირად რომ წავიდნენ!“ (1 ნეშტ. 11,18-19).

„ქართლის ცხოვრებას“ რომ წაიკითხავთ, სახელდობრ, ქართლის მეფის სიმონ პირველის თავგადასავალს, იქ შეგხვდებით ამგვარი ეპიზოდი: გორის ციხეოსმალებს უპყრიათ, სიმონ მეფე თავისი ლაშქრით გორისჯვარში დგას, გორზე

იერიშს აპირებს. გაზაფხულის პირია. გაიხედა მეფემ გორის მხარეს, დაინახა ახლადამოსული მწვანელი და მისი გემება მოისურვა. ამ ახირებული სურვილის შესასრულებლად, როგორც მემპტიანე გვამცნობს, „გავიდნენ ქართველნი და ჩავიდნენ გორის ბოსტნებში და დაგლიჯეს მწვანელი“. მაგრამ ძვირად დაუჯდათ თავზეხელაღებულ ვაჟკაცებს ეს კადნიერება: „დაუშინეს ციხილამ ურუმთა (ოსმალეზმა) და ისროლეს მრავალი და ამოსწყვიტეს ქართველნი მრავალნი, დიდნი და მცირედნი... და მაშინ დაგმეს მეფე სვიმონ, რომ მწვანელისთვის ამდენი კარგი კაცი ამოსწყვიტეს“.

ღამიანსოვრეთ ეს ორი ამბავი, ერთი ძველი წელთაღრიცხვის მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს მომხდარი იერუსალიმთან, მეორე – მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულს მომხდარი გორთან, და, რომ წამოიზრდებით, თქვენ თვითონვე შეუდარეთ ერთიმეორეს და თავადვე გააკეთეთ დასკვნები.

ეხლა ფილისტიმელებთან ბრძოლის ამბავს მივუბრუნდეთ.

დავითმა სასტიკად დაამარცხა ფილისტიმელები. კვლავ შემოუტეეს იმით, კვლავ სძლია დავითმა. შემდეგ თავად შეუტია, მათსავე ქვეყანაში გაუნადგურა დიდძალი ლაშქარი და „წაართვა მათ ბატონობის საღავეები“ (2 მეფ. 8,1).

შემდეგ მოაბელებიც დაამარცხა დავითმა. ესენი, გახსოვთ ალბათ, მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით სახლობდნენ. ისიც გაგახსენდებათ, რომ დავითის მამის – იესეს ბებია, სახელად რუთი, მოაბის ქვეყნიდან გამოთხოვილი ქალი იყო.

სუბას (ცობას) მეფესაც შეება დავითი, მისი ლაშქარი გააქცია, შვიდასი ცხენოსანი და ოცი ათასი ქვეითი წამოასხა ტყვედ. სუბა ქალაქსა და მხარესაც ეწოდებოდა სირიაში, დამასკოს ჩრდილოეთით, მდინარე ეფრატის გასწვრივ.

სუბელთა დასახმარებლად დამასკოს არამელები გამოსულან, – ასე მოგვითხრობს „ბიბლიის“ ტექსტი. ჩვენთვის უფრო გასაგებად თუ ვიტყვი, ესენი დღევანდელი სირიის მიწაზე მოსახლენი იყვნენ. ამათაც მუსრი გავლო დავითის ლაშქარმა, ოცდარი ათასი კაცი დაუხოცა. ამის შემდეგ სირიელნი დავითის მორჩილნი და მოხარკენი შეიქნენ და დავითმა მათს ქვეყანაში თავისი ხელისუფალნი ჩააყენა.

ედომიც დაიმორჩილა დავითმა, თვრამეტი ათასი ედომელი გაჟლიტეს ბრძოლაში ისრაელელებმა. ედომი მკვდარი ზღვის სამხრეთით მდებარე ქვეყანა იყო. ამ ქვეყნის მკვიდრთ, ედომელებს, ესავის შთამომავლებად მიიჩნევდნენ. ესავის ამბავი უნდა გახსოვდეთ: იაკობის ტყუპისცალი იყო, პირმშო, რომ დაიბადა, ერთიანად წითური ყოფილა. წითელ ფერს იმ მხრივაც უკავშირდებოდა, ერთხელ ნადირობიდან დაქანცული და მოშიებული რომ დაბრუნდა და ნახა – იაკობს



შეჭამადი გაემზადებინა, ხარბად უთხრა: შემაზერეპინე წითელი, ეგ წითელი, ამ ტომაც შეერქვა ესავს „ედომი“, რაც წითურს ნიშნავს.

იორდანეს აღმოსავლეთით მოსახლე ყამონიანებიც დამარცხდნენ დავითთან ბრძოლაში, თუმცა საკუთრივ თავისი ლაშქრის გარდა დაქირავებული ჰყავდით სხვადასხვა ტომის მეომრები, მათ შორის – სუბას არამელები ანუ სირიელები.

შემდგომ ამისა არამელები გაერთიანდნენ დავითის წინააღმდეგ და დიდძალ ლაშქარს მოუყარეს თავი, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდნენ და ორმოცი ათასი მოკლული მხედარი დატოვეს ბრძოლის ველზე.

ყამონიანებთან ერთი დიდი ომი კიდევ მოუხდათ ისრაელიანებს და კვლავ სასტიკად დაამარცხეს, მტრის უმთავრესი ქალაქი რაბა აიღეს ხანგრძლივი აღვის შემდეგ. ამ ქალაქის სახელი დავიმახსოვროთ, ქვემოთ მალე მოგვიწევს იქ გამართული ბრძოლების ხსენება.

ამით დავასრულოთ დავითის მიერ გარდახდილი ძლევაამოსილი ომების ამსუთა თხრობა. დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ებრაელი ერის ისტორია ქართველებსას ამ მხრივაც ჰგავს: რაც თავი ახსოვთ, სულმუდამ დაუძინებელი მტრებით იყვნენ ყოველი მხრიდან გარშემორტყმულნი, ყოველი მხრიდან ეძალებოდნენ მოსისხლე ტომები. უმთავრესი დასკვნა კი ის არის, რომ დავითის მეფობაში, იმ საკვირველი გამარჯვებების შემდეგ, ისრაელიანებს უშუალოდ ცხოვრების შესაძლებლობა შეექმნათ და კარგახნით თავისუფლად ამოისუნთქა ქვეყანამ.

ოღონდ ამის მოქმელთ იმის გათვალისწინებაც გვმართებს, რომ „ყველგან, სადაც კი მიდიოდა, უფალი შეეწეოდა დავითს“ (2 მეფ. 8,14). რადგან თავად დავითი იყო ღვთისმოყვარე, ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში, შეურყეველი რწმენა ჰქონდა და ამ თვისებებითაც და თავისი ცხოვრების წესითაც ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნებაა ებრაელი ერის ისტორიაში. სწორედ ამის წყალობით, „სულ მალა და მალა მიდიოდა დავითი და უფალი ღმერთი მასთან იყო“ (2 მეფ. 5,10).

დავითზე გარდამოსული წყალობა ღვთისა მარტოოდენ მტრებთან ბრძოლაში არ გამოვლენილა. ისიც ღვთის წყალობა იყო, ბრძნულად რომ განაგებდა თავის სახელმწიფოს. „მეფობდა დავითი მთელს ისრაელზე და წესსა და სამართალს აძლევდა თავის ერს“ (1 ნეშტ. 18,14). ამ მოკლედ ნათქვამი ფრაზით უამრავი რამ იგულისხმება.

იმასაც დავუკვირდეთ, რაც ამ წინადადებას მოსდევს: „იოაბ ცერუიას ძე ჯარს სარდლობდა, ხოლო იოშაფატ ახილუდის ძე მემატიანე იყო; ცადოკ ახიტუბის ძე

და აბიშელიქ აბიათარის ძე მღვდლები იყვნენ, ხოლო სერაია მწერალი იყო“ (18,15-16).

აქ ჩინებულად ჩანს კარგად მოწყობილი ძლიერი სამეფო, რომელსაც მორტ-მით განაგებს დიდების ზენიტში მყოფი „მაღალი და მაღლად მხედი“ (რუსთაველის სიტყვებია) ხელმწიფე.

## თავი მეოთხე

დავით მეფის ბრწყინვალე თავგადასავალის გაცნობისას თითქოსდა სრულიად მოულოდნელად ჩნდება ერთი საჩოთირო ეპიზოდი, რომლის კითხვის დროს რაღაც-ნაირად გულდაწყვეტილნი ვრჩებით. გულდაწყვეტილნი იმიტომ, რომ ამ ეპიზოდში მოთხრობილი ამბავი არანაირად არ ეხამება ჩვენს წარმოდგენას ღვთაებრივი შარავანდედით მოსილი დიდი ხელმწიფის – დავითის შესახებ.

ეს არის დავითის, ურია ხეთელისა და ამის ცოლის – ბერსაბეს ამბავი, მოთხრობილი მეფეთა მეორე წიგნის მეთერთმეტე თავში.

ცოტათი შორიდან დავიწყოთ.

წელან ვთქვით, რომ დავით მეფეს დიდი ომი ჰქონდა ყამონიანებთან. ბოლოს ისრაელიანებმა სძლიეს მტერს, მაგრამ ყამონიანთა სატახტო ქალაქი რაბა ვერ აიღეს. იოაბმა, დავითის მხედართმთავარმა, რაბას ალყა შემოარტყა. ქალაქის გარემოცვა და ბრძოლები კარგახანს გაგრძელდა. დავითი ამ დროს იერუსალიმში იყო.

ერთხელ, საღამოჟამს, როცა დავითი თავისი სასახლის ბანზე სეირნობდა, მახლობელ ეზოში თვალი მოჰკრა ძალიან ლამაზ ქალს. იკითხა მისი ვინაობა და მოახსენეს: ეგ გახლავთ ბერსაბე, ურია ხეთელის ცოლი. ურია ხეთელი დავითის ლაშქარში მებრძოლთა რაზმის მეთაური იყო.

ამბის განგრძობამდე ჯერ ის ვთქვათ, რომ სიტყვა „ურია“ აქ ეროვნების აღმნიშვნელი კი არ არის, იგივე „ებრაელს“ კი არ ნიშნავს, საკუთარი სახელია, კაცის სახელი. ამ სახელის მქონე პერსონაჟები სხვანიც გვხვდებიან „ბიბლიაში“. ისიც დავსძინოთ, რომ იმ კაცის ეროვნებას, უკეთ – წარმომავლობას სიტყვა „ხეთელი“ მიანიშნებს. ზემოთაც ვთქვით, აბრაამის მიერ მამრეს მუხასთან, მერმინდელ ქალაქ ხებრონის მიდამოებში მიწის ყიდვის ამბავს როცა ვყვებოდით: ხეთელები ანუ ხეთები საკმაოდ სახლობდნენ ქანაანის ქვეყანაში და ეს კაცი, სახელად ურია, ეტყობა, მათი შთამომავალი იყო.



დაბოლოს, ერთი კიდევ: ურია ხეთელი იმჟამად მხედართმთავარ იოაბს ახლდა. ქალაქ რაბას გარემოცვასა და მის ასაღებად გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდა.

კაცი გაგზავნა დავითმა და ურია ხეთელი თავისთან ახმობინა. დაბრუნდა ბრძოლის ველიდან ურია ხეთელი, მეფეს ეახლა. დავითმა ომის ამბები გამოჰკითხა. მერე უკანვე გაისტუმრა და იოაბთან წერილი გაატანა. „წერილში ასე დაწერა: დააყენეთ ურია იქ, სადაც სასტიკი ბრძოლა მოგელით, და მერე მიატოვეთ, რომ გაიგმიროს და მოკვდეს“ (2 მეფ. 11,15).

წაიღო საბრალო მეომარმა თავისივე დაღუპვის მაცნე ბარათი და იოაბს მიაართვა. იოაბმა მეფის შენათვალი ზუსტად შეასრულა და ურია ხეთელი მართლაც განიგმირა ბრძოლის ველზე.

მისმა ცოლმა, ბერსაბემ, ქმარი გამოივლოვა და ამის შემდეგ დავითმა ცოლად მოიყვანა ის ულამაზესი ქალი.

ამგვარია ურია ხეთელის, ბერსაბესა და მასზე გამიჯნურებული ხელმწიფის სამწუნხარო ამბავი. თუმცა ამ სამწუნხარო ამბავს ერთი სიკეთე მაინც მოჰყვა: ბერსაბემ ვაჟი გაუჩინა დავითს, სწორედ ის, ვინც მამის შემდეგ დაიკავა მისი ტახტი და თავადაც დიდი და სახელგანთქმული ხელმწიფე შეიქნა – სოლომონ მეფე, სოლომონ ბრძენი. მის თავგადასავალსაც გავეცნობით ქვემოთ.

თვითონ ამბავს რაც შეეხება, რაგინდ გული დაგვეწყვიტოს დავითის უკადრისმა საქციელმა (ქალი მოეწონა, მისი ქმარი მუხანათურად მოაკვლევინა და მერე იმ ქალზე დაქორწინდა), უნდა მივუტკევოთ მაინც. თუნდაც იმიტომ, რომ „ბიბლიაშიც“ აღნიშნულია და სწავლულნიც ხაზს უსვამენ: ეს იყო დავითის ერთადერთი ცოდვა მთელს მის სიცოცხლეში.

ამის თაობაზე მეფეთა მესამე წიგნში ვკითხულობთ: დავითი „სიმართლით იტკეოდა უფლის თვალში და არასოდეს უღალატინა უფლის მცნებისთვის, გარდა ხეთელი ურიას შემთხვევისა“ (15,5).

ამთავითვე გემართებს ვიცოდეთ: სრულიად უცოდველ კაცს არასოდეს უღალატებდა უფლის ზურგზე, ამგვარი ერთადერთი იყო მხოლოდ – განკაცებული ძე ლეთა სა იესო ქრისტე.

დიდსა თუ მცირე ცოდვას ყოველი კაცი სჩადის ნებისით ან უნებლიეთ. უმთავრესი ის არის, კაცმა შეიგნოს, ცოდვა რომ ჩაიდინა, და გულწრფელად მოინანიოს ის ცოდვა უფლის წინაშე.

დავითმა შეიცნო თავისი ცოდვის სიმძიმე და უფლის წინაშე მოინანია.

ეს ასე მოხდა.

ერთი წინასწარმეტყველი ცხოვრობდა იმ დროს, სახელად ნათანი. დავითმა ბერსაბე ცოლად რომ დაისვა, ნათანი ღმერთის შეგონებით მეფეს ეახლა და იგავი მოუთხრო:

ერთ ქალაქში ორი კაცი ცხოვრობდაო — მდიდარი და ღარიბი. მდიდარს უამრავი ცხვარ-ძროხა ჰყავდა, ღარიბს კი ერთი ნალოლიაეები ბატკნის მეტი არაფერი ებადა. ერთხელ მდიდარ კაცს სტუმარი ეწვია. იმან თავისი საქონლიდან პერაფერი გაიმეტა და სტუმარს გასამასპინძლებლად ღარიბის ბატკანი დაუკლო.

ამის მომხმენი დავითი დიდად განრისხდა: უფალს ვფიცავ, ვინც ეგ გააკეთა, სიკვდილის ღირსი არისო!

მაშინ ნათანმა — ის კაცი შენ ხარო, — უთხრა.

მიხვდით ალბათ ნათანის იგავისა და მისი ბოლო სიტყვების აზრს: დავითი ხომ ხელმწიფე იყო, ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე თავზე გადასდიოდა, საბრალო ურია ხეთელს კი ერთი ლამაზი ცოლი ჰყავდა, მეტი არაფერი იყო მისი სიხარული მეომარი კაცის მძიმე ცხოვრებაში, და ეს სიხარულიც წაართვა დავითმა, მსგავსად იმისა, როგორც იგავის მდიდარმა კაცმა წაართვა ერთადერთი სიხარული ღარიბს.

ნათანის ნაუბარმა თვალი აუხილა დავითს და თავისი ცოდვის მთელი სიმძიმე დაანახა. შეძრწუნდა ხელმწიფე, დიდმა ნაღველმა მოიცვა მისი სული. ამას მეფეთა მეორე წიგნის ავტორიც გვაძენობს და თვითონ დავითიც გვიმხელს თავის რამდენსავე ფსალმუნში.

ავიღოთ, მაგალითად, 50-ე ფსალმუნი. საკუთრივ ტექსტს ფსალმუნისას ზედწერილი უძღვის:

„დავითის ფსალმუნი. რაჟამს მივიდა მასთან ნათან წინასწარმეტყველი, მას შემდეგ, როცა დავითი ბერსაბესთან შევიდა“.

ამას მოსდევს თვით ტექსტი ფსალმუნისა:

„შემიწყალე, ღმერთო, შენი წყალობისამებრ, შენი მრავალი შებრალებისამებრ წაშალე ჩემი დანაშაული.“

მრავლად განმბანე ჩემი ბრალისგან და ჩემი ცოდვისგან განმწმინდე.

რადგან ვიცი ჩემი დანაშაული და ჩემი ცოდვა მუდამ თვალწინ მიდგას“.

ბერსაბესა და ურია ხეთელთან დაკავშირებული ცოდვის გამო, როგორც „ბიბლია“ მოგვითხრობს, უფალმა დასაჯა დავითი და არამცირედი ჭირი დაატეხა, მაგრამ საბოლოოდ მანც შეუნდო თავის რჩეულსა და საყვარელ კაცს, ისრაელის

დიდ ხელმწიფეს. ამიტომ ჩვენც ნულარაფერს ვემართლებით იმ დიდი ცოდვის გამო უკვე დასჯილსა და, ამასთან, იმ ცოდვის მრავალგზის მომნანიებელ დავითს. ნურც იმას ჩავუთვლით ცოდვად, მრავალი ცოლი რომ ესვა — იმხანად და იმ ქვეყანაში, ზემოთაც ითქვა რამდენჯერმე, მრავალცოლიანობა ჩვეულებრივი რამ იყო, ცოდვად არ მიიჩნეოდა.

ამ ცოლებისგან ძენი და ასულნი შეეძინენ დავითს. ერთი ცნობის თანახმად, თექვსმეტი ვაჟი ჰყავდა მას, მეორე ცნობის თანახმად — ცხრამეტი. ამ უფლისწულთაგან ჩვენ სამი სახელი დავიმახსოვროთ, რადგან ქვემოთ მათ შესახებ ხშირად გვექნება საუბარი. ეს სამნი არიან: ამონი, აბესალომი და სოლომონი. დავითის ასულთაგან ერთის სახელი დავიმახსოვროთ, ჩვენთვის ახლობელი და ძვირფასი სახელი — თამარი.

როდესაც კაცს სხვადასხვა ცოლებისგან ჰყავს შვილები, ისინი ერთიმეორესთვის ან ღვიძლი დანი და ძმანი არიან (ერთი დედ-მამის ნაშობნი), ან გერი დანი და ძმანი (ერთი მამისა და სხვადასხვა დედის ნაშობნი).

დავითის ასული თამარი, აქვე ზემოთ რომ ვახსენეთ, დავითის ვაჟის აბესალომის ღვიძლი დაი იყო. ისე მოხდა, რომ თამარი სასტიკად შეურაცხყო და დაამცირა მისმა გერმა ძმამ — ამონმა. აბესალომმა ეს რომ შეიტყო, არც არაფერი უთქვამს, არც რამე დაუმჩნევია, ოღონდ გულში შეიძულა ამონი და შურისგება გადაწყვიტა.

გავიდა ორი წელიწადი. აბესალომმა საბაბი იშოვნა, წვეულება გამართა, ძმები ისტუმრა და ღვინის დროს, როცა შეზარხოშდნენ, თავის მსახურებს მოაკვლევინა ამონი. თავზარდაცემული უფლისწულები გაიქცენ. თავად აბესალომი გეშურის მხარეში გადაიხვეწა, იორდანეს აღმოსავლეთით, იქაური მეფე მისი პაპა იყო დღის მხრიდან.

სამ წელიწადს იყო იმ ქვეყანაში დავითის რისხვას განრიდებული აბესალომი თანდათანობით დავითს გული მოუღბა და მისმა მხედართმთავარმა იოაბმა იმდენი მოახერხა, შეარიგა მამა-შვილი. მით უფრო, რომ დავითს აბესალომი გამორჩეულად უყვარდა თურმე.

ამ ამბების შემდეგ მეფეთა მეორე წიგნის ავტორი იმის მოთხრობას იწყებს, როგორ განუდგა აბესალომი დავითს.

მომხიბვლელი გარეგნობის მქონე, თავისი მშვენებით მთელს ისრაელში განთქმული „თხემით ტერფამდე უნაკლო“ აბესალომი ქვებუდანი კაცი იყო, ვერაგი და მუხანათი. თავისი ძმა ამონიც მუხანათურად მოაკვლევინა მსახურებს, ეხლა მამამის

საც უმუხთოლა, შეთქმულება მოუწყო, რათა ტახტი წაერთმია მისთვის. დილდილობით იერუსალიმის კარიბჭესთან დადგებოდა თურმე აბესალომი და დიდ მეფესთან სამართლის საქებრად მიმავალ ხალხს აბრეყებდა: მართალი კი ხარო, — ეტყოდა მავან კაცს, — მაგრამ ვინ მოვისმენს მეფის კარზე? აი, მე რომ ვიყო მსაჯული, ყველას სამართალს გაგიჩენდითო.

ასე ხიბლავდა და აცდუნებდა მრავალსა და მრავალს, მათს გულს იგებდა, თანდათანობით კეთილი და სამართლიანი კაცის სახელი დაიგდო, მრავალი მომხრე გაიჩინა.

ბოლოს აბესალომმა დაასკვნა — გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგაო. ხებრონში წასვლის უფლება გამოთხოვა მამამისს, თავისი ერთგული ხალხი გაიყოლა, მერე მთელს ისრაელში მალეშრობლები დააგზავნა და ხალხს აუწყა — ხებრონში აბესალომი გამეფდაო. „გამტკიცდა შეთქმულება და უამრავმა ხალხმა იწყო ღენა აბესალომისკენ“ (2 მეფ. 15,12).

დავითის გამეფების მეორმოცე წელს მომხდარა ეს ამბავი. შეთქმულნი იერუსალიმისკენ დაიძრენ და მოხუცი ხელმწიფე იმის შიშით — ჩემმა ვაჟმა დავითს ქალაქი არ აიკლოს და მახვილს არ მისცესო, — იქაურობას გაერიდა, იორდანეს გაღმა მხარეს გავიდა თავისი ერთგული ხალხითურთ.

მაგრამ აბესალომმა იერუსალიმს შესვლა და მეფის ტახტზე დაჯდომა არ იკმარა, ლტოლვილ მეფეს კვალდაკვალ მიჰყვა, მისი უეჭველად მოკვდინება ჰქონდა განზრახული. დავითი, მისი მიმყოფი ხალხი და ლაშქარი გალაადის ქვეყანაში იყვნენ, იორდანეს გაღმა, იერუსალიმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, როცა აბესალომის ჯარი წამოეწიათ. ბრძოლა გარდუვალი შეიქნა.

და აქ ერთი დიდად, დიდად საგულისხმო რამ მოხდა: თავის მხედრობას აბესალომის წინააღმდეგ საბრძოლველად რომ აგზავნიდა, დავითმა იოაბს, მის ძმას აბესას და სხვა სარდლებს უთხრა: ყმაწვილი აბესალომი დამიზოგეთო! ძველ თარგმანში კიდევ უფრო მკვეთრად არის ნათქვამი: „ეკრძალენით და ერიდენით ყრმასა მას ჩემსა აბესალომს“ (2 მეფ. 18,5).

დაუძინებელი მტრის მეტი არავინ უზამდა იმას დავითს, რაც საკუთარმა მემამოხე ვაჟიშვილმა დამართა, — ვერაგული შეთქმულება მოუწყო, სატახტო ქალაქი წაართვა, მეფობაში შეეცილა, მერე ფეხდაფეხ დაედევნა, მისი და მისი ჯარის, მისი ერთგული ხალხის განადგურება ჰქონდა გულში ამოჭრილი. და ამ დროს დავითმა — ყმაწვილი აბესალომი დამიზოგეთო!

ისიც საგულისხმოა, ასაკით ორმოც წელს მიტანებულ აბესალომს „ყმაწვილად“



რომ იხსენიებს მამამისი!

და ერთი კიდევ: სახელი „აბესალომ“ („აბშალომ“) ებრაულად „მშვიდობის მამას“ ნიშნავს თურმე!

შეიბნენ დავითისა და აბესალომის მეტრძოლნი, „დიდი ხოცვა-ჟლეტა მოხდა იქ იმ დღეს, გაწყდა ოცი ათასი კაცი“ (2 მეფ. 18,7).

აქ ერთი ისეთი დეტალი უნდა ჩაუვრთოთ, რომლის აღნიშვნა ზემოთ ვერსად მოხერხდა: აბესალომს ხშირი და გრძელი თმა ჰქონდა თავზე. მისი სიამაყე იყო ის თმა, მაგრამ საბედისწერო როლი კი შეასრულა მის ცხოვრებაში.

გახურებული ბრძოლის დროს ჯორზე ამხედრებული აბესალომი ტოტემ-გაბარჯღული დიდი მუხის ქვეშ მოხვდა, მისი ხშირი თმა მუხის ტოტემში გაიხლართა, ამასობაში ლაჯებქვეშ ჯორი გამოეცალა და აბესალომი ცასა და მიწას შორის უმწეოდ გამოკიდებული დარჩა. ამით ისარგებლეს დავითის მხედრებმა და, მიუხედავად მისი დანაბარებისა – აბესალომს გაუფრთხილდითო, მანქანა განგვირეს მეამბოხე უფლისწული. აბესალომის ლაშქარმა გაქცევით უშველა თავს.

ორი მაცნე გავარდა მახარობლად. პირველი რომ მიიჭრა, დავითმა მისგან ის კი არ გამოიძია – ვინ გაიმარჯვებო, სხვა რამე იკითხა: აბესალომი ხომ მშვიდობით არისო? ამ მალეშსობოლმა ვერ გაბედა სიმართლის თქმა და დადუმდა. ამასობაში მეორე მაცნემაც მოატანა და დავითმა მასაც, ყოვლის უწინარეს, იგივე ჰკითხა: აბესალომი ხომ მშვიდობით არისო? ისე შენი მტერი იყოსო, მეფევე ბატონო, – მიუგო ამან.

„შეიძრა მეფე, ავიდა კარიბჭის ზემოთვალში და ატირდა. ასე ამბობდა: შეილო აბესალომ, შეილო, შეილო აბესალომ! ნეტავ შენს მაგივრად მე მოვკვდარიყავო, აბესალომ, შეილო, შეილო!“ (2. მეფ. 19,1).

ეს გულისშემძვრელი სტრიქონები „ბიბლიის“ ერთ ძველ ქართულ თარგმანში ასე იკითხება:

„და შეძრწუნდა მეფე და განვიდა ქორსა, რომელი იყო ბჭეთა ზედა და ტიროდა, და ესრეთ იტყოდა, ოდეს ტიროდა: ძეო ჩემო აბესალომ, ძეო ჩემო, ძეო ჩემო აბესალომ! ვინ-მე მიმცეს სიკვდილსა მე შენ წილ, მე ვიქმნე შენ წილ, აბესალომ, ძეო ჩემო, ძეო ჩემო, ძეო ჩემო აბესალომ!“



დავით მეფეს ადრევე ჰქონდა განზრახული, უფლისთვის მისი საკადრისი ტაძარი აეგო, ისეთი, ყველაზე დიდებული, მშვენიერი და სახელგანთქმული რომ იქნებოდა მთელ ქვეყანაზე. მზადებასაც შეუდგა ამ საქმისთვის. მაშინ უფალმა ნათან წინასწარმეტყველის პირით ამცნო, რომ მისი ნების თანახმად, ტაძარი დავითს კი არ უნდა აეშენებინა, არამედ მის ვაჟს, მომავალ მეფეს სოლომონს.

დამორჩილდა ღვთის ნებას დავითი და ვაჟიშვილს დაუტოვა ტაძრის გამზადებული გეგმა, შენობისთვის საჭირო დიდძალი მასალა, მრავალი წლის განმავლობაში ნაგროვები.

თავისი უდიდესი სიყვარული უფლისადმი დავით მეფემ სხვა ქმნილებით გამოხატა — ფსალმუნებით ანუ საგალობლებით.

ეხლა ჩვენ გვმართებს ცოტა რამ ვთქვათ ამ სწორუპოვარი ძეგლის შესახებ, რომელსაც „ფსალმუნნი“ (ესე იგი — „ფსალმუნები“) ჰქვია და „ბიბლიაში“ ცალკე წიგნად არის შეტანილი.

სიტყვა „ფსალმუნი“ ნიშნავს ქებას, სადიდებელ გალობას. ეს არის ღვთის ქება-დიდება, უფლისადმი აღვლენილი ლოცვები, ლირიკული აღსარებანი. საგალობლები სიმებიანი საკრავის თანხლებით სრულდებოდა ხოლმე (დავითის ქნარი გავიხსენოთ).

წიგნი „ფსალმუნნი“ 151 ფსალმუნისგან შედგება. ამ წიგნს ქართულად „დავითნიც“ ეწოდება, რადგან უმთავრესად სწორედ დავითის სახელს უკავშირდება ფსალმუნთა შექმნა და ამის გამო ბევრს ჰგონია, თითქოს მთელი „ფსალმუნის“ შემთხვევითი დავით მეფე იყო. სინამდვილეში დავითს ეკუთვნის ამ წიგნში შესული 78 ფსალმუნი. დანარჩენების ავტორები სხვადასხვა დროს მცხოვრები სხვადასხვა ისტორიული პირები არიან (მაგალითად, ერთი ფსალმუნი დიდ მოსეს ეკუთვნის, სამი — დავითის ვაჟს სოლომონს, ასევე — სხვა ავტორებს კიდევ, ზოგიერთი ფსალმუნის ავტორი საერთოდ უცნობია). მთელი წიგნი რვა საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა, მოყოლებული მოსეს დროიდან, ძველი წელთაღრიცხვის მეტამეტე საუკუნიდან.

ავტორთა ვინაობის დადგენაში მკვლევარებს თვით ეს ფსალმუნები უწყობენ ხელს, რადგან მათს უმრავლესობას ამგვარი ზედწერილები აქვს: „ფსალმუნი დავითისა“, „გალობა დავითისა“, „ლოცვა დავითისა“, „უფლის მორჩილი დავითისა,





რომელმაც წარმოთქვა უფლის მიმართ სიტყვები ამ გალობისა იმ დღეს, როცა უფალმა გადაარჩინა ყველა თავისი მტრის ხელთაგან და საულის ხელთაგან, „ფსალმუნი დავითისა, როცა გაუბრძოდა თავის ძეს აბესალომს“ და მისთანანი.

ზემოთ მოტანილი წარწერებიდან ორი უკანასკნელი ზედწერილი, რომლებშიც საული და აბესალომი იხსენიებიან, და აგრეთვე სხვა მსგავსი ზედწერილები იმის მაჩვენებელია, რომ ფსალმუნები ხშირად მოგვითხრობენ დავითის ცხოვრების ამბებს, მისი ბიოგრაფიის ყველაზე საყურადღებო ეპიზოდებს.

მაგრამ როგორც დავითის, ისე სხვა ავტორთა ფსალმუნების უმთავრესი შინაარსი მანც არის სულიერი ცხოვრება, სულის ზესწრაფვა უფლისადმი, რომლის დიდება, სიბრძნე, სიკეთე აღმაფრენის დაუშრეტელი წყაროა. ფსალმუნთა უმრავლესობა სწორედ უფლის სადიდებად არის შექმნილი. ამასთან, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ადამიანის სიყვარულს უფლისადმი, კაცობრიულ ცოდვათა გამო სინანულს, ღმერთისადმი აღვლენილ კედრებას, ელეგიურ განწყობილებებს.

იმის უკეთ წარმოსადგენად, როგორია ფსალმუნები ანუ საღვთო საგალობლები, ორი ნიმუში წავიკითხოთ.

თავდაპირველად ვნახოთ 41-ე ფსალმუნის ძველი ქართული თარგმანის რამდენიმე მუხლი:

### ფსალმუნი 41

ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურის სულს ჩემსა შენდაძი, ღმერთო!

სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა. ოდეს-მე მივიდე და ვეჩვენო პირსა ღმრთისასა?

იქმნეს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამე, რამეთუ შეტყოდეს მე მარადღე: სადა არს ღმერთი იგი შენი?..

რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემადრწუნებ მე? ესევედ ღმერთსა, რამეთუ მე აუვარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა.

სული ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა. ამისთვის მოვიხსენო შენ ქვეყანით იორდანით და ერმონით, მთით მცირით...

ვარქუ ღმერთსა: მწე ჩემდა ხარ, რად დამივიწყე მე, ანუ რად მწუხარედ ვროინებ მე ჭირითა მტრისაგათა?..

რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემადრწუნებ მე? ესევე ღმერთსა, რამეთუ მე აუვარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა.

ენლა ვნახოთ, როგორ იკითხება „ფსალმუნის“ ახალი თარგმანი. ნიმუშად ჩვენი თანამედროვე პოეტის ჯემალ აჯიაშვილის მიერ შესრულებული თარგმანი ავიღოთ:

### ფსალმუნი 1

ნეტარ არს კაცი, ვინც არ მისდევს ბოროტთა ზრახვას,  
 არ შესდგომია ცოდვილთა გზას და  
 არ ზის მკრეხელთა საკრებულოში;  
 არამედ უფლის მოძღვრებაშია გულისთქმა მისი,  
 მის სწავლებაზე ჭირნახულობს დღისით და ღამით.  
 იქნება იგი წყლის სადინართან დანერგულ ხისებრ,  
 თავის დროზე რომ მოიღებს ნაყოფს  
 და არ დაჭკნება ფოთოლი მისი,  
 და ღვაწლი თვისი სასიკეთოდ წარემართება.  
 ხოლო ბოროტნი სხვარიგ არიან:  
 ბზეს წააგვანან ქარისგან აღგვიღს.  
 ამიტომ ვეღარ წამოდგებიან სამსჯავროზე ბოროტეულნი,  
 ვერც ცოდვილები – უცოდველთა საკრებულოში;  
 რამეთუ გზანი გულმართალთა უწყის უფალმა,  
 ხოლო აკაცთა გზასავალი წარიხოცება.

ვიდრე ფსალმუნებზე საუბარს დავასრულებდეთ, ზოგიერთ რასმე კიდევ მივაპყროთ ყურადღება.

ერთი ის ვთქვათ, რომ ზემოთ წარმოდგენილი 41-ე ფსალმუნი საგულისხმო ფრაზით იწყება: „ვითარცა სურინ ირემსა წყართა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული აქვს, ალბათ უმაღლვე გაახსენდება, ვისაც ჯერაც არ აქვს წაკითხული, მომავალში, მისი გაცნობისას აღმოაჩენს, რომ ტარიელისა და ნესტანის ქორწილის შემდეგ ფრიდონი თავის ძმადნაფიცს, ტარიელს ამ სიტყვებით ემშვიდობება: „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“.

დაუუკვირდეთ ამ ორ შედარებას და დავრწმუნდებით: მოძმეთა განშორების სურათის დახატვისას სწორედ „ფსალმუნნი“ იყო რუსთაველის შთაგონების წყარო.

და ეს არ ყოფილა შემთხვევითი ამბავი. ღვთისადმი აღვლენილი ეს საგალობლები უძველესი დროიდანვე, მათი შექმნის ეპოქიდანვე დიდ გავლენას ახდენდნენ მკითხველებზე. უკვე თავად დავითმა დააწესა ფსალმუნების გამოყენება ღვთისმსახურების დროს და ეს ტრადიცია შემდგომში აღარ გადაეარდნო. ქრისტიანულ ეკლესიებში ხომ „ფსალმუნნის“ საგალობლები წირვა-ლოცვის განუშორებელი ნაწილია. „ფსალმუნნი“ მიჩნეულია „ძველი აღთქმის“ ყველაზე მნიშვნელოვან წიგნად. მისი კითხვა ქრისტიან კაცს არასოდეს მოსწყინდება.

## თავი მეხუთე

საული მეფობდა დაახლოებით 1030-1010 წლებში ძველი წელთაღრიცხვისა. დავითი მეფობდა დაახლოებით 1010-970 წლებში.

სოლომონი მეფობდა დაახლოებით 970-931 წლებში.

ზემოთაც ითქვა, რომ ეს იყო ისრაელის სახელმწიფოს მანამდე და შემდეგშიც არნახული ძლიერების ეპოქა, ებრაელთა ისტორიის ნამდვილი ოქროს ხანა, სამუდამოდ შემონახული ამ ერის მესსიერებაში.

განსაკუთრებულ ძლიერებას დავითის დროს მიაღწია ამ სახელმწიფომ. დავითმა ბევრი ომი გადაიხადა, ყველა მტერს სძლია, ისრაელიანთა აღმოსავლეთით, სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთით თუ ჩრდილოეთით მოსახლე ყველა ტომი დაიმორჩილა და სახელმწიფოს საზღვრებიც დიდად გააფართოვა. და დავითის ძეს სოლომონს, მამის სიცოცხლეშივე მეფედ კურთხეულს, შეეძლო მშვიდად ეგრძნო თავი და მამამისივით ლაშქრობებში არ გაეტარებინა წუთისოფლის დღეები.

სოლომონი სამეფო ტახტზე რომ აჰყავდა, დავითმა ასე მიმართა იქ შეკრებილ ერის რჩეულებს და თავის ვაჟსაც:

„დაიცავით და გამოიკითხეთ უფლის, თქვენი ღმერთის, ყველა მცნება, რათა დოვლათიან ქვეყანას დაეპატრონოთ და თქვენს შემდეგ თქვენს შვილებს დაუშკვიდროთ უკუნისამდე.

ხოლო შენ, სოლომონ, ძეო ჩემო, იცოდე მამაშენის ღმერთი წრფელი გულითა და ხალისიანი სულით. ემსახურე, რადგან ყოველთა გულის მხილველია უფალი

და ყველა ფიქრისა და ზრახვის მცოდნეა. ძებნას თუ დაუწყებ, იპოვი კიდევ-თუ შენ მიატოვებ, ისიც სამუდამოდ მიგატოვებს“ (1 ნეშტ. 22,8-9).

ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ზედმიწევნით აღსრულდა: ის აურაცხელი უბედურება, რაც შემდგომში ისრაელიანებს დაატყდათ თავს, სწორედ იმის შედეგი იყო, რომ მათ მრავალგზის და მრავალგზის დაივიწყეს და მიატოვეს მათი მფარველი ღმერთი.

მაგრამ ეს შემდეგ მოხდა. მანამდე ჯერ კიდევ წინ იყო სოლომონის მეფობისა და ქვეყნის აყვავების ბედნიერი წლები:

მამის დარიგების დამმანსოვრებელი სოლომონი მეფობას რომ შეუდგა, სულ იმის ფიქრში იყო, სიკეთე და სამართლიანობა როგორ დაემკვიდრებინა თავის ქვეყანაში. ამიტომ, როდესაც მას უფალი გამოეცხადა და უთხრა – მთხოვე, რაც გინდა რომ მოგცეო, სოლომონმა შესთხოვა: სიბრძნე და გონიერება მომანიჭე, ღმერთო, რათა სიკეთე ბოროტებისგან გამოვარჩიო და შენი ერი განვაგო. ამაზე უფალმა მიუგო: რაკი ეგ მთხოვე და არა სიმდიდრე და ქონება, არც ღიდება, არც მტერთა შემუსვრა, არც ხანგრძლივი სიცოცხლე მთხოვე, სიბრძნესაც მოვანიჭებ და ისეთ სიმდიდრეს და ღიდებასაც, რომლის მსგავსი არც შენს წინამორბედ მეფეებს ჰქონიათ და არც შემდგომში ეღირსებაო ვისმე.

და, მართლაც, მეფობის დაწყებისთანავე გამოამჟღავნა სოლომონმა სიბრძნე. ეს ასე მოხდა:

ორი მომჩივანი ქალი ეახლა მეფეს.

ერთმა მოახსენა: მე და ამ ქალმა ერთად ვიმშობიარეთ ერთ სახლში. ღამით ძილში ეს ქალი თავისი ბავშვს ზემოდან დასწოლია და ბავშვი მომკვდარა. მაშინ ამ ქალმა თავისი მკვდარი შვილი მე შემომიწვინა, ჩემი ცოცხალი ბავშვი კი თავის უბეში ჩაიწვინაო. მე მეძინა და არაფერი გამიგიაო. ღილით შვილისთვის ძუძუ რომ უნდა მეწოვებინა, მკვდარი ბავშვი დამიხვდა, კარგად დავაკვირდი და მივხვდი, რომ ჩემი შვილი არ იყოო.

ამასობაში მეორე ქალი აძრახდა: არა, არა, მკვდარი ბავშვი შენია, ცოცხალი ჩემი შვილი არისო!

ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვყოფილიყავით სოლომონ მეფის ადგილას. როგორ უნდა გადაგვეწყვიტა ეს თავსატეხი საკითხი?

მაგრამ სოლომონმა ბრძნულად განსაჯა.

მახვილი მომიტანეთო, – თქვა მეფემ და, მახვილი რა მიართვეს, ბრძანა: ცოცხალი ბავშვი ორად გაჭერიოთ და ერთი ნახევარი ერთ ქალს მიეცით, მეორე

ნახევარი — მეორესო.

პირველმა ქალმა შეიცხადა:

ოჰ, მეფევ ბატონო, ოღონდ ნუ მოკლავთ და მაგ ქალს მიეცით, მაგისი იყოს! გაჭერით, გაჭერით, ნურც მე მერგება და ნურც მაგასო! — გაჰყვიროდა მეორე მამინ სოლომონმა განაჩენი გამოიტანა:

ნუ მოკლავთ ბავშვს, პირველ ქალს მიეცით, მისი დედა ეგ არისო.

„გაიგო მთელმა ისრაელმა განაჩენის ამბავი და შეეშინდათ მეფისა, რადგან დაინახეს, რომ ღვთის სიბრძნე იყო მასში სამართლის გასაჩენად“ (3 მეფ. 3,28).

ამ სიბრძნით განაგებდა სოლომონი თავის ვრცელ სახელმწიფოს. მშვიდობა სუფევდა ამ სახელმწიფოში, სიკეთე და ბედნიერება. „ჭამდნენ, სვამდნენ, მხიარულობდნენ ზღვის ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იუდა და ისრაელი“ (3 მეფ. 4,20). დაუეკვირდეთ, რას მოგვაგონებს ეს შედარება — ზღვის ქვიშასავით მრავალრიცხოვანნიო. თუ გახსოვთ, უფალმა აღუთქვა ასე აბრაამს — შენს შთამომავლობას ქვიშასავით ურიცხვს გავხდიო. ასე აღსრულდა უფლის სიტყვები.

მაგრამ ზორციელი, ნივთიერი, ამქვეყნიური სიკეთე, სიმდიდრე და ბედნიერება მსწრაფლწარმავალია, სიზმარივით გაილევა და გაქრება. მათ მხოლოდ მაშინ აქვთ ჭეშმარიტი ღირებულება, როცა ამალღებულ სულიერ ცხოვრებას, წარუვალ, ღვთაებრივ სიკეთეს ეთანადებიან. რაგინდ მდიდარი და ბედნიერი იყოს კაცი, ღმერთი თუ დაივიწყა, ბოლოს უკუღმართად შეუტრიალდება ცხოვრება. კარგად იცოდა ეს ბრძენმა სოლომონმა და ამიტომ ნიადაგ ზრუნავდა საიმისოდ, რათა ხალხის ყოფა ღვთიურ გზას არ გადასცდენოდა.

ამის ერთი აუცილებელი პირობა ისიც იყო, რომ ერს ჰქონოდა ერთი შესაკრებელი ადგილი, სადაც ლოცვა აღევლინებოდა და ღვთისმსახურება შესრულდებოდა. გვახსოვს ალბათ, რომ დავითი აპირებდა უფლისთვის ტაძრის აგებას, მაგრამ უფლისავე ბრძანებით ამ განზრახვაზე ხელი აიღო, თავის მემკვიდრეს, სოლომონს გაუმზადა ყოველივე, რაც ამ საქმისთვის საჭირო იყო.

და, აი, დავითის ანდერძის თანახმად, სოლომონი შეუდგა ამ საღვთო საქმეს. შეიდ წელიწადს შენდებოდა ეს დიდებული ნაგებობა, ყველა ისრაელიანის სიამაფედ რომ იქცა. იერუსალიმის ტაძარი, სოლომონის ტაძარი საუკუნეთა განმავლობაში განთქმული იყო მთელ ქვეყნიერებაზე და მისი ხსოვნა დღემდე წარუმღვლიანებრავლთა შორის. იმ ტაძრის მშენებებისა და სიდიადის აღწერას მრავალი გვერდი აქვს დათმობილი „ბიბლიაში“. მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ ტაძრის მშენებლობისთვის საჭირო მასალის დასამზადებლად სამოცდაათი ათასი მტვირთავი, ოთხ-

მოცი ათასი ქვის მჭრელი და სამი ათას ექვსასი მათი ზედამხედველი ჰყავდა სოლომონს. ღვთის სახლის მშენებლობა მეფისა და მთელი ერის ღვიძლ საქმედ იქცა. დავითის მიერ დატოვებული დიდძალი განძეულობის გარდა უამრავი სხვა შეწირულებაც გაიღო ხალხმა.

უფლის ტაძრის დამთავრების შემდეგ სოლომონმა სამეფო სასახლის მშენებლობას მიჰყო ხელი. ეს სასახლეც უჩვეულოდ მდიდრული და მშვენიერი გამოვიდა.

მთელ ქვეყანაზე გაითქვა სოლომონის ზღაპრული სიმდიდრის, მისი სიბრძნისა და გონიერების, სახელმწიფო საქმეთა თავგზიანად განგების ამბავი. ამის თაობაზე მეფეთა მესამე წიგნში წერია: „სოლომონის სიბრძნე აღემატებოდა აღმოსავლელთა მთელს სიბრძნეს და ევგვიპტელთა მთელს სიბრძნეს. ყველა ადამიანზე ბრძენი იყო იგი. მოდიოდნენ ყველა მოდგმის ხალხისგან სოლომონის სიბრძნის მოსასმენად და ქვეყნის ყველა მეფისგან, ვისაც კი სმენოდა მისი სიბრძნის ამბავი“ (4,30-34).

იმის ნიმუშად, რამდენად სახელგანთქმული იყო სოლომონი, ერთი ასეთი ამბავი აქვს მოთხრობილი მეფეთა მესამე წიგნის ავტორს: საბას დედოფალსაც მისწვდა სოლომონის დიდების ამბავი და იერუსალიმში ჩამოვიდა, რათა თავისი თვალით ენახა ყოველივე და ნათქვამის სიმართლეში დარწმუნებულიყო. როდესაც ყოველივე იხილა და სოლომონსაც დიდხანს ესაუბრა, ამგვარი რამ თქვა საბას დედოფალმა: „აჰა, თურმე ნახევარიც არ უთქვამთ ჩემთვის. უფრო მეტი სიბრძნე და დოვლათი გქონია, ვიდრე გამეგონა. ბედნიერია შენი ხალხი, ბედნიერი არიან ეს შენი მორჩილნი, მუდამ შენს წინაშე რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს“ (3 მეფ. 10,7-8).

ვინ იყო, სადაური იყო საბას დედოფალი, დღემდე კარგად არ არის ვარკვეული. ფიქრობენ, რომ საბას ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთში, დღევანდელი იემენის მიდამოებში მდებარეობდა და ძვირფასი ნელსაცხებლების დამზადების ხელოვნებით იყო განთქმული. თუკი ასეა, მართლაც ერთობ შორი გზა გამოუვლია საბას დედოფალს, ვიდრე ისრაელიანთა სახელმწიფოს მოაღწევდა.

როგორც საკუთრივ ებრაელი ერის, ისე მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ, სოლომონის სიბრძნისა და დიდი ნიჭის ამბავი მხოლოდ მემატიანეთა მონათხრობით კი არ არის ცნობილი, ნაწერებიც არის დარჩენილი სოლომონ მეფისა. იშვიათად ვპოვებთ იმაზე უკეთეს საკითხავ წიგნებს, როგორც არის „იგავნი სოლომონისა“, „ეკლესიასტე“, „ქებათა ქება სოლომონისა“, „სიბრძნე სოლომონისა“.



ეს წიგნები ამგვარი თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი „ბიბლიაში“ დავეთხროს „ფსალმუნის“ შემდეგ და ყოველ განათლებულ ადამიანს შეუძლია, როცა კი მოეგონება, გადაშალოს „ბიბლია“ და დატკბეს ამ უმშვენიერესი ქმნილებებით.

„იგავნი სოლომონისა“ ბრძნული გამონათქვამების კრებულია და, ვინც გულდასმით წაიკითხავს, მრავალ სასარგებლო დარიგებას ჰპოვებს შიგ, ვთქვათ, ამდაგვარს:

„მიიღეთ ჩემი შეგონება და არა ვერცხლი, ცოდნა მეტია ხალას ოქროზე რადგან სიბრძნე ძვირფასი თვლების უმჯობესია და ვერც ერთი სანატრული საგანი ვერ შეედრება მას“ (8,10-11).

„სიმათლეს სიცოცხლისაკენ მიჰყავს კაცი, ბოროტების ამყოლი კი თავისი სიკვდილისკენ მიექანება“ (11,19).

„ვისაც წვრთნა უყვარს, ცოდნაც უყვარს, ვისაც მხილება ეჯავრება, ბრწყინავს“ (12,1).

„ეკლესიასტე“ მთელ მსოფლიოში განთქმული რთული რელიგიურ-ფილოსოფიური ნაწარმოებია. თქვენს ასაკში მისი წაკითხვა არც აუცილებელია და არც სასურველი. რომ წამოიზრდებით, დიდ სიამოვნებას მოგგვრით მისი გაცნობა.

კიდევ უფრო განთქმულია დიდებული პოეტური ქმნილება – „ქებათა ქება სოლომონისა“. ეს სათაური ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სოლომონს აქებდეს ვინმე. სოლომონი აქ ნახსენებია, როგორც „ქებათა ქების“ ავტორი.

ეს ნაწარმოები თითქოს უფრო იოლი წასაკითხია, ვიდრე „ეკლესიასტე“ – მასში საკვირველი პოეტური ფორმით გადმოცემულია ქალისა და ვაჟის თავდავიწყებული სიყვარული. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ქმნილება ალეგორიულ აზრს ატარებს და სინამდვილეში მიწიერი სიყვარული კი არ არის ნაგულისხმევი, არამედ – ღმერთისადმი ტრფიალება, ღმერთის თავდავიწყებული სიყვარული. ასე რომ, ვიდრე „ქებათა ქების“ ჭეშმარიტ აზრსა და მნიშვნელობას ჩაეწვდებოდეთ, მანამდე დიდძალი ცოდნის შეძენა გვმართებს. ამთავითვე იმის ცოდნას დავეყრდეთ, რომ „ქებათა ქება“ საკაცობრიო პოეტური შედეგია.

დასასრულ, ის ვთქვათ, რომ წიგნი „სიბრძნე სოლომონისა“ მხოლოდ პირობითად არის მიჩნეული სოლომონ მეფის ქმნილებად. სინამდვილეში ამ წიგნის ავტორი გაცილებით გვიანდელ დროს ცხოვრობდა.



საბას დედოფალი.  
მეთხუთმეტე საუკუნის იტალიელი ფერმწერის  
პიერო დელა ფრანჩესკას ნახატი.



## თავი მეექვსე

წინა თავში ითქვა: ის აურაცხელი უბედურება, რაც სოლომონის ბედნიერი მეფობის შემდეგ დაატყდათ თავს ისრაელიანებს, იმის შედეგი იყო, რომ მათ მრავალგზის და მრავალგზის დაივიწყეს და მიატოვეს თავიანთი ღმერთი.

როგორც ვიცით, ისრაელიანთა სახელმწიფო წარმართი, კერპთაყვანისმცემელი ხალხებით იყო გარემოცული. ეს ხალხები ქვეყნის შიგნითაც მრავლად სახლობდნენ. და ვიდრე ებრაელები მტკიცედ იზღუდავდნენ მათგან თავს, საკუთარ უფალს ერთგულობდნენ, მათი სახელმწიფოც აყვავებული იყო, ხოლო როდესაც უცხო-ტომელებთან იწყებდნენ დანათესავებას, უცხო ღვთაებათა თაყვანისცემას, მათი საქმეც აიწეწებოდა ხოლმე.

ამ მხრივ თავად სოლომონ ბრძენმაც კი ცუდი მაგალითი მისცა თავის ხალხს. შევიდასი ცოლი და სამასი ხარჭა ესვაო სოლომონს, — მოგვითხრობს მემატინანე. რავინდ გადაჭარბებული იყოს ეს რიცხვი, ერთობ ბევრი ცოლი მოუყვანია სოლომონს, ამასთან, უმთავრესად უცხოტომელნი. უფრო მეტი უბედურება კიდევ ის იყო, რომ სიბერის წლებში დიდმა და ბრძენმა ხელმწიფემ იმ თავისი ცოლების ნება-სურვილზე იწყო სვლა და მათი ღვთაებების თაყვანისცემა შეზოილო.

მეფის მაგალითს, ცხადია, ხალხიც მიბაძავდა. ასე აღორძინდა ისრაელიანთა სახელმწიფოში უდიდესი ძალისხმევის ფასად ერთხელ უკვე ძლეული კერპთაყვანისმცემლობა და სხვადასხვა ღვთაებათა კულტი დანიერგა.

საბედისწერო შედეგებმა არ დააყოვნა.

აუბედობის პირველი ნიშანი ის იყო, რომ სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ისრაელიანთა სახელმწიფო ორად გაიყო — ჩრდილოეთით ისრაელის სამეფოდ და სამხრეთით იუდას სამეფოდ.

ისრაელის სატახტო ქალაქად სამარია გამოცხადდა, ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შუაწელს შორის გაშენებული ქალაქი. იუდას სამეფოს დედაქალაქად იერუსალიმი დარჩა.

ამ ორ სამეფოს, ვიდრე არსებობდნენ ისინი, ერთმანეთში შუღლი და ბრძოლა თითქმის არ შეუწყვეტია.

არსებობით კი დიდხანს აღარ უარსებიათ. ისრაელის სამეფო ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნის მიწურულს დაემხო, სახელდობრ, 721 წელს, იუდას

სამეფო – ცოტათი მოგვიანებით, ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ, 586 წელს.

ისრაელის სამეფო ასურელებმა დაანგრეს, დედაქალაქი სამარია მიწასთან გაასწორეს, მოსახლეობის მეტი ნაწილი ასურეთში გადაასახლეს და მათ ქვეყანაში კი უცხო ტომის ხალხებს მიუჩინეს სამკვიდრებელი. ასურეთი, ალბათ იცით, შუამდინარეთის ანუ მესოპოტამიის ძლიერი სახელმწიფო იყო. იქ გადაკარგულ ისრაელიანთა ასავალ-დასავალი აღარავინ უწყის.

იუდას სამეფოს ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა მოულო ბოლო, იერუსალიმი დაანგრია, სოლომონის ტაძარი და მისი სასახლე გადაწვა და დააქცია და მრავალი ათასი იუდაელი ტყვედ წაასხა ბაბილონში, შუამდინარეთის სამხრეთ მხარეში.

ბაბილონის ტყვეობა ერთი ყველაზე სამწუხარო პერიოდი ებრაელი ერის ისტორიისა. წარმოვიდგინოთ, რა შავ ღღეში იქნებოდნენ ოდესმე ღიდი და ბრწყინვალე სახელმწიფოს შვილნი უცხოობაში, ტყვეობაში, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილნი, ბედკრულნი, როგორი სიმწარით გაიხსენებდნენ ხოლმე სამშობლოს, იერუსალიმს, სოლომონის დიდებულ ტაძარს. ამის უკეთ წარმოსადგენად გადავშალეთ „ფსალმუნნი“ და წავიკითხოთ 136-ე საგალობელი – გულისშემძვრელი გოდება სამშობლოდაკარგული პოეტისა:

„მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავსხედით და ვტიროდით, რაჟამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი.

ძეწნათა ზედა შორის მისსა დავჰკიდენით საგალობელნი ჩვენნი, რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩვენ წარმტყვევნელნი ჩვენნი სიტყვათა გალობისათა, და წარმყვანებელნი ჩვენნი მეტყოდეს ჩვენ: გვაქებდით ჩვენ გალობითა მით სიონისათა!

ვითარ-მე ვაქებდეთ შენ გალობითა უფლისათა ქვეყანასა ამას უცხოთა?

უკეთუ დავგივიწყო შენ, იერუსალემ, დამივიწყენ მეცა მარჯვენემან ჩემმან“.

136-ე ფსალმუნის ეს მუხლები ძველი თარგმანიდან არის ამოწერილი და შესაძლოა ცოტათი ძნელად გასაგები იყოს. ამიტომ ახალ თარგმანსაც ჩავხედოთ: „ბაბილონის მდინარეებთან ვისხედით და ვტიროდით, ოდეს გიგონებდით შენ, სიონი!

ძეწნათა შორის ჩამოვკიდეთ ჩვენი ქნარები,

რადგან იქ მოგვთხოვეს ჩვენმა დამატყვევებლებმა სიტყვანი სიმღერისა და ჩვენმა მჩაგვრელებმა სიმხიარულე: გვიმღერეთ ჩვენ სიმღერა სიონისა!

როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე?



თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა!


საბედნიეროდ, ბაბილონის ტყვეობა ძალიან დიდხანს არ გაგრძელებულა. ებრაელთა ტყვედ წასხმიდან ორმოცდაათამდე წლის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის 539 წელს სპარსეთის მეფემ კიროსმა ბაბილონი აიღო და სულ მალე ბრძანება გასცა ებრაელები სამშობლოში გაებრუნებინათ. მანვე ბრძანა იერუსალიმის დატყვეული ტაძარი აღედგინათ და შეწირულებაც გაიღო ამ საქმისთვის. ტაძარი მართლაც აიგო, თუმცაღა თავისი მშვენიერებითა და სიდიადით, ცხადია, სოლომონის ტაძარს ვერ გაუტოლდებოდა.

ტაძარი კი აღდგა, მაგრამ სამეფოს აღდგენა, დამოუკიდებელი ცხოვრების დამკვიდრება დიდხანს ვეღარ მოხერხდა. ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის შუა ხანებშიღა მოიპოვა იუდეამ ხელახლა დამოუკიდებლობა, რაც არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ძვ. წ. 63 წელს, კვლავ დაიკარგა, რადგან იუდეაც და მთელი პალესტინაც (ძველი ქანაანი) რომაელებმა დაიპყრეს და თავიანთ პროვინციად აქციეს.



ვიდრე „ძველი აღთქმის“ მიმოხილვას დავასრულებდეთ, წინასწარმეტყველთა შესახებ უნდა ვთქვათ ცოტა რამ. წინასწარმეტყველს ისეთ ადამიანს უწოდებდნენ, ვინც ხალხს მომავალში მოსახდენ ამბებს ამცნობდა და, ამასთანავე, რჩევა-დარიგებას აძლევდა, მოძღვრავდა, ხოლო რწმენის შესუსტების, უფლის მცნებათა დავიწყების, სიკეთის გზიდან გადაცდენის დროს პირუთვნელად და დაუზოგავად ამხილებდა. წინასწარმეტყველებად მიჩნეულნი არიან ნოე, აბრაამი და სხვა მამამთავარნი, აგრეთვე ჩვენთვის უკვე ნაცნობი პირნი — მოსე, აარონი, დებორა, სამუელი, ნათანი, დავითი, სოლომონი.

უფრო ხშირად წინასწარმეტყველად იმათ იხსენიებენ, ვისი თხზულებებიც ცალკე წიგნებად არის შესული „ძველ აღთქმაში“. ესენი არიან ეგრეთ წოდებული დიდი და მცირე წინასწარმეტყველნი. დიდი წინასწარმეტყველნი იყვნენ ესაია, იერემია, ეზეკიელი და დანიელი, მცირე წინასწარმეტყველნი — ოსია, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქა, ნაუმი, აბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია და მალაკია. „დიდი“ და „მცირე“ პირობითად არის შერქმეული, იგულისხმება მათ მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მოცულობა და მნიშვნელობა.



ესაია წინასწარმეტყველი.  
მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ხელოვანის  
მიქელანჯელო ბუნაროტის ნახატი.



მრავალი ისეთი წინასწარმეტყველება არის ცნობილი „ძველი აღთქმისა“, რომლებიც ზედმიწევნით აღსრულებულა. ამგვარია, მაგალითად, იერემიას წინასწარმეტყველება იმის შესახებ, თუ რა ბედი ელოდებოდა იერუსალიმს და მთელს იუდეას:

„ასე ამბობს უფალი: ბაბილონელთა მეფის ხელში ჩაეგდებ მთელს იუდას, გადასახლებს მათ ბაბილონში და მახვილით ამოწყვეტს. გავცემ ამ ქალაქს მთელს ქონებას, მთელს მის ჭირნახულს, მთელს ძვირფასეულობას და იუდას მეფეების მთელს საგანძურს და ხელში ჩაეუვლებ მათს მტერს. გაძარცვავენ, დაიტაცებენ და ბაბილონში წაიღებენ“ (იერ. 20,4-5).

ასეთ მომავალს უქადდა უფალი იერემია წინასწარმეტყველის პირით იუდას ქვეყანას და მის სატახტო ქალაქს და ეს წინასწარმეტყველება, როგორც ვიცით, ზუსტად შესრულდა.

მაგრამ უფრო საკვირველი და დიდებული ის წინასწარმეტყველებებია, რომლებშიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნის წინ მცხოვრები ბრძენკაცები თანამოძმეთ ამცნობდნენ იესო ქრისტეს შობის, ცხოვრების, ჯვარცმისა და აღდგომის მომავალში მოსახდენ ამბებს. ამგვარი წინასწარმეტყველება იმდენად მრავლად არის „ძველ აღთქმაში“, რომ ღვთისმეტყველნი დაასკენიან – მთელ „ძველი აღთქმა“ ძე ღმერთის ქვეყნად მოვლინების მოლოდინით არისო შთავგონებული.

ვნახოთ ზოგიერთი ამ წინასწარმეტყველებათაგან.

უფალი მიმართავს დავით მეფეს ნათან წინასწარმეტყველის პირით:

„მე აღვადგენ შენს შემდგომად ნაშიერს, შენი საზარდულიდან გამომავალს, და მეფობას განვუმტკიცებ... მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი იქნება ჩემთვის“ (2 მეფ. 7,12-14).

მაშასადამე, უფალი დავითს ჰპირდება (და ამას ნათანი წინასწარმეტყველებს): შენს შთამომავალს მეფობას განვუმტკიცებო. ცნობილია, რომ იესო ქრისტე ხორციელად დავით მეფის შთამომავალი იყო. ოღონდ ამ სიტყვებით მიწიერი მეფობა კი არ იგულისხმება, ხილულსა და უხილავ სამყაროებზე ქრისტეს მეფობა იგულისხმება. „მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი იქნება ჩემთვის“, – ნათან წინასწარმეტყველის პირით წარმოთქმული ეს სიტყვები უფალი ღმერთისა რას ნიშნავს, უფრო წვრილად მეშვიდე კლასში შევიტყობთ.

წინასწარმეტყველი მიქა თითქოს ეხმიანება ამას:

„შენ კი, ბეთლემო... შენგან გამოივია ხელმწიფე ისრაელში და ძველთაგან



იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან“ (5,2).

ბეთლემი ის ქალაქია, სადაც იშვა დავით მეფის შთამომავალი იესო ქრისტე. „აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს“, – ამას ესაია წინასწარმეტყველებს (7,14) ქრისტეს შობამდე რამდენიმე საუკუნის წინ. ამ წინადადების აზრს უკეთ გავიგებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ „მუცლადიღებს“ ნიშნავს „დაორსულდება“, ხოლო „ემანუელ“ ებრაულად ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“ და ამ სახელით ქრისტე მოიხსენიება.

კვლავ ესაია წინასწარმეტყველს მოვუსმინოთ:

„სული უფლისა ღვთისა ჩემზეა გადმოსული, რადგან მცხო მე უფალმა გლახკათათვის სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და შებორკილთა ასახსნელად“ (61,1).

აქ რომ იესო ქრისტე იგულისხმება, ამას უკეთ გავიგებთ, მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოს როცა გავეცნობით.

კიდევ ერთი ამონაწერი ესაიას წინასწარმეტყველებიდან:

„მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი... ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დაღწევილი. მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ... ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე“ (53,4-7).

იესო ქრისტეს ცხოვრებისა და ღვაწლის უკეთ გადმოცემა შეუძლებელია.

ზაქარია წინასწარმეტყველი იუდას ღალატს გვამცნობს:

„მომიწონიან გასამრჯელოდ ოცდაათ ვერცხლს“ (11,12).

ეხლა ვნახოთ, როგორ წინასწარმეტყველებს წიგნი „ფსალმუნნი“ მაცხოვარის ჯვარცმასა და აღდგომას:

„და აურიეს ჩემს საკმელში ძირმწარე და წყურვილის დროს მასვეს ძმარი“ (68,22).

„ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს ყრიან ჩემს კვართზე“ (21,19).

„აღდგეს ღმერთი, განიბნენ მისი მტრები და მისი მოპულენი უკუიქცენ მისგან“ (67,2).

„ეხლა მივხვდი, რომ იხსნა უფალმა ცხებული თვისი“ (19,7).

დასასრულ, ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ ზემოთ დამოწმებულ ციტატებში იესო ქრისტე „ცხებულად“ მოიხსენიება („მცხო მე უფალმა“, „იხსნა უფალმა ცხებული თვისი“). კარგი იქნება, თუ დავიმახსოვრებთ, რომ „ქრისტე“ ბერძნული



სიტყვაა და სწორედ „ცხებულს“ ნიშნავს, ხოლო ებრაულად „ცხებულს“ „ქვოდეს“ „მესია“.

სწორედ მესიის მოსვლის მოლოდინით არიან განმსჭვალულნი „ძველი აღთქმის“ ავტორები.

### სიტყვათა სალარო

აღვგორიული – იგაუგური, გადატანითი, რაღაცის მიმნიშნებელი.

ამხილება – ვისიმე ცუდ საქციელს ააშკარალებდა.

ანბარება – გამორჩენის, პირადი სარგებლობის მიყოლა.

არმისანდობელი – ისეთი, მისი მინდობა რომ არ შეიძლება.

აუპარო – (აქ) ღმერთი ვაღიარო და ვადიდო.

აღვპილი – ახვეტილი.

აღმსრულა – (აქ) გარდაიცვალა.

აღვლენილი – ზემოთ მიმართული.

აღზვდება – მალლა მოექცევა.

აღსარება – (აქ) დაფარულის გამხელა.

აღსასრული – (აქ) სიკვდილი.

აშთორებით, ასტარტა – ისრაელიანთა მეზობელი ხალხების წარმართული ღვთაება, სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი.

ბოროტული – ბოროტი.

ბჭმ – სასახლეში ან გალავანში შესასვლელი დიდი კარი.

ბაიზმიროს – იარაღით მოიკლას.

ბაზიჯნურაბული – შეყვარებული.

ბამობრძედილი – ძალიან გამოცდილი.

ბამონეთენ – გამოედევნენ.

ბანგვსაჯოს – გაგვასამართლოს.

ბანგვსჯიდეს – სამართალს გვიწესებდეს.

ბანბრძობა – გაგრძელება.

ბანვაბო – ემართო, მოვუარო.

ბანრიდება – საფრთხის ასაშორებლად იქაურობას მოშორებული.

- განუდგა - უღალატა.  
 გარდამოსული - გადმოსული.  
 გაცხადდა - გამოაშკარავდა.  
 გულდაჯერებული - დარწმუნებული, თავისთავის მოიმედე.  
 გულწვიანი - ზვიადი, ამპარტავანი.  
 გულისთქმა - (აქ) მისწრაფება.  
 გულისყური - ყურადღება.  
 გულმოდგამული - გათამამებული, გამხნეებული.  
 გულოვანი - გულადი, მამაცი.

- დამივიწყენ - დამივიწყოს.  
 დაუსაბამო - ისეთი, დასაბამი ანუ დასაწყისი რომ არ აქვს. დაუსაბამო  
 მხოლოდ ღმერთია.  
 დაუშრატელი - დაუღვეელი, ჩაუქრობელი.  
 დაფდაფი - დასარტყმელი საკრავი, იგივე დოლი.

- ეთანადება - შეესატყვისება.  
 ელვებიური - (აქ) სევდიანი.  
 ვაითები - ისეთი სიტყვა, რომელიც სხვა სიტყვას დაერთვის მისთვის  
 მხატვრული ელფერის მისანიჭებლად.  
 ვართარსება - ქრისტიანული ღმერთი სამპიროვანია, მაგრამ არსებით ერთია,  
 ერთარსებაა. „ერთარსება“ მხოლოდ ღმერთზე ითქმის.  
 ვარმონი - მთა პალესტინაში.  
 ვსაველ ღმერთსა - ღმერთის იმედად იყავი.  
 ვსამება - შეეფერება.

- ვაბლახად - (აქ) იოლად, ტყუილუბრალოდ.  
 ვარძუ - ვუთხარი.  
 ვრონივებ - დავდივარ.

- ვარბანსდელი - თავზარდაცემული.  
 ვამოთვალნი - ზედა ოთახნი.  
 ვანიტი - უმაღლესი წერტილი.



ზემსწრაფვა – ქვემოდან ზემოთ სწრაფვა.

თავზე გადასდიოდა – ძალიან ბევრი ჰქონდა.

თავის მოსწრაფაში – თავის სიცოცხლეში.

თაკილობდა – თავისთვის შეუფერებლად მიიჩნევდა.

თვალადი – კარგი შესახედავი.

თვითბრძოლა – ორთაბრძოლა.

თხავით ტარვამდე – თავიდან ფეხებამდე.

იხსლა – თან წაიყოლა.

ისტუმრა – სტუმრად მიიყვანა.

იჰმნეს – (აქ) იქცნენ.

იხილვაპოდნენ – ჩანდნენ.

კადნიერება – ჭარბი სითამამე.

კოლორიტული – მკაფიოდ გამოხატული.

კულტი – ღვთაებათა მსახურება და თაყვანისცემა.

ლირიკული – (აქ) პირადი გრძნობების გამოხატველი.

მათარა – ქამარზე ჩამოსაკიდებელი წყლის მომცრო ჭურჭელი.

მალემსრბოლი – მაცნე.

მარადღე – ყოველდღე, მუდამ.

მალლად მხედი – ბრძენი.

მაცხოვარი – (აქ) მხსნელი.

მამატიანე – მატთანეს დამწერი, ისტორიკოსი.

მარმინდელი – შემდეგდროინდელი.

მივაშირა – შუბის ჩაცემით კედელზე მიეკრა.

მისანდობელი – სანდო, ის, ვისი მინდობაც შეიძლება.

მიუტყვევებელი – ისეთი, პატიება რომ არ შეიძლება.

მკვიდრობა – (აქ) ცხოვრება.

მკრახელი – ის, ვინც წმინდა რამეს შეურაცხყოფს.

მკრახელობა – წმინდა რამის შეურაცხყოფა.

მოგვიწვევს - (აქ) მოგვიხდება.

მოგზუნება - მოუნდება, მოესურვება.

მოხელთებიანა - ხელში ჩაეგდო.

მოთავაობა - მეთაურობა.

მორაქმით - ძღვევამოსილად, სახელოვნად.

მოსარჩლე - ქომაგი, დამცველი.

მტრად მოკიდებული - მტრად ქცეული.

მუზარაღი - ლითონის თავსარქმელი.

მუნ - იქ.

მუსრი ბაავლო - გაულიტა, გაწყვიტა.

მღვდიელმთავარი - უმაღლესი სასულიერო პირი.

მფე - მშველელი.

მჭმუნვარება - მწუხარება.

ნაღავლი - ბრძოლით ნაშოვნი ქონება.

ნელსაცხებელი - სურნელოვანი საცხებელი.

ოღესამე - (აქ) ოღესღაც.

ოღეს-მე - როდის?

ოღინღელი - წინანდელი, ძველებური.

პარსონაში - ნაწარმოების მოქმედი პირი.

პირუთვნელად - მოურიდებლად.

პორტრეტი - სურათი, გამოსახულება.

აჟრობილი - (აქ) დაპყრობილი.

საბალობელი - (აქ) საკრავები, ქნარები.

საზარღული - სხეულის ნაწილი მუცლის ქვემოთ, ბარძაყებს შორის.

სათნო - მოსაწონი, სასიამოვნო.

სამართალს გაგიჩენდით - სამართლიანობას დავამყარებდი.

სანახები - მიდამოები.

საჩოთირო - სათაკილო.

საჭურველი - საბრძოლო იარაღი.

საჭურველთმცავირთველი - დიდკაცის საჭურველის, იარაღის მზიდველი.  
სახელი დაიბლო - სახელი გაითქვა.  
სიტყვაბონიერი - გონივრულად მოლაპარაკე.  
სულგუღამ - მუღამ.  
სურიხ - სურს.  
სწორუპოვარი - შეუდარებელი.

ტრფიალება - სიყვარული.

უპოროტო - ვინც ბოროტი არ არის.  
უპითუ - თუკი.  
უპუსცა - უკან შებრუნებულმა ჩასცა.  
უპალვე - მაშინვე.  
უჩუმრად - ჩუმად, ხმის გაუღებლად.  
უჩურჩულა - ჩურჩულით უთხრა.  
უსუცმსოვა - უფროსი ასაკის თავკაცები.

უპირი - მოხეტიალე მეფოკუსე.  
უპალვანი - გამორჩეულად ძლიერი მებრძოლი ან მოჭიდავე.  
უპი მორიქიდა - (აქ) გავრცელდა.  
უპიქა - კაცის სულიერი სამყარო.

უპუღანი - ჩუმჩუმა ვერავი.  
უპელი - (აქ) გულადი.  
უპუპრადომი - ხელქვეითი.  
უპარი - სიმებიანი საკრავი.  
უპრი - (აქ) სართული.

უპაღება - მეტყველებდა.  
უპთიპურთხეული - ღვთის მიერ კურთხეული.  
უპთისკაცი - ღმერთისთვის თავგადადებული ღვთის სათნო კაცი.  
უპიქი სპემ - ახლობელი, საკუთარი საქმე.

**ყოველისმაყრობელი** — ყოველივეს მპყრობელი, ყოველივეს მეუფე; ყოველისმპყრობელი მხოლოდ ღმერთია.

**შეგონება** — რჩევა-დარიგება, ჭკუის სწავლება.

**შეხშიანა** — დაუძახა.

**შეიბალა** — შეილახა.

**შეიძნა** — (აქ) გახდა.

**შეიცხადა** — რაზე ამბავს ან რაზე ნათქვამს თავზარდამცემად და დაუჯერებლად რომ მიიჩნევენ და შეჰკივლებენ, ამაზე ითქმის ხოლმე — შეიცხადაო.

**შეიძრა** — (აქ) შეძრწუნდა.

**შეგასმენელი** — (აქ) დამსმენი, დამბეზღებული.

**შეგმართებალი** — მამაცი, გულადი.

**შეგმოვფხინ** — მოჯარდნენ, შემოეხვიენ.

**შეგკინება** — შებრძოლება.

**შესაზარი** — თავზარდამცემი.

**შუაწელი** — შუა ნაწილი.

**შურღული** — ძველებური ქვის სატყორცნი იარაღი.

**ცაბაოთ, საბაოთ** — ებრაულად ღმერთის ერთ-ერთი სახელი, მისი ღიღებისა და ყოვლადღლიერების აღმნიშვნელი.

**ცხებული** — ის, ვისაც ზეთი სცხეს და ამით მეფედ აკურთხეს.

**ცხიმი** — ქონი, ზეთი, კარაქი, ერბო და მისთანანი.

**ცხოველი** — (აქ) ცოცხალი.

**ძოფული** — წითელი ფერის ძვირფასი ქსოვილი.

**წაასხა** — ბევრი ერთად წაიყვანა.

**წარისოცება** — წაიშლება.

**წარმომავლობა** — წარმოშობა.

**წარმტყვენველი** — ტყვედ წამყვანი.

**წვრილად** — (აქ) დაწვრილებით.

**წვრთა** — ძველებური საზომი, იდაყვს ქვემოთ ხელის სიგრძეს უდრიდა.



**საზარები** – კავკასიონს გადაღმა ძველად მცხოვრები მომთაბარე ხალხი.  
**ხარტა** – არაკანონიერი ცოლი.

**ჯავახანი** – იარაღის დარტყმისგან დამცველი ლითონის სამოსი.

## დანართი

### საკუთარი და გეოგრაფიული სახელები

აქ თავმოყრილია ყველა საკუთარი სახელი და გეოგრაფიული სახელი, რომლებიც ამ სახელმძღვანელოში გვხვდება. ცხადია, ეს სახელები ანბანზეა გაწყობილი, ამას თქვენ უკვე შეჩვეულნი ხართ „სიტყვათა სალაროს“ კითხვისას.

ზოგიერთ სახელს ფრჩხილებში მიწერილი აქვს განმარტება. მაგალითად: „**ბეთუელი** (აბრაამის ძმის ნაქორის ვაჟი, რებეკას მამა)“. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ სახელთა ამ ნუსხის კითხვისას შესაძლოა უცბად არ გაგვახსენდეს, ვინ ვინ იყო. განმარტებები მიწერილი არ აქვს ისეთ სახელებს, რომლებიც თავისთავადაც კარგად უნდა გვახსოვდეს (მაგალითად, აბელი, აბრაამი, ადამი და მისთანანი).

## საკუთარი სახელები

აარონი (მოსეს ძმა)

აბაკუმ წინასწარმეტყველი

აბდია წინასწარმეტყველი

აბელი

აბესა (დავით მეფის მხედართმთავრის იოაბის ძმა)

აბესალომი

აბიმელიძე აბიათარის ძე (დავით მეფის დროინდელი მღვდელი)

აბნარი (საულის მხედართმთავარი)

აბრაამი

აბარი (სარას მხევალი, ისმაელის დედა)

აღამი

ავთანდილი

ამონი (დავით მეფის ვაჟი)

ამოს წინასწარმეტყველი

ანბია წინასწარმეტყველი

არვაქშადი (სემის ვაჟი)

ასენათი (იოსების ცოლი)

აშერი (იაკობის ვაჟი)

ბაბრატონეზი

ბარათაშვილი ნიკოლოზ

ბარაქი (დებორასდროინდელი სარდალი)

ბასილ ზარაშმელი (X საუკუნის ქართველი მწერალი)

ბაყათარი (ოსთა ფალავანი, ვახტანგ გორგასალმა რომ დაამარცხა)

ბეთუელი (აბრაამის ძმის ნაქორის ვაჟი, რებეკას მამა)

ბენიამინი (იაკობის უმცროსი ვაჟი)

ბერსაბუ (ურია ხეთელის, შემდეგ – დავით მეფის ცოლი)

ბაბრიელ ეპისკოპოსი

ბაღი (იაკობის ვაჟი)

გედონი (მსაჯული)  
 გიორგი მთაწმინდელი  
 გოლიათი  
 გრიგოლ ხანათელი  
 გულთამაზ (ქალის სახელი)

დავით აღმაშენებელი  
 დავით მეფე  
 დალილა (სამსონის შეყვარებული)  
 დანი (იაკობის ვაჟი)  
 დანიელ წინასწარმეტყველი  
 დეპორა (მსაჯული)  
 დინა (იაკობის ასული)

ეგერი (ებრაელთა წინაპარი)  
 ევა  
 ეზეკიელ წინასწარმეტყველი  
 ელეაზარი (აარონის ვაჟი, მის შემდეგ მღვდელმთავარი)  
 ელი (მსაჯული)  
 ენოში (ადამისა და ევას შვილის სეთის ვაჟი)  
 მსაპი (ისააკის უფროსი ვაჟი, იაკობის ძმა)  
 მსანია წინასწარმეტყველი  
 მურემი (იოსების უმცროსი ვაჟი)

მამა-შავაველა  
 მასტანგ გორგასალი

ზაძარია წინასწარმეტყველი  
 ზებულონი (იაკობის ვაჟი)  
 ზვინაღაური (ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი)

თამარ მეფე  
 თამარი (დავით მეფის ასული)





- თარა (აბრაამის მამა)  
თარახანი (საზართა ფალავანი, ვახტანგ გორგასალმა რომ დაამარცხა)  
თერახი – იხ. თარა.  
თინა (ქალის სახელი)  
თინათინი (ქალის სახელი)
- იაბინი (ქანაანის მეფე)  
იათაგუხ (ქალის სახელი)  
იაკობი  
იაგუხ (ქალის სახელი)  
იერემია წინასწარმეტყველი  
იესუ (დავით მეფის მამა)  
იესო ნავეს ძე  
იესო ძრისტე  
იეჰთაე (მსაჯული)  
ითრო – იხ. იოთორი.  
ინგოროყვა აპველი  
იოაბი (დავით მეფის სარდალი)  
იოაბ ცერუიას ძე – იხ. იოაბი.  
იოანე ნათლისმცემელი  
იოველ წინასწარმეტყველი  
იოთორი (მოსეს სიმამრი)  
იონათანი (საულის ვაჟი)  
იონა წინასწარმეტყველი  
იოსები  
იოზაფატ ახილუდის ძე (დავით მეფის დროინდელი მემატიანე)  
ისააკი  
ისაძარი (იაკობის ვაჟი)  
ისაგელი  
ისაგილი – იხ. ისმაელი.  
ისრაელი (იაკობის მეორე სახელი)  
იუდა (იაკობის ვაჟი)  
იუდა (ქრისტეს გამცემელი)

## იზორუმი (საულის ვაჟი)

## კაენი

კაინანი (ადამის შვილიშვილის შვილი, ენოშის ძე)

კიროსი (სპარსეთის მეფე)

კიში (საულის მამა)

ლაბანი (ბეთუელის ვაჟი, რებეკას ძმა)

ლვა (ლაბანის ასული, იაკობის ცოლი)

ლვი (იაკობის ვაჟი)

ლია – იხ. ლეა.

ლოთი – იხ. ლოტი.

ლოტი (აბრაამის ძმისწული)

## მათუსალა

მალაქია წინასწარმეტყველი

მანანა (ქალის სახელი)

მარხნი (ქალის სახელი)

მეთუშალახი – იხ. მათუსალა.

მელქოლა (საულის ასული, დავით მეფის ცოლი)

მენაშე (იოსების უფროსი ვაჟი)

მზვიინარი (ქალის სახელი)

მზიონა (ქალის სახელი)

მზიძალა (ქალის სახელი)

მზია (ქალის სახელი)

მზინანა (ქალის სახელი)

მზისო (ქალის სახელი)

მზიულა (ქალის სახელი)

მთვარინა (ქალის სახელი)

მილძა (აბრაამის ძმისწული, ჰარანის ასული)

მიძა წინასწარმეტყველი

მოსე

ნაუპოვონოსოვი (ბაბილონის მეფე)  
ნათან წინასწარმეტყველი  
ნათელა (ქალის სახელი)  
ნათია (ქალის სახელი)  
ნაუპ წინასწარმეტყველი  
ნაფთალი (იაკობის ვაჟი)  
ნაჰორი (აბრაამის ძმა)  
ნასორი - იხ. ნაჰორი.  
ნესტანი („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი)  
ნინო, ღვინდუა ნინო  
ნოე

ონია წინასწარმეტყველი

პირიმზისა (ქალის სახელი)  
პირიმთვარისა (ქალის სახელი)  
პიროსი (ოქროპირიძე) არქიმანდრიტი

რაგოელი (მოსეს სიმამრი)  
რაძელი (ლაბანის უმცროსი ასული, იაკობის ცოლი)  
რაძილი - იხ. რაქელი.  
რახელი - იხ. რაქელი.  
რაზაკა (აბრაამის ძმის ნაქორის შვილიშვილი, ისააკის ცოლი)  
რამუზანი (იაკობის ვაჟი)  
რელუელი - იხ. რაგოელი.  
რუთი (მოაბელი ქალი, დავით მეფის მამის იესეს ბებია)  
რუსთაველი

რუშნადინი (მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანი, 1203 წელს საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა და სასტიკად დამარცხდა ბასიანის ბრძოლაში)

სამსონი (მსაჯული)  
სამუელი (მსაჯული)

სარა (აბრაამის ცოლი)

საული

სათი (ადამისა და ევას მესამე შვილი)

სამი (ნოეს ვაჟი)

სამარია (დავით მეფის მოხელე)

სერაპიონ ზარზმელი (IX-X საუკუნეებში მცხოვრები ქართველი საეკლესიო მოღვაწე)

სეფორა (მოსეს ცოლი)

სიმონი (იაკობის ვაჟი)

სიმონ აირველი (ქართლის მეფე)

სოლომონ მფხე

სოფონია ფინასწარმეტყველი

ტარიმელი („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი)

ურია ხეთელი

ჟოტიშარი (ფარაონის კარისკაცი)

ჟრიღონი („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი)

ქალვა იფუუნის ძე

ქალთამფხე (ქალის სახელი)

ქამი (ნოეს ვაჟი)

ქანაანი (ქამის ვაჟი)

ქეთევან წამებული

ყასაელი (დავით მეფის სარდლის იოაბის ძმა)

ყებერი – იხ. ებერი.

ყობაღი (რუთის შვილი, დავითის პაპა)

შალახი (სემის ვაჟი, ებერის მამა)

შეთი – იხ. სეთი.

შუძია (ქალის სახელი)

უშუშრა (ქალის სახელი)

ცაღოკ ახიტუბის ძე (დავით მეფის დროინდელი მღვდელი)

ცილა (ქალის სახელი)

ცისანა (ქალის სახელი)

ცისია (ქალის სახელი)

ციური (ქალის სახელი)

ციფორა – იხ. სეფორა.

წირეთელი აბაკი

ჭავჭავაძე ილია

ჯოჯოლა (ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელის“ პერსონაჟი)

პარანი (თარას ვაჟი, აბრაამის ძმა, ლოტის მამა)

## გეოგრაფიული სახელები



არაბეთის ნახევარკუნძული  
არაზის მთა  
ასურეთი

ბაბილონი  
ბეთელი  
ბეთლემი

ბაბონი  
ბალააღი  
ბეზურის მხარე  
ბილგალი  
ბოლგოთა  
ბომორი  
ბორი  
ბორისჯვარი  
ბოშენის მხარე

ღამასკო

ეგვიპტე  
ელოვი  
ევროპა  
ევფრათი  
ერმონი

თიანათი  
თურქეთი

იეზუსი (იერუსალიმის ძველი სახელი)  
იერიქონი  
იერუსალიმი, იერუსალემი



იორღანე	0000000000
ისრაელი (საბეფო)	0000000000
იუდა (საბეფო)	0000000000
იუდეა	0000000000
კარღუ	0000000000
მაღიამის ქვეყანა	0000000000
მამრეს მუხა	0000000000
მამრეს მუხნარი	0000000000
მასფულას მღვიმე	0000000000
მესოპოტამია	0000000000
მეფამული ზღვა	0000000000
მიღიანის ქვეყანა – იხ. მაღიამის ქვეყანა.	0000000000
მიცუზა	0000000000
მკვდარი ზღვა	0000000000
მორიას მთა	0000000000
მცხეთა	0000000000
ნილოსი	0000000000
პალესტინა	0000000000
რაბა	0000000000
რამათი	0000000000
საბა (ქვეყანა)	0000000000
სამარია	0000000000
სამხრეთ ამერიკა	0000000000
საქართველო	0000000000
სვანეთი	0000000000
სინაის მთა	0000000000
სინაის ნახევარკუნძული	0000000000

სსსრ

სინაის უღებო

სიონი

სირია

სირიის უღებო

სოლომი

სპარსეთი

სუბა

ტიბროსი

ურარტუ

ური

ქალქა

ქალქველთა ური

ქანანი

ღაჯა

შუამდინარეთი

ჩრდილოეთ ამერიკა

ციბლაკი

ცოზა - იხ. სუბა.

ხალქა

ხალქაქალა

ხარანი

ხებრონი

ხეთების სახელმწიფო

ხმელთაშუა ზღვა

სორების მთა





# სარჩევი

<b>მამამთავარი</b> .....	<b>3</b>
თავი პირველი .....	3
თავი მეორე .....	13
თავი მესამე .....	19
თავი მეოთხე .....	25
სიტყვათა საღარო .....	38
<b>მოსა</b> .....	<b>46</b>
თავი პირველი .....	46
თავი მეორე .....	51
თავი მესამე .....	56
თავი მეოთხე .....	64
თავი მეხუთე .....	71
თავი შედეგზე .....	77
სიტყვათა საღარო .....	86
<b>მეშენი</b> .....	<b>93</b>
თავი პირველი .....	94
თავი მეორე .....	100
თავი მესამე .....	114
თავი მეოთხე .....	121
თავი მეხუთე .....	130
თავი შედეგზე .....	136
სიტყვათა საღარო .....	142
<b>ღანართი</b> .....	<b>149</b>
საკუთარი სახელები .....	150
გეოგრაფიული სახელები .....	157

ბარეკანის ბოლო გვერდზე: შატლი

სტამბა შ.პ.ს. „საქართველოს მაცნე“  
რობაქიძის გამზ. 7<sup>ა</sup>

F 116.337  
3

